საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№36
4 – 10 ნოემბერი, 2009

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
გამოდის ოთხშაბათობით
info@geworld.net

**13 ნოემბერს „თავისუფლების ინსტიტუტს“ შავი პარასკევი გაუთენდება** 26

## ვარდდალიანები

## მილედის ოქრო
2




## ვაი მონებს
### ანუ ამერიკული ალიყური



8

გიორგი ანდრიაძე: 5

## ხელისუფლების მიზანია, ეკლესია ხალხის თვალში მთლიანად გააკოტროს და რეიტინგი დააკარგვინოს

**საქართველოში ფაშისტური რეჟიმი მყარდება**



4

## კონსტანტინე გამსახურდია ზვიად გამსახურდიას დამამხობელთა გვერდით დგომას არ ნანობს

## გეოპოლიტიკური ტრეფიკინგი და საქართველოს გზა არსაით 22

არნო ხიდირბეგიშვილი: 12

## «MADE IN GEORGIA»

რუსუდან შარაძე:

## ჩემი ძმა მერაბიშვილის გარემოცვამ მოწამლა! 10

**ჩრდილოეთ კავკასიაში ვითარების ასარევად «საზოგადოებრივი მაუწყებლის» ფრთის ქვეშ ბერეზოვსკის ტელევიზია იხსნება** 7

4 - 10 ნოემბერი, 2009 წელი. №36
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## მზისაკენ ფუნის მსროლელი თვითონ დაიტყეპ თავზე ნეხვს

ჩრდილოეთ კავკასიაში
რუსულ დათვს სჩხვლეტენ სადგისსა,
ის საქართველოს უჩივის,
„ალ-ქაიდა“ ჰყავს პანკისსა.

პანკისში მონიტორინგით
ჩასულმა დიპლომატებმა
ნახეს, რომ სოფელ დუისში
გუბე გატოპეს ბატებმა.

სამხედრო ხელოვნებაში
რუსეთმა თავის სიტყვა თქვა,
ლოკალურ ომის გამჩაღველს
სდრუზავს ატომურ ფილთაქვას.

ეს დაადგინა გოსდუმამ,
რაც დიდ-პატარას აწუხებს,
ჩვენ ვერ გვიშველის სარდალი,
თუ შიშით ღეჭავს ჰალსტუხებს.

გორთან 300 კოტეჯი
მერკელმა უძღვნა დევნილებს,
მიშამ თქვა: ხალხზე ვზრუნავ და
ვერ დავანახვე ჩვენს ბრიყვებს.

აშშ-მ ელჩად გვაახლა
მრავალნაცადი ჯონ ბასი,
ობამას დავალება აქვს,
გადაგვიმოწმოს კომპასი.

კოკო ბატონი განუდგა
ოპოზიციის პირობას
და პარლამენტში შევიდა,
ვერ შეძლო ცოტნეს გმირობა.

ნ. ანზოროვნამ დატოვა
წყნეთს აგარაკი ნებითა,
ოჰ, როგორც იქნა, მორჩება
ჭორები ამიერიდან.

გ. უგულავამ გვახარა,
თბილისს ექნება უბნები,
ბარემლა ეთქვა პირდაპირ —
ხმის მისაცემი დუქნები.

თბილისის ზღვაზე გააქვთო
ვერედან ზოოპარკიო,
ორფეხა მგლებიც გაესვათ,
ქე იქნებოდა კარგიო.

დონაძეს ტელეარხი აქვს,
სახელად „ტვ-რეალი“,
ეს კაცი ისე მარჯვეა,
როგორც მადრიდის „რეალი“.

პენსია გაგეზარდაო,
ახარეს მაშო ბებიას,
მან შეიცხადა, უი, ქა,
ეს ნამეტანი ბევრია,
რაღა დროს ხუთი ლარია,
უნდა ვთქვა: „დასვიდანია“.

ახლა ჩამოვთვლით წვრილ-წვრილად,
ზოგ ამბავს გასულ კვირისას,
რაც ხდება ჩვეულებრივად
საღამოსა თუ დილითა:

მუხროვნელ ქართველ ვაჟკაცებს
უსამართლებენ ქველობას,
სამხატვრო აკადემიას,
მგონი, ენგრევა შენობა.

ფუ, ეშმაკს, უნდა ვახარო
თ. თუთბერიძის ქალია,
ჩვენს ისტორიას არ ახსოვს
ალქაჯი ამის დარია.

მზისაკენ ფუნის მსროლელი
თვითონ დაიტყეპს თავზე ნეხვს
და მოესწრება კიდევაც
ღვთის რისხვასა და უფრო მეტს.

* * *

სიმონ ხალხოსნის კილოზე
კვირის ამბების მთხრობელი
გამოვეცხადე მკითხველებს,
გახლავარ

**ოთარ თორელი**

# მილედის თქმით

**შეურიგებლები საერთო სტრატეგიაზე შეთანხმებას აპირებენ. კარგად იციან, რომ ყველაფერზე წამსვლელ და ყველაფრის მკადრებელ ხელისუფლებას დემოკრატიული შეგონებებით ვერ ჩაენაცვლებიან. თვითონაც იქ იყვნენ არცთუ ისე დიდი ხნის წინათ და ჯერ კიდევ შერჩენილი აქვთ დიდი კაბინეტებიდან გამოყოლილი ძალაუფლების სურნელი. ამიტომაც იმავე გზას დაადგნენ, რომელმაც ამბიციების დაკმაყოფილებამდე ერთხელ უკვე მიიყვანა. მაგრამ ამ პოლიტიკურ დაუდგრომლობაში ავიწყდებათ, რომ მხარზე წითელი ვარდის დამღა აქვთ და ხალხსაც კარგად ახსოვს მიშას მატარებლის ელიტარულ ვაგონში მსხდომთა აგრესიაცა და კონფორმიზმიც.**



ანა ავსტრიელმა კი არადა, თერჯოლელმა ლედი ბურჯანაძემ ძვირფასი მარგალიტის ბურნუკები პარიზს გაუგზავნა ჰერცოგ ბუკინგემს კი არადა, მრავალთანამდებობაგამოცვლილ და მრავალჭირმომკერძავ ოქრუაშვილს — ერთიანი ფრონტით შევუტიოთ და ხელისუფლებაში ერთად დავბრუნდეთო! მაგრამ ამ უკანასკნელს ჯერ თავისი გასაჭირი ადგას: **რა შეტევა, რამდენჯერაც ოპოზიციას შეეხვეწა, გარანტიები მომეცით, რომ მიშას ჩემს თავს ფეშქაშად არ მიართმევთო, იმდენჯერ პასუხად მიიღო — ნურას უკაცრავად, ვერაფერს შეგპირდებითო!**

**იცის ოქრუაშვილმა, ვისი გამოთქმაცაა „ნურას უკაცრავად!“**

ამიტომ არ ენდობა მათ, მაგრამ სხვა გზაც არ აქვს. ამჯერად ორი წყალწაღებული მოეჭიდა ერთმანეთს — ძნელია თქმა, პლუსისა და მინუსის მიზიდულობასთან გვაქვს საქმე თუ განწირულთა სულისკვეთების კიდევ ერთხელ ცუდად ჩავლის მოწმენი გავხდებით, მაგრამ ფაქტია, ან ერთად გაიმარჯვებენ, ან ერთად გაემგზავრებიან პოლიტიკურ მოუსავლეთში. ალბათ, უფრო მეორეს უნდა ველოდოთ, რადგან, ვისაც ებრძვიან, ისინიც და ესენიც ერთდროულად დადაღეს. ერთ ქურაში გამოაწრთეს საჩინოს მოზელილი თიხისგან გაკეთებული ქოთნებივით და მერე ამ ქოთნიდან ლობიოსავით აჭამეს ხალხს დემოკრატია, რომელიც ქართული გულუბრყვილობით, მართლაც, ლობიოობა ეგონათ.

**ხელისუფლებიდან საბოლოოდ ამოშანთულ ოქრუაშვილს გულწრფელობის ჭინკა შეუჩნდა და განაცხადა, რევოლუციის დროს იარაღიც გვქონდა და უკან არაფერზე ვიხევდითო. ეს კარგად იცოდა პარლამენტის მაშინდელმა თავმჯდომარემ, ნინო ბურჯანაძემ და ამიტომაც მიჰყვა სხდომათა დარბაზისკენ ალაყუნებულ სააკაშვილს კუსკუსითა და პაკაპუკით. სხვათა შორის, ჯერ კიდევ 2004 წლის ზაფხულში თქვა მრისხანე ირაკლიმ, შარშან ამ დროს ტაბახმელაში ტყვიამფრქვევით სროლაში ვვარჯიშობდიო... ეს ისე, იმათ გასაგონად, ვისაც დღემდე სჯერა, რომ ამათ და ხალხმა აიცილეს 2003 წლის ნოემბერში დაგეგმილი სისხლისღვრა...**

ახლა კი ეს ყველაფერზე წამსვლელები სისხლის დაღვრასაც არ მოერიდებიან, ოღონდ კი ისევ სავარძლებს დაუბრუნდნენ და რევანშისტული წყურვილი დაიკმაყოფილონ. მაგრამ კარგად იციან, რომ მიშა სკამს არ დათმობს... და, განა, გასაკვირია? ბურჯანაძემ ისე მოინდომა მილიონებად შეფასებული სახელმწიფო აგარაკის შეტყაპუნება, თითქოს ქვაღა აკლდა მამამისის მოგროვებული კაკლის დასამტვრევად. ორჯერ ვიყავი პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი და, დიახ, მეკუთვნოდაო, — ისე უტიფრად განაცხადა, ძნელი მისახვედრი არ არის, რა გაიფიქრა: **თუკი ჟვანიას ოჯახს ეკუთვნოდა ბინაც, აგარაკიცა და პრემიერ-მინისტრის სამისდღემჩიო ხელფასიც, რა, ჩემზე მეტი რა გააკეთა, ამ რევოლუციას აუცილებლად მეც უნდა შევეჭამე, როგორც კრონოსს თავისი შვილებიო?..**

ვერ გეტყვით, აქამდე რატომ არ იცოდა მისმა ყოვლადუგანათლებულესობა ლედი ნინომ კრონოსის შესახებ და ახლა რატომ გაექცა თვალი ენციკლოპედიისკენ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, კარგად ეცოდინება რევოლუციის კანონზომიერება და ირაკლი ოქრუაშვილის ამბიციების შესახებაც სმენია, ალბათ. ბურჯანაძის თქმით, „შემთხვევითი არ არის, რომ ირაკლი ოქრუაშვილი ოპერატიულად გამოეხმაურა „დემოკრატიული ფრონტის“ შექმნას. ირაკლი ოქრუაშვილი ძალიან კარგად იცნობს სააკაშვილს“. **ლედი ნინოს ამიტომაც ჰგონია, რომ, რაც ერთხელ მიშამ აჭამა, ახლა ნინოსგანაც სულ ნება-ნება მიირთმევს „პარიზის ხიზანი“. ქართლელი ბიჭი, რბილად რომ ვთქვათ, ცოტას კი წაუტეტიავებს, მაგრამ არც ისეთი შტერია, ბურჯანაძეების ჯერ კიდევ კომუნისტების დროიდან მოკიდებული „ქონის“ ლოღნას დასჯერდეს. მისმა ამბიციებმა უცხოელთა წინაშე პირველად მაშინ გაიბრწყინა, როცა თავდაცვის მინისტრად ახალდანიშნულმა ამერიკელი ექსპერტები დაიფრინა, თქვენ მე რა უნდა მირჩიოთ, აქედან დაახვიეთო.**

ბურჯანაძის ინიციატივას „დემოკრატიული ფრონტის“ შექმნის თაობაზე, ოქრუაშვილის მოძრაობის გარდა, შესაძლოა, კობა დავითაშვილი თავის „ხალხიანად“ და „კონსერვატიული პარტია“ შეუერთდნენ, რასაც, სხვათა შორის, ადასტურებს კახა კუკავა, რომელიც არაფერს გამორიცხავს. ასეთივე „მესაჟი“ სალომე ზურაბიშვილმაც მიიღო და, ალბათ, ისიც „ფრონტავიკი“ გახდება.

ასე მოგროვდებიან ერთად ვარდდალიანები და ერთობლივი ძალებით შეუტევენ თავიანთ ყოფილ ბელადს. ბურჯანაძე არ მალავს, რომ „შეურიგებელთა ერთიანობა მოიტანს, მართლაც, კონკრეტულ შედეგებს“, ხოლო ეკა ბესელია ხაზგასმით აცხადებს: „ოქრუაშვილი არ არის მომხრე, წარსულის წყენა გავიხსენოთ“.

ესენი მზად არიან, ჩაკოკროჭინდნენ, ოღონდ კი ძველი დიდება დაიბრუნონ, გაბითურებული ხალხის ბედი კი ზოგს ყელზე ჰკიდია და ზოგს...

**როგორ დაივიწყოს ხალხმა აფრასიძეების ოჯახის ამოწყვეტა? ანდა, ადვილი დასავიწყებელია, შალიკიანის თითქმის დედიშობილა მეუღლე საქვეყნოდ რომ გაატელევიზორეს? მაშინ ოქრუაშვილის სახელი ქუხდა და ვერ წარმოედგინა, რომ დადგებოდა დრო, როცა თვითონაც ჩააცმევდნენ „ზოლიან რეიტუზებს“ და ტელექუხილი ტელეჯღანაობად გადაექცეოდა! მაშინ ხალხის დასაშინებლად სჭირდებოდათ ამ შოუების დადგმა, მიაღწიეს კიდეც მიზანს და ახლა იმავე ხალხისგან მხარდაჭერას მოითხოვენ... გზადაგზა რჩეული ბიჭებიც ამოხოცეს თითო-თითოდ თუ წყვილ-წყვილად და მერე ჭირისუფალთან ადამიანურად დალაპარაკებასაც არ კადრულობდნენ!**

აბა, როგორი დასავიწყებელია 7 ნოემბერი? ესეც „წარსულის წყენად“ ჩავთვალოთ, სულ უბრალო წყენად? მოდი გავიხსენოთ, 7 ნოემბრის შემდეგ რა განაცხადა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ უნივერსიტეტში სტუდენტებთან შეხვედრისას: „არ შეიძლება, რომ ოპოზიციას არანაირი პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდეს... პასუხისმგებლობა არ მოეთხოვებათ იმ ადამიანებს, ვინც ამდენ ხალხს კრებს, ვინც მერე ქუჩას კეტავს, ვინც კანონს არღვევს? შეიძლება ყველაფერი სხვას გადააბრალო?

**ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თითეულმა თქვენგანმა მართლაც უყუროს პროცესებს, თუ როგორ და რას ვაკეთებთ, რამდენად სამართლიანად ჩატარდება ეს არჩევნები და მერე მართლა დაგვეხმარეთ იმაში... თუ გავაყალბებთ, მზად ვარ, პასუხი ვაგო. მაგრამ არ ვაპირებთ არც მე და არც ჩემი მეგობრები არჩევნების გაყალბებას...“**

როცა ამ სიტყვებს წარმოთქვამდა, ლედი ნინოს ნაციონალები ხელისგულზე ატარებდნენ, შემდეგ კი, მეორედ გაპრეზიდენტებულმა მიშამ ხელისგულები კარგად დაიფერთხა და ნინოც გამწარდა, ახლა არ ამალაპარაკოთო... მიშა გადაფიჩინდა, მაგას რაღა აქვს სათქმელი, ნეტა, რით გვაშინებსო და, „წიწაკაანთ მაგდანას“ მოთხოვნას მოწყალე დასტურით უპასუხა, შენი ფეშქაში იყოსო — აგარაკზე გაისტუმრა... ლედი ნინო ამ აგარაკზე ცხოვრობდა, მისი ფასიც კარგად იცოდა და არც აქტიურობას აპირებდა, ვიდრე სამშობლომ თუ ინტუიციამ არ უხმო. საამისოდ კარგი დროც დაუდგა — 2008 წლის აგვისტოს ომში მთავარსარდალი სააკაშვილი გორში მთელი ქვეყნიერების წინაშე სამარცხვინოდ წამოიპლაკა და ლედიმაც მხარი მოიშიშვლა ოკენისგალმელი პატრონების დასანახად, „რევოლუციური ტრიოს“ წევრი ვარ, აგერ დამღა და მიმსახურეთო.

**მიტინგებიც გაიმართა და კარვებიც გაიშალა, მაგრამ „კოკობმა ვარდებმა“ ვერ ივარგეს, მათივე ხელშეწყობით გაფურჩქნულ სააკაშვილს ვერ აჯობეს, რადგან ზოგს „ზელიონკაში“ ამოვლებული ბოლო უჩანდა, ზოგი მურაბიან კოვზს ლოკავდა, ზოგსაც, უბრალოდ, ვანოს გადმოგდებული ძვალი ეჭირა კბილებით...**

**ახლა ლედი ნინოს სხვა გზა აღარ დარჩა და შეურიგებელთა ერთობას უყრის საფუძველს — მარგალიტის ბურნუკები შეარხია და ოქროც მასთან გაჩნდა!**

**ბენდუქიძემ კი თქვა, სინდისის გარდა ყველაფრის გაყიდვა შეიძლებაო, მაგრამ, როგორც ჩანს, საქართველო ამ მხრივაც ძალიან დაიჩაგრა — ჩვენი პოლიტიკოსებისთვის ეს მიუწვდომელი კატეგორიაა!**

რას ვიზამთ, ამ ქვეყანაში კიდევ დიდხანს მოგვიწევს ვარდის სურნელით ტკბობა, რადგან ვარდდალიანები თავს არ დაგვანებებენ, ვიდრე მიშას „გმირობის“ შემდეგ რაც დაგვრჩა, იმასაც თავიანთ აგარაკად არ გადააქცევენ!

მერე კი, როცა აქაურობა მობეზრდებათ, პარიზში წავლენ და კრუასანებსა და ყავას მიირთმევენ... თუ საერთოდ მოგვიძულეს, ქვეყანას ისე გაატყავებენ, რომ ნათურასაც აღარ დატოვებენ, ისე, როგორც წყნეთის აგარაკზე იკადრა მილედიმ!

**ასეთი საქართველო შეგვრჩება, თუ გონებას არ მოვუხმეთ და მილედისა და მისი ოქროს გადმოგდებულ კრუასანს დავხარბდით — ეს ვითომ შეურიგებლები კრუასანს შეგვარგებენ? მოვა ირაკლი და ხალხის კვნესაკრუსუნი მერე ნახეთ! პროფესიონალი „გამპრავებელიც“ იქვე ეყოლება მილედის სახით — მთელი ოთხი წელი სახელმწიფოს მთავარ ნოტარიუსად მუშაობდა, მისი სიხარბის საწყაოს კი რა აავსებს...**

ეს უბედური და ლობიოს მიჩერებული ხალხი კი, თუ კიდევ ერთხელ მიირთმევს უკვე არაერთგზის მირთმეულს, მაშინ უარესის ღირსიც ყოფილა — გემოს მაინც მიჩვეულია და დიდად არც ეუცხოება!

**ბონდო მძინარაშვილი**

# მერაბ ჯიბლაძე: დღეს საქართველოში საშუალო სკოლა აღარ არსებობს

ქვეყნის პრიორიტეტის სწორად განსაზღვრა არა მხოლოდ მის წინსვლასა და სიძლიერეს, არამედ მის არსებობა-არარსებობასაც განაპირობებს.

დღეს ევროპა ცოდნაზე დამყარებულ საზოგადოებას აშენებს. საქართველოს ხელისუფლებამაც აღიარა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში შესასვლელად საჭირო დოკუმენტების ძირითადი დებულებები (ბოლონიის პროცესის დოკუმენტები), ამ დოკუმენტების ძირითადი მოთხოვნები რომ შესრულებულიყო, დღეს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა ახლოს იქნებოდა მსოფლიო სტანდარტებთან და ის სავალალო მდგომარეობაც არ გვექნებოდა, რაზედაც ქართველი საზოგადოების ნაწილი ასე მედგრად დუმს.

ამჯერად ჩვენ ამერიკის ფიზიკური საზოგადოების წევრს, პროფესორ **მერაბ ჯიბლაძეს** ქართული სასკოლო განათლების დღევანდელი მდგომარეობის თაობაზე ვესაუბრებით. ბატონ მერაბს უნივერსიტეტის უკანონო კონკურსებში მონაწილეობა პროტესტის ნიშნად არ მიუღია და თბილისის ერთ-ერთ სკოლაში წლის განმავლობაში მათემატიკისა და ფიზიკის მასწავლებლადაც მუშაობდა. ასე რომ, ქართული სკოლის დღევანდელი მდგომარეობა მისთვის ზედმიწევნით კარგად არის ცნობილი.



**საშუალო სკოლა საჯარო სკოლამ შეცვალა, რომელიც იგივე ამერიკული «ფაბლიქ სქულია». ასეთი სკოლა ამერიკაში გონებასუსტი ბავშვებისთვის არის შექმნილი, სათანადო სასწავლო პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით. ასეთი სკოლების მიზანია ბავშვებისათვის წერა-კითხვისა და ელემენტარული უნარ-ჩვევების სწავლება.**

## უნივერსიტეტის პირველკურსელებს ცოდნის ისეთი დონე აქვთ, როგორიც ადრე მეშვიდეკლასელებს ჰქონდათ

**— ბატონო მერაბ, რა დატვირთვა აქვს სკოლის ახალ სახელწოდებას — „საჯარო სკოლა“?**

— დღეს საქართველოში საშუალო სკოლა აღარ არსებობს. ის საჯარო სკოლამ შეცვალა, რომელიც იგივე ამერიკული „ფაბლიქ სქულია“. ეს სკოლა ამერიკაში გონებასუსტი ბავშვებისთვის არის შექმნილი, სათანადო სასწავლო პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით. ასეთი სკოლების მიზანია ბავშვებისთვის წერა-კითხვისა და ელემენტარული უნარ-ჩვევების სწავლება. მაგრამ იქ ფაბლიქ სქულების“ გარდა საშუალო, მაღალი და აკადემიური სკოლებიც ფუნქციონირებს, მაღალი დონის სასწავლო პროგრამებით, რაც თანამედროვე სტანდარტების დონეზე განათლების მიღების საშუალებას იძლევა. მე სამჯერ ვარ ნამყოფი ამერიკაში და იქაური სკოლების საკითხი კარგად მაქვს შესწავლილი. 1992 წელს თბილისში, ამერიკული საშუალო სკოლის სასწავლო პროცესის ორგანიზების მაგალითის გამოყენებით, დავაარსე „მომავლის სკოლა“ („მზიურის“ ტერიტორიაზე). სკოლის სასწავლო პროგრამები გაუმჯობესებას მოითხოვდა, რაც არ მოხერხდა და ამის გამო ეს საქმე ველარ განვაგრძე. სამწუხაროა, რომ საზოგადოების ნაწილი ამ უმნიშვნელოვანესი პროცესის არსს სკოლების სახელწოდების ფორმალურ შეცვლაში ხედავს.

**— რა მიზეზით მოხდა ასეთი არსებითი ცვლილებები საქართველოს სასკოლო განათლების სისტემაში?**

— სკოლის სახელის შეცვლას ღრმა და წინასწარ გააზრებული მიზეზი აქვს. საქმე ის არის, რომ 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს განვითარებადი ქვეყნის სტატუსი მიენიჭა, რაც ნიშნავს, რომ მას სამხრეთ აფრიკის სუსტად განვითარებული ქვეყნების კანონებით უნდა ეცხოვრა. სხვათაშორის, 1992 წელს (ამ დროს განათლების მინისტრის მოადგილე ვიყავი) ამერიკის საელჩოს კულტურის ატაშემ, ჰაჩისონმა განმიმარტა: „თქვენ ხართ განვითარებადი ქვეყანა და სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს მხოლოდ დაწყებითი განათლება“.

**— რას ეყრდნობა ამერიკელთა ასეთი მიდგომა ქართული განათლების მიმართ?**

— ისინი სულაც არ ითვალისწინებენ ქართული განათლების მაღალ დონეს. მათთვის მთავარი ეკონომიკაა. თუ ჩვენ იმდენად დავანგრევთ ეკონომიკას, რომ გაწვდილი ხელით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანას მივაკითხავთ სამათხოვროდ, ისინიც მათხოვრად მიგვიჩნევენ. მათხოვარს კი გამოკვება და შიშველი სხეულის ძონძებით დაფარვა ესაჭიროება და არა განათლება. ასე რომ, ჩვენთან არ უნდა ყოფილიყო არც სახელმწიფო საშუალო სკოლა და არც სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი (რატომ გახდა საქართველო განვითარებადი ქვეყანა, ეს ცალკე თემაა). უცხოური გრანტები მხოლოდ დამშეულთა გამოსაკვებად უნდა იქნეს გამოყენებული და არა კულტურის, განათლებისა და მეცნიერების გასავითარებლად. ამრიგად, 90-იანი წლების დასაწყისიდან განათლებისადმი დამოკიდებულება საქართველოში მკვეთრად შეიცვალა. 2004 წელს დაწყებულმა რეფორმებმა კი ბოლო მოუღო სკოლასაც და უნივერსიტეტსაც.

**— როგორია რეფორმირებული ქართული სკოლის პროგრამები?**

— ამერიკულ სკოლებში სასწავლო პროცესი სამი ტიპის — AA, B და C პროგრამით მიმდინარეობს, ქართულ საჯარო სკოლებში კი უმდაბლესი პროგრამა — A ფუნქციონირებს.

**— ხომ არ მოიყვანთ ამ პროგრამის დამახასიათებელ რამდენიმე მაგალითს?**

— ამ პროგრამით ფიზიკაში, მაგალითად, ელექტრობის კურსი თავდება მუდმივი დენით, ოპტიკა კი გეომეტრიული ოპტიკით შემოიფარგლება. ამერიკელ მოსწავლეებს, რომლებიც მაღალი დონის B ან C პროგრამებით სწავლობენ სკოლაში, შეუძლიათ სხვადასხვა დონის უნივერსიტეტებში ჩააბარონ, ქართველ მოსწავლეს კი, რომელიც A დაბალი დონის პროგრამით არის მომზადებული, აკრძალული აქვს მაღალი დონის განათლების მიღება. განათლების დონეს ჩვენთან ერთიანი ეროვნული გამოცდები განსაზღვრავს.

**— როგორ შეფასებას აძლევთ ერთიან ეროვნულ გამოცდებს როგორც სკოლის კურსდამთავრებულის ცოდნის შეფასების საშუალებას?**

— ეროვნულ გამოცდებზე ხდება არა ცოდნის, არამედ უნარ-ჩვევების შეფასება. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ უნივერსიტეტის პირველკურსელებს ცოდნის ისეთი დონე აქვთ, როგორიც ადრე მეშვიდეკლასელებს ჰქონდათ.

**— რას გვეტყვით სკოლის სახელმძღვანელოებზე?**

— სახელმძღვანელოების შედგენა ხდება A პროგრამის მიხედვით. მე-10 კლასის ფიზიკის სახელმძღვანელოში; მაგ., სურათებს მეტი ფართობი აქვს დათმობილი, ვიდრე ტექსტებს. ტექსტები სკანდალური შეცდომებით არის სავსე, რაც ავტორის დაბალკვალიფიციურობაზე მეტყველებს. სურათები კი საბავშვო ბაღის ბავშვებს უფრო შეეფერება, ვიდრე მეათეკლასელებს. მაგალითად, ნაჩვენებია გაზქურა წარწერით: „გაზის წვა გაზქურაში“ (ამას ჩვენ მეათეკლასელს ვეუბნებით?); არის მთელი წყება ასეთი სურათებისა სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის (ოღონდ მე-10 კლასის სახელმძღვანელოში): „აისბერგები ყინულის მთებია ოკეანეში“, „ელექტროგადამცემი ხაზები“, „ნავთობის მოპოვება ჭაბურღილიდან“, „მთის მდინარე“, „რაკეტის სტარტი“, „გემი ზღვაში“ და სხვა მარგალიტები.

გასაოცარი და, ალბათ, შეურაცხმყოფელიც არის კითხვა, რომელსაც ავტორი მოსწავლეს უსვამს: დახატულია პრიზმა. კითხვა კი ასეთია — პარალელურია თუ არა პრიზმის წახნაგები? არც დღეს და არც არასოდეს, არავის დაუმტკიცებია, რომ მთელი საქართველო გონებასუსტი ბავშვებით არის დასახლებული. ასეთი სახელმძღვანელოების ავტორების გონებრივი სისუსტე კი ტრივიალური ამბავია, ისევე, როგორც განათლების სისტემის იმ ჩინოვნიკთა გონებრივი სისუსტე, ვინც მათ რეკომენდაცია მისცა. არც სხვა საგნებში უნდა იყოს საქმე კარგად. უახლოეს ხანში კი მასწავლებელთა დიდი დეფიციტი გვექნება.

**— არსებობს მოსაზრება, რომ ნიჭიერი ახალგაზრდა გზას თავად გაიკვლევს.....**

— არ ვეთანხმები ამ მოსაზრებას. ნიჭიერი ახალგაზრდა ყველაზე ცუდ დღეშია, რადგანაც არ აქვს ნიჭის გამოვლენის საშუალება. თუ მას ფინანსური შესაძლებლობა მიეცა, ის ცდილობს, ევროპას ან ამერიკას შეაფაროს თავი. თუ არა და, მისი ნიჭი ისევე დაითრგუნება, როგორც მილიონობით თურქეთში მცხოვრები ქართველის ნიჭი. რატომ იქ არ იბადება გალაკტიონი, ფიროსმანი ან მათთან მიახლოებული პოეტი ან ხელოვანი? იმიტომ, რომ იქ არ არის ნიჭის გამოვლენის გარემო. „მიეცი ნიჭსა გზა ფართო“ — დღეს ეს სიტყვები ყველაზე აქტუალური გახდა.

**— როგორია ხელისუფლების დამოკიდებულება ქართული განათლების სისტემის მიმართ?**

— დღევანდელ ხელისუფლებას ხელს აძლევს გაუნათლებელი საზოგადოება, რადგანაც მისი მართვა უფრო ადვილია.

როდესაც რეფორმების აქტიურმა ხელმძღვანელმა გიგი თევზაძემ სამინისტროში განათლების თავისი პროექტი წარადგინა, ამერიკელი პროფესორის კითხვაზე — რა მიზანს ისახავს ეს რეფორმა, მან უპასუხა — საქართველოში სახელმწიფო ენა ინგლისური უნდა გახდესო. ამასვე ამბობდა განათლების ყოფილი მინისტრი ალ. ლომაია. განათლების ჩინოვნიკებისაგან არაერთხელ გვსმენია, რომ აქცენტი ინგლისურ ენასა და კომპიუტერზე უნდა გაკეთდეს. ნათელია, რომ ქართველ ახალგაზრდობას ტურისტების მომსახურე პერსონალად და ჯარისკაცებად ამზადებენ. ჩვენი ჯარისკაცები კი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში წარმოებულ ომებში საზარბაზნე ხორცად იქნებიან გამოყენებულნი. ასეთია სახელმწიფოს ინტერესი.

**— როგორია სკოლების ფინანსური უზრუნველყოფა?**

— სკოლების ფინანსური უზრუნველყოფა სავალალოა. ბიუჯეტიდან მთელი განათლების სისტემისთვის გამოყოფილია 7,5 %. ამ დროს რუსეთმა განათლებისთვის ბიუჯეტის 20% გამოყო. უნდა გვახსოვდეს, რა დიდ წარმატებას მიაღწია ომის შედეგად დანგრეულმა იაპონიამ მას შემდეგ, რაც მან განათლებას ბიუჯეტიდან 60% მისცა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში განათლებაზე გამოყოფილი ფინანსების დიდი ნაწილი იხარჯება სკოლების რემონტზე და განათლების ჩინოვნიკებიც სკოლების რემონტზე უფრო მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე სასწავლო პროგრამებზე (თუმცა რემონტის საჭიროებასაც არავინ უარყოფს).

**— „ოპტიმიზაციის“ მეცნიერული გაგება ნიშნავს პროცესის ისეთ მართვას, რომელიც მაქსიმალურ შედეგს უმცირესი დანაკარგებით მოგვცემს. როგორ გაიგეს „ოპტიმიზაცია“ საქართველოს განათლების მუშაკებმა?**

— „ოპტიმიზაცია“ გაგებულია, როგორც სკოლების რაოდენობის შემცირება. 2003 წელთან შედარებით, დღეისათვის სკოლების რაოდენობა 1,5-ჯერ შემცირდა — დაიხურა ან სხვა სკოლას შეუერთდა 1000 სკოლა, საქართველოს მრავალი სოფელი სკოლის გარეშე დარჩა. ამას ჰქვია „ოპტიმიზაცია“ ქართულად.

**დალი ქვირია**

**P.S. ასე და ამრიგად, ქართველ ბავშვებს ქართულ სკოლებში გონებასუსტი ბავშვებისთვის გონებასუსტი ავტორების მიერ შედგენილი ძვირადღირებული სახელმძღვანელოებით ასწავლიან. ქართული გონი საფრთხეშია! პოლიტიკური პარტიები კი მხოლოდ სახელმძღვანელოების სიძვირეზე ლაპარაკობენ. გადაშალეთ სახელმძღვანელოები, თუ მშობლები ვერ მოესწრნენ, ბებიებო და ბაბუებო, ახლაც თქვენი ჯერია. თქვენ მაინც ხომ მოესწარით კარგ სკოლებსა და კარგ სწავლებას სკოლებში?! სკოლა გადასარჩენია. მის გარეშე არც უნივერსიტეტი გვექნება და არც მეცნიერება!**

## დღევანდელ ხელისუფლებას ხელს აძლევს გაუნათლებელი საზოგადოება, რადგანაც მისი მართვა უფრო ადვილია

გსურთ, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# კონსტანტინე გამსახურდია ზვიად გამსახურდიას დამამხობელთა გვერდით დგომას არ ნანობს

**კონსტანტინე გამსახურდიამ მორიგი, მსუბუქად რომ ვთქვათ, სადაო და საეჭვო გადაწყვეტილება მიიღო – პარლამენტში შევიდა. აწ უკვე ყოფილი თანამებრძოლების აზრით, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვაჟს ეს ნაბიჯი ადრე თუ გვიან სანანებელი გაუხდება, თუმცა თავად კონსტანტინე სხვაგვარად ფიქრობს:**



## ზვიად გამსახურდიას შვილი რომ არ ვყოფილიყავი, არც პოლიტიკაში მოვიდოდი

## კოკო გამსახურდია:
## ტრაგედიას ვერ ვხედავ თუნდაც საკუთარი მამის პოლიტიკური ოპონენტების გვერდით დგომაში

— თქვენს კითხვაზე პასუხი – თუ რას ვნანობ და რას არა – თვითჩაღრმავების შედეგი უნდა იყოს, პოლიტიკოსებს კი ამის დრო იშვიათად გვაქვს. მაქსიმალურად უნდა გავიხსენო ჩემი ცხოვრების განვლილი გზა, შეფასებებიც შევაჯერო და ავწონ-დავწონო... თუმცა ხშირად ისეც ხდება, რომ მოვლენა, რომელიც გუშინ სანანებლად მიგაჩნდა, ხვალ შეიძლება გამართლებულად მოგეჩვენოს...

**— ეს პასუხის ფილოსოფიური ნაწილია. გადავიდეთ ფაქტობრივ ნაწილზე, თუ თქვენ, როგორც ბრძანეთ, „ჩაღრმავებისთვის დრო არ გაქვთ“, შემიძლია დაგეხმაროთ რამდენიმე ფაქტის „გახსენებაში“. მაგალითად, ნანობს თუ არა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვაჟი, დღეს უკვე პოლიტიკოსი კონსტანტინე გამსახურდია, რომ ძნელბედობის ჟამს მამა მიატოვა და ევროპას შეაფარა თავი?**

— არასწორი ინფორმაციაა. ხშირად ურევენ ჩემს ხანმოკლე გასვლას საქართველოდან და ხანგრძლივ ემიგრაციას. მე საქართველოში გახლდით, სწორედ ამ სახლში, სადაც ახლა ჩვენ ვსაუბრობთ, 22 დეკემბრის განთიადამდე, ანუ იმ დრომდე, ვიდრე პირველი გასროლა არ გაისმა მთავრობის სასახლესთან და ტელევიზიით არ გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ „პუტჩისტები“ ჩემს მძევლად აყვანას, მთავრობის სასახლესთან მიყვანასა და ზვიად გამსახურდიასთვის ულტიმატუმის წაყენებას აპირებდნენ. მე ჩემს მცირეწლოვან შვილთან და ფეხმძიმე მეუღლესთან ერთად გადავედი კონსპირაციულ ბინაში. მას შემდეგ კიდევ რამდენიმე კონსპირაციული ბინა გამოვიცვალე და მხოლოდ ამის შემდეგ, 22 იანვარს, დავტოვე საქართველო და წავედი ემიგრაციაში.

**— თქვენ მამის დაკრძალვაზეც არ იყავით?**

— სამწუხაროდ, ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, საკონსულო დახმარების გარეშე მე ვერ შევძლებდი გროზნოში ჩასვლას, ეს დახმარება კი არ გამიწიეს. ამ ობიექტური მიზეზების მიუხედავად, თუ რამეს ვნანობ, ვნანობ იმას, რომ მე ვერ დავესწარი ისეთ საოცარ მოვლენას, როგორიც ზვიად გამსახურდიას გროზნოში დაკრძალვა იყო.

**— არანაკლებ საოცარი მოვლენა იყო ზვიად გამსახურდიას საქართველოში გადმოსვენება და მთაწმინდის პანთეონში დაკრძალვა. გული ოდნავ მაინც არ გეთანაღრებოდათ, ეს ყველაფერი მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში და მისივე „ეგიდით“ რომ მოხდა?**

— თავისთავად ფაქტი, ბუნებრივია, მისასალმებელია. ამაზე ორი აზრი არ არსებობს. მართალია, სააკაშვილს ამით „ქულების“ დაწერა უნდოდა, მაგრამ არ გამოუვიდა და ეს ნათლად გამოჩნდა ზვიად გამსახურდიას დაკრძალვის დღეს, როცა ამხელა პროცესიაში არც ერთი ხუთჯვრიანი დროშა არ ყოფილა და მხოლოდ სამფეროვანი დროშები ფრიალებდა.

**— დღეს, როდესაც ზვიად გამსახურდიას ნეშტი მთაწმინდაზე განისვენებს, თქვენ პარლამენტარის იმუნიტეტი დაგიცავთ, თქვენი ოჯახის წევრებს კი არანაირი დევნა და საშიშროება არ ემუქრებათ, არ ნანობთ, რომ თქვენი შვილები საქართველოში არ იზრდებიან?**

— რა თქმა უნდა, ეს დასანანია, მაგრამ ამას თავისი გამართლება და ახსნა აქვს. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში განათლებისა და კულტურის სფეროები იმდენად მოშლილია, ჩემი შვილები აქ ვერ ისწავლიან იმას, რასაც უცხოეთში სწავლობენ; თუმცა ვაღიარებ და ვნანობ, რომ საქართველოში შეიძლება ესწავლათ ის, რასაც საქართველოს გარეთ ვერ ისწავლიან.

**—ქართულ პოლიტიკაში მოსვლა არასდროს გინანიათ?**

—არა, მე ქართულ პოლიტიკაში ეროვნული მოძრაობის პერიოდიდან ვარ. რასაკვირველია, მაშინ ერთ-ერთი აქტივისტი გახლდით, ემიგრაციის შემდეგ კი ვარ პოლიტიკოსი და ლიდერი. პოლიტიკა იყო ჩემთვის ერთგვარი საშუალება ემიგრაციიდან დაბრუნებისა.

**— რატომ? არ შეიძლებოდა სამშობლოში დაბრუნებული ყავით, როგორც რიგითი ემიგრანტი და მოქალაქე? ზვიად გამსახურდიას შვილი რომ არ ყოფილიყავით, პოლიტიკაში მოხვდებოდით?**

— როგორც რიგით მოქალაქეს ქართულ რეალობაში ინტეგრაცია გამიჭირდებოდა. რაც შეეხება იმას, რომ მე ზვიად გამსახურდიას შვილი ვარ, დიახ, ზვიად გამსახურდიას შვილი რომ არ ვყოფილიყავი და სხვა ოჯახში, გარემოსა და ფასეულობებზე რომ გავზრდილიყავი, არ ვიქნებოდი ისეთი, როგორიც ვარ და, შესაბამისად, არც პოლიტიკაში მოვიდოდი.

**— როდესაც „გაერთიანებულ ოპოზიციაში“ მოგიწიათ ისეთი ადამიანების გვერდით დგომა, რომელთაც „პასიური თანამონაწილეობა“ მიიღეს ზვიად გამსახურდიას დამხობაში, ამას მამათქვენის მხარდამჭერებს შორის დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. არც მაშინ გაგიხდათ სანანებელი პოლიტიკოსობა, როცა ამ გარდაუვალი აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდით?**

— განხეთქილება ზვიად გამსახურდიას მომხრეებს შორის ამ ფაქტს ნამდვილად მოჰყვა, თუმცა მე ამას არ ვნანობ.

**— გულწრფელად აპატიეთ ამ ხალხს, თუ ეს პოლიტიკისთვის გადახდილი „ხარკი“ იყო?**

— ჯერ ერთი, პოლიტიკური ოპონენტობა ლეგიტიმურია და ამდენად, ტრაგედიას ვერ ვხედავ, თუნდაც საკუთარი მამის პოლიტიკური ოპონენტების გვერდით დგომაში. რასაკვირველია, ეს არ ეხება „პუტჩისტებსა“ და შეიარაღებული ბანდფორმირებების წევრებს. რაც შეეხება პატიებას, ვფიქრობ, რომ მთავარი ის კი არაა, მე ვაპატიე თუ არა ამ ხალხს, მთავარი ისაა, რომ მათ აპატიონ საკუთარ თავს ის, რაც ჩაიდინეს, და უფალმა აპატიოს და შეუნდოს.

**— თუკი მოხდა სასწაული და ზვიად გამსახურდიას სიკვდილის გამომწვევი მიზეზების საპარლამენტო კომისიამ ობიექტური სურათი დადო, რომლის მიხედვითაც აღმოჩნდა, რომ პრეზიდენტი გამსახურდია, მართლაც, მოკლეს და თანაც იმ ადამიანებმა, ვის გვერდითაც ან აქამდე იდექით, ან დღეს დგახართ, რას მოიმოქმედებთ, ამ შემთხვევაშიც ხართ სინანულისგან დაზღვეული?**

— სხვათაშორის, მე ვარ თანაავტორი ჟურნალისტური გამოძიებისა, რომელიც უამრავ დოკუმენტურ და ფაქტობრივ გარემოებასა და მასალას ეყრდნობა და ამდენად, დარწმუნებული ვარ, მსგავსი საშიშროე-

## რატომ არ ნანობს თავისუფლების ლიდერი დახეული მანდატის დანებებას



## კოკო გამსახურდია:
## მამის ჩრდილიდან ადრე თუ გვიან უნდა გამოსვიდე!

### ჩვენი გამოკითხვა

# ენდობით თუ არა კოკო გამსახურდიას?!

**„ქრისტიან-დემოკრატების“, გია ცაგარეიშვილის, ჯონდი ბაღათურიასა და სხვა ფსევდოოპოზიციონერთა შემდეგ პარლამენტში დეპუტატის სტატუსით კოკო გამსახურდიას გამოჩენამ საზოგადოებაში, ბუნებრივია, ერთობ უარყოფითი რეაქცია გამოიწვია, თუმცა ხათუნა გოგორიშვილისა და გიგა ბოკერიას პარლამენტი რის პარლამენტია, თუ საზოგადოების აზრი იმ „საკიდარზე“ არ დაიკიდა, რომლის „ლელვის ფოთლის“ ფუნქციასაც ზემოთ ჩამოთვლილი ოპოზიციონერები დღემდე ფრიად წარმატებით ასრულებენ.**

თავის მხრივ, კოკო გამსახურდიაც ამ ფუნქციის ჩვეულებრივი დანამატია და ჩვენ, რიგით მოკვდავებს, ისღა დაგვრჩენია, გამძლეობა ვუსურვოთ პატივცემულ დეპუტატს (თუ ჯერ კიდევ „სადეპუტატეს“), სხვა თუ არაფერი, ვიდრე ის პარლამენტშია, ბატონი დავით ბაქრაძე მაინც გვეყოლება იმედიანად. ერთგული თანამზრახველის გვერდით გვეგულება „პადოშა“ და, რაც მთავარია, საზრუნავი არ მოაკლდება ნორჩი დეპუტატის მფარველ ჯონდი ბაღათურიას (მეტი რაღა გვინდა?!).

ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, თუმცა ხუმრობა იქით იყოს და საზოგადოების აზრი მეტ-ნაკლებად ყოველთვის საყურადღებოა, მით უფრო ისეთ „მნიშვნელოვან“ საკითხზე, როგორიც „რადიკალი ოპოზიციონერის“ გადეპუტატებაა...

რას ფიქრობს ხალხი მანდატსდახარბებული, აწ უკვე ყოფილი ოპოზიციონერის სკანდალურ გადაწყვეტილებაზე? ამის გასარკვევად „საქართველო და მსოფლიომ“ ქუჩაში გამოკითხვა ჩაატარა და მოსახლეობას ერთადერთი შეკითხვა დაუსვა: ენდობით თუ არა კოკო გამსახურდიას?

**გურამ ნატროშვილი:** — ჩემი აზრით, კოკომ აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა დეპუტატის მანდატი აღიდგინა. მისნაირი უპრინციპო და უსუსური პოლიტიკოსის ადგილი სწორედ იმ პარლამენტშია, რა პარლამენტიც დღეს გვყავს. ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს ბაქრაძესა და მაჭავარიანს მისი თავი. მე მას არასდროს ვენდობოდი.

**თემურ გიორხელიძე:** — კოკო გამსახურდია მაღალრეიტინგული პოლიტიკოსი არასდროს ყოფილა, მაგრამ დღეს მის ნდობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. რაც მან გააკეთა, პარლამენტში შესვლას ვგულისხმობ, მიუტევებელი შეცდომაა, რითაც საბოლოოდ დაუსვა წერტილი თავის ე. წ. მოღვაწეობას პოლიტიკურ სარბიელზე. კოკო, როგორც პოლიტიკოსი, უკვე აღარ არსებობს, მისი არსებობა მხოლოდ იქამდე გაგრძელდება, სანამ სააკაშვილის პარლამენტი იარსებებს. ეს კი, ჩემი აზრით, ძალიან მცირე დროა. ასე რომ, მგონი, უკვე ცხადზე უცხადესია, რა მომავალიც აქვს ბატონი გამსახურდიას პოლიტიკურ კარიერას.

**თეა ჩხარტიშვილი:** — საკითხი ისე კი არ უნდა დაისვას, ვენდობოდით თუ არა კოკო გამსახურდიას, არამედ საკითხავია, იმსახურებს თუ არა ის ხალხის ნდობას. რა თქმა უნდა, არ იმსახურებს და მე, როგორც ეროვნული მოძრაობის აქტიური მონაწილე, გულდაწყვეტილი ვარ, რომ ზვიად გამსახურდიას შვილსა და დიდი კონსტანტინე გამსახურდიას შვილიშვილს ამ ავაზაკების გვერდით ვხედავ.

ვერ გამიგია, რამ აიძულა ეს კაცი, რომ პარლამენტში შესულიყო?! რა შესთავაზეს და რა „ჩაუყარეს“ ჯიბეში ისეთი, რომ სულმა წასძლია?! სად გაქრა მისი ვაჟკაცობა, მისი ქართველობა და მისი გვარიშვილობა?!. საქმე ის არის, რომ არც ვაჟკაცია, არც ქართველი და არც თავისი გვარისა და წარმომავლობის ღირსეული გამგრძელებელი! სხვა ახსნას მე, უბრალოდ, ვერ ვუძებნი მის საქციელს, მის გადაწყვეტილებას, რითაც კიდევ ერთხელ შეირცხვინა მრავალგზის შერცხვენილი თავი და, რაც ყველაზე სამწუხაროა, — საკუთარი გვარიშვილობა.

**ამირან შურღაია:** — მახსოვს, კოკო რომ საქართველოში დაბრუნდა, ანუ როცა აქტიურ პოლიტიკაში მოვიდა, ყველას ძალიან უყვარდა და მისი ყოველი გამოჩენა ხალხში ძალიან დიდ ინტერესს იწვევდა. ის კი არა, სამეგრელოში რომ ჩავიდა, ხალხმა მხარზე შემოისვა და ისე ატარა. მაშინ ყველას ეგონა, რომ ღირსეული კაცი იყო და თავის სიტყვას იტყოდა პოლიტიკაში, მაგრამ... ახლა რომ ჩავიდეს სამეგრელოში, დარწმუნებული ვარ, მეგრელები სახეში შეაფურთხებენ.

სირცხვილია, რომ ზვიად გამსახურდიას შვილი ასეთი უპრინციპო ადამიანია; სირცხვილია, რომ იმ ადამიანების გვერდით დგას, რომლებმაც თავის დროზე გაწირეს ზვიადი... არ მგონია, მან ეს არ იცოდეს, მაგრამ, ჩანს, მისთვის მამის ხსოვნაზე უფრო ძვირფასი და მნიშვნელოვანი საკუთარი კეთილდღეობაა. ასეთი კაცისგან ყველაფერია მოსალოდნელი და არც ის გამიკვირდება, თუ ხვალ და ზეგ ნაციონალური მოძრაობის რიგებში ვიხილავთ.

**ნინო ანჩაბაძე:** — იყო დრო, ხალხი ენდობოდა კოკოს, მაგრამ ეს ზვიადის სახელის დამსახურება უფრო იყო, ვიდრე პირადად მისი. დღეს, როცა ის პარლამენტში შევიდა და, ფაქტობრივად, ხელისუფლების მოკავშირე გახდა, არც ზვიადი ახსოვს ვინმეს და არც მისი დამსახურებები, ფაქტი ის არის, რომ თვითონ კოკოსგან გონიერი პოლიტიკოსი ვერ შედგა. უკვე საკმაოდ დიდი ხანია, ამ სფეროშია და მისი გაკეთებული საქმე, დამსახურება ჩვენ არ გვინახავს; ალბათ, ვერც ვნახავთ, იმიტომ, რომ ამ ბოლო გადაწყვეტილებით — პარლამენტში შესვლით — მან საბოლოოდ დაასრულა და დაასამარა თავისი სახელი და ხალხის მისადმი ნდობა, რომელიც, როგორც გითხარით, ოდესღაც ნამდვილად გააჩნდა...

**გრიგოლ შატაიძე:** — მგონი, კოკო გამსახურდია არ არის იმ დონის ▶

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ბა არ არსებობს. გარდა ამისა, გაერთიანებული ოპოზიციის „საგურამოს მანიფესტში" ერთ-ერთ პუნქტად სწორედ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გამომწვევი მიზეზების გამოძიებაზეა საუბარი. ჩემი აზრით, ეს მიზეზები უნდა აინტერესებდეს და აღელვებდეს როგორც ხელისუფლებას, ასევე ოპოზიციას.

**— თქვენთვის ჟურნალისტური გამოძიება ამდენად ინფორმაციული და საიმედო თუა, პარლამენტში რის გამოსაძიებლად შედიხართ? და კიდევ ერთი, მუდმივად ამ კომისიაში ხომ არ იმუშავებთ? როგორც დეპუტატს სხვა საკითხებზეც მოგიწევთ კოლეგის რანგში იმ ადამიანებთან თანამშრომლობა, რომელთა წინააღმდეგაც ორი წლის მანძილზე ქუჩის აქციებში იღებდით მონაწილეობას.**

— ვნახოთ, გარკვეული სტატუსკვო ხომ არსებობს, არსებობს თანაარსებობის წესიც. პარლამენტში შევდივარ, მაგრამ მე ოპოზიციონერად ვრჩები. პარლამენტში შესვლის კატეგორიული წინააღმდეგი არც არჩევნების შემდეგ ვყოფილვარ. მაშინ ანგარიში გავუწიე თანამებრძოლთა აზრს და უარი ვთქვი საპარლამენტო მანდატზე.

**— და დღეს რა ხდება, თანამებრძოლებისაგან განიხიბლეთ?**

— არც განვხიბლულვარ, არც ვემიჯნები და არც მტრად ვეკიდები. დღეს ვფიქრობ, რომ ქუჩის აქციებმა თავისი რესურსი ამოწურა, გარკვეული შეცდომებიც დავუშვით, პროცესები ენერგიის სრულ ამოწურვამდე გავწელეთ და მაქსიმუმის მოთხოვნის ფონზე მინიმუმიც ვერ მივიღეთ. ვის რა წვლილი მიუძღვის ამაში, ამაზე საუბარს არ ვაპირებ. მე ჩემს პარტიაზე ვაგებ პასუხს. ჩვენ აქციებში პირველი დღიდანვე ჩავერთეთ და ყველაზე უკანასკნელებმა დავტოვეთ. ამის მიუხედავად, დღეს მიმაჩნია, რომ გაცილებით მეტის გაკეთება შეიძლება პარლამენტში, ვიდრე 200-კაციან მიტინგებზე.

**— თქვენი, აწ უკვე ყოფილი, თანამებრძოლები კი განიხიბლნენ თქვენით, ერთ-ერთმა მათგანმა ასეთი ხატოვანი შეფასებაც კი მისცა თქვენს გადაწყვეტილებას – „კონსტანტინე გამსახურდია პარლამენტში შესვლით პოლიტიკურ პენსიაზე გავიდაო".**

— მე მხოლოდ ქართული ანდაზით გიპასუხებთ: „ენას ძვალი არ აქვს".

**— როგორ ფიქრობთ, დახეული მანდატის დაწებება სანანებელი არ გაგიხდებათ?**

— ვიმედოვნებ, რომ არა.

**— როდესაც ტელევიზიით გავრცელდა თქვენი და თქვენი ძმის სატელეფონო საუბრის ჩანაწერი, იქ ცოტნე გამსახურდია გსაყვედურობდათ და გამბედაობას გიწუნებდათ, არ გიფიქრიათ, რომ რაღაც მომენტში სამართლიანი იყო უმცროსი ძმის შენიშვნა?**

— ცოტნე მაშინ საქართველოში არ იმყოფებოდა; ასეთ დროს ყოველთვის ძნელია ობიექტურად რეალობის შეფასება, თუკი ამ რეალობისგან შორს ხარ.

**— თქვენი ძმის, გიორგი გამსახურდიას ჯერ შევარდნაძის, შემდეგ კი სააკაშვილის ძალოვან სტრუქტურებში მუშაობა, თქვენში, როგორც ზვიად გამსახურდიას შვილში, უხერხულობას არ იწვევს?**

— არა, ეს გიორგის არჩევანია; თუმცა მე ასეთ არჩევანს არ გავაკეთებდი.

**— გეთანხმებით, თქვენი არჩევანი ზვიად გამსახურდიას აჩრდილის ასოციაციას იწვევდა. სხვათაშორის, „ზვიადის აჩრდილი" თავად ახსენეთ იმ დღეს აეროპორტში, როდესაც ემიგრაციიდან დაბრუნდით. იმ კონსტანტინე გამსახურდიასაგან დღეს თვალშისაცემად განსხვავდებით — აღარც ისეთივე ხმის ტემბრი, აღარც მანერები, აღარც ულვაშები... ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ მამის ჩრდილიდან „გამოდიხართ"?**

— ჩრდილი და აჩრდილი სხვადასხვა რამაა. რაც არ უნდა დიდებული მამის შვილი იყო, მამის ჩრდილიდან ადრე თუ გვიან უნდა გამოხვიდე. მამის „აჩრდილი" კი მარადიული თემაა.

ესაუბრა
**ელგა ფოლადიშვილი**

---

პოლიტიკოსი, რომ მისი პარლამენტში შესვლა-არშესვლის საკითხი საყოველთაო განსჯის საგანი გახდეს. არ ღირს ამის გამო ალიაქოთის ატეხვა; იჯდეს პარლამენტში და ილაპარაკოს სისულელეები. რა მნიშვნელობა აქვს, სხდომათა დარბაზში იტყვის ამ სისულელეს თუ ქუჩაში, შედეგი მაინც ერთი იქნება: მის გამოსვლებზე ყველას გაეცინება... ის მაინც რად ღირს, რომ დავით ბაქრაძესა და მიშა მაჭავარიანს ხანდახან ხასიათზე მოიყვანს.

**მირიან ლაფერაძე:** — ხალხი ისეთ მდგომარეობაშია, კოკო გამსახურდიას კი არა, მგონი საკუთარ მშობელ დედასაც არ ენდობა ბოლომდე. კოკო ვინ არის, რომ ვენდობოდე?! რა გაუკეთებია და რით დაიმსახურა ასეთი პატივი?! მაგაზე მეტად ნებისმიერ პოლიტიკოსს ვენდობი, ოპოზიციონერსაც და, გნებავთ, ხელისუფლების წარმომადგენელსაც... შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ მასზე უფრო არასანდო პოლიტიკოსად მიხეილ სააკაშვილი და თვით ვანო მერაბიშვილიც კი არ მიმაჩნია.

**ტარიელ გომიაშვილი:** — ენდობა თუ არა ხალხი, ეს თავად კოკოსთვის უმნიშვნელო საკითხია, რაშიც პარლამენტში მისმა შესვლამაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა. მისი საქციელი ცხადყოფს, რომ მისთვის პირად კეთილდღეობასთან შედარებით აბსოლუტურად ყველაფერი უმნიშვნელო და მეორეხარისხოვანია. თუმცა ისიც ცხადია, რომ ასეთი ტიპის პოლიტიკოსს პერსპექტივა არ აქვს. უფრო მეტიც, ის, ალბათ, უკვე თვითონაც ხვდება, რომ განწირულია და, რასაც აკეთებს, უიმედო ადამიანის საქციელს ჰგავს. ღირსეული პოლიტიკოსი, ასეთ შემთხვევაში, საბოლოოდ ჩამოშორდებოდა პროცესებს, მაგრამ, ჩანს, მას საამისოდ არც ჭკუა ჰყოფნის და არც — გამბედაობა. ასე რომ, მის საქციელში უცნაურსა და მოულოდნელს ვერაფერს ვხედავ, პირიქით, მისგან პარლამენტში შესვლა სრულიად ლოგიკური გადაწყვეტილება იყო.

**P.S. სიმართლე გითხრათ, ძალიან მინდოდა, გამოკითხულთაგან თუნდაც ერთი მოქალაქე მაინც კოკოს მიმართ კეთილგანწყობილი ყოფილიყო, მაგრამ, ჩანს, პატივცემულმა გამსახურდიამ, მართლაც, საბოლოოდ გაწირა საკუთარი პოლიტიკური კარიერა. რას ვიზამთ, ასე ხდება ხოლმე ხართან დაბმული ხარის ზნისა და ფერის უცაბედი ცვლილება, რაც ხან ყოველგვარ ღირსებასა და პატივმოყვარეობაზე უარის თქმაში გამოიხატება, ხანაც საკუთარ ულვაშზე დაფიცებული ნამუსის დეპუტატის პაწაწინა მანდატზე უპირობო გაცვლაში...**

**ჯაბა ჟვანია**

---

## გიორგი ანდრიაძე:

# ხელისუფლების მიზანია, ეკლესია ხალხის თვალში მთლიანად გააკოტროს და რეიტინგში დააკარგვინოს



**„ეროვნულ-ქრისტიანული მოძრაობის" თავმჯდომარე გიორგი ანდრიაძე „საზოგადოებრივ მაუწყებელს" საპატრიარქოსთვის პირდაპირი ეთერის დაბლოკვაში ადანაშაულებს და ამას მიხეილ სააკაშვილს უკავშირებს. მისი განცხადებით, სიტყვის ელემენტარული თავისუფლება დღეს პატრიარქისთვისაც კი არ არსებობს და საქართველოში მიმდინარე პროცესები ძალიან საშიშ სახეს იღებს. „საქართველო და მსოფლიოსთან" საუბარი გიორგი ანდრიაძემ სწორედ ამ თემით დაიწყო:**

## საქართველოში ფაშისტური რეჟიმი მყარდება. სააკაშვილს ისღა დარჩენია, დიქტატურა გამოაცხადოს

**— ის პროცესები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ვითარდება, ძალიან საშიშ სახეს იღებს. საქართველოში ფაშისტური რეჟიმი მყარდება, სააკაშვილს ისღა დარჩენია, დიქტატურა გამოაცხადოს**. როდესაც საპატრიარქოსაც კი უარი ეთქვა პირდაპირ ეთერზე, რა იმედი უნდა ჰქონდეთ მასმედიის წარმომადგენლებს, რომლებსაც დაუხურეს ტელევიზიები, არ აძლევენ სიხშირეს, როდესაც ქვეყანაში არ არსებობს სიტყვის თავისუფლება, არ არსებობს დამოუკიდებელი მედია?! ამის შემდეგ ქვეყანაში იწყება განუკითხაობა, იმიტომ, რომ რეაგირებას ვერ ახდენ პროცესებზე. რა საშინელებას მოიფიქრებს მათი მახინჯი ტვინი, ჩემთვის უცნობია. თუ არ მოხდა საზოგადოებრივი აზრის კონსოლიდაცია, ისე არაფერი გამოვა. ყველამ ერთად უნდა მოვითხოვოთ სიტყვის თავისუფლება, ადამიანის უფლებების დაცვა, მათ შორის, პატიმრების უფლებების დაცვა. ოპოზიციური სპექტრი, ნებით თუ უნებლიეთ, სააკაშვილის წისქვილზე ასხამს წყალს. როდესაც უცხოეთის წინაშე დავაყენებთ საკითხს არა პრეზიდენტის გადაყენების, არამედ ღირებულებებისა და უფლებების დაცვის შესახებ, ჩვენ ამას მივაღწევთ. მაგრამ გამოიკვეთა სრულიად აბსტრაქტული და რადიკალური მოთხოვნა: „მიშა, წადი!", რამაც გამოიწვია ოპოზიციის გაკოტრება. ხელისუფლებამ კი უფრო მეტად მოუჭირა მარწუხები საზოგადოებას.

**— აზრის გამოხატვის თავისუფლების უფლება კარგად გამოიყენა თეა თუთბერიძემ, როდესაც გაავრცელა ჩანაწერი უწმინდესის შესახებ.**

— სიტყვის თავისუფლება ნიშნავს, გამოთქვა საკუთარი აზრი, მაგრამ, თუ ეს აზრი არის შეურაცხმყოფელი და ცილისმწამებლური, ეს უნდა დაისაჯოს კანონით. მაგრამ ამ ხელისუფლების პირობებში შეურაცხყოფა დასჯადი არ არის. ამიტომ, რასაც უნდა, იმას ლაპარაკობს თუთბერიძე და კიდევ ილაპარაკებენ სხვებიც. სიტყვის თავისუფლება არის პრინციპი, როდესაც საკუთარ აზრს გამოხატავ, მაგრამ ჩვენ წართმეული გვაქვს ეს თავისუფლება იმიტომ, რომ თავისუფალი მასმედია, რომელიც არსებობდა, დახურეს. **ჩვენ ვერც ცუდ და ვერც კარგ აზრს ვერ ვავრცელებთ. მაშინ, როდესაც ხელისუფლება და მისთვის სასურველი ოპოზიცია საკუთარ აზრს როგორც უნდა ისე ავრცელებს. მათ შორის, თუთბერიძეც**.

**— როგორ ფიქრობთ, რეალურად ვინ იდგა თუთბერიძის უკან?**

— რა თქმა უნდა, ხელისუფლება, იმიტომ, რომ თუთბერიძე არის ხელისუფლების ერთ-ერთი „თვალსაჩინო" წარმომადგენელი. **ჩვენს ქვეყანაში რეალურად ხელისუფლება არის კონცენტრირებული არა მთავრობასა და პარლამენტში, არამედ „თავისუფლების ინსტიტუტში", რომელიც წარმოადგენს ე. წ. პოლიტბიუროს ნაირსახეობას**. **დღეს „თავისუფლების ინსტიტუტი" იგივეა, რაც პოლიტბიურო იყო საბჭოთა ეპოქაში.** კომუნისტების დროს ქვეყანას პოლიტბიურო, იდეოლოგიური ჯგუფი მართავდა. ახლა ეს ფუნქცია „თავისუფლების ინსტიტუტმა" შეითავსა. ამ იდეოლოგიური ჯგუფის წარმომადგენელია თუთბერიძე. მის უკან დგანან, რა თქმა უნდა, მისი პოლიტიკური თანამოაზრენი.

**— რაში სჭირდებოდა ხელისუფლებას ეს ნაბიჯი; ნუთუ ვერ გათვალეს ის, რომ ამას, შესაძლოა, ქვეყანაში უმართავი პროცესების განვითარება მოჰყოლოდა?**

— ამით ხელისუფლებამ რამდენიმე კურდღელი დაიჭირა. სააკაშვილი იმ ღამესვე გამოვიდა და პილატესავით ხელი დაიბანა; ასე ვთქვათ, გაემიჯნა ამ ცილისწამებას. მეორეს მხრივ, ამით პირი მოუსინჯა საზოგადოების რეაქციას. ხელისუფლება მიზანმიმართულად აკეთებს ამას. **მათი მიზანია, რომ ეს ინსტიტუტი, ეკლესია ხალხის თვალში მთლიანად გააკოტრონ და დააკარგვინონ რეიტინგი.** ამიტომ ხან ვის და ხან ვის ალაპარაკებენ რაღაც რაღაცებს. სამწუხაროდ, ნელნელა ხდება ამ რეიტინგის ვარდნა, ვამჩნევთ, რომ ვკარგავთ ხალხს.

**— თქვენ არ გამორიცხავთ, რომ მსგავსი ქმედებები ხელისუფლებასთან დაახლოებული პიროვნებებისგან გაგრძელდება?**

— რა თქმა უნდა, ვინაიდან ხელისუფლების მთავარი მიზანია, გაანადგუროს ეკლესია, როგორც იდეოლოგიური ინსტიტუტი, რათა დანერგოს თავისი იდეოლოგია, შემოიღოს მამათმავლობა, სახელმწიფო დღესასწაულად აქციოს ჰელოუინი და ა.შ. ამას ეკლესია, სულ რომ არაფერს აკეთებდეს, თავისი არსებობით უკვე ეწინააღმდეგება. ესენი არიან ეკლესიის იდეოლოგიური მოწინააღმდეგეები.

**— თქვენ აღნიშნეთ, რომ ეკლესია კარგავს რეიტინგს, ანუ ხელისუფლება აღწევს მიზანს?**

— სამწუხაროდ, ნაწილობრივ ის თავის მიზანს აღწევს. თუ არ მოგვეცა საშუალება, საზოგადოებამდე მივიტანოთ ჩვენი აზრი, თუ მარტო ტალახი გვესროლეს, ცილი დაგვწამეს და ჩვენ არ მოგვეცა საშუალება, თავი გავიმართლოთ, საზოგადოების გარკვეულ ნაწილს გაუჩნდება აზრი, რომ, ალბათ, მართალს ამბობენ. ამიტომ ამ ინფორმაციულ ომში, რომელიც ახლა მიმდინარეობს, მნიშვნელოვანია ინფორმაციული იარაღის მოპოვება. ეს არის, პირველ რიგში, თავისუფალი ტელევიზია, პრესა და რადიო. ჩვენ მოკლებულნი ვართ ამ იარაღს. **სააკაშვილის რეჟიმი ისვრის ყველა სახის ინფორმაციული იარაღიდან და ჩვენ არ გვეძლევა საშუალება, რომ პასუხი გავცეთ მათ.** ამ უთანასწორო ბრძოლაში შეიძლება ბევრი ადამიანი შეცდეს და დაიბნეს.

**— ბატონო გიორგი, თქვენ შეეცადეთ, „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ეთერით გესარგებლათ?**

— რა თქმა უნდა. უამრავი განცხადება გავაკეთე ამის თაობაზე, მაგრამ ჩემი განცხადებები არა თუ „საზოგადოებრივ მაუწყებელზე", არამედ ხელისუფლების კონტროლირებადი, ვითომდა დამოუკიდებელი, ტელევიზიებითა და პრესითაც არ ვრცელდება. საპატრიარქოსაც კი სახვეწნი გაუხდა პირდაპირი ეთერი.

ესაუბრა
**ნანა ლაღაძიშვილი**

## რა თქმა უნდა, ხელისუფლების მთავარი მიზანი ეკლესიის, როგორც იდეოლოგიური ინსტიტუტის, განადგურებაა, რათა დანერგოს თავისი იდეოლოგია, შემოიღოს მამათმავლობა, სახელმწიფო დღესასწაულად აქციოს ჰელოუინი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# «მიშმადიდებლებისა» და ჯიგარი «ოპოების» «კონსტიტუცია»

„მიხუინობა“, მიუხედავად იმისა, რომ დღეს „მოდაშია“, განუკურნებელი სენი მაინც არ არის. მიშმადიდებლებზე ამბობენ, რომ იუდას სკოლა აქვთ გავლილი და მათგან მიშმაკის განდევნა ერთობ ძნელია. არც „ოპოებს“ აქვთ საქმე სახარბიელოდ, მართლმადიდებლობის კალთას ამოფარებულები ხშირად აცხადებენ იმას, რომ ვინც ოპოზიცია არ არის, ქართველი არ არის და ლავროვიც ხშირად ურჩევნიათ სააკაშვილს. ვინ და როგორ ურეცხავს ტვინს მოსახლეობას და აქვს თუ არა ზეგავლენა მსგავს ჩანაწერებს და გამოსვლებს ხალხზე? ბოლო პერიოდში ინტერნეტფორუმებზე აქტიურად ჩანს ე.წ. სახელისუფლო და ოპოზიციური კონცეფციები. საინტერესოა, როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი „მიშმადიდებელი“ ან „რუსეთუმე“ ნეტარი „ოპო“? თუ ჯერ კიდევ გჯერა, რომ შენი ქვეყნის პრეზიდენტი დაკარგულ ტერიტორიებს დაგიბრუნებს, დაშლის რუსეთის იმპერიას, არ გააყალბებს არჩევნებს, მიუხედავად იმისა, რომ შენმა საკუთარმა ბიძაშვილმა ხმა არჩევნებზე მას სულ რაღაც 23-ჯერ მისცა და მხოლოდ იმით, რომ შუქი და გაზი გვაქვს, ყველა ქართველი ბედნიერია, რომ შენი ქვეყნის ისტორია 2003 წლიდან, ანუ მიშმაკის მოსვლიდან იწყება და ფიქრობ, რომ ოპოზიცია ქვეყნის მტერია; თავი „არამიშისტი“, ანუ ჭეშმარიტი პატრიოტი გგონია, მაშინ ყურადღებით გაეცანი ქვემოთ მოყვანილ გზამკვლევს და კიდევ ერთხელ დაფიქრდი შენეულ ჭეშმარიტ პოლიტიკურ კურსზე.





## ნორჩი მიშისტის გზამკვლევი

მოგესალმები, ჩემო ახალბედა, ნორჩო და ფაქიზო მიშისტო!

შენ სულ ახლახან ეზიარე ვირტუალური პოლიტიკის სამყაროს?

ახლა იწყებ პირველი ნაბიჯების გადადგმას კერპთაყვანისმცემლობის ეკლიან გზაზე?

მაშ, გულდასმით წაიკითხე და დაიმახსოვრე:

1. ბატონი პრეზიდენტი უპირველესია;
2. ბატონი პრეზიდენტი ყოველთვის მართალია;
3. ბატონი პრეზიდენტი სახელმწიფოსა და გადარჩენის გარანტი და ერთადერთი ხსნაა;
4. ბატონი პრეზიდენტის ზრახვები და აზრები წმიდათაწმიდაა და არც გაბედო ეჭვის შეტანა მათში, არც სხვებს დაანებო ეს;
5. ბატონი პრეზიდენტის თანაგუნდელები წესიერი, პროფესიონალი და პატრიოტი ხალხია... უკლებლივ ყველა!
6. ბატონი პრეზიდენტი საქართველოს ისტორიაში უმამაცესი მთავარსარდალია;
7. საქართველომ რუსეთს ომი მოუგო;
8. საქართველოში ბიზნესის კეთება ყველაზე ადვილია (თითქმის) ;
9. ბათუმი ბარსელონაა (ჰა, ჰა, მონაკოზე ნაკლებს არ დათანხმდე დებატებში);
10. საქართველოში ყოველ წელს უპრეცედენტო ინვესტიციები შემოდის (წინა წლებთან შედარებით, რასაკვირველია, მაგრამ ეს ხომ წვრილმანია, არც იმაზე იდარდო, რომ კაცმა არ იცის, ეს ინცესტიციები მერე სად მიდის, მიაწექი პირველ ჩვენებას);
11. ქართველი ხალხი ბედნიერია შუქით, გაზით, გზებით და შადრევნებით (მერე რა, რომ პირველი ორის გადასახდელი ფული არ ჰყოფნით, მთავარია, ხომ აქვთ... იდეაში! )
12. საქართველოს ისტორია 2003 წლიდან იწყება;
13. თუ ვინმე გიმტკიცებს საწინააღმდეგოს და არგუმენტები არ გყოფნის, ჰკითხე: „ აბა, გრეჩიხა სჯობდა“?) ;
14. თუ მე-13 პუნქტმა არ გაჭრა, აუცილებლად გაიხსენე, რომ ქართველები ყველაზე უვარგისები ვართ და კარგი ხელისუფლება საიდან მოვიდოდა?
15. მუდამ გახსოვდეს, რომ საქართველოში კარგი კადრების საშინელი დეფიციტია, ამიტომ ხელისუფლება მათგან საუკეთესოებს ირჩევს და ეს ნაკლები ბოროტების პრინციპია მხოლოდ;
16. ვინც არ გეთანხმება და ბედავს ხელისუფლების კრიტიკას, რუსეთის აგენტი ან, სულ მცირე, რუსეთუმეა;
17. თუ მაინცდამაინც, მავანმა ისეთი არგუმენტები დაგიდო ხელისუფლების საწინააღმდეგოდ, რომ ქვას გახეთქავს, ნუ დაგავიწყდება, რომ შენი სამშობლო რუსეთს ესაზღვრება და თბილისიდან 40 კილომეტრში რუსის ჯარი დგას (თუ გკითხეს, ეგ როგორ მოხდაო, გაიხსენე მე-7 პუნქტი!);
18. ოპოზიცია ქვეყნის მტერია;
19. არჩევნები რომ არ გაყალბებულიყო, ის უნდა გაეყალბებინათ (აბა, მტრებს ხომ არ შევუშვებდით პარლამენტში) ;
20. ქართველები დემოკრატიის ღირსნი არ ვართ და ბატონი პრეზიდენტიც ზედმეტი ფუფუნება არაა ჩვენთვის;
21. ვისაც ხელისუფლების პოლიტიკა არ მოსწონს, ის დაბოღმილი და გესლიანია, დიდი ალბათობით, შევარდნაძისდროინდელი ჩინოვნიკია, მებაჟე ან „გაიშნიკი“, შეიძლება ქურდი ან კაი ბიჭიცაა, რომელსაც სისხლი გაუშრო ბატონმა პრეზიდენტმა და ლუკმა წაჰგლიჯა;
22. ნურასოდეს დაივიწყებ ისეთ ტერმინებს, როგორიცაა: „წვერებიანი“, „გრეჩიხა“, „ჟოპო“, „გუბაზა“, „ბოსელია“, „გალია“, „რუსეთუმე“, „პუწინისტი“ და ა.შ. ისინი ნებისმიერ დროს შეიძლება, გამოგადგეს;
23. არასოდეს უპასუხო კითხვას — მიშა ჯობია თუ ვანო;
24. „რ 2“-ის, „იმედის“ და „მაუწყებლის“ მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე ვრცელდება ჭეშმარიტების პრეზუმფცია;
25. „კავკასია“, „მაესტრო“, „პრესა.გე“ და მსგავსი საინფორმაციო რესურსები რუსეთიდან ფინანსდება და მათი ნდობა სიბრიყვეა;
26. თუ ფორუმზე გახსნილ თემაში ოპოიუზერების სიმრავლეა და სიმართლეც მათ მხარესაა, ნუ დაპოსტავ, ნურც შეხვალ;
27. თუ ვერ იკავებ თავს და მაინც არღვევ 26-ე პუნქტს, დაპოსტე რამე პიზდეცინტელექტუალური შუტკა;

**ჩასწორება: №1**

როცა გაიზრდები და დაფრთიანდები, შეგიძლია, თამამად დაუძახო საქართველოს „გურჯისტანი“, ხოლო განსხვავებულად მოფიქრალებს აგდებულად — „მამულიშვილები“...

**ჩასწორება №2**

არ დაგავიწყდეს ეკლესიასა და პატრიარქზე კვირაში ერთხელ მაინც გალაშქრება...

მაშ, ასე, ჩემო ახალბედავ!

შენ უკვე გაქვს იმ ინფორმაციის მაქსიმუმი, რაც პირველ ხანებში მაინც გაგიადვილებს ვირტუალურ ლაბირინთებში გზის გაკვლევას, სადაც უამრავი გესლიანი ოპო და სიმართლისტი, რუსეთუმე და დაბოღმილი „გაიშნიკია“ ჩასაფრებული.

იყავ მხნედ და არ შეგაშინოს წინააღმდეგობამ, შენ მაინც შეიტან შენს დიად წვლილს ჩასარეცხების ჩარეცხვაში, აგენტების გამოვლენასა და საქართველოს ნატოში შესვლაში!

ეს თბილისის ფორუმზე გამოქვეყნებული „მიშისტების“ ე.წ. ვირტუალკონსტიტუციაა. იმედია, მკითხველი არ დაიზარებს და ბოლომდე წაიკითხავს. თუ აღმოაჩენთ, რომ ამ „ნორჩი მიშიტის გზამკვლევში“ ბევრი სარკაზმია, ესეც არ გაიკვირვოთ — მას ბევრი მიმდევარი ჰყავს. აბა, გაბედეთ და ბატონი მიხეილის რომელიმე თაყვანისმცემელს უთხარით, რომ რუსეთთან ომი წავაგეთ, სულ მცირე, გაგლანძღავთ, თუ დიდ გულზეა, მოღალატის ტოლფსასს გაგხდით. ეს გზამკვლევი შედარებით ადრე დაიწერა, ენამოსწრებული user-ის მიერ, ტალიავინის დასკვნა უფრო გვიან დაიდო, თორემ ერთერთი პუნქტი იქნებოდა — „ომი რუსეთმა დაიწყო“. ტალიავინის დასკვნა რომ სხვა რამეზე მიუთითებს, უკვე მთელმა მსოფლიომ იცის.

**რაც უნდა გაგველიმოს ამ სარკასტულ „გზამკვლევზე“, ის, რაც აქ წერია, „მიშმადიდებლებისთვის“ ყველაფერი სიმართლეა. მიშამ მოგვცა შუქი, გაზი, გზები. ჩვენ მოვიგეთ ომი, საქართველო მსოფლიოში, ბიზნესის კეთების თვალსაზრისით, წამყვან პოზიციებს იკავებს, აქ შემოდის უამრავი ინვესტიცია. სად მიდის ეს ინვესტიციები, რაში იხარჯება ეს ფული, არ კითხულობენ.**

ოპოზიციის მხარდამჭერებს ე. წ. კონსტიტუციის დახვეწაზე ბევრი არ უფიქრიათ. მათი „მარაგი“, ძირითადად, ოპოზიციის ლიდერების გამოსვლიდან არის აღებული და საკმაოდ სოლიდურადაც გამოიყურება, ამიტომ ჩვენ მხოლოდ ნაწილი ამოვიღეთ ამ გამოსვლებიდან და მათი მრწამსი ფურცელზე გადმოვიტანეთ.

მაშ, ასე, ვნახოთ, თუ როგორ გამოიყურება ოპოზიციის იდეოლოგიური გზამკვლევი და ფსევდოკონსტიტუცია. ამ „კონსტიტუციით“, პრეზიდენტი გაჩეჩილაძეა.

## ოპოზიციის „გზამკვლევი“:

**— რუსეთზე დიდი მტერი სააკაშვილია და რუსეთს მის წინააღმდეგ მხარს დავუჭერ;**

**— ომს რომ იწყებდა სააკაშვილი, პატრიარქს რატომ არ დაალოცვინა ჯარი?**

**— პატრიარქი „პლენად“ აიყვანეს;**

**— თქვენ — რუსებს, თუ გაქვთ რეცეპტი, სისხლისღვრის გარეშე როგორ შევცვალოთ სააკაშვილის ხელისუფლება, მოგვეცით, თუ არადა, — მოქმედების საშუალება მაინც;**

**— მარნეულისა და სამცხე ჯავახეთის ხმებით არჩეული პრეზიდენტი ხარ;**

**— 900 ათასი ადამიანი იყო გამოსული ქუჩაში;**

**— მიშას გადადგომა გადაწყვეტილია ზემოდან;**

**— გზების გადაკეტვით თუ წუხდებით, შეწუხდით! მე უფრო ვწუხდები, რომ არ მიდის;**

**— მე შეგტენით სტაბილურობას;**

**— ვინც ოპოზიცია არ არის, ქართველები არ არიან;**

**— სააკაშვილმა პირდაპირ თვალებში შეაფურთხა ქართულ ფასეულობებს;**

**— ჟურნალისტებს აძლევენ დავალებას, რომ საეკლესიო დღესასწაულები ირონიით გააშუქონ;**

**— თბილისი საკნების ქალაქი უნდა გახდეს;**

**— მიხო ბაყაყებს იჭერს კუს ტბაზე და ულოცავს, რომ ეს დღეები იწვიმოს;**

**— შენი ძმა მინდა პრეზიდენტად — ლევანი ვალდებულია, ანგარიში გაუწიოს ხალხის სურვილს;**

**— ბურჯანაძემ ყველაფერი იცის მათზე და უნდა გამოვიყენოთ ამ „ომში“;**

**— „ენა, მამული სარწმუნოება“ წამართვა მიშამ მე, როგორც ახალგაზრდას;**

**— მართლმადიდებლურად ვიდგებით;**

**— დიალოგი ეშმაკის ენაა;**

**— ჯერ უნდა ავიღოთ თბილისი, მერე ყველა სოფელი და მერე მთელი საქართველო;**

**— ვანესა რედგრეივი მირეკავს და ვიღაცა სოფლელი უგულავა მაიგნორებს;**

**— დავით აღმაშენებელი იამაყებდა თქვენით, ხალხნო, მისი სული ზეიმობს ახლა;**

**— რეზიდენციასთან ლოცვაზე კურთხევა უკვე გვაქვს, თან პიკეტი გვაქვს და თან ტრაპეზი;**

რა არის ოპოზიციის ძირითადი აპელირების საგანი? რაღა თქმა უნდა, სარწმუნოება. რამდენად არის გამართლებული, როდესაც გამოდიხარ მიტინგზე და ამცნობ იქ შეკრებილ ხალხს, რომ პრეზიდენტის რეზიდენციასთან დგომაზე და იქ ლოცვაზე კურთხევა გაქვს. ან კიდევ რა არის მართლმადიდებლურად დგომის არსი, რომელსაც ხშირად მოისმენთ? თავად თუ აქვთ ოპოზიციის ლიდერებს გათვითცნობიერებული ეს?

საქმე ისაა, რომ ამ ყველაფრის სჯერა იქ მდგომ ხალხს. საკუთარი ყურით მაქვს მოსმენილი, თუ როგორ საუბრობდნენ მომიტინგეები, რომ მიშისტები ბაყაყებს ხოცავენ, იქნებ გაწვიმდესო. თუკი ერთ-ერთ ცნობილ რეჟისორს, რომელიც მიტინგზე აცხადებდა, „ხალხი ჯერ იქამდე არაა მიღწეული, მტერი უყვარდეთო“, მაშინ მართლმადიდებლურ დგომასა და პატრიარქით მანიპულირებას უნდა მოეშვას ოპოზიცია (სახარება ამბობს, „გიყვარდეს მტერი შენი...“).

ეს ყველაფერი საზოგადოებას ხლეჩს, მის აზროვნებაზე ახდენს გავლენას და საბოლოოდ, მართლა მივიღებთ საზოგადოების ორ ნაწილს: პირველი ნაწილი — საქართველოში პრობლემები არ არის და მეორე — „ვინც ოპოზიცია არ არის, ქართველი არ არის“.

„მიშმადიდებელი იქნება“, „ნორჩი ლენინელი“ თუ ჯიგარი „ოპო“, ყველამ ერთი რამ უნდა გაითვალისწინოს — ხელისუფლება მარადიული არ არის და თავად ქვეყანასაც ვნებს ვინმეს „ისტობა“. ჯობს, ყველა „საქართველოისტი“ იყოს. იმედი დავიტოვოთ, რომ, უბრალოდ, მონდომებაა საჭირო და ყველაფერი მოგვარდება.

**მაგდა კლდიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ჩრდილოეთ კავკასიაში ვითარების ასარევად «საზოგადოებრივი მაუწყებლის» ფრთის ქვეშ ბერეზოვსკის ტელევიზია იხსნება

**გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ რამდენიმე თვის წინათ პანკისის ხეობაში აგრერიგად მომრავლებულ ვაჰაბიტების თემას შეეხო და პირველმა გამოთქვა შეშფოთება იმ ფაქტის გამო, რომ საქართველოს ხელისუფლება, ტრადიციული ისლამის სახელმწიფოთა მიმდევრებისგან განსხვავებით „ყურსაც არ აბარტყუნებს“ მსოფლიოს „ახალი ჭირისგან“ თავის დასაცავად და პირიქით, ვაჰაბიტების ფინანსურად მოძლიერების კუთხით პანკისის ხეობაში არსებულ ხეტყის გადამამუშავებელ თუ სხვა კერძო საწარმოებში მხოლოდ მათთან იჭერს საქმეს და არცთუ უანგაროდ!**

„საქართველო და მსოფლიო“ იუწყებოდა იმასაც, რომ აგრესიული, არატრადიციული ისლამის ახალ „მკურნალებს“ ისეთი მუსლიმანური ქვეყნები, როგორიცაა: აზერბაიჯანი, თურქეთი, ჩეჩნეთი, ირანი და ა.შ. გამალებული ებრძვიან, რადგან ისლამის ამ ახალი სექტისთვის ტერორიზმი, ჯიჰადი, სიძულვილი მთელი სამყაროსადმი არახალია და რომ სწორედ ვაჰაბიტების „საქმენი საგმირონის“ ჩამონათვალშია მუჰამედის ქალიშვილის — ფატიმას საფლავის შეურაცხყოფა და დარბევა!

ვაჰაბიტები არიან ყველგან, სადაც კი ნავთობია, ანუ არიან იქ, სადაც პოლიტიკა „ნავთით“ იწერება! ჩვენს ქვეყანაში კი ისინი ჩეჩნეთის პირველი ომის დროს გამოჩნდნენ, კერძოდ, პანკისის ხეობაში. არაბი, იორდანიელი, ერაყელი და, წარმოიდგინეთ, აფრიკელი ვაჰაბიტის არსებობას და მათ უპრობლემო გადაადგილებასაც კი, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ქართველი და რუსეთის სპეცრაზმსახურების სამართალდამცველები უზრუნველყოფდნენ!!! პანკისელი უხუცესები დღესაც ვერ მალავენ აღშფოთებას იმ ფაქტის გამო, რომ მათი საცხოვრისი ტერორისტებსა და ნარკოტიკებთან ასოცირდება დღემდე და წუხან იმ ვიზიტებზეც, სულ ახლახან რომ მოაწყეს „ქრისტიან-დემოკრატებმა“ უცხოელი დიპლომატების თანხლებით!

**„ეს ამოსვლა შემთხვევით არ ყოფილა, რაღაც უეჭველად მოხდება, ამას ყველა პანკისელი ვგრძნობთ და წინასწარ მინდა, გითხრათ, რომ, როგორც ადრე, ადგილობრივი მოსახლეობა დაზარალდება! მოგვიკლავენ შვილებს, აგვიფეთქებენ სახლებს, კიდევ ერთხელ დაგვიწიოკებენ ოჯახებს! ხმამაღლა ვაცხადებ, რომ მაშინაც და დღესაც ამ „საქმის“ ორგანიზატორები, შემსრულებლები და დამკვეთები რუსი და ქართველი სამართალდამცველები იქნებიან!“** — აღელვებული მიყვირის ტელეფონში ქისტი მოხუცი მეგობარი, რომლის სახელსა და გვარს შეგნებულად არ ვახმიანებ, რადგან შესაძლოა, საკუთარ სახლში, გნებავთ, ეზოში ან ტუალეტში ტროტილის პატარა ნატეხი უსახსოვრონ სიმართლის თქმის სანაცვლოდ!

**ისე, მაინც რამააფორიაქა ეს „ქრისტიან-დემოკრატები“?**

## ტერორისტები და მკვლელები პანკისში რომ არ ეძებნათ, გვერდზე ვერ გაიხედეს დალოცვილებმა, გნებავთ, პარლამენტში და, გნებავთ, ხელისუფლების მაღალ იერარქიებში? „ვანოს ბიჭებმა“ რომ ტერორისტული აქტები იციან, ისეთი უნდა, და მერე რომ აფხაზებს, ოსებს, რუსებს გადააბრალებენ ხოლმე, დაავიწყდათ?

ყველას გვახსოვს სულ ახლახან დასავლეთ საქართველოში რკინიგზაზე მომხდარი აფეთქება, როცა ნავთობით დატვირთული მრავალი ვაგონი რელსებიდან აფეთქების ტალღამ გადააგდო და აალა.

რუსული საინფორმაციო გამოშვებები რომ „ხალასტოი“ სიუჟეტების გაშუქებაზე არ ცდებიან, ესეც ცნობილია, მაგრამ ახლო მომავალში ბორის აბრამოვიჩ ბერეზოვსკის ახალი ტელევიზია რომ გაიხსნება თბილისში, ამაზე ქართული და რუსული არხები რატომ დუმან, ესეც ხომ საინტერესოა?

**კოსტავას ქუჩაზე „საზოგადოებრივ მაუწყებელსა“ და გამგეობას შორის ახალი „შუშებიანი“ ნაგებობა რომ ააშენეს, სწორედ იქ დაიდებს ბინას „რუსეთის ხელისუფლების მხრიდან შევიწროებული, განდევნილი“ მედიამაგნატის — ბორია ბერეზოვსკის ტელევიზია, რომლის დირექტორიც, არც მეტი, არც ნაკლები, „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსის, გადაცემა „პოზიციის“ წამყვან ნინო შუბლაძის მეუღლე ალეკო ფარულავა იქნება! ეს ის ალეკო ფარულავაა, რომელმაც ხანგრძლივად იმოგზაურა ყველა სამთავრობო არხზე (სხვადასხვა მიმართულებით), ხოლო სულ რამდენიმე დღის წინათ კი ტელეკომპანია „იმედიდან“ (ბადრის და ბორის ბერეზოვსკის ტელევიზიიდან) ახალ ტელევიზიაში გადაბარგდა და, როგორც მოსალოდნელი იქნება, ზედმიწევნით შეასრულებს იმ მითითებულ დირექტივებს, რასაც ბორის აბრამოვიჩი და მიხეილ ნიკოლაევიჩი მისცემენ!**

მკითხველს ემახსოვრება, რომ სულ ცოტა ხნის წინათ „ვირტუალური შეშფოთება“ თვით მსოფლიო დონის ნომერ პირველმა ვაჰაბიტმა, ტერორისტად დაბადებულმა უსამა-ბენ ლადენმაც გამოთქვა ჩვენთან შექმნილი „არაჯანსაღი“ ვითარების გამო! ალბათ, გონიერი მაყურებელი ქვეტექსტებს შორის იმ „თანაგრძნობასაც“ ამოიკითხავდა, ბენ ლადენის ტირილნარევ ინტონაციაში რომ ჟღერდა — ჩვენ ქართველებს გაჭირვებაში არ მივატოვებთ და ჩვენი განუსაზღვრელი შესაძლებლობებით უეჭველად დავეხმარებითო!

**ვაჰაბიზმის მოტრფიალეთა და ქართველ პატიმრებს შორის კი პირველი „ჯვაროსნული შეტაკება“ უკვე მოხდა, თანაც ალაჰის სახელით! კერძოდ, ავსტრიის დედაქალაქ ვენაში მძინარე ქართველები ავღანელმა მორწმუნეებმა რკინისა და ხის „დრინებით“ რომ დაჩეხეს, მაშინვე მოექცა მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრში, მაგრამ ქართულმა არხებმა „შემოქმედებითი“ პაუზა დაიკავეს რამდენიმე დღე და ამ შემზარავ ფაქტს წაუყრუეს.**

ხვალ-ზეგ ავღანეთში „საზარბაზნე ხორცის“ კიდევ ერთი ასეული გაემგზავრება საქართველოდან და, თუკი ერაყში გურჯებს პატივით ეპყრობიან პატრიოტი ერაყელები, როგორც მოსალოდნელია, ავღანეთში ეს კეთილგანწყობა აღარ ექნებათ ჩვენი ჯარისკაცების მიმართ, რადგან საქართველოს დღევანდელი ნომერ პირველი ტერორისტი ხელისუფლება, სხვა დანარჩენი ევროპელი სახელმწიფოებისგან განსხვავებით, არათუ საკუთარი სამხედრო კონტინგენტის გამოყვანას არ აპირებს ავღანეთიდან, არამედ პირიქით, ვაზიანის ტერიტორიაზე ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ ჩატარებული წვრთნებითაც იწონებს თავს და ყოველდღიურად ყველა საინფორმაციო საშუალებებით გვეუბნება, რომ კიდევ 200-300 ჯარისკაცს გაუგზავნიან თალიბებს ავღანეთში დემოკრატიის ასაღორძინებლად და მსოფლიო ცივილიზაციის ქვეყნების ჩამონათვალში მათ შესაყვანად!!!

ავღანეთი ავღანეთად იყოს და... ჩვენ ჩვენი საქართველო ვიტიროთ ამ ლაგამამოუდებელი შლეგი ულაყის ხელში, რომელსაც არც მათრახის გადაჭერა შველის და არც მიწამიწა ცხვირით „ტრანშეების“ თხრა!

**ადრე რომ გაჰყვიროდა — ბორია ბერეზოვსკი ჩუმ-ჩუმად შევარდნაძესთან დაძვრება და „ჩემი სამშობლოს“ წინააღმდეგ რაღაც-რაღაცებს მასთან ერთად გეგმავსო — გახსოვთ? აი, ახლა გამოეთრიოს თავის ტრიბუნიანად *(ამ უზრდელური მიმართვის მთელ სიმძიმეს საკუთარ თავზე ვიღებ და რედაქციასაც ვთხოვ, სიტყვასიტყვით დამიტოვოს ნათქვამი)*** და აგვიხსნას, თბილისის ცენტრში, საქართველოს უპირველესი ტელევიზიის გვერდით, რა უნდა მისგან შერისხული ბერეზოვსკის ტელევიზიას და ბარემ იმაშიც გაგვარკვიოს, რამდენიმე კვირის წინათ, შუაღამისას პირადად მასთან საიდან ჩამოფრინდა აბრამის ძე და რაზე ისაუბრეს?

„საქართველო და მსოფლიო“ ინფორმაციას ახალი „ქართული“ ტელევიზიის შესახებ დიდი ხნით ადრე ფლობდა, მაგრამ ინფორმაციის დადასტურებას პირველწყაროსთან, ანუ ბორის ბერეზოვსკისთან ვერ ახერხებდა, რადგან ბორის აბრამოვიჩი, მიუხედავად ჩემთან არაერთი ინტერვიუსი, ამჯერად კომენტარს თავს მარტივი მიზეზით არიდებდა: „იზვინიტე, ირინა, ია შას ვ ბანკე ი ნე მოგუ დატ ნიკოკოე ობიასნენია ნა ვაში ვოპროსი“! არადა, ადრე „იმედთან“ და პატარკაციშვილების ოჯახთან დავაზე კომენტარებს დიდი სიხარულით აკეთებდა და აქეთ მეკითხებოდა: „ვოპროსი ეშჩო ესტ? პოჟალუისტა, ია გოტოვ ოტვეტიტ ნა ლუბიე ვაში ვოპროსი“!

მოკლედ, რაც „საქართველო და მსოფლიომ“ კონფიდენციალური წყაროებით შეიტყო ახალ ტელევიზიასთან დაკავშირებით, არის ის, რომ ჩეჩენი ერის დიდი „დამცველის“, მსოფლიოში სკანდალური ბიზნესმენის სახელი ცნობილი, რუსეთის ხელისუფლებისგან პატივმიგებული, „ოერტესა“ და „ენტევეს“ აქციათა მფლობელის, უკრაინისა და საქართველოს „ფერადი რევოლუციების“ დამფინანსებელი (საქართველოში „ჩერეზ“ ბადრი აფინანსებდა უჯიშო ვარდების მოსვლას ხელისუფლებაში), ამჟამად კი ე.წ. დევნილი ბიზნესმენი, ბრიტანეთისა და არა მხოლოდ ამ ქვეყნის მოქალაქე, ბორის აბრამის ძე ბერეზოვსკი თბილისში ახალი ტელევიზიის გახსნას სწორედ ჩეჩნეთისა და ინგუშეთის რესპუბლიკებში რუსეთთან ახალი დაპირისპირებისა და, შესაძლოა, ახალი ომის დაწყების წინ აპირებს, საიდანაც „ცხელცხელი“ „მიუკერძოებელი“ და „ნაღდი“ ინფორმაციების ულევ ნაკადს გადმოაფრქვევს ჩვენი თუ თავისი ჩამოყვანილი ჟურნალისტების მეშვეობით, რომელთაც „ბორიას კაშელიოკიდან“ მწვანე დოლარები და განიერ-განიერი სტაფილოსფერი ევროები არ მოაკლდებათ! ისე, ფუნტ-სტერლინგებსაც არა უშავს რა, კუვეიტურ დინარებს და დოლარებსაც თუ არ ჩავთვლით, რომელიც, ასევე, უხვად ექნება „ბარუსიას“!

**არა, კაცო! ეს „ქრისტიან-დემოკრატები“ რაღა შუაში იყვნენ, ჰა? ესენიც იმიტომ, რომ ყველა იმედელია და ყველამ იცის ბორის აბრამოვიჩის „დირკები“, იმის დავალებით („ჩერეზ მიშა“) ხომ არ ალაგდნენ პანკისის ხეობაში და დუისის ვაჰაბიტების მიერ აშენებული მეჩეთის ფონზე იმიტომ ხომ არ იკეკლუცეს — „აქ ჩეჩენი ბოევიკების ჯარს ჯერ არ ჩამოუვლია და რუსეთის ხელისუფლებას ეს ყველაფერი ესიზმრებაო?“**

**ირინე გოგოსაშვილი**



**P.S. ერთხელ ბორის ბერეზოვსკიმ ინტერვიუში მითხრა: სამწუხაროდ, ჩემი მეგობრის, ბადრის მეუღლე ინა გუდავაძემ უკადრებელი იკადრა და „не лучшим образом показала себя“!**

**ძალიან მაინტერესებს ერთი რამ: ბატონო ბორია! ამ ჩეკისტური ტელევიზიის გახსნით თქვენ საყვარელ საქართველოსა და ქართველ ხალხს „საუკეთესო სახით“ წარმოუდგებით? იმავე ინტერვიუში რომ მეუბნებოდით, საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების დაფინანსებას ყველანაირად შევუწყობ ხელსო, ახლა მე გეკითხებით: ეს არის თქვენეული დემოკრატია, ჩეჩნეთის ზურგში დაზვერვითი დანიშნულების ტელეარხს რომ ხსნით საააკაშვილთან ერთად, რომელსაც, ასევე, ჩემთან ერთ-ერთ ინტერვიუში „პადონოკი“ უწოდეთ? აი, ამგვარი „დემოკრატიული ინსტიტუტების“ ზედამხედველად გინდოდათ, დაგენიშნათ ჩვენი ნონა გაფრინდაშვილი, რომელიც თქვენს მეგობარ ბადრის სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე გვერდით კედელივით ედგა?**

**მოკლედ: ერთობ „პოდოზრიტელნო დეისტვუეტე, გოსპოდინ ბერეზოვსკი, ტოტ ჟე ელენინ“ და როგორ დაამთავრებთ თქვენს დემოკრატიულ „მარშბრასოკებს“ საქართველოში და, ზოგადად, კავკასიაში, ძნელად პროგნოზირებადია, ერთობ ძნელად, თუმცაღა, ალბათ, „იქ, კრემლში“ ჩვენზე უკეთ იციან და აწი თქვენ იცით!!!**

**რუსებს ერთი კარგი გამონათქვამი აქვთ: „С кем поведешся“... რადგან თქვენი ცხოვრების ამ ეტაპზე სააკაშვილთან ერთად ირჩიეთ სიარული, რა გამოდის? „Значит, вы тоже такой же падонок, да?..“**

4 - 10 ნოემბერი, 2009 წელი. №36
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ვაი მონებს ანუ ამერიკული ალიყური



**როდესაც ამერიკული რეჟიმი ამა თუ იმ ქვეყანაში შედის, ის ოთხი უმთავრესი ბერკეტით ზემოქმედებს საზოგადოებრივ ცნობიერებაზე; ესენია:**
**1) ხელისუფლება, რომელიც მას მოჰყავს;**
**2) ცრუ ოპოზიცია, რომელსაც, აგრეთვე, თვითონ ქმნის იმისათვის, რომ არ შეიქმნას ნამდვილი ოპოზიცია;**
**3) ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მთლიანად (უკლებლივ ყველა) აშშ-დან ფინანსდება და მათ სამსახურში დგას;**
**4) მედიასაშუალებები, რომლებიც, ასევე, ამერიკული კანონებით იქმნება და მთლიანად მათი ინტერესების გამტარებელია!!!**

ზემოთ ჩამოთვლილი ახალი „დემოკრატიული „ცნებანი“ იმდენად შეისისხლხორცა ქართველი საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა, რომ ამ „ცნებათა“ არაღსრულება (და თანაც „კონსტიტუციის“ ფარგლებში) ვერც და არც წარმოუდგენია!

**სადაც ამერიკის სახელმწიფო ვერ ახერხებს ამ „ცნებების“ სრულად რეალიზაციას, იქ ან ატომურ ბომბს აგდებს (იაპონია), ან მთლიანად შლის სახელმწიფოს (იუგოსლავია), ან „დემოკრატიის სიმწირის“ ეგიდით შედის ქვეყნებში (ავღანეთი, ერაყი, ვიეტნამი) და ცეცხლითა და მახვილით მუსრავს იქაურობას!!!**

ამ ბოლო დროს ქართულ ცნობიერებაში (არ ვიცი, აღზრდისა თუ ზედმეტი სტუმართმოყვარეობის გამო) დამკვიდრდა მოსაზრება, რომ სტუმარზე (მათ შორის, იარაღითა და საკუთარი ინტერესებით მოსულზე) აუგი არ უნდა თქვა და ეს განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ამერიკელებს ეხება!

**საქართველოს უკლებლივ ყველა მედიასაშუალება განსაკუთრებული მონდომებითა და სიხარულით აშუქებს იმ ფაქტებს, როცა ამერიკელები ამა თუ იმ სამხედრო ბაზაზე ჩვენს ჯარისკაცებს ინსტრუქტაჟს უტარებენ, და ეს მაშინ, როცა უმაღლესი სამხედრო ჩინისა თუ სწავლების საკუთარი ოფიცრები ქუჩაში ჰყავს გამოყრილი ამ ხელისუფლებას!**

ეს ხელისუფლება სხვა უამრავი „სიკეთისაგან“ იმასაც „ახერხებს“, რომ ჩვენთან ამერიკიდან მოვლენილ ოფიცრებზე არათუ აუგი, არამედ „სულ პატარა, უმნიშვნელო ინფორმაციაც არ გავიდეს“ და ცდილობს, მათი რეალური მიზნები და სახე საგულდაგულოდ დაუმალოს საზოგადოებას.

**1 ნოემბრის საღამოს თბილისში, კოსტავას ქუჩაზე, სასტუმრო „ვარაზში“, ანუ იქ, სადაც ამერიკელი ოფიცრები ცხოვრობენ, რამდენიმე დღის წინათ სრულიად აღმაშფოთებელი ფაქტი მოხდა! რამდენიმე წუთში საპატრულო პოლიციამ მოძრაობა გადაკეტა, სასტუმრო „ვარაზის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ქართული სპეცსამსახურების თანამშრომელთა 200-კაციანი ბრიგადა ჩააყენა, მათ შორის, სამხედრო პოლიცია, და ცნობისმოყვარე თბილისელებს პერიმეტრზე გავლაც კი აუკრძალა!**

„საქართველო და მსოფლიომ“ მოიპოვა ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა მოხდა სინამდვილეში 1 ნოემბრის საღამოს სასტუმრო „ვარაზში“:

**სამი მთვრალი ამერიკელი ოფიცერი სასტუმროს ფოიეშიც გამომწვევად იქცეოდა, მაგრამ სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, როცა 2 ქართველმა ახალგაზრდამ მათ დაწყნარებისკენ მოუწოდა! ამერიკელმა „ხელის გულზე ტარებას მიჩვეულმა სამხედრო ოფიცრებმა“ სანაცვლოდ, „ეს მონა ზანგები“ რეებს გვიბედავენო, არც აციეს, არც აცხელეს და ჩვენი ბიჭები წიხლქვეშ გაიგდეს! ერთ-ერთმა ოფიცერმა ქართველ მამაკაცს თავში ბოთლიც უთავაზა მეტი მორჩილებისათვის. ამ ისტორიაში ყველაზე ამაზრზენი და აღმაშფოთებელი ის იყო, რომ სასტუმრო „ვარაზის“ ადმინისტრაციის მიერ გამოძახებულმა საპატრულო პოლიციელებმაც ვერ დააოკეს ამერიკელი ინსტრუქტორ-ოფიცრები და ერთი ორი ლაზათიანი ჭიტლაყი მათაც მოხვდათ! მოგვიანებით საპატრულო პოლიცია იძულებული გახდა, „უფრო მეტი გავლენისა და წონის“ პატრონებისთვის დაერეკათ, რადგან ნავარჯიშებ, კუნთმაგარ და აბსოლუტურად უკონტროლო 3 ამერიკელს ვერანაირად ვერ აოკებდნენ! დაახლოებით 5 წუთში 20-მდე საპატრულო მანქანა თავისი ეკიპაჟით შემთხვევის (თუ დანაშაულის ჩადენის) ადგილზე გაჩნდა, მაგრამ, ვიდრე ამერიკის საელჩოს თანამშრომლები არ მოცვივდნენ, „იანკი ოფიცრობა“ ვერ დააშოშმინეს!**

ჩვენი ნაქები, გაზულუქებული და ხელისუფლების მიერ „ნაპატიები“ საპატრულო პოლიციელებიც კი ვერ მალავდნენ აღშფოთებას ამერიკელი ოფიცრების საქციელის გამო და ჩუმად იგინებოდნენ!

ორი ნაცემი ქართველი ახალგაზრდა კი, როგორც მოსალოდნელი იყო, საავადმყოფოში კი არ წაიყვანეს, არამედ პოლიციაში და შემდეგ რა ბედი ეწია მათ, ამის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს!

აგრეთვე, არ არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მიზეზით „გააქრო“ ხელისუფლებამ ინტერნეტით გავრცელებული ეს „ნიუსი“, თუმცა, ალბათ, ძნელი მისახვედრი არ არის, რატომაც...

საინტერესო კი ამ ყველაფერში ის არის, რა განცხადება გააკეთა მომხდარის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ერთ-ერთმა მოადგილემ, სილამაზითა და „ბოლო ბრენდებით“ შემოსილმა „უპრიჩოსკო“ ნინო კალანდაძემ საგანგებოდ მოწვეულ ბრიფინგზე:

**„არა მგონია, რომ მომხდარი ფაქტის გამო აუცილებელი იყოს, საქმის კურსში ჩავაყენოთ ამერიკული დიპლომატიური სამსახურები. ადამიანებს შორის ხანდახან ხდება ჩხუბი და, თანაც, ეს იმ დროს, როცა სამუ-**

# რა განსხვავებაა შავის თეთრისაგან გარჩევასა და «არა განიკითხოს» შორის

**წირვა ჩვეულ დროს იწყება. ხალხიც ჩვეული რაოდენობით, ჩვეული ტემპით გროვდება და ნაწილდება ტაძრის შიგნით, ეზოში და ალაყაფის კართან.**
**ზოგი აღსარების სათქმელად დგება რიგში, ზოგიც ზიარების მოლოდინშია გარინდული; ყიდულობენ სანთლებს, სეფისკვერებს, მოაქვთ საკურთხი, გასცემენ შესაწირს და ლოცულობენ.**
**განცდა იმისა, რომ მეც ერთი მათგანი ვარ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მე რეპორტაჟის დაწერა მაქვს განზრახული, მთრგუნავს და სულიერ სიმშვიდეს მაკარგვინებს.**
**თუმცა სულიერ სიმშვიდეს ბევრი რამ მაკარგვინებს ტაძრის შიგნითაც და გარეთაც, ისევე, როგორც ნებისმიერ მართლმადიდებელ აღმსარებელს, რომელიც ქრისტიანული მორჩილებისა და სამოქალაქო პროტესტის ჭიდილს განიცდის;**
**ვინც ქრისტესთვის მონაა და ქვეყნისთვის ჯარისკაცი, მაგრამ ხელისუფლების მონა ვერასდროს იქნება და, შესაბამისად, მას ვერც ჯარისკაცად გაჰყვება „ცრუ ომებში“!**

ჩემ წინ შავებში ჩაცმული შუახნის ქალბატონი დგას. მთელი წირვის მანძილზე მხრები უცახცახებს, სახეს ვერ ვხედავ, მაგრამ ვხვდები, რომ ტირის. რაღაც მომენტში თავის შეკავება უჭირს და ეზოში გადის. ადამიანურ გულისხმიერებას პროფესიული ცნობისმოყვარეობაც ემატება და მეც მივყვები...

ჩემი ვარაუდი გამართლდა. შვილმკვდარი დედა აღმოჩნდა, უფრო სწორად, მოკლულის დედა. გარდაცვლილი შვილის სახელზე საკურთხი მოეტანა ეკლესიაში, აღსარების თქმასაც აპირებდა, მაგრამ ზიარების იმედი არ ჰქონდა. იმდენად გულწრფელად შემოვიდა დიალოგში, რაღაც მომენტში შევაჩერე და მეც გულწრფელად ვუთხარი ჩემი პროფესია და მიზანი. უფრო მეტად გაიხსნა, თითქოს საჯარო აღსარებას ამბობდა:

**„თორმეტი წელია, ამ ტაძრის მრევლი ვარ. ოთხი წლის წინათ შვილი მომიკლეს. გაცილებით იოლი ყოფილა მთელი კაცობრიობის სიყვარული, ვიდრე საკუთარი შვილის მკვლელის შეყვარება და პატიება. შვილის სიკვდილზე დიდი სიმწარე რაღა უნდა იყოს ამქვეყნად, მაგრამ, როცა ამას მკვლელის მიმართ სიძულვილი ემატება, ცხოვრება მართლა ჯოჯოხეთს ემსგავსება. უფალი მოწყალეა, ცოდვასაც, რომელსაც გულწრფელად ვინანიებთ, მოგვიტევებს. ამიტომ არ მესმის, რა უფლებით იწყალებს პრეზიდენტი ან შეწყალების კომისია ადამიანებს, რომელთაც ჭეშმარიტი სინანული არ აქვთ და მხოლოდ სასჯელის შემსუბუქების მიზნით ითხოვენ პატიებას?.. მაპატიოს უფალმა, მაგრამ არც ის მესმის, საპატრიარქო რატომ ჩართეს ამ პროცესში. ქრისტიანული ცხოვრებისაკენ ადამიანის მოქცევა დიდი მადლია. სამღვდელოებამ პატიმრის სულისთვისაც უნდა ილოცოს და იღვაწოს, მაგრამ, საღმრთო სჯულის მიხედვით, მოძღვარი ვალდებულია, აღსარების საიდუმლო შეინახოს. ამდენად, მიწიერი, სამოქალაქო სამართლის დადგენისას ის ყოველთვის ობიექტური ვერ იქნება.**

**გუშინ გავიგე, რომ შესაწყალებელთა სიაში ჩემი შვილის მკვლელიცაა. გამუდმებით ლოცვაში ვარ, მაგრამ ჯერ ვერ მივაღწიე იმ სიმაღლეებს, მტრის სიყვარული რომ შევძლო. რა უფლებით იწყალებს მიხეილ სააკაშვილი მათ, ვისაც პირადად მისთვის არაფერი დაუშავებია??? ეს მე და ჩემისთანა გაუბედურებულმა ადამიანებმა უნდა მივუტევოთ ჩვენი შვილების მკვლელებს... ტაძარშიც იმიტომ ვარ და მოძღვარს აღსარებასაც იმიტომ ვაბარებ, რომ ღმერთს შემწეობა ვთხოვო, ადამიანებს კი შევახსენო – მხოლოდ მკვლელების კი არა, ჩვენი — შვილმკვდარი დედების — ტკივილითა და უსამართლობით დამძიმებულ სულებსაც სჭირდება გადარჩენა...“**

ვარდისფერთავსაფრიანი პატარა გოგონა, რომელიც მთელი მონოლოგის მანძილზე შორიახლოს დარბოდა, მისი შვილიშვილი აღმოჩნდა. ისიც აღსარების სათქმელად იყო მოსული და ბავშვური გულუბრყვილობით გამომიტყდა სამ „საიდუმლოში“: **პირველი ის იყო, რომ მეგობრის თოჯინა გაეფუჭებინა, მეორეს ცოდვა ნაკლებად ერქვა, მაგრამ მეგობრის განაწყენებაზე მეტად აწუხებდა, თურმე მათ სკოლაში ვიღაც ქალი მისულა და დირექტორისთვის უბრძანებია, გაკვეთილები დაიწყეთ ყოველგვარი „მამაო ჩვენოს“ გარეშეო, „მე გულში მაინც ვამბობო,“ – დამაიმედა; მესამე კი ჩურჩულით გამანდო და თანაც ისეთი სიამაყით, რომ კარგახანს გაოგნებული ვიჯექი ეკლესიის ეზოში — „იცი, მამაჩემს ორი სახლი აქვს: ერთი მიწაზე, სასაფლაოზე; მეორე კი ცაში, ღმერთთან“.**

ეკლესიის ზარებმა ჩამოჰკრეს. ლოცვა დასრულდა, ზიარებისთვის სამზადისი დაიწყო.

ჩემი მორიგი რესპონდენტები, ასევე, შუახანს გადაცილებულები, ოღონდ ამჯერად მამაკაცები აღმოჩნდნენ. ისინი შორიახლოს იდგნენ და ერთმანეთში ხმამაღლა საუბრობდნენ.

— არ ხარ მართალი, – ეუბნებოდა ერთი მეორეს.

**— რაში არ ვარ მართალი?** – არ უთმობდა მეორე და თანდათან ხმას უწევდა, — **ამ მთავრობაზე გულანთებული მოყვასის სიყვარულით ვერ ვილოცებ. მე შემიძლია მათზე, როგორც მთელი ერის მაჭირვებლებზე, ისე ვილოცო – როგორც ერთი ხელით ტაძრების დამანგრეველებისა და მეორეთი ფარისეველი ამშენებლებისა! ხომ დაინახე, უხამსი კარიკატურის გამო მთელი მაჰმადიანური სამყარო ფეხზე დადგა, ჩვენ პატრიარქს გვილანძღავენ და ხმის ამომღები არავინაა. მამა ბასილი უნდა იყოს ახლა გარეთ და ღვთის რისხვას დაატეხდა მაგ ეშმაკის მოციქულ სოროსელებს თავზე! ერთი მღვდელმსახური მაინც როგორ არ აღმოჩნდა ამ ქვეყანაში, გამბედაობა რომ ეყოს და ეს ღვთის პირიდან გადავარდნილები შეაჩვენოს. არ მითხრა ახლა, იმ ჭინკა თუთბერიძემ მარჯვენაში რომ გაგარტყა, მარცხენა ლოყაც მიუშვირეო, არ მივიღებ შენგან მაგ რჩევას.**

— ეგ ჩემი კი არა, ქრისტეს რჩევაა! – არ დაუთმო თანამოსაუბრემ.

— **მაცხოვარმა ისიც გვითხრა, „ღორებს მარგალიტებს ნუ დაუყრითო“ და ისიც გვიბრძანა, „თუ გაცდუნა მარჯვენამ შენმა, მოიკვეთე და განაგდეო“. ეს მხოლოდ ანატომიურ მარჯვენას არ ეხება. ერი და ქვეყანა ერთი მთლიანობაა, ერთი ორგანიზმი, მოსაკვეთი იქაც უნდა მოიკვეთოს, ვიდრე მეტასტაზებივით არ მოგვდებია მთელ სხეულზე და ტერიტორიაზე!**

— მერე რატომ ფიქ-

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**◀შაო საათები ამოწურულია. თუკი ჩვენი მეგობარი ქვეყანა (აშშ) მოგვცემს ინფორმაციას (დავალებას, ი.გ.) და მოითხოვს ჩვენგან რეაქციას ამ ფაქტის გარშემო, რა თქმა უნდა, ჩვენ ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში გავერკვევით მომხდარში და შესაბამის კომენტარსაც გავაკეთებთ. ამ ეტაპზე კი ვთვლით, რომ ამ ფაქტის გამო სკანდალის „გაკეთება“ საჭირო არ არის!“**

ვაი თქვენს პატრონს „ქალბატონო ნინო“ და მთლიანად ორმაგი მოქალაქეებით დაძეძგილო საქართველოს საგარეო სამინისტროს აპარატო! ეს რომ რუს სამხედროებს ჩაედინათ, ხომ ატეხავდით უბადრუკ ჟივჟივს, რუსებმა ქართველები სიკვდილის პირამდე მიიყვანეს, ისე სცემესო? რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქისთვის, ვისი ფეხსაცმელი (შიგადაშიგ ბოთლი) მოხვდება თავ-პირში? და ეს მაშინ, როცა ლოთი ამერიკელების მიერ ნაცემი ქართველების დასაცავად გამვლელ-გამომვლელებიც კი არ მიუშვა საპატრულო პოლიციამ?

**ამერიკელმა ოფიცრებმა ავღანეთში განსახორციელებელი სამხედრო სწავლების ერთ-ერთი პუნქტი აქ, თბილისში, კოდური სათაურით „დაუყონებლივი პასუხი“ უკვე განახორციელეს, მაგრამ, ნება იბოძეთ, და გაგვარკვიეთ, ეს ფაქტი ქართულმა არხებმა რატომ დამალეს თქვენივე ბრძანებით და რატომ არ შეიძლება „ამ ამბავზე „სკანდალის გაკეთება“?**

ძვირფასო თანამემამულენო! დღეს საქართველოში ამერიკელი სამხედროების მხოლოდ უმნიშვნელო კონტიგენტია წარმოდგენილი, მაგრამ თუკი ჩვენთან, ადგილობრივი მონების მოთხოვნით, ამერიკული ბაზებიც გაიხსნა, მერე ვნახოთ, რა ცოდვის კალოს დაგვიტრიალებენ „დემოკრატიის დედ-მამები“ აქ, ჩვენივე სახლებსა თუ ქუჩებში!!!

**ქალბატონო კალანდაძევ! ერთი წუთით წარმოგიდგენიათ, რომელიმე ქართველ მოქალაქეს და მით უფრო სამხედროს იგივე რომ ჩაედინა ამერიკაში, რა ამბავი ატყდებოდა? ანდა, რა ამბავს ატეხდა თქვენი მეგობარი ამერიკა, ვენაში რომ ავღანელ პატიმრებს ამერიკელები ეცემათ ხელკეტებითა და საწოლიდან ამოგლეჯილი რკინებით?**

ეტყობა, დაგავიწყდათ, ქალბატონო კალანდაძევ! გალეშილმა დიპლომატმა აქ, თბილისში, ქართველი ბავშვი რომ გაიტანა დიპკორპუსის ავტომობილით და თქვენ, „მეტი უხერხულობის თავიდან აცილების“ მიზეზით, ამ დანაშაულსაც რომ „უბედური შემთხვევა“ დაარქვით, თორემ ამერიკელებმა რომ ჩვენი დიპლომატი გიგა მახარაძე „შეაგდეს“ ციხეში, წარბწამწამიც კი არ შეტოკებიათ და ისე ახეხინეს რამდენიმე წელი იქ, არც უკითხავთ, საქართველოს ხელისუფალთ გეწყინებოდათ თუ არაო!

**ჭირმა მიჩვევა და მომრავლება იცის! გუშინ სასტუმრო „ვარაზის“ ფოიე და წინამდებარე ასფალტი იყო მორწყული ორი უდანაშაულო ქართველის სისხლით, ხვალ ავღანეთში გარეკილი ქართველი ბიჭების სისხლით მოირწყვება ავღანური ქვიშა, ზეგ? ზეგ, ალბათ, აღარ იქნება, რადგან წინ წყალი გვაქვს, უკან — მეწყერი და ე.წ. „დემოკრატიის“ ჭაობი, რომელიც ნელ-ნელა გვიწოვს, თავისკენ გვიზიდავს და „გულში გვიხუტებს“.**

„ფუი, ასეთ ქვეყანას, ფუი, ასეთ ქართველობას, რომელიც მონობის უღელს „შოუშოუ“, სიმღერ-სიმღერით იდგამს!

**ირინე გოგოსაშვილი**

◀რობ, რომ ეგენი „ღორები“ არიან, ყველანი ღვთისშვილები ვართ – ახალაიებიც, ბოკერიებიც და მერაბიშვილებიც... ბოროტი ბოროტებით კი არა, სიკეთით უნდა მოაქციო. „ნუ განიკითხავო“, — გეუბნება უფალი.

**— თეთრის შავისგან განსხვავებასა და განკითხვას შორის სხვაობას ვერ ხედავ?.. ვერც იმას ხედავ ზედმეტი მიმტევებლობითა და ლოიალური დამოკიდებულებით ცალკე ერი რომ დაიბნა და ცალკე ქრისტეს უარმყოფელები როგორ გათამამდნენ? გრიგოლ ხანძთელი გაიხსენე, მეფეთა პირად ცხოვრებაშიც კი ერეოდა, თუკი მათი ქცევა ერის ზნეობრივ სახეს წარწყმედას უქადდა. ჩვენ კი ახალაიას წმინდა ორდენს ვკიდებთ! პრეზიდენტს ტაძრებში საკუთარი ტრიბუნებით სირბილის, ფარისეველ ხელისუფალთ სტიხარის ჩაცმის, ამ ვითომ ოპოზიციას კი მიტინგების ჩატარების უფლებას ვაძლევთ და თავს ქრისტიანული მიმტევებლობითა და მშვიდობის ჩამოგდების სახელით ვიმშვიდებთ? ცარიელი მშვიდობა რისი მაქნისიაო, – იკითხა ილია მართალმა ლელთ ღუნიას პირით და ეგ კითხვა დღესაც უპასუხოა...**

ამ დიალოგში, ალბათ, არც ჩავერეოდი, ერთერთი მათგანი ჩემსკენ რომ არ შემობრუნებულიყო და მოულოდნელად არ ეკითხა “ არ მეთანხმებითო”. მიყურადებული ნამდვილად არ ვყოფილვარ და ამდენად, საბოდიშოც არაფერი მქონდა, მხოლოდ ის ვიკითხე, ამ დიალოგის გაზეთში გამოქვეყნების წინააღმდეგები ხომ არ იყვნენ.

ის – რომელიც მიმტევებელი და ლოიალური ტონით გამოირჩეოდა, მას – რომელსაც პროტესტის გრძნობა გასჩენოდა, მიუბრუნდა და ნიშნისმოგებით უთხრა – **„ეგრე, რომ მრისხანებ და ბობოქრობ, ეგრე რომ გიჭირს მორჩილება, იმიტომაც არ გაზიარებს დღეს მოძღვარი”.**

მერე მე მომიბრუნდა და თავაზიანად მომიბოდიშა – **„უნდა მაპატიოთ ზიარება დაიწყო და ტაძარში უნდა დავბრუნდეო...”**

**ელგა ფოლადიშვილი**

**P. S. ქადაგებას აღარ დავესწრებივარ.**
**გზამ თავისთავად მოიტანა ფიქრი – სად გადის ზღვარი ქრისტიანულ მორჩილებასა და სამოქალაქო სამართლიანობით გამოწვეულ პროტესტს შორის? სად გადის ზღვარი შავის თეთრისაგან გარჩევისა და „არა განიკითხოს“ შორის?.. ალბათ, იქ, სადაც ქრისტეს მონები ხელისუფლების მონობაზე ამბობენ უარს... ალბათ, იქ, სადაც სამშობლოს ჯარისკაცები „ცრუ ომებში“ არ მიდიან ჯარისკაცებად?..**

**გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ აგრძელებს თემას უცნობი პარლამენტარების შესახებ, იმ ადამიანების შესახებ, რომლებსაც მომავალში ძეგლს ნამდვილად არ დაუდგამენ, მაგრამ სიბერეში გარანტირებული მაღალი პენსია ექნებათ და მშვიდობით გალევენ სიცოცხლის უკანასკნელ წლებს მხოლოდ იმის წყალობით, რომ ოთხი ან რვა უღიმღამო წელი საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში გაატარეს და იძულებულნი იყვნენ, კომიტეტების სხდომებს დასწრებოდნენ, წელიწადში ერთხელ ტაშის გრიალში პრეზიდენტის მოხსენება ესმინათ, მინისტრების სიტყვით გამოსვლა მოთმინებით აეტანათ და, როცა საჭიროება მოითხოვდა, რამდენიმე საქველმოქმედო ღონისძიებას დასწრებოდნენ.**

# ორჯერ უცნობი ნაციონალი



კადრი ფილმიდან „მიმინო“



მამუკა გაჩეჩილაძე

მრავალი დეპუტატი დღესასწაულებთან დაკავშირებით უდედმამო ბავშვებისთვის, უპატრონო მოხუცებისა და ლტოლვილებისთვის გამართულ საქველმოქმედო ღონისძიებებზე სიარულითაც არ იკლავს თავს. თორემ სახელისუფლო ტელევიზიები, რომლებიც მმართველი გუნდის ნებისმიერ ქმედებას აპიარებენ, ასეთ ფაქტებს ისე როგორ გააშუქებდნენ, რომ ეს უცნობი პარლამენტარები საზოგადოებისთვის არ წარედგინათ და ობიექტივში მხოლოდ და მხოლოდ პეტრე ცისკარიშვილი, გიორგი ასანიძე ან ვახტანგ ბალავაძე მოხვედრილიყვნენ?

ნათქვამია: „საქმემან შენმან გამოგაჩინოსო“. რაკილა ეს ადამიანები მათმა საქმიანობამ ვერ გამოაჩინა, შევეცდებით, ასე თუ ისე, ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან მაინც გაიცნოს საზოგადოებამ.

**მამუკა შამილის ძე გაჩეჩილაძე** უკვე მეორედ არის პარლამენტის წევრი, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილეა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრი. მას მე-6 მოწვევის პარლამენტში გიგა ბოკერიასა და მაია ნადირაძის ჩრდილქვეშ უწევდა კანონშემოქმედებითი მოღვაწეობა, ახლა კი იძულებულია გოკა გაბაშვილისა და პეტრე ცისკარიშვილის უკან დგომას დასჯერდეს.

მისი ასაკი სახელისუფლო სტანდარტებს არ არღვევს — 42 წლისაა; ჰყავს მეუღლე და სამი შვილი. მამუკა გაჩეჩილაძის ერთ-ერთ მთავარ ღირსებას საპატიო დოქტორის წოდება წარმოადგენს, თუმცა დღეს სამეცნიერო ხარისხით ვერავის გააკვირვებ, ისევე, როგორც ორი ან მეტი დიპლომით და ათობით სერთიფიკატით. ეს უკანასკნელი ზოგიერთ პოლიტიკოსს იმდენი დაუგროვდა, რომ, სხვა თუ ვერაფერი, კაბინეტში „შპალერის“ ნაცვლად მაინც გაიკრავს. სერთიფიკატებისა და დიპლომების ნაკლებობას არც ბატონი მამუკა უჩივის. გავლილი აქვს: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის სპეციალობით ინჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაცია; ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით იურისტის კვალიფიკაცია; იყო მსმენელი რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის დიპლომატიური აკადემიისა, აშშ სამხედრო სამართლის ინსტიტუტის, საზაფხულო უნივერსიტეტის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის პროგრამით და ა.შ.

მკითხველი დამეთანხმება, რომ მამუკა გაჩეჩილაძის განათლების ხარისხიც არ არღვევს სახელისუფლო სტანდარტებს და ის მცირე ლაფსუსი, რაც მოსკოვში სწავლით მოუვიდა, მან სასწრაფოდ გამოასწორა აშშ სამხედრო სამართლის ინსტიტუტში სწავლით.

რაც შეეხება ამ ადამიანის შრომით საქმიანობას, მას მუშაობა 1984 წელს სახერხი ჩარხების ქარხანაში ამწყობ-ზეინკლად დაუწყია. სხვადასხვა დროს უმუშავია: სპეცკორესპონდენტად გაზეთ „გულანში“, წამყვან სპეციალისტად და ექსპერტ-კონსულტანტად საქართველოს პარლამენტში, უნივერსიტეტში „ლეგია და კომპანია“ კითხულობდა ლექციებს. 2008-2009 წლებში კი შპს „საქართველოს რკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეობდა. ბატონ მამუკას მოკლე შრომით ბიოგრაფიაში საგანგებოდ არის მითითებული, რომ მან 1985-1988 წლებში სამხედრო სავალდებულო სამსახური რიგითი სერჟანტის წოდებით გაიარა. ტერმინმა „რიგითი სერჟანტი“, ცოტა არ იყოს, დამაბნია, რადგან აქამდე ვიცოდი, რომ სერჟანტის მხოლოდ სამი კატეგორია — უმცროსი სერჟანტი, სერჟანტი და უფროსი სერჟანტი — არსებობდა, მაგრამ რიგითი?

პარლამენტის საიტზე გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, მამუკა გაჩეჩილაძე ისეთივე თითით საჩვენებელი დეპუტატია, როგორც საკანონმდებლო ორგანოში „ნაცმოძრაობის“ სიით გასული დანარჩენი 116 პარლამენტარი. ის უმიზეზოდ არც კომიტეტის სხდომებს აცდენს და არც სესიებს. ამისთვის, ალბათ, პრეზიდენტის ქებასაც იმსახურებს.

გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ ამჯერადაც შეეცადა, გაერკვია, მამუკა გაჩეჩილაძე საზოგადოებისთვის რამდენად ცნობადი სახეა.

**შალვა შავგულიძე,** იურისტი

**— ბატონო შალვა, იცით თუ არა, ვინ არის მამუკა გაჩეჩილაძე?**

— არა, არ ვიცი.

**— ის „ნაცმოძრაობის“ სიით უკვე მეორედ არის საქართველოს პარლამენტის წევრი. როგორ ფიქრობთ, რატომ არ იცნობს საზოგადოება მის მიერ არჩეულ დეპუტატს?**

— პარლამენტის წევრს უნდა ცნობდნენ, მითუმეტეს, იურისტი, ადვოკატი, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოსთან მჭიდრო კონტაქტი და ურთიერთობა აქვს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენს პარლამენტში არიან „ნაციონალური მოძრაობის“ სიით გასული პარლამენტარები, რომლებიც რეალურად არანაირ ფუნქციას არ ასრულებენ და ამიტომაც საზოგადოებისთვის მათი სახელი და გვარი უცნობია.

**— ბატონო შალვა, რაკილა მამუკა გაჩეჩილაძეს არ იცნობს საზოგადოება, ეს იმაზე ხომ არ მეტყველებს, რომ ეს ადამიანი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში არ არის აქტიურად ჩაბმული?**

— პარლამენტარის საქმიანობას გარკვეული ცოდნა სჭირდება, გარკვეული უნარი და კვალიფიკაცია. თუ ეს ადამიანი წლების მანძილზე დეპუტატია და მისი სახელიც კი არ არის საზოგადოებისთვის ცნობილი, მე ვერ დავიბრალებ, რომ საზოგადოების სახელით შემიძლია საუბარი, მაგრამ, თუ მას ჩემნაირად რამდენიმე ადამიანი არ იცნობს, ეს მიანიშნებს, რომ მას არ გააჩნია ის უნარი და კვალიფიკაცია, რაც პარლამენტარის ფუნქციის შესასრულებლად არის საჭირო. ასეთ შემთხვევაში, უმჯობესია, ეს ადამიანი იმ საქმით დაკავდეს, რაშიც ის საკუთარი პოტენციალის რეალიზებას მოახდენს.

**ელიზბარ ჯაველიძე,** პროფესორი, ფილოლოგი

**— ბატონო ელიზბარ, იცით თუ არა, ვინ არის მამუკა გაჩეჩილაძე?**

— არ ვიცი, არც გამიგია და არც მსმენია, ვინ არის მამუკა გაჩეჩილაძე?

**— ის პარლამენტის წევრია. თქვენი აზრით, რატომ არ იცნობს საზოგადოება პარლამენტის წევრებს?**

— საქართველოში უწიგნურობის პრიმატია გამეფებული. ვერც ხელისუფლებაში და ვერც პარლამენტში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, განათლებულ და გონიერ ადამიანს ვერ ნახავთ. დღევანდელი პარლამენტის წევრები დეგენერაციის პრინციპით არიან არჩეულები.

**— ამ ადამიანებზეა დამოკიდებული რუსეთთან ურთიერთობა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ნატოში ინტეგრაცია. რატომ არ უნდა იყვნენ აქტიურად პოლიტიკაში ჩართულნი?**

— ამ საკითხებს პარლამენტი არ წყვეტს. სააკაშვილი რასაც იტყვის, ისინი, როგორც ყურმოჭრილი მონები, ისე აძლევენ ხმას. ეს არის მათი მთავარი მოვალეობა და ფუნქცია. მათ დამოუკიდებელი აზროვნება არ გააჩნიათ.

**— საპარლამენტო უმრავლესობის დიდი ნაწილი საზოგადოებისთვის უცნობი ადამიანებითაა დაკომპლექტებული. როგორ ფიქრობთ, აქვს თუ არა მნიშვნელობა პარლამენტში ცნობილი სახეების ყოფნას?**

— ის, ვინც ცნობილია, თავის თავში დარწმუნებული და გონიერია. რა თქმა უნდა, სააკაშვილს ყურმოჭრილ მონად არ დაუდგება. დღევანდელი პარლამენტი, უკაცრავად ამ გამოთქმაზე, დებილების კონგრესი გახლავთ. ეს ადამიანები ერთი კაცის კისერზე არიან ჩამოკიდებულნი და ის კაცი — სააკაშვილიც დიდი ჭკუითა და გონებით ვერ დაიტრაბახებს, ამიტომ მას სურს, და შერჩევის პრინციპიც ასეთია, რომ პარლამენტში მასზე სულელები იყვნენ.

**კოკა ყანდიაშვილი,** ჟურნალისტი

**— იცით თუ არა, ვინ არის მამუკა გაჩეჩილაძე?**

— არა.

**— მამუკა გაჩეჩილაძე „ნაციონალური მოძრაობის“ სიით უკვე მეორედაა პარლამენტის წევრი. ბატონო კოკა, როგორ ფიქრობთ, საზოგადოება უნდა იცნობდეს დეპუტატებს?**

— ერთი წელი აფრიკაში ვიყავი. საქართველოში დაბრუნებულს პარლამენტის საიტზე იმდენი უცნობი სახე დამხვდა, რომ სურვილი გამიჩნდა მათ სახეებზე კლიპი შემექმნა და ჩემი სათქმელი ასე გადმომეცა. კლიპის სახელწოდებაა „ესენი ვინ არიან“.

**— ამ ადამიანებზე გარკვეულწილად დამოკიდებულია ქვეყნისთვის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა, როგორიცაა რუსეთთან ურთიერთობა, ნატოში ინტეგრაცია და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა; და რატომ არ უნდა იყვნენ ისინი აქტიურ პოლიტიკაში ჩართულნი?**

— ისინი ნომინალური პარლამენტარები არიან, მათ საკუთარი პოზიცია არ გააჩნიათ და ისე არიან ამგვარი საკითხების გადაწყვეტით დაკავებულნი, როგორც საქართველოა ნატოში ინტეგრირებული.

**ნათია ქადაგიშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## რუსუდან შარაძე:

# ჩემი ძმა მერაბიშვილის გარემოცვამ მოწამლა!

**ქუჩაში ცინიკურად დახვრეტილ აკადემიკოს გურამ შარაძის ვაჟი, გიორგი შარაძე ახლახან გარდაიცვალა. როგორც ცნობილია, მისმა სახელმა სკანდალურად გაიჟღერა მამამისის მკვლელობაში და „სწორედ, ეს გახდა გიორგის დეპრესიის მიზეზი, რამაც მისი გარდაცვალება გამოიწვია“, — აცხადებს მისი და, რუსუდან შარაძე. „საქართველო და მსოფლიო“ მას ჟენევაში დაუკავშირდა:**



**2006 წლის მარტიდან გიორგი ნელ-ნელა დასვეს ნამალზე, რომელიც პირდაპირ აგრესიაზე და ნგრევაზეა მიმართული...**



ლაშა, გიორგი და გურამ შარაძეები

**— რამდენიმე თვის წინათ თქვენი ძმა, გიორგი შარაძეც გარდაიცვალა...**

— (სიტყვას მაწყვეტინებს) გიორგის გარდაცვალებაც, ისევე, როგორც ლაშას და მამას მკვლელობა, პოლიტიკური რეპრესიების გაგრძელებაა. მართალია, გიორგისთვის ტყვია არ უსვრიათ, მაგრამ მერჩივნა, ისიც ტყვიით მოეკლათ. მოდი მივყვეთ თანმიმდევრობით, 1998 წლის 15 ივნისს ლაშა შარაძე ერთი ტყვიით მოკლული ვნახეთ სახლში, მაშინვე ნათელი იყო, რომ ეს პოლიტიკური მკვლელობა იყო და ამით მამაჩემის გამწარებას თუ გაჩუმებას შეეცადნენ. ეგრეთ წოდებულმა სამართალდამცავებმა ეს ფაქტი თვითმკვლელობად შერაცხეს და არც საქმის ნამდვილი გამოძიებით დაინტერესებულა ვინმე. 1998 წლის იანვარში მამამ მოიწვია პრესკონფერენცია და განაცხადა, რომ მის წინააღმდეგ ტერორისტული აქტი იგეგმებოდა. მისი აზრით, დიდწილად, ეს ე.წ. „თურქი-მესხების“ ჩამოსახლების საკითხს უკავშირდებოდა. რადგან მამამ მასზე მოსალოდნელ ტერორისტულ აქტზე საჯაროდ განაცხადა, როგორც ჩანს, მასზე ვერ აწიეს ხელი და შური ლაშას მკვლელობით იძიეს. სავარაუდოდ, ფიქრობდნენ, რომ ამით მამას გაჩუმებას შეძლებდნენ.

**— მაშინ გურამ შარაძესა და აჭარის ხელმძღვანელს შორის სერიოზული დაპირისპირება იყო...**

— პირველად ვამბობ, რასაც ახლა გეტყვით (ფიქრობს)... თქვენ, ალბათ, კონკრეტულად ის გაინტერესებთ, რა მოხდა ასლან აბაშიძესა და გურამ შარაძეს შორის. მოგეხსენებათ, მამამ ასლან აბაშიძის მრჩევლად კულტურის, მეცნიერებისა და განათლების დარგში მუშაობა 1993 წელს დაიწყო, მაშინ, როდესაც მთელი საქართველო ომმა და წყვდიადმა მოიცვა. აჭარა ერთადერთი იყო, რომელიც ,,მხედრიონმა“ ვერ ააოხრა და ეს ასლან აბაშიძის დამსახურება იყო. რაც შეეხება იმ სფეროს, რომელსაც მამა ემსახურებოდა, უდიდესი საქმეები გაკეთდა იმ დროს. ასლან აბაშიძესა და გურამ შარაძეს საოცრად კარგი ურთიერთობა ჰქონდათ და ამის მოწმე თავად ვარ. მამას, სხვებივით, წილები კი არ მოსდიოდა მისგან, არამედ ასლან აბაშიძემ მას შეუქმნა სამეცნიერო მოღვაწეობის ყველა პირობა და ისიც დაუღალავი შრომით ემსახურებოდა ქვეყანას, რათა საქართველოში მეცნიერება არ ჩამკვდარიყო, ხალხს განათლება მიეღო... ბათუმსა და თბილისს შორის ყინული ლღვებოდა სამეცნიერო და კულტურული ურთიერთობებით და ეს ეტყობოდა ომით დანგრეული ქვეყნის ცხოვრებას. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ მაშინ ასლან აბაშიძე ბევრ რამეში ითვალისწინებდა გურამ შარაძის აზრს.

როდესაც თბილისში კულტურა მოკვდა, კარგად მახსოვს, თეატრს, ოპერას, გამოფენებს, კონცერტებსა და თუნდაც ლხინს მონატრებული და აღფრთოვანებული ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები, რა სიტყვებს უძღვნიდნენ ასლან აბაშიძეს...

მთელი ამ ხნის განმავლობაში აბაშიძის გარემოცვა ჯერ ფარულად, მერე უკვე ღიად ებრძოდა მამაჩემს; იყო ენის მიტან-მოტანები და ათასი სიბინძურე, რათა მათი ურთიერთობა გაეფუჭებინათ. თუმცა 1997 წლამდე ვერაფერს მიაღწიეს, სანამ ზურაბ ჟვანიას აბაშიძის მიმართ ტერაქტის ორგანიზებაში არ დასდეს ბრალი...

1997 წლის ზაფხულში ზურაბ ჟვანია ოჯახთან ერთად ისვენებდა ურეკში. თამაზ ხარაზმა განაცხადა, რომ ჟვანია ურეკიდან აპირებდა ასლან აბაშიძეზე ტერაქტის მოწყობას და მას შესთავაზა მონაწილეობის მიღება. ასლან აბაშიძესაც, ალბათ, ასე სჯეროდა. მამას გულწრფელად სწამდა, რომ ეს სიმართლე არ იყო, ის ამბობდა, რომ ხარაზი ამას აბაშიძისთვის ერთგულების დასამტკიცებლად აკეთებდა და მის უკან სხვები იდგნენ. მას არ მიაჩნდა ზურაბ ჟვანია იმ დონის პოლიტიკოსად, რომელიც ხარაზს გულს გადაუშლიდა და ასეთ საქმეს მიანდობდა. გურამ შარაძემ თავისი მოსაზრება უთხრა ასლან აბაშიძეს. იქ ჩაიდო ეჭვის მარცვალი, იმ დღიდან დაიწყო ეჭვიანობა ასლან აბაშიძემ და გარემოცვამაც თავისი როლი კარგად შეასრულა. ეს საუკეთესო საბაბი გახდა მათთვის. ამაში დიდი წვლილი მიუძღვით ჯემალ და სოსო გოგიტიძეებს და გიორგი თარგამაძეს... დარწმუნებული ვარ, ასლან აბაშიძე ახლა ყველაფერს ხვდება და ძალიანაც ნანობს, მაგრამ, სამწუხაროდ, უკვე ძალიან გვიანია!..

შემდეგ ეს ყბადაღებული ტერაქტის თემა გახდა ზურაბ ჟვანიასა და ასლან აბაშიძის დიდი დაპირისპირების მიზეზი, ამის გამო ფრაქცია „აღორძინებამ“, ჯემალ გოგიტიძის მეთაურობით, მიატოვა პარლამენტის სხდომები. მამასთვის ეს გადაწყვეტილებაც მიუღებელი აღმოჩნდა.

გურამ შარაძეს, როგორც მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების კომიტეტის თავმჯდომარეს, უფლება არ ჰქონდა, მონაწილეობა არ მიეღო სხდომებში. პარლამენტში ის წარმოადგენდა გურამ შარაძეს და არა — ,,აღორძინებას“. ყალბი თავმდაბლობის გარეშე რომ ვთქვათ, 1994 წლის მოწვევის პარლამენტში ზურაბ ჟვანიამ ვისთვის შექმნა ეს კომიტეტი — გურამ შარაძისთვის თუ ,,აღორძინებისთვის“?!

სხვას რომ თავი დავანებოთ, მისთვის შეურაცხმყოფელი იყო ჯემალ გოგიტიძის დაძახილზე დასწრებოდა ან არ დასწრებოდა სხდომებს. ასლან აბაშიძის საამებლად ისეთივე გულისამრევი დემაგოგიისთვის მიემართა, როგორითაც ხალხს თავს აბეზრებდა არაერთი. თუნდაც ამ პარლამენტის კომიტეტის მანდატით იყო ის, რომ დააგვირგვინა ათეული წლების მანძილზე გაწეული შრომა და საქართველოში დააბრუნა ისტორიული საგანძური — 1918-1921 წლების მთავრობის არქივი. ეს საქართველოს პარლამენტის, როგორც ჟორდანიას მთავრობის სამართლებრივი მემკვიდრისა და პირადად ზურაბ ჟვანიას მხარდაჭერის გარეშე ძალიან რთული იქნებოდა. გურამ შარაძეს არასდროს ჰქონია პოლიტიკურ ინტრიგებში დასახარჯი დრო. თავდაუზოგავი მეცნიერული შრომის გარეშე წარმოუდგენელი იყო მისი ცხოვრება. სხვანაირად სამოცდაათ წიგნს ვერ დაწერდა და არქივებს, რომლებიც ტონებს იწონის, საქართველოში ვერ დააბრუნებდა. ასლან აბაშიძესთან ურთიერთობის შენარჩუნების მიზნით, გურამ შარაძემ თავის თავს ვერ უღალატა.

საგულისხმოა, რომ ასლან აბაშიძე მასზე ოფიციალურად არაფერს ამბობდა და, თუ რამეს იტყოდა, მხოლოდ კარგს. როცა მამაჩემსა და „აღორძინებას“ შორის ურთიერთობა ძალიან დაიძაბა, ის თავის გამოსვლებში აცხადებდა, „გურამ შარაძეს თავისი დიდი ღვაწლი არ უნდა დავუკარგოთო“.

**არ ვიცი, უნდა ვთქვა თუ არა, მაგრამ 1998 წლის მარტში ბათუმში გამართულ ფრაქცია „აღორძინების“ სხდომაზე, მას შემდეგ, რაც გურამ შარაძემ ასლან აბაშიძეს უთხრა: ,,თქვენმა ბაბუამ, მემედ აბაშიძემ აჭარა საქართველოს დაუბრუნა და თქვენ ართმევთო?!“ (ზუსტად მაშინ ბათუმში აჭარის ავტონომიური ოლქისა და მისი ხელისუფლებისთვის მეტი უფლებების მინიჭების საკითხები წამოიჭრა), ასლან აბაშიძე მოუბრუნდა თურმე მამას და უთხრა: „არ გეშინია?! ვაჟიშვილის მკვლელობა 1000 დოლარი ღირს და ქალიშვილის გაუპატიურება — 100 დოლარიო.“ ეს მათი უკანასკნელი შეხვედრა იყო. ახლო მომავალში მოხდა ლაშას მკვლელობა.**

**— ეს სერიოზული ბრალდებაა...**

— თვითმხილველები არსებობენ და, ალბათ, ოდესმე დაადასტურებენ.

ლაშას მკვლელობის შემკვეთი ასლან აბაშიძე, ხოლო ორგანიზატორი სოსო გოგიტიძე იყვნენო. ამ ხმებს აბაშიძეზე განაწყენებული და შემდგომში ,,მოქალაქეთა კავშირთან“ ურთიერთობაში შემჩნეული მისი ყოფილი მოკავშირეები ავრცელებდნენ. ყოველი მხრიდან მიდიოდა პროპაგანდა, რათა გურამ შარაძეს ეს დაეჯერებინა. ლევან ქიძინიძეც, რომელიც ერთ დროს აბაშიძის მარჯვენა ხელი იყო და მერე მისგან მოძულებული, გერმანიაში გაიქცა, პირდაპირ აცხადებდა პრესით, რომ ლაშას მკვლელობა ასლან აბაშიძის შეკვეთილი იყო. სხვა უამრავი ადამიანიც უჩიჩინებდა ამას მამაჩემს, მას აბაშიძის სიტყვებიც ახსოვდა, რაც პირდაპირ მუქარად შეიძლება აღიქვას ადამიანმა. ასე რომ, რაღაც პერიოდი, შესაძლოა, გურამ შარაძე დარწმუნებული იყო, რომ ლაშას მკვლელობა ასლან აბაშიძემ შეუკვეთა, მაგრამ მერე ვატყობდი, ამის აღარ სჯეროდა. სხვათაშორის, იმ დღესვე, სამძიმარზე, თითქმის, პირველები მოვიდნენ ზურაბ ჟვანია და მიხეილ სააკაშვილი მთელი გუნდით... აქვე ვიტყვი, რომ გურამ შარაძე და ზურაბ ჟვანია აფასებდნენ ერთმანეთს. ჟვანიას არაერთხელ უთქვამს, — ბატონო გურამ, თქვენს წიგნებზე ვარ გაზრდილიო, თუმცა მათი ურთიერთობა ნელ-ნელა გაცივდა, რადგან გამწვავდა ე. წ. თურქი-მესხების, ეროვნების გრაფის, ქართული ენის შესახებ კანონის, რელიგიის კანონისა და სხვა საკითხები. „ვარდების რევოლუციის“ წინ უკვე ძალიან დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. თუმცა, რევოლუციიდან ძალიან მალე ზურაბ ჟვანიამ მამას შემოუთვალა, თუ თანამშრომლობაზე დათანხმდებოდა, უზრუნველყოფილი ცხოვრება ექნებოდა; მაგრამ გურამ შარაძე ამაზე არ წავიდა, პირიქით, სასტიკად დაუპირისპირდა რევოლუციურ სამეულს.

**— შემდეგ ვისზე ჰქონდა ეჭვი გურამ შარაძეს?**

— ერთხელ ვკითხე მამას, იქნებ, ლაშას მკვლელობა თბილისში „მოქალაქეთა კავშირის“ ერთ-ერთ ფრთაში დაიგეგმა და არა ასლან აბაშიძის მიერ-მეთქი, ჩემი შეკითხვა უპასუხოდ დატოვა... ჩემი აზრით, და ვფიქრობ, ბოლოს მამაც დარწმუნდა ამაში, ლაშას მკვლელობა თბილისში, ცენტრში დაიგეგმა და არა აჭარაში, როგორც ამის წარმოჩენა მავანს სურდა. თუმცა დედაჩემს დღემდე ასე სჯერა...

1998 წლის ივლისში, როდესაც ლაშა მოკლეს, „მოქალაქეთა კავშირი“ ისეთი ერთიანი იყო, როგორც არასდროს და ამ გუნდს ექვემდებარებოდა ძალოვანი უწყებებიც. ლაშას ცხედარი რომ ვიპოვეთ, მომენტალურად იქ გაჩნდნენ შს მინისტრი კახა თარგამაძე, თბილისის პოლიციის შეფი სოსო ალავიძე, ქალაქის პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე, გენერალური პროკურორი, ჯანდაცვის მინისტრი, მათი მოადგილეები და სხვები. სახლში ოჯახის არც ერთი წევრი არ შეგვიშვეს და ცხედარი ეზოდან გააპარეს პროზექტურაში.

**— როგორი მდგომარეობა ჰქონდა ცხედარს?**

— გეტყვით. ლაშას ტანზე გახდილი ჰქონდა, საბანი ფეხებზე ჰქონდა შემოხვეული, ცალი ხელი თავქვეშ ჰქონდა ამოდებული, მეორე იდაყვზე ედო. ერთი ტყვია ჰქონდა თავში დახლილი და იარაღი საწოლზე იყო გადაგდებული. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, თუ ადამიანი თვითმკვლელობას აპირებს, ის ტანზე არ გაიხდის, ლოგინში არ ჩაწვება და თავს არ მოიკლავს. თამარ დეკანოსიძემ და მაია ნიკოლეიშვილმა მაშინვე დაადასტურეს, ეს არავითარ შემთხვევაში არ არის თვითმკვლელობაო.

**— ვინ აღმოაჩინა ცხედარი?**

— ლაშას მეუღლე ფეხმძიმედ იყო და მშობლებთან იყო ბავშვებით სტუმრად წასული. მოგეხსენებათ, ლაშა ექიმი იყო და პერიოდულად მორიგეობა უწევდა. იმ დღესაც, როდესაც ჩემი ძმა მოკლეს, მას წინა ღამე საავადმყოფოში ჰქონდა გატარებული. საღამო ხანს მამა მივიდა ლაშასთან, ზარიც დარეკა კარზე, აკაკუნა, მაგრამ არავინ უპასუხა, მერე შეხედა, რომ მანქანა არ იდგა და წამოვიდა. ამით იმის თქმა მინდა, რომ დროის რაღაც მონაკვეთში ლაშა სახლიდან გაიყვანეს, სავარაუდოდ, ვიღაც ძალიან ახლობელმა გაიყვანა, რადგან მორიგეობის დროს ძალიან იღლებოდა და, როგორც წესი, სახლიდან არ გადიოდა ხოლმე. დაახლოებით საღამოს 12 საათზე იქვე, მაღაზიაში შესულა და ლუდი უყიდია, თუმცა შემდეგ გამყიდველმა ქალბატონმა ეს გადათქვა, ვიღაც ბიჭთან ერთად იყოო. მისი აღწერილობა ერთი-ერთზე დაემთხვა ლაშას ერთი მეგობრის აღწერილობას. უფრო მეტიც, მეორე დღეს ხმაური რომ არ ატყდა, მკვლელი დაბრუნდა, მეზობელმა ნახა, ვიღაც კარის გაღებას ცდილობდაო და მანაც იგივე გარეგნობის ადამიანი აგვიწერა, როგორიც გამყიდველმა ქალბატონმა. სახლის გასაღებიც დაკარგულია... ორი თვით ადრე კი, ვიდრე მკვლელობა მოხდებოდა, ლაშას ოთახში ვიღაც შეიპარა, სამწუხაროდ, მაშინ ამას ყურადღება არ მივაქციეთ.

**— ალბათ, ეს უბრალო დამთხვევა არ უნდა ყოფილიყო?**

— ლაშა პირველ სართულზე ცხოვრობდა და აივნის კარებს არასდროს კეტავდა. აივნიან ოთახში ეძინა და თურმე თავზე თბილ ქურთუკში ჩაცმული მამაკაცი დაადგა. პირველი რაც უფიქრია, იარაღს მალავსო — და რომ წამომხტარა ლო-

გინიდან, ის ადამიანი მაშინვე გადახტა თურმე აივნიდან, მაგრამ ფეხი იტკინა. დავინახე, რომ კოჭლობით ჩაჯდა მანქანაში, რომელიც ელოდებოდაო — სიცილით გვიყვებოდა ლაშა ამ ისტორიას. ეს აპრილში მოხდა, 15 ივნისს კი ჩემი ძმა დახვრიტეს. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, იმ კაცს კიბე დარჩა აივანზე მოდგმული. რომელი ქურდი დადის კიბით ხელში, იქნებ სადმე ვინმე გავქურდოო?! სამწუხაროდ, მაშინ ის მაინც ქურდად ჩავთვალეთ. იმის მერე ლაშა ჟალუზს ყოველთვის კეტავდა, თუმცა, როდესაც მოკლული ვიპოვეთ, ჟალუზი ღია იყო და გასაღებიც დაკარგული, ალბათ, კვალის არევის მიზნით. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, **ძალოვანები ოჯახის წევრებს სახლში არ გვიშვებდნენ, დაახლოებით, ისეთივე სცენა იყო, გიორგი სანაიას ცხედარი რომ აღმოაჩინეს, ჯარი იცავდა სახლს, კვალი არ აირიოსო. თუ კვალის არევა არ უნდოდათ, რა უნდოდა სახლში დაახლოებით 200 პოლიციელს?! მამაჩემს კახა თარგამაძემ სიტყვა-სიტყვით უთხრა: თქვენი შვილი ნასვამი იყო და ნარწყევშია დამხრჩვალიო... ზუსტად ერთ საათში თბილისის პოლიციის შეფმა სოსო ალავიძემ და ნუგზარ გაბრიჩიძემ პრესკონფერენცია მოიწვიეს და ლაშას მკვლელობა თვითმკვლელობად შერაცხეს. სხვა ყველა ვერსია გამორიცხეს. თუ ასლან აბაშიძის შეკვეთილი იყო ეს მკვლელობა, ვსვამ შეკითხვას — კახა თარგამაძე, ნუგზარ გაბრიჩიძე და სოსო ალავიძე ასლან აბაშიძეს ემორჩილებოდნენ?! ეს აბსურდია.** ამით იმის თქმა მინდა, რომ ლაშას მკვლელობა თბილისში, ცენტრალურ ხელისუფლებაში დაიგეგმა. იქნებ, ოდესმე კახა თარგამაძემ, ნუგზარ გაბრიჩიძემ, სოსო ალავიძემ და სხვებმა თქვან სიმართლე. მათ უნდა იცოდნენ, ვინ მოკლა ლაშა შარაძე. შეიძლება ვცდები, მაგრამ მე, ჯერჯერობით, მყარ არგუმენტს, რაც საპირისპიროში დამარწმუნებს, ვერ ვხედავ.

**— მოდი, პირდაპირ გვითხარით, ვისზე გაქვთ ეჭვი?**

— ხელს ვერავის დავადებ, მაგრამ გეტყვით, ვინ და რა მოიგო ლაშას მკვლელობით. პირველ რიგში, მოხდა ასლან აბაშიძისგან მამას ჩამოცილება სამუდამოდ, მაშინ, როდესაც გურამ შარაძე იყო აბაშიძისთვის უდიდესი ძალა და ავტორიტეტი. ასლან აბაშიძეს მკვლელის იარლიყი მიაწებეს და მოხდა მისი სახელის დისკრედიტაცია. რაც მთავარია, ჩაფიქრებული იყო, რომ ამით გურამ შარაძეს მორალურად გაანადგურებდნენ და ის ავტომატურად ჩამოსცილდებოდა პოლიტიკურ პროცესებს... **აქვე უნდა გითხრათ, რომ გურამ შარაძემ 12 წლის წინათ ამოიცნო, ვინ იყო მიხელ სააკაშვილი და რა დამნაშავე გუნდიც მოდიოდა ხელისუფლებაში. საზოგადოების გარკვეულ ნაწილს მაინც კარგად უნდა ახსოვდეს, რომ მამას დაპირისპირება ამ გუნდთან „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ არ დაწყებულა.**

**— ლაშას მკვლელობამდე თუ იყო მუქარა?**

— იყო ანონიმური მუქარის ზარები! არ დაგიმალავთ და მუქარა მოდიოდა როგორც ასლან აბაშიძის გარემოცვიდან, ისე ცენტრალური ხელისუფლებიდანაც. ზეწოლა გაგრძელდა გიორგის შემთხვევაშიც. პანაშვიდზე ქეთი დუმბაძემ (ნოდარ დუმბაძის შვილი) მითხრა, — ჯერ კიდევ 2000 წელს გიორგის უთქვამს მისთვის: რა ვქნა, ქეთი, მამხედრებენ მამაჩემის წინააღმდეგო... სამწუხაროდ, ჩემთან ასეთი რამ გიორგის მინიშნებითაც არასდროს უთქვამს. ამან ძალიან იმოქმედა ჩემზე.

**— თუ, ასე ვთქვათ, გიორგის დამუშავება ხდებოდა, ეს მამა-შვილის ურთიერთობაზე აისახებოდა?**

— არასდროს! გიორგი ხუმრობდა კიდეც, ლაშა დედასია, მე — გურისი და რუსო — ორივესიო. სხვათაშორის, ასევე, პანაშვიდზე ზაზა სიამაშვილმა და ბიძინა ბარათაშვილმა მითხრეს: გურამი და გიორგი ტყუპებივით იყვნენ, ერთმანეთის გარეშე ვერ ძლებდნენო... არანორმალურად თბილი დამოკიდებულება ჰქონდათ მამაშვილს. ალბათ, ბედნიერიც უნდა ვიყო, გიორგის ტანჯვას რომ არ ვუყურებ და ის მამასთან არის... (ტირის)

**— რუსო, მოდი პირდაპირ გკითხავ, გიორგი ნარკოტიკზე დამოკიდებული მართლა იყო?**

— მე არ ვიცი, რა იყო 2006 წლამდე, მაგრამ პირდაპირ და მთელი პასუხისმგებლობით გეტყვით: 2006 წელს, მაშინ, როდესაც დედას მანქანა დაეჯახა და მთელი ხუთი თვე საავადმყოფოში უმძიმეს მდგომარეობაში იწვა და ჩვენ 24 საათი მასთან ვიყავით (სხვათაშორის, მაშინ საავადმყოფოდან აიყვანეს გურამ შარაძე და მეორედ დააპატიმრეს), გიორგისთან პირდაპირ დაიწყეს მოსვლა, ასე ვთქვათ, ვანო მერაბიშვილის თუ სააკაშვილის დაქირავებულმა პირებმა. 2006 წლის მარტიდან ის ნელ-ნელა დასვეს პრეპარატზე, რომელიც პირდაპირ აგრესიაზე და ნგრევაზეა მიმართული, მოქმედებს ფსიქიკურ მდგომარეობაზე, ძალიან მალე იწვევს შინაგანი ორგანოების დაშლასა და სიკვდილს...

პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ჩემი ძმა მერაბიშვილის გარემოცვამ მოწამლა.

ეს ყველაფერი გამიზნულად კეთდებოდა და გათვლილი იყო უბედურებაზე. რა მნიშვნელობა აქვს, რა ფორმით მოხდებოდა ეს. აქვე გავიხსენებ, რომ ერთი-ორჯერ გიორგისთან სახლში იარაღი ვითომ „დარჩათ“, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვეულებრივი პოლიეთილენის პარკით. ვის დააქვს იარაღი პარკით? იარაღი როცა სახლშია, იქ რა დატრიალდება, ღმერთმა იცის. საბედნიეროდ, გიორგის იარაღი არ უყვარდა, აფხაზეთის ომის დროს ტყვიების წვიმაში სოხუმში გიორგი შარაძე კამერით ხელში ახსოვს ყველას და არა იარაღით. საშინლად არ უყვარდა და ამიტომაც სასწრაფოდ გაატანა, ვისაც „დარჩა“.

უბედურება რომ „იგვიანებდა“, ამიტომ 2007 წლის 20 მაისს გურამ შარაძე პირდაპირ დახვრიტეს და ისე მოიშორეს. ხოლო გიორგი შარაძე მორალურად მაშინ გაანადგურეს, როდესაც მამამისის „მკვლელად“ გიორგი ბარათელი შეარჩიეს და ამით ირიბად, მაგრამ მაინც გარიეს მისი სახელი...

მართალია, მან ყველაფერი, მათ შორის გართულებული ფსიქოლოგიური მდგომარეობაც მალევე დაძლია, მაგრამ შემდეგ დეპრესია დაეწყო. მე ვერ გეტყვით, რა უფრო საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის — სულიერი თუ ფიზიკური ტკივილი. გიორგი შარაძემ მამას მკვლელობის შემდეგ ორი წელი სრულ მარტოობაში გაატარა, ისე, რომ ლოგინში არ დაწოლილა, ტახტზე იწვა, ტანთ გაუხდელი. გარდაცვალების წინა დღეს მამა კახამ აზიარა... გიორგი ისეთივე მსხვერპლია ტერორისტული აქტისა, როგორც ლაშა და მამაჩემი, თუმცა ჯობდა, გიორგიც ტყვიით მოეკლათ.

ესაუბრა
**მანანა ჩხეიძე**

## ლიკა მაისურაძე:

# ძიძად ლესბოსელების სახლში მოვხვდი

**ისტორიის ლაბირინთებში სად არ ვხვდებით ქართველთა ნაკვალევს. ბულგარეთში იოანე პეტრიწს აკადემია ჰქონდა დაარსებული. საბერძნეთში იყო ათონი, ბიზანტიაში — კონსტანტინეპოლი, პალესტინაში — სინას მთა, სირიაში — შავი მთა, ხოლო იერუსალიმში — ჯვრის მონასტერი. მაშინ ქართველები უცხო მიწაზე ჩვენი სულიერი კულტურის უქრობ კერებს ქმნიდნენ. დღეს კი გაღატაკებული ქართველნი უცხოეთისკენ მიილტვიან სააარსებო სახსარის საპოვნელად. ჩვენი ისტორიული კატაკლიზმებით განდევნილი წინაპრები მონობაშიც კი ინარჩუნებდნენ ღირსებასა და ხშირად მშობლიურ ენასაც. გვახსოვს ეგვიპტის შეუპოვარი მამლუქები, ირანში — ფერეიდნელები, თურქეთში — სამშობლოს დანატრებული ლაზები. დღეს ქართველები მიგრაციის სახიფათო ბილიკებით გაიფანტნენ სხვადასხვა ქვეყნებში და არავინ იცის, რამდენ სულიერ ჭრილობას იღებენ, რამდენი იარა და წარუშლელი ნაჭდევი აჩნიათ გულზე, რამდენი ბზარი გაუჩნდა მათ რწმენას მოყვასის სიყვარულში. ამბავი, რომელსაც მოგითხრობთ, ერთმა მშვენიერმა ქალბატონმა ლიკა მაისურაძემ გამიმხილა.**

**— ქალბატონო ლიკა, რამ გაიძულათ, ახალგაზრდა დედას ბავშვები მიგეტოვებინათ და საზღვარგარეთ წასულიყავით?**

— საზღვარგარეთ 2007 წელს წავედი, მაშინ, როდესაც განახლების მოლოდინში ყველაფერი ძველი ხელში შემომადნა და დანაზოგიც არაფერი შემრჩა. ჩემი მეუღლე ქალაქის ტრანსპორტში მუშაობდა. რეფორმამ, რომელიც ცნობილი ქალბატონის — მაია ნადირაძის ქმრის ხელით ჩატარდა, ის უსამსახუროდ დატოვა, მე — ორი პატარა ბავშვით, პენსიონერი დედამთილითა და უმუშევარი მეუღლით; ღვთის ანაბარა დავრჩი. იქამდე შემორჩენილი ძველი ნივთების გაყიდვითა და ქმრის მცირე ხელფასით, რომ იტყვიან, თავი გაგვქონდა. სიღატაკემ ყელში ისე წაგვიჭირა, რომ დარდით ვიხრჩობოდით, თითქმის გავმათხოვრდით. ბავშვებისთვის წიგნებისა და ფეხსაცმლის შეძენის თავიც არ გვქონდა. ისინი იზრდებოდნენ და ყველაფერი უპატარავდებოდათ. ჩემი დეიდაშვილი, პირწავარდნილი ზვიადისტი, შევარდნაძის ჩამოსვლისთანავე წავიდა ამერიკაში. ტელეფონით ვეკონტაქტებოდი, ვეხვეწებოდი, — ნათელა, დამეხმარე, მიშველე, ჩემი ოჯახის ცოდვას ნუ დაიდებ, როგორმე აქედან წამიყვანე-მეთქი. ჯერ ყოყმანობდა, მეუბნებოდა: „შენ რა გგონია, ადვილია აქ მუშაობა? მანდ ნაშოვნი 10 ლარი გერჩიოს, აქაურ 100 დოლარსო; ფიქრობ, აქ ფული ხეს ფოთლებად ასხია?“ ვფიქრობდი, აზვიადებდა და ჩემი წაყვანა არ უნდოდა. ბოლოს, როგორც იქნა, დამყაბულდა — წამოსასვლელ ფულს გასესხებო, თანაც მირჩია: „აიღე ქართულ-ინგლისური ფრაზეოლოგიური ლექსიკონი და, რასაც შეძლებ, დაიზეპირეო!“ სურვილი იმდენად ძლიერი მქონდა, თანაც მისმა დაპირებამაც ისე გამახალისა, რომ მთელი დღის ოჯახური საქმით დაღლილი ინგლისურ ფრაზებს თუთიყუშივით ვიზეპირებდი. უდიდესი ნერვიულობისა და დაძაბულობის ფონზე გავემგზავრე, ჩემმა თვალცრემლიანმა ოჯახმა გამაცილა.

**— სამსახური ადვილად იშოვეთ? რა შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე „საოცრებათა ქვეყანამ“?**

— ნიუ იორკისთვის დამახასიათებელმა ბობოქარმა რიტმმა, სტიქიასავით მოვარდნილმა ხალხმრავლობამ კიდეც ამაღელვა და კიდევაც დამლალა: აქ, ყველაფერი ბრუნავს სარეკლამო ბანერებიდან დაწყებული, ადამიანებით დამთავრებული. ნიუ იორკი ურიცხვ ქუჩათა ქსელით გრანდიოზულ ობობას ჰგავს. იგი ცივილიზაციის პირმშოა, ადამიანთა შემოქმედებითი პოტენციალის სრული გამოვლენით. ამ გიგანტურმა ქალაქმა პატარა ქვეყნის შვილი დამთრგუნა. იქნებ, ეს იყო მიზეზი, სამუშაოს შოვნა რომ გამიჭირდა. ერთხელ ნაცნობმა ემიგრანტმა ქალმა, რომელმაც ინგლისური კარგად იცოდა, ვილაც ამერიკელ ლედისთან წამიყვანა, მათ ძიძა სჭირდებოდათ 10 თვის ბავშვისთვის. ეს იყო ხმელ-ხმელი, ულაზათო აღნაგობის, საკმაოდ მაღალი ქალბატონი თმის ღერიდან ფეხის ფრჩხილამდე გალაქულგაპრიალებული. თარჯიმნის საშუალებით პირობები ჩამოვაყალიბეთ. მე მათ ოჯახში ვიცხოვრებდი და დილიდან საღამომდე პაწაწინა ლილიანს მოვუვლიდი. გამაცნეს ამ ოჯახის მშვენიერი, ახალგაზრდა მეტისი ქალი და ჩემი აღსაზრდელი. მან თავი მხრებზე ნდობით დამადო და ჩაეძინა, ვიგრძენი ყელში მოწოლილი ცრემლი მახრჩობდა, ჩემი შვილები მენატრებოდა. ბავშვს პასუხისმგებლობით ვუვლიდი, რომ იტყვიან, თან ვყვებოდი.

ოჯახი, სადაც ვმუშაობდი, უცნაური მეჩვენებოდა. ვერაფრით გავარკვიე, ლილიანას დედა რომელი იყო — ახმახი ქალი თუ მომხიბვლელი მეტისი. არც ის ვიცოდი, ეს ქალბატონები რას საქმიანობდნენ. მთელ დღეებს სახლში ატარებდნენ, გვიან საღამოს კი სადღაც მიდიოდნენ, გათენებისას ბრუნდებოდნენ და დღის პირველ საათამდე ეძინათ. პირველი თვის გასამრჯელო როდესაც ავიღე და საქართველოში გამოვაგზავნე, მათი ცხოვრების სინამდვილის გაგების სურვილი სრულიად გამიქრა. მთავარი ჩემთვის ის იყო, რომ სამსახური მქონდა და გასამრჯელოსაც ვიღებდი.

**— ამბობთ, კმაყოფილი იყავით, მაგრამ რა მოხდა, რა შეიცვალა?..**

— დიახ, ვფიქრობდი, გამიმართლა, ლილიანა ჯანმრთელი, წყნარი, თვინიერი ბავშვი იყო. ბავშვის მოვლა თავისთავად დამღლელია, მაგრამ მისი ზნე-ხასიათი ამ სიძნელეს მიადვილებდა. ოჯახში ჩემ გარდა ორი ქალი მუშაობდა, ერთი სახლს ალაგებდა, მეორე სამზარეულოში ტრიალებდა. მათ, ჩემთან შედარებით, როგორც იქაურებს, მაღალი ხელფასები ჰქონდათ, ზემოდან დამყურებდნენ და თავს არ მიტოლებდნენ. თავიდან თვალს არ მაშორებდნენ, როდესაც ჩემს კეთილსინდისიერებაში დარწმუნდნენ, ჩემი თვალთვალით თავს ნაკლებად იწუხებდნენ.

კარჩაკეტილი ცხოვრობდნენ. იშვიათად თუ მოვიდოდა ვინმე. ლილიანა სწრაფად იზრდებოდა. უკვე სიარული შეეძლო, ენასაც აწვალებდა, მტრედივით ღუღუნებდა. თითქმის წელიწადი და 4 თვე დავყავი მათთან. ვდარდობდი, ვიცოდი, როგორც კი ბავშვი 3 წლის გახდებოდა, მაშინვე ინგლისურენოვან, გამოცდილ და კვალიფიციურ ძიძას მოუყვანდნენ.

ერთ ღამეს ქალების ჩხუბმა გამომაღვიძა. ქალბატონები ჩხუბობდნენ. უცნაური ბრახუნი, ჭურჭლის მტვრევის ხმა და გულამოსკვნილი ქვითინი მომესმა. მივხვდი, რაღაც არასასიამოვნო ხდებოდა. ჩვეულებისამებრ, მეორე დღეს ბავშვის სანახავად 2 საათისთვის არც ერთი ქალბატონი არ გამოჩენილა.

ამ დღიდან მეტისისთვის თვალი არ მომიკრავს. ახმახი კი პენუარის ამარა სართულიდან სართულზე, ოთახიდან ოთახში ლანდივით დაძრწოდა, უმაკიაჟო სახეზე ზაფრანისფერი ედო, ვგრძნობდი, მის სულში რაღაც ხდებოდა. მან ორივე მოსამსახურე დაითხოვა. სახლი მტვრით სავსე ყუთს დაემსგავსა. სამზარეულოში სასმელჩარჩენილი ჭიქების მწკრივი ყოველდღიურად მატულობდა. ლილიანა გაცელქდა და მარტოს ველარ ვტოვებდი.

## ერთხელ სამზარეულოში ბავშვისთვის ფაფას ვამზადებდი. დოროთე შემობრძანდა. შეზარხოშებულმა ღიმილითა და დაკვირვებით შემომცინა, თავისთან მიხმო და ჟესტებით მიმანიშნა, ბავშვი რომ დაიძინებს, ჩემთან შემოდიო.

ბავშვს ჩაეძინა. მე მაღლა ავედი და დოროთეს საძინებელზე ფრთხილად მივაკაკუნე. ხმა არ გამცა და კარი ოდნავ შევაღე, არც იქ დამხვდა, მაგრამ აბაზანიდან წყლის ჩხრიალი ისმოდა და იქით გავწიე. ღრიჩოდ დარჩენილ კარში თვალი მომკრა თუ არა, შემიპატიჟა. სურნელოვანი, თხევადი საპნით გაჟღენთილი ღრუბელი მომცა და მთხოვა დაბანვაში მივხმარებოდი. ეს უშნოდ გამოჩორკნილი ქალი კაცს უფრო ჰგავდა, ტანსაცმელსა და მაკიაჟში კიდევ შეეხედებოდა, თორემ ეს იყო ჩონჩხზე გადაკრული ტყავი, ბრტყელი, მსხვილი ამობურცული ძვლებით, ღრმად ჩამჯდარი ელამი თვალებითა და ჭიაყელასავით ვიწრო ბაგეებით. ის ორაზროვანი, ბილწი ღიმილით თავისკენ მიხმობდა. ზიზღის გრძნობა დამეუფლა, მაგრამ სამუშაოს დაკარგვის შიშით გადავწყვიტე, ქალბატონს მოვმსახურებოდი, თუმცა ეს ჩემს მოვალეობაში არ შედიოდა. თვალს არ მაცილებდა, ისე მომშტერებოდა, როგორც დასაგეშ მიმინოს. სურდა, ჩემს შიგნით რა ხდებოდა, ჩასწვდომოდა. მე კი საპნიანი ღრუბელით ხელში ვყოვნდებოდი. ჯერ გაფითრებული სახე წამოუწითლდა, შემდეგ მზერა ჩაუმუქდა და ჩონჩხადქცეული ხელით თავისკენ მძლავრად მიბიძგა. არ ვიცი რატომ, მაგრამ უნებურად ავფორიაქდი, მან კი თავისკენ უფრო ხალისიანად დამიწყო ქაჩვა. ჰოი, საოცრებავ, უცებ ტუჩებზე ხარბად და გააფთრებით დამეკონა, თან ნავარჯიშებ ხელებს სალტესავით მიჭერდა. გავიბრძოლე, თავი გავითავისუფლე, ის ისევ მწვდა და თავისკენ მიმათრევდა. არ ვიცი, ძალა რამ მომცა, საოცარი წინააღმდეგობა გავუწიე, სახეში ვაფურჩხებდი, ფრჩხილებით ვკაწრავდი, თმებით ვექაჩებოდი, ნადირივით ვკბენდი. იმხელა ზიზღს ვგრძნობდი, ეს მშველოდა. ამ სცენის გახსენება ჩემთვის საშინლად მტკივნეული და შეურაცხმყოფელია. მივხვდი, რომ ძიძად ლესბოსელების სახლში მოვხვდი. აბაზანიდან გამოვვარდი, კიბეები კისრისტეხით ჩავირბინე წინაკარი გავგლიჯე, მთელი ბაღი გადავირბინე და გულგახეთქილი შოსეზე გამოვვარდი სველი კაბითა და გაჩეჩილი თმებით, ჩემ წინ ღამის ნიუ იორკი ბრდღვიალებდა. მე კი ნაგვის ურნას ამოფარებული სიცივითა და გადატანილით შეძრწუნებული ციებიანივით ვცახცახებდი. ნათელას დავურეკე, ღმერთს მადლობა, მობილური ჯიბეში ჩამრჩებოდა. მირჩია, ტაქსი ამეყვანა. გამთენია მივადექი მას ნაქირავებ ბინაში. არეულად მოვუყევი, რაც თავს გადამხდა. მაღალი სიცხე მქონდა, არ ვიცი, გავცივდი თუ ნერვიული სტრესის გამო ვიყავი ასე.

**— შემდეგ რა მოხდა?**

— როდესაც გამოვჯანმრთელდი, დადგა ჩემი სულიერი ტკივილების გამოვლენის დრო. ახლა ისევ უმუშევარი ვარ. ბევრი ვიფიქრე, ვინ მისცა და ანდო ამ ქალებს ბავშვი აღსაზრდელად? ან მე რატომ აღმოვჩნდი სხვათა კულტურის, შეგნების, შეხედულებების, მრწამსისა და მისწრაფებების, მორალისა და ზნეობის მსახური? ლუკმის შოვნის აუცილებლობამ ოკეანისგაღმა გამრიყა და უპატრონო თხასავით, რომელიც მგლის ლუკმაა, ათას სიბილწეს შემაჯახა. საქართველოდან მეუბნებიან — დაბრუნება არ გაბედო, თორემ ინანებო. განა აქ რომ ვარ, იმას არ ვნანობ?

ჩვენ ხომ დამოუკიდებელი ქვეყნის შვილობა გვინდოდა, რათა უფრო ამაყნი და ძლიერნი ვყოფილიყავით?! ნუთუ ემიგრაცია რიგითი ქართველის გადარჩენის ერთადერთი გზაა, ამ აბსურდულ ყოფაში უნდა დავიღუპოთ?..

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## არნო ხიდირბეგიშვილი:

# «MADE IN GEORGIA»


























ძვირფასო მკითხველებო! სულ ახლახან აშშ შოუს უდიდეს **შემქმნელად**, დანარჩენი სამყარო კი მათ **მომხმარებლად** მიიჩნეოდა. ყოფილი სსრკ-ის ყველა ქვეყანაში პროდუქციას ლეიბლით **„MADE IN USA“,** რომელსაც უწყვეტად გვაწვდიდა ამერიკული პოპკულტურის კონვეიერი, მიუხედავად მისი საეჭვო ხარისხისა, ხარბად ნთქავდა (ცოდვა გამხელილი ჯობს!) ყველაფერ უცხოურს დახარბებული ობივატელი...

თუმცა ახლა ვითარება შეიცვალა — დღეს საქართველოში ჰოლივუდის ბლოკბასტერებიც კი პოპულარობით ვერ შეედრება **ქართულ რეალითი შოუებს,** რომელსაც ონლაინ რეჟიმში აწვდიან ადგილობრივ აუდიტორიას!

**რით ვაჯობეთ ამერიკას? — ნატურალიზმით!** ყველაფერი, რაც ხდება ჩვენს მასკულტურაში, ტელე და კინოეკრანებზე, სარეკლამო ბილბორდებზე, რომლითაც სავსეა ცენტრალური პროსპექტები და მოედნები, ხშირად საკონცერტო მოედნად რომ გადაიქცევა — **ჩვენი ყოველდღიურობის ასლია, მისი უბადრუკი მხარეების ჩათვლით:** ომი და მშვიდობა, პოლიტიკა და ყოფაცხოვრება, სიძულვილი და ვერაგობა, ინტრიგები და ღალატი, სექსი და სიყვარული... **ამიტომ ჩვენთან წაშლილია ზღვარი მსახიობსა და მაყურებელს, სცენასა და მაყურებელთა დარბაზს შორის — ამ დაუსრულებელ პერფომანსში ვთამაშობთ ყველა, უფრო მეტიც — საკუთარ თავს განვასახიერებთ, იმიტომ, რომ ეს შოუ ჩვენი ნამდვილი ცხოვრებაა!**

(შესაძლოა, ხელისუფლება ითვალისწინებს, რომ მოსახლეობას საშუალება არ აქვს, ეწვიოს საკონცერტო დარბაზებსა და თეატრებს, სადაც ბილეთი, ჩვეულებრივ, იმაზე მეტი ღირს, ვიდრე საშუალო ხელფასი ან პენსიაა და ამიტომ მასობრივ წარმოდგენებს აწყობს ღია ცის ქვეშ, სუფთა ჰაერზე, რათა იმავდროულად ჯანმრთელობაც „გაგვიკაჟოს?!“)

ახლა არ ვაპირებ ქართველებისთვის დამახასიათებელ **უდარდელობაზე და ჰიპერარტისტულობაზე, იმ ზომიერების გრძნობაზე** ლაპარაკს, რომელიც ხშირად გვღალატობს: **ყველას ახსოვს გასული წლის აგვისტოში თბილისში, პარლამენტის შენობის წინ, გამართული შოუ მაშინ, როცა არაქართული ჯარები დაუბრკოლებლად იკავებდნენ კოდორის ხეობას** (დღეს ამის შესახებ ენდი გარსიასა და ჰოლივუდის სხვა ვარსკვლავების მონაწილეობით კინოფილმიც შევუკვეთეთ, იმის ნაცვლად, რომ სასწრაფოდ დაგვევიწყებინა ეს სირცხვილი...). **ყველას ახსოვს, ერთი წლის შემდეგ იმავე ადგილას ჩვენი სამხედრო ტექნიკის „ბიენალე“** (მოწინააღმდეგის ჯარისკაცები მანეკენებითურთ „რუსული ოკუპაციის 226-ე წლისთავის აღსანიშნავად“) **და იმავდროულად გორის მიდამოებში, საბრძოლო მოქმედებების თეატრიდან ორ ნაბიჯში, მოდების დეფილე რომ მოვაწყეთ და „შეიარაღებულ რუს დამპყრობლებს საქართველოს ანექსირებული ტერიტორიიდან“ შეუიარაღებელი თვალით შეეძლოთ დამტკბარიყვნენ ქართველი მოდელების ხილვით (არა სამხედრო ტექნიკით, არამედ ლამაზი გოგონებით!)...**

(შემდეგ, სამხედრო სასაფლაოს სამარეთა მსგავსად, გორის რაიონში ლტოლვილების რიგებად ჩამწკრივებული სახლები ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ოთხქიმიანი ვარსკვლავებით „დავამშვენეთ“, თითქოს დაგვავიწყდა, რომ სწორედ ნატოში გაწევრების განზრახვაზე ხელის აღებით შეგვეძლო ომის თავიდან აცილება და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა...)

ახლა კი მოდი თბილისში დავბრუნდეთ და ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში გავისეირნოთ.

ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას სახელობის ქუჩით დავიწყოთ: აი, **გამომცემლობა „სამშობლოს“** სახელით ცნობილი სახლი №14, საიდანაც **2007 წლის 10 აგვისტოს**, დილის 4 საათზე, ასობით პოლიციელმა ეკონომიკის სამინისტროსა და მერიის მაღალჩინოსანთა ხელმძღვანელობით პანღურებით გამოყარა გაზეთებისა და ჟურნალების 80 რედაქცია (მათ შორის უძველესი, პოპულარული, საერთოეროვნული და საქალაქო!), რის შედეგადაც სამი ათასზე მეტი კაცი უმუშევარი დარჩა...

თუმცა ხელისუფლების ცინიზმს საზღვარი არ აქვს — დღეს ამ მონუმენტური შენობის ფასადს **(2008 წლის 10 აგვისტოს, ჟურნალისტთა გამოძევებიდან ზუსტად ერთი წლის თავზე შიდა ქართლსა და ცხინვალიდან დევნილი მოსახლეობის თავშესაფრად რომ იქცა!)** უზარმაზარი პლაკატები ფარავს, რომლებიც ქალაქის მერის ახალი იდეის პროპაგანდას ეწევა — **მოძრაობა „მე მიყვარს თბილისი“,** მდიდრებისთვის მშენებარე ულტრამოდური საცხოვრებელი, საოფისე და სასტუმრო კომპლექსების რეკლამითურთ! თუ კარგად დააკვირდებით, შენიშნავთ, რომ **მოგვიწოდებენ, გვიყვარდეს თბილისი მხოლოდ 2013 წლამდე** ***(იხ. ფოტო №1),*** **ანუ მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო და, შესაბამისად, „ნაცმოძრაობის“ მმართველობის ვადის ამოწურვამდე!..**

განვაგრძოთ: რამდენიმე ასეულ მეტრში **ფილარმონია, თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზია,** რის შესახებაც დედაქალაქის სტუმრებს ქართული და ინგლისურენოვანი ტრანსპარანტი ამცნობს ***(იხ. ფოტო №2),*** თუმცა მოპირდაპირე მხარეს მდებარე შენობის ტრანსპარანტი იუწყება: **აქ მალე გაიხსნება ამერიკული რესტორანი „ელვისი“** ***(იხ. ფოტო №3).*** **ახლა კი წარმოიდგინეთ, რომ აშშ-ში, კენედი-ცენტრის შენობას (ვაშინგტონის მთავარ საკონცერტო მოედანზე) ამშვენებს წარწერა: აქ მალე გაიხსნება ქართული რესტორანი „თამადა“.** წარმოიდგინეთ?! გამოგიტყდებით, ვერც მე მოვახერხე...

თვალებს არ დავუჯერე და ბევრჯერ წავიკითხე შენობის ორივე მხარეს **ჯანმრთელი** ლოგიკით ურთიერთგამომრიცხავი წარწერები ტრანსპარანტებზე, შემდეგ კი ფილარმონიის დამამშვენებელ ქანდაკებას — **„მუზას“** ავხედე, თითქოსდა მისგან განმარტებას ვითხოვდი. **მუზამ, თითქოსდა პასუხად, ხელები გაშალა და მხრები აიჩეჩა —** ***არც კი ვიცი, რა გითხრაო... (იხ. ფოტო №4).***

კითხვა: განა **ფილარმონია ხელოვნების ტაძარი არ არის? განა ტაძარში უადგილო არაა რესტორნის გახსნა?! განა ეს არ შეურაცხყოფს ჭეშმარიტ, ჭირსა და ლხინში მომღერალ ქართველს, ხელოვნებისადმი ეგზომ ფაქიზი დამოკიდებულება რომ აქვს?! და განა ჩვენ, სავსებით დამსახურებულად რომ ვამაყობთ ქართული ნაციონალური სამზარეულოთი, ამერიკული რესტორნით გაგვაკვირვებენ?!**

განვაგრძოთ ჩვენი „სასიამოვნო“, მოულოდნელი აღმოჩენებით სავსე სეირნობა თბილისში...

**დედიშობილა ქალისა და აშკარად ჰომოსექსუალური ორიენტაციის მამაკაცის გამოსახულებიანი პორნოგრაფიული ბილბორდები** გვხვდება ცენტრალურ პროსპექტებზე — ვაჟა-ფშაველას გამზირზე, სანაპიროზე და სხვ. ***(იხ. ფოტო №5, 6, 7).*** როგორც ხედავთ, საქართველოში **(სადაც ცხოვრობდნენ და კვლავაც იცხოვრებენ ნამდვილი თამადები, და არა პედერასტები!)** შემორჩენილ მამაკაცთაგან ვიღაცამ მათგანს შავი საღებავი შეასხა. **„დაინახე შიშველი“** — ამ გაუგებარ წარწერას ახალი ტელეარხის **„ტაიმ-ნიუსის“(„რეალ ტვ“)** გადაცემის ხილვისას თუ გაიგებთ: თურმე მასშტაბური სარეკლამო კამპანია მოგვიწოდებს, შიშველი სიმართლე დავინახოთ... **[illegible]-როზ, დღეს საქართველოში შიშველ და სამარცხვინო სიმართლეს მხოლოდ ბრმები ვერ ხედავენ!**

**კიდევ ერთი კითხვა: განა ნორმალურია, როცა მართლმადიდებელ საქართველოში (ქვეყანაში, რომელიც მეოთხე საუკუნის დასაწყისში გაქრისტიანდა!), უცხოური მოდის ბრმა მიმდევრობით, ჯოჯოხეთის დღესასწაულის — „ჰელოუინის“** («Halloween») **აღნიშვნა დაიწყეს** («hall» *ინგლ. — ჯოჯოხეთი*)**?!** *„აშშ-ის სახელმწიფო მოღვაწეებმა სკოლებში ამ დღის აღნიშვნა აკრძალეს, ხოლო თავისი ნეგატიური პოზიცია „ჰელოუინის“ დღესასწაულთან დაკავშირებით არაერთხელ დააფიქსირეს როგორც მართლმადიდებლური, ასევე კათოლიკური ეკლესიების წარმომადგენლებმა, პრაქტიკულად ყველა რელიგიურმა კონფესიამ,“* — ნათქვამია საქართველოს საპატრიარქოს პრესსამსახურის მიერ 26 ოქტომბერს გავრცელებულ წერილში. საპატრიარქო ასევე განმარტავს, რომ ტკბილეულით გამასპინძლების რიტუალში მონაწილეობა თავად სატანის — **სამჰეინისთვის** — ზვარაკის შეწირვას, ხოლო **„ჯეკის კანდელის“** ანთება ავსულთა სახელით არასწორი კანდელის ანთებას ნიშნავს ***(იხ. ფოტო №8)...***

**მაგრამ უძველესი კულტურისა და ტრადიციების მქონე სახელმწიფოს პრესტიჟი ჩვენს ხელისუფლებას ფეხებზე კიდია:** ნიჭიერი დიზაინერისა და მეწარმის — **თათა ვარდანაშვილის** გლამურული პროდუქციის სარეკლამო პლაკატზე ***(იხ. ფოტო №9)***, თავად **პრეზიდენტი სააკაშვილი** რომ ეწვია და სოლიდური კრედიტით (600.000$) დაასაჩუქრა, **ქალის ექსკლუზიური ჩექმები საქართველოს სახელმწიფო დროშისგანაა შეკერილი!** ამბობენ, რომ მისი შემოქმედებით აღფრთოვანებულმა პრეზიდენტმა **ქართული არმიისთვის ჩექმების შეკერვაც დაავალა...**

დაბოლოს: **განა ყოფილი სსრკ-ის ქვეყნებში საქართველო და ქართველები არ წარმოადგენდნენ განსაკუთრებულ ბრენდს, კანონის რანგში აყვანილ სითბოსა და სტუმართმოყვარეობას რომ ნიშნავდა?** ყველამ იცოდა, რომ ქართველი არ ჩაგიშვებს, რომ თავის ბედნიერებას ის სხვის უბედურებაზე არ ააგებს, რომ ქართველი არ ყიდულობს ნაქურდალსა და წართმეულ ქონებას, არ ღალატობს და არ ყიდის სამშობლოს, ოჯახს, პატივს სცემს წინაპრებს, მათ ტრადიციებს, რომელთა მიხედვითაც ზრდის შთამომავლებს, არ სვამს ღვინოს დასათრობად, არ ილეშება ქელეხში და შემდეგ სიმღერას არ იწყებს, სწამს ღმერთისა და არა სატანის, არ მამათმავლობს, ქალებს რაინდულად ექცევა, აღმერთებს დედას, თვალს არ აპარებს სხვისი ცოლისა და ქალი-მეგობრისკენ, არ შიშვლდება რეკლამისთვის, თავდადებული ძმა და მეგობარია, შეუძლია ნებისმიერს აგებინოს პასუხი ღირსების კოდექსის დარღვევის ან მიყენებული შეურაცხყოფისთვის!

***„უფროსი თაობა წავა და, თუ ასე გაგრძელდა, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილებისთვის ჩვენი მეგობრობა, ძმობა და ერთიანობა ყოველგვარ ფასს დაკარგავს — ამის შესახებ, უბრალოდ, არაფერი ეცოდინებათ, ყველაფერი ეს წარსულს ჩაბარდება!“*** — სამართლიანად შენიშნა პოლიტოლოგიის დოქტორმა, პროფესორმა **ალექსანდრე ჭაჭიამ** 2009 წლის 18 ივნისს მოსკოვში გამართული საერთაშორისო კონფერენციის — **„კულტურათშორისი დიალოგი — დსთ სივრცეში ჰუმანიტარული თანამშრომლობის განვითარების სისტემაწარმომქმნელი ფაქტორი“** — ფარგლებში მოწყობილ **„მრგვალ მაგიდაზე“.**

ვისურვებ, რომ საქართველო და ქართველები მუდამ დარჩენილიყვნენ ყველასთვის საყვარელ **ბრენდად** (ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით!) და არასოდეს გადაქცეულიყვნენ იმგვარ **ბოდვად,** რომლის მაგალითებიც დღეს უხვად მოვიყვანე.

**P.S. „Жираф - большой, ему видней!“** — მღეროდა დიდი ვისოცკი: რასაკვირველია, შეიძლება „დინებას მიჰყვე“ და სავსებით მიენდო საქართველოს დღევანდელ მბრძანებლებს — მათ ვაშინგტონი და სტრასბურგი ხომ თბილისზე უკეთ იციან და ოკეანისგაღმა დიპლომები უხვად აქვთ — რად ვერ დავშოშმინებულვართ?! გემრიელი ჭამა-სმა, ტკბილი ძილი, „ჰელოუინზე“ დროსტარება — სხვა რაღა გვჭირდება სრული ბედნიერებისთვის?! ხოლო უძველესი კულტურა, თვითმყოფადობა და ეთნოსი... არც პირველნი ვართ და არც უკანასკნელნი: აი, ძველმა ბერძნებმა, მაგალითად, ელინური კულტურა შექმნეს, მაგრამ მაინც გადაშენდნენ! ჰოდა, თუ ძალიან მოგვინდება შენი სამშობლოს სახელოვანი წარსულის გახსენება, ეთნოგრაფიულ მუზეუმს ან, ბოლოს და ბოლოს, ქართულ რესტორანს ეწვევი..

**თქვენ როგორ ფიქრობთ, ძვირფასო მკითხველო?**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ბირთვული ომის საფრთხე და კევილეჭია პრეზიდენტი

**პარასკევს დამთავრდა ამერიკელი სამხედროების მიერ ავღანეთში გასაგზავნი ქართული ბატალიონის წვრთნები, რომელიც ერთ კვირას გაგრძელდა და ამაზე მასმედია ბოლო დღემდე ხმას არ იღებდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ წვრთნების შესახებ მე არაფერი ვიცოდი, გამოდის არ ვცდებოდი, როდესაც ვამბობდი, რომ ერთი კვირით ადრე ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის მოადგილის — ბ-ნ ვერშბოუს ვიზიტის ერთადერთი მიზეზი სწორედ ავღანეთში გასაგზავნი ბატალიონის წვრთნას ეხებოდა.**



## მხოლოდ სააკაშვილსა და მასთან დაახლოებულ ერთი-ორ პირს სჭირდება ქართველი ბიჭების სასაკლაოზე გაშვება

გვჭირდება კი ჩვენ ამ ომში მონაწილეობა და რას წარმოადგენს ეს ომი? ამაზე ქვევით ვილაპარაკებ. აი, სააკაშვილს რომ ეს სჭირდება თავის პოსტის შესანარჩუნებლად, ცხადია! გავიხსენოთ აშშ სახელმწიფო მდივნის — ქ-ნ ჰილარი კლინტონის გამოსვლა რადიო „ეხო მოსკვის“ ეთერში 14 ოქტომბერს, მისი რუსეთში ოფიციალური ვიზიტის დროს. იქ მან დააზუსტა, თუ რისთვის უჭერს ამერიკა მხარს ჩვენს ქვეყანას: „საქართველო ჯარისკაცებს გვაძლეს ავღანეთში საომრად.“ არც აქ და არც მოსკოვის უნივერსიტეტში ანალოგიურ გამოსვლაში მას ერთხელაც არ უხსენებია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა; არც ერთი სიტყვა არ თქმულა 6-პუნქტიანი შეთანხმების შეუსრულებლობაზე ან ეთნიკურ წმენდასა და უამრავ ახალ დევნილზე. სამაგიეროდ, მან ერთ კონტექსტში მოიხსენია, „საქართველო, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი თავს უნდა იკავებდნენ პროვოკაციებისაგან!“ — აი, აქედან ცხადი ხდება, რომ მხოლოდ სააკაშვილსა და მასთან დაახლოებულ ერთი-ორ პირს სჭირდება ქართველი ბიჭების სასაკლაოზე გაშვება, მაშინ, როდესაც ამ ომის გაგრძელებას ამერიკაში სულ ბოლოს გამოკითხულთა მხოლოდ 27% უჭერს მხარს.

ვიდრე ამ ომზე უფრო დეტალურად ვისაუბრებთ, გადავხედოთ სულ ახლახან ავღანეთში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს — იქ გაერომ დააფიქსირა ერთ მილიონზე მეტი გაყალბებული ბიულეტენი, მაგრამ პრეზიდენტ ჰამიდ კარზაის არაფრით უნდოდა ამის აღიარება და მეორე ტურის დანიშვნა. ის ამტკიცებდა, რომ მან 54% მიიღო (ვინმეს და რამეს ხომ არ გაგონებთ?). მხოლოდ გაეროს დამკვირვებლებსა და ამერიკელ გენერლებს შორის ღია დაპირისპირების შემდეგ, რაც მასმედიაში აისახა, კარზაი დასთანხმდა ნოემბერში მეორე ტურის გამართვას. თუმცა გაუგებარია, ამ სიცივეში გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დამკვირვებლები როგორ შეაღწევენ ავღანეთის მაღალ მთიანეთში, ანუ ქვეყნის ძირითად ტერიტორიაზე. თანაც ცნობილია, რომ ამ ქვეყნის ტერიტორიის 70%-ს თალიბები აკონტროლებენ, ხოლო კარზაის მთავარი მოწინააღმდეგე, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი აბდულა, არ აპირებს მეორე ტურში მონაწილეობას, მოითხოვს არჩევნების შედეგების საერთოდ გაუქმებას, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადადგომასა და ახალ არჩევნებს. მაგრამ, როგორც ბრიტანული პრესა წერდა ამ დღეებში, რა მნიშვნელობა აქვს ამ ვითომ არჩევნების შედეგებს, თუ ჰამიდ კარზაი სინამდვილეში მხოლოდ დედაქალაქის დე ფაქტო მერია და ეროვნული თანხმობის ხელისუფლების შექმნა არ ძალუძს?

ამას დაემატა გაზეთ „ნიუ იორკ თაიმსში“ გამოქვეყნებული მასალა, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტ კარზაის ძმა ახმედ ვალი კარზაი არა მარტო ქვეყნის მთავარი ნარკობარონია და ქვეყნის მეორე ქალაქ კანდაგარის დე ფაქტო მმართველი, არამედ ამავე დროს ის ClaA-ის აგენტიცაა და მათგანაც იღებს ფულს საიდუმლო ინფორმაციებისა და თალიბებთან საიდუმლო შეხვედრების მოწყობისათვის!

**ბრიტანელ ლორდ პადი აშდაუნს, რომელიც კარგად იცნობს იქაურ სიტუაცის, გაზეთ „გარდიანში“ გამოქვეყნებულ სტატიაში მიაჩნია, რომ დასავლეთის ყოველი მცდელობა, გაიმარჯვოს ამ ომში და შექმნას ერთიანი ავღანური სახელმწიფო, განწირულია.** გარდა ამისა აღნიშნულია, რომ საბჭოელებმა 80-იან წლებში ვერ გაითვალისწინეს ბრიტანელების გამოცდილება, ხოლო ამჟამად ამერიკელებმა – საბჭოელების შეცდომები და ორივე შემთხვევაში — სამარცხვინო დამარცხება.

რაც შეეხება ამ ომში დღევანდელ სიტუაციას – ამერიკისა და ნატოს ჯარების შესვლის შემდეგ ის უკვე გრძელდება უფრო დიდხანს, ვიდრე მეორე მსოფლიო ომი, შედეგი კი არ ჩანს. ავღანელთა 77% ამ „დამპყრობლების“ წინააღმდეგია და ბრძოლას მანამდე განაგრძობს, ვიდრე მათ ქვეყნიდან არ გააძევებს, მათი ისტორია კი გვეუბნება, რომ ეს მათ ძალუძთ. ავღანეთში ნატოს ჯარების მთავარსადალი, გენერალი სტენლი მაკკრისტალი კი ითხოვს კიდევ დამატებით 40 ათასი ჯარისკაცის გაგზავნას.

**აი, აქ არის პრეზიდენტ ობამას ყველაზე სერიოზული პრობლემა – მას ნობელის მშვიდობის პრემია წინასწარ მისცეს და ახლა მან ის უნდა გაამართლოს. ბოლო დღეებში ის თითქოს იხრება კიდეც მშვიდობისკენ, მაგრამ როგორ და რა ფორმით? გაზეთ „ინდეპენდენტის“ ცნობით ამერიკელებისა და ევროპელების უდიდესი ნაწილი ამ ომის გაგრძელების წინააღმდეგია, მარტო სენატორი მაკეინი გამოვიდა ობამას სამშვიდობო ნაბიჯების წინააღმდეგ, ასევე, გენერალიტეტის ელიტაც – მათი საქმე ხომ სწორედ ომია.**

გენერალ პეტრაოს სტრატეგიაა თალიბების პაკისტანში განდევნა, მაგრამ მათ იქ უკვე დაიკავეს პროვინცია ვაზირისტანი. ხოლო პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთის პროვინცია და „ტომების სარტყელის“ ძირითადი მოსახლეობა პუშტუნებია (ანუ მეზობელი ავღანეთის მთავარი ეთნიკური ჯგუფი) და ისინიც მთლიანად თალიბებს უჭერენ მხარს. ასევე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პაკისტანის სუსტი ხელისუფლების განკარგულებაშია ბირთვული იარაღი, რომელიც შეიძლება სწორედ ტერორისტებმა ჩაიგდონ ხელში.

**რაც შეეხება ავღანეთში ამერიკის ეგიდით ნატოს მიერ დაწყებული საომარი მოქმედებების მიზნებს, აქ კვლავ „ინდეპენდეტს“ დავესესხები: მაშინ ამბობდნენ, რომ საჭირო იყო ავღანეთში „ალ-ქაიდას“ ბაზების განადგურება, რათა მათ ახალი ტერაქტები ველარ მოეწყოთ. სინამდვილეში ყველა ტერაქტი დასავლეთში იგეგმებოდა და არა — ავღანეთში. მაგალითად, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი ჰამბურგსა და ფლორიდაში 19 საუდი არაბის მიერ დაიგეგმა. ასევე, ლონდონში განხორციელებული ივლისის ტერაქტი დაიგეგმა იორკშირში ბრიტანელი მუსლიმების მიერ, რომლებმაც ბომბების კეთება ინტერნეტით ისწავლეს.**

ბევრს მიაჩნია, რომ ომის გაგრძელება კიდევ უფრო განავითარებს ჯიჰადიზმს სხვა ქვეყნების მუსლიმანთა შორის. მაგალითად, თალიბებს შორის დაფიქსირდნენ ჩრდილო კავკასიელები. არადა, ესენი ერთ დღეს შინ, კავკასიაში, დაბრუნდებიან, ვინაიდან მათ ომი ისწავლეს და კვლავ იგივეს გააგრძელებენ. სულ უფრო ვრცელდება აზრი, რომ ამერიკელები გაცილებით უფრო უსაფრთხოდ იქნებოდნენ თავიანთ საკუთარ სახლებში და ბევრსაც მოიგებდნენ, მუსლიმანი ბავშვებისთვის სკოლები რომ ეშენებინათ, იმის მაგივრად, რომ მათთვის თავზე ბომბები დაეყარათ მოუგებელი ომის დროს! **და ასეთ პირობებში ჩვენი ბიჭების საზარბაზნე ხორცად გამოყენება, სააკაშვილის დანაშაულია. ცივილიზებულ საზოგადოებაში კი ხალხი ამას არ დაუშვებდა. მაგრამ ჩვენი ოპოზიციური პარტიები და მოძრაობები რატომღაც ამაზე ხმას არ იღებენ......**

ამავე დროს ჩვენს რეგიონში სიტუაცია კვლავ იძაბება. ამ დღეებში მოსკოვში იმყოფებოდა ისრაელის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი და ამჟამად ოპოზიციის ყველაზე სერიოზული ლიდერი ქ-ნი ციპი ლივნი. მან გაზეთ „კომერსანტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში რუსებს სთხოვა, ირანისთვის არ მიეცათ რაკეტსაწინააღმდეგო საშუალება „ჩ-300“. კითხვაზე, ეს ხომ მხოლოდ თავდაცვითი საშუალებებია, ქ-ნმა ლივნიმ უპასუხა, რომ ირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნის შემთხვევაში, ყველაფრისთვის უნდა ვიყოთ მზად და ნურაფერს ნუ გამოვრიცხავთო, ანუ ფაქტიურად დაადასტურა, რომ ისრაელი ირანს დაარტყამდა. აქვე გავიხსენოთ, რომ, როდესაც სადამ ჰუსეინი ერაყში ბირთვული იარაღის შექმნას ცდილობდა, სწორედ ისრაელის ავიაციამ დაარტყა იმ ატომურ რეაქტორს.

**ასევე ამერიკელი ანალიტიკოსისა და ჟურნალისტის — ვეინ მედსენის მიერ ვრცელდება ექსკლუზიური ცნობა, რომ აშშ ამ ბოლო ხანებში ნევადის პოლიგონზე ბირთვულ აფეთქებებს აწარმოებენ და, მისი აზრით, ეს ირანზე დარტყმის რეპეტიცია და პრელუდიაა.**

**გაურკვეველია ამერიკის ადმინისტრაციის შიგნით არსებული წინააღმდეგობები; მაგალითად, ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა პოლონეთში ამასწინანდელი ვიზიტისას თქვა, რომ ამერიკა პოლონეთში განალაგებს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვით სისტემა „პატრიოტს“, რაც სრულიად ეწინააღმდეგება პრეზიდენტ ობამას განცხადებებს. ასეთ შემთხვევაში კი რუსეთი აუცილებლად მისცემს ირანს თავდაცვით სისტემა „C-300“-ს და კალინინგრადში განალაგებს პოლონეთზე დამიზნებულ „ისკანდერებს“.**

ამერიკულ-ისრაელურ ინტერნეტ საიტ „სტრატფორზე“ გამოქვენებულ ანალიტიკურ სტატიაში ექსპერტები — ჯორჯ ფრიდმანი და პიტერ ზეიხანი წერენ: აზერბაიჯანელები ძალიან შეშფოთებულები არიან თავიანთი რეგიონალური სპონსორის დაკარგვით, თურქეთ-სომხეთის დაახლოებითა და ამის ფონზე თურქების მხრიდან ყარაბაღის პრობლემის გადაწყვეტაზე მხოლოდ რიტორიკის გამო და რომ სომხებთან კონტრბალანსისთვის სჭირდებათ რუსეთი. ამავე დროს რუსეთს სომხეთი ორივე ხელით უჭირავს. მაგრამ ეს ექსპერტები უფრო შორს მიდიან; მათი აზრით, რუსეთი მთელი კავკასიის ხელში ჩაგდებას ცდილობს და ერთადერთი, ვისაც შეიძლებოდა ამისთვის წინააღმდეგობა გაეწია, თურქეთია.

**მაგრამ თურქეთ-სომხეთის ურთიერთობათა დათბობამ, რაც რუსეთის ინიციატივით მოხდა და მის სტრატეგიულ სამხედრო ინტერესებს შეესაბამებოდა (გიუმრი-ყარსი-სამსუნის რკინიგზის გახსნა), თურქეთი და, მასთან ერთად, პროდასავლური საქართველო დააზარალეს. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ამ ექსპერტების სენსაციური განცხადების აზრით, ობამას ადმინისტრაციას სურს, რუსეთმა მას მხარი დაუჭიროს ირანთან დაკავშირებით, მან კი (რუსეთმა) მთელი თავისი ყურადღება მთლიანად გადაიტანოს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე! ეს მკვეთრად განსხვავდება ამერიკის წინა ადმინისტრაციის პოზიციისგან, როდესაც ექვს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას ევროკავშირის „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ პროგრამა შესთავაზეს, მაგრამ შემდეგ ის დროში გაიწელა და გაურკვეველია, მხოლოდ ქაღალდზე ხომ არ დარჩება.**

ყველაფერი ეს აწუხებს არა მარტო აზერბაიჯანს, არამედ თურქეთსაც. ამიტომაც თურქეთი არა მარტო აგვისტოს მოვლენების, არამედ მის შემდეგაც ამ კონფლიქტისადმი უფრო პრორუსული პოზიციით გამოირჩევა. სექტემბერში თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის უნალ ჩევიქოზის აფხაზეთში ვიზიტის შემდეგ მან თქვა, რომ „თურქეთი **უახლოეს** მომავალში აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობას არ აპირებს“. მაშ, რას ველოდოთ თურქეთისაგან? თვითონაც არ იციან და სიტუაციას აკვირდებიან.

**14 ოქტომბერს ევროკავშირმა გამოაქვეყნა დოკუმენტი თურქეთის ევროკავრში გაწევრების სურვილთან დაკავშირებით. მასში აღნიშნულია, რომ თურქეთმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწია რეფორმებში და მას ძირითადი მასტაბილიზირებელი როლი აქვს სამხრეთ კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში. მაგრამ ამან, როგორც ჩანს, ცეცხლზე ნავთი დაასხა ბაქოში და იმავე დღეს აზერბაიჯანმა გაზპრომთან ხელი მოაწერა რუსეთში გაზის ტრანსპორტირების შესახებ დოკუმენტს, ხოლო 21 ოქტომბერს – ანალოგიურ დოკუმენტზე ირანთანაც. ეს უკავშირდება თურქეთ-აზერბაიჯანის მძიმე დამოკიდებულებას თურქეთის ტერიტორიით ევროპაში აზერბაიჯანული გაზის ტრანსპოტირებას (ნაბუკოს პროექტს), რასაც თურქეთი მრავალ წინააღმდეგობას უქმნის და რაც აზერებაიჯანელებს ძალიან აღიზიანებთ. ამიტომ გადაწყვიტა აზერბაიჯანმა, ყველას დაანახოს, რომ თურქეთი გაზის ტრანსპორტირების მონოპოლისტი არ არის და არსებობს სხვა გზებიც.**

თურქეთს კვლავ სირთულეები აქვს ევროკავშირთან. როგორც გაზეთი „ფაინანშალ ტაიმსი“ წერს, ამ რამდენიმე კვირის წინათ თურქეთის პრეზიდენტი აბდულა გიული პარიზში ხსნიდა გამოფენას „ოსმალეთის იმპერიის საგანძური“, რათა პოპულარიზაცია გაეწია თურქეთის მდიდარი ისტორიული მემკვიდრეობისთვის. **ამ დროს გამოფენაზე მივიდა საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი, რომელიც საღეჭ რეზინს ღეჭავდა. ეს თურქებმა უპატივისმცემლობად აღიქვეს; რის გამოც საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო შემდეგ შეეცადა დაეცხრო ეს ინციდენტი როგორც „კულტურათა შორის სხვაობა“, მაგრამ, ვინაიდან სწორედ სარკოზია თურქეთის ევროკავშირში გაწევრების კატეგორიული წინააღმდეგი, თურქებისთვის ეს მესიჯი იყო. მათთვის ცნობილი იყო სარკოზის აზრი, რომ ევროკავშირში 70 მილიონზე მეტი თურქი მუსლიმანის შეშვებით ეს ორგანიზაცია თავის ევროპულ ფუნქციას დაკარგავსო.**

ამიტომ თურქეთში სერიოზულად ალაპარაკდნენ საგარეო პოლიტიკის ვექტორის ცვლილებებზე, ხოლო პრემიერ-მინისტრმა რეჯეპ ერდოგანმა, ეს ბოლო ორი დღეა, მოლაპარაკებები გამართა ოპოზიციის ლიდერთან შესაძლო ვადამდელ საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაზე. ცხადია, რომ ამ სიტუაციაში არჩევნებში პროევროპული ძალები დამარცხდებიან და თურქეთი სახით აღმოსავლეთისკენ შეტრიალდება. ეს კი, პირველ ყოვლისა, საქართველოსთვის იქნება ცუდი.

**რამაზ კლიმიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# თითოეულ ქართველს თავზე ეკლის გვირგვინი ადგას და სისხლის ნაცვლად უსასოობა მოსწვეთავს

**საქართველოს პატრიარქის წინააღმდეგ წამოწყებულმა ანტიმართლმადიდებლურმა კამპანიამ ფართო საზოგადოების ბუნებრივი აღშფოთება გამოიწვია. არამხოლოდ ქართული ეკლესიის მრევლი, არამედ სხვა კონფესიების წარმომადგენლებიც გააკვირვა „თავისუფლების ინსტიტუტის“ ლიდერებისა თუ წევრების გაუგონარმა თავხედობამ. ხელისუფლების ნელთბილმა განცხადებამ, რომელშიც რევერანსებისა და დემოკრატიულობის დემონსტრირების გულისამრევი ნაზავი შემოგვთავაზეს, ხალხი კიდევ ერთხელ დაარწმუნა მათ ფარისევლობაში.**

**ეკლესია და უწმინდესი და უნეტარესი კათოლიკოს-პატრიარქი არაერთხელ გამხდარა ე. წ. ულტრალიბერალების თავდასხმის ობიექტი, თუმცა ის, რაც საზოგადოებამ ბოლო ხანებში იხილა, ყოველგვარ ზღვარს სცილდება.**

**ამ ფონზე „თავისუფლების ინსტიტუტმა“ ძველი და ახალი გვარდია გამოიხმო და აღშფოთებული საზოგადოებისგან თავდაცვის ტაქტიკას აგრესიული თავდასხმის სტრატეგია ამჯობინა. შეტევა ფართო ფრონტით გაიშალა და თეა თუთბერიძეს დამცველებიც გამოუჩნდნენ. ისინი მზად არიან, არამხოლოდ ქუჩაში, არამედ საძინებელსა და საპირფარეშოშიც კი უზრუნველყონ „კმარას“ დედის უსაფრთხოება. თუმცა „საქართველო და მსოფლიოს“ საიტზე მოსულ კომენტარებს თუ ყურადღებით გაეცნობით, ნახავთ, რომ ეს „ბუდარიხა“, როგორც დავით მხეიძემ უწოდა ამავე სათაურით ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიაში, არავის არაფერში სჭირდება და, უფრო მეტიც, თითქმის ყველა დარწმუნებულია, რომ თუთბერიძე ამჯერადაც დაკვეთას ასრულებს.**

**„საქართველო და მსოფლიო“, ბუნებრივია, უყურადღებოდ არ დატოვებდა საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის მიმართ წამოწყებულ უხამს აგრესიულ კამპანიას და რამდენიმე პუბლიკაციაც მიუძღვნა ამ თემას. ამ წერილების გაზეთის საიტზე განთავსებას მკითხველთა გამოხმაურებები მოჰყვა. გადავწყვიტეთ, გაგაცნოთ რამდენიმე კომენტარი, რომელთაგან ერთ-ერთს, როგორც გამარჯვებულს, სრულად შემოგთავაზებთ.**




## «თუთბერიძეს იმაზე მეტი რა უნდა დამართო, რაც სჭირს»

ერთ-ერთი მკითხველი გვთხოვს, თავი შევიკავოთ პატრიარქის პატივისცემის გამო და, როგორც უწმინდესი გვაძლევს მაგალითს მოთმინების, დიდსულოვნებისა და მიტევებისა, ვეცადოთ, ჩვენც ისე მოვიქცეთ! მისი აზრით, თუთბერიძეს სწორედ მორწმუნეთა პროვოცირება აქვს მიზნად. ამავე მოსაზრებას იზიარებს მეორე მკითხველიც: **„ძნელია, ეს ყველაფერი მოითმინო, მაგრამ უფრო ცუდია, თუთბერიძეს თუ დავემსგავსებით. იგი მორწმუნეთა პროვოცირებას იწვევს, რომ აგრესიულობაში დაგვდოს ბრალი. ისე, თუთბერიძეს იმაზე მეტი რა უნდა დამართო, რაც სჭირს“,** — გვწერს **შორენა. მირიანის** აზრით კი, **„ეს იყო სასინჯი — თუ ხალხი გაჩუმდება, ამაზე უარესს იზამენ“.**

**„ალბატროსი“** კატეგორიულია: **„არ შეიძლება ამის პატიება. სახალხო ანათემა უნდა მოეწყოს. ეს ქაჯი მარტო არ არის და, თუ შერჩა, მერე უარესს იზამენ... აღშფოთების ნაცვლად, სჯობს, კონკრეტულად ვიმოქმედოთ: ხელმოწერებით მოვითხოვოთ „თავისუფლების ინსტიტუტის“ გაძევება ქვეყნიდან მიშასთან ერთად!“**

**„დიკას“** აზრით, **„წინ კიდევ უფრო დიდი ბრძოლა გველის...“** მას ორასამდე ხელმოწერა შეუგროვებია გერმანიაში და საპატრიარქოსა და ტელევიზიებს გამოუგზავნა.

მიუხედავად მკითხველთა შორის აზრთა სხვადასხვაობისა, თითქმის ყველა აცხადებს, რომ **„თუთბერიძე და მისი დამკვეთები უნდა დაისაჯონ!“**

ერთ-ერთი მკითხველი გაოგნებულია და გვეკითხება: **„რა კომენტარი უნდა ამ უბედურებას?“** თუმცა იქვე თეა თუთბერიძეს მოუწოდებს, **„შენდობა ითხოვოს ღვთის, პატრიარქისა და ხალხის წინაშე, ამდენი ადამიანი რომ გაალიზიანა“.**

ვინც თუთბერიძის საპასუხო „მონანიება“ მოისმინა, გაიკვირვებს, რა შენდობის თხოვნა, ქალი (თუ რაც არის!) აქეთ გვამუნათებს, რას მერჩით, თუკი პრეზიდენტზე შეიძლება შაყირი (მთლად ასე არ უთქვამს), ვითომ პატრიარქზე რატომ არ შეიძლებაო?! გა-გორ-ებული მთავარსარდალი და უწმინდესი პატრიარქი მისთვის ერთ სიმაღლეზე დგანან და, თუ „თავისუფლების ინსტიტუტის“ იდეოლოგიასაც გავითვალისწინებთ, პატრიარქის ავტორიტეტი მოსაფრთხილებელი კი არა, უპირველესი სამიზნეა ამ „სოროსელი ლეკვებისთვის“. ეს შეფასება ერთ-ერთ მკითხველს ეკუთვნის, რომელიც **„ავლაბრელის“** ფსევდონიმით გამოგვეხმაურა:

**„ვინც აფინანსებს ამ საცოდავებს ოკეანის გაღმიდან, სწორედ მათ უნდათ, რომ ამოძირკვონ მართლმადიდებლობა. ხომ არ დაგავიწყდათ, რა თქვა მათმა (სოროსელი ლეკვების) „სულიერმა მამამ“ ზბიგნევ ბჟეჟინსკიმ: „მას შემდეგ, რაც ჩვენ დავამარცხეთ სოციალიზმი, ჩვენი მთავარი მტერი არის მართლმადიდებლური ქრისტიანობა“...... ჯერ სადა ვართ, მთავარი მოვლენები აწი იწყება და სწორედ ამიტომ დაეჯახნენ ეკლესიას ეს უბედურები. ეს ბუდარიხა კი, რა თქმა უნდა, თავისი ჭკუით არ მოქმედებს...“**

ნუ გაგიკვირდებათ, რომ მკითხველები ფსევდონიმით გვეხმიანებიან. ხელისუფლებისგან ყველაფერი უკეთურის მოლოდინში ადამიანებს განსაკუთრებით გაუმახვილდათ სიფრთხილის გრძნობა. როგორც ჩანს, **„ქართველი“** ყურადღებით ადევნებს თვალს ამ ანტისახელმწიფოებრივ ლაშქრობას ეკლესიისა და პატრიარქის წინააღმდეგ და არც თეა თუთბერიძის შეფასება გამოპარვია, რომელიც, **„ქართველის“** თქმით, თავის საქციელს მისცა, როცა შეგვახსენა ერთი კარგი ქართული ანდაზა, ვირისგან წიხლი არ უნდა გეწყინოსო. **„ჰოდა, ამაში ყველაფერია ნათქვამი. ვირი თეა თუთბერიძის წიხლი არ არის საწყენი, მაგრამ არც უპასუხოდ უნდა დავტოვოთ... ქალი ფსიქიკურადაა დაავადებული საკუთარი პრეზიდენტის მსგავსად და მკურნალობას საჭიროებს“,** — **„**გამოუწერა“ ასათიანის საგზური თეასაც და **იმასაც** „ქართველმა“. თავად განსაჯეთ, რამდენი ქართველი შეუერთდება ამ ერთი ქართველის სურვილს,... თუმცა, არ გვგონია, ყველა ეთანხმებოდეს და ვერც ჩვენ გავიზიარებთ **ზურას** კატეგორიულობას: **„ვირთხა თუთბერიძე უნდა ჩამოახრჩოთ, სასწრაფოდ უნდა განადგურდეს!“**

**„ლიბერალი“** კონკრეტულ მინიშნებას გვთავაზობს: **„როგორც ხედავთ, გვინდა თუ არა, კვლავ წმინდა ინკვიზიციამდე მივდივართ, რადგანაც, როდესაც ინკვიზიციის კოცონი ქრება, კაცობრიობა წყვდიადშია ხოლმე...“**

ძალიან ძნელია, დაეთანხმო „ლიბერალს“. თუკი ინკვიზიციის კოცონის გაჩაღებას დავიწყებთ, დავემსგავსებით „თავისუფლების ინსტიტუტს“, რომლის ლიდერებმაც ამ ათიოდე წლის წინათ „ინკვიზიციის თავისუფლებით“ სწორედ რომ ინკვიზიცია მოუწყვეს თავისუფლებას, კერძოდ კი, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა თავისუფლებას, რომლებმაც გამოიტანეს მაშინდელი ე. წ. რეფორმატორებისთვის მიუღებელი გადაწყვეტილება.

### ახლანდელი ხელისუფალნი კუბოს დადგმასაც არ მოერიდნენ სასამართლოს შენობის წინ და მოსამართლეთა ფიტულებიც კი დაწვეს. ამ რიტუალის შემსრულებელთაგან განა გასაკვირია ქართული ეკლესიისა და პატრიარქის ავტორიტეტის შებღალვის მცდელობა?

ამიტომაც უნდა დავეთანხმოთ **„ესტატეს“,** რომელიც პირდაპირ აცხადებს, რომ **„ეგ წვრილფეხა მორიელი სატყუარად შემოაგდეს; იცოდნენ, რომ ქართველობა არ მოითმენდა ბინძურ კამპანიას საპატრიარქოზე და ეს ამ ჯალათებს რეპრესიის ახალი ტალღის ასაგორებლად კარგ საბაბს მისცემდა. ამათი ტვინი ხომ მარტო იმაზეა გავარჯიშებული, რა ვერაგობა და საშინელება დამართონ ქართველებს!“**

დაბოლოს, დაპირებისამებრ, გთავაზობთ „საქართველო და მსოფლიოს“ აქტიური მკითხველისა და ახლა უკვე აქტიური კომენტატორის მოსაზრებას. მართალია, **„პოტგეო“** ვრცლად გვიზიარებს თავის აზრს, მაგრამ გადავწყვიტეთ, ეს კომენტარი უცვლელად გამოვაქვეყნოთ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, რადგან მასში ბევრი ქართველის გულისტკივილია გამოთქმული:

**„დასრულდა ჩემი ერთთვიანი ყოველწლიური ვიზიტი სამშობლოში. უამრავი ემოციებით დატვირთულს ვეებერთელა ტკივილი და პასუხგაუცემელი კითხვები დამრჩა. ვინა ვართ, რა გვინდა და საით მივდივართ?! არის თუ არა დღევანდელი საქართველო სახელმწიფო და რა არის ქართველობის, როგორც ერის, ფუნქცია? ვის სამსახურში დგას დღევანდელი საქართველოს ხელისუფლება და ვინ ვართ ამ ქვეყნის მოქალაქეები? თუ რაღაც გაურკვეველი სუბსტანციის ბიომასა ვართ, რომლისთვისაც გასტრონომიული დაკმაყოფილებაა მთავარი, შიგადაშიგ ემოციური ორთქლის გამოშვებით?!**

**ამ ერთ თვეში ქართული რეალობის ნაწილი გახდა თეა თუთბერიძე, რომლის არსებობა, როგორც ამ საზოგადოების წევრისა, ადასტურებს, რომ საზოგადოება ავად არის. დიაგნოზი დასმულია და მკურნალობის მეთოდიკაც, ზოგადად, მოხაზული. თუმცა პაციენტს არც ამ დიაგნოზის სჯერა და არც განკურნების სურვილი აქვს მაინცდამაინც.**

**ფასადების აღმშენებელი მიშას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან წარმატებით დააყენა ერი ზედაპირული აზროვნების გზაზე და გამოუმუშავა ე. წ. ფასადური აზროვნება, როცა მხოლოდ ის გვაწუხებს, რაც ცხვირწინ გვიდევს და ისიც, მაშინ, როცა ეს „რაღაც“ ისე ყარს, რომ სუნთქვის საშუალებას არ გვაძლევს, ანუ საზოგადოება კოლექტიურად რეაგირებს იმაზე, რასაც ხელისუფლება „გადმოუგდებს“; რეაგირებს იმავე დოზით, რა დოზითაც ეს ხელისუფლებას სჭირდება. როგორც კი რიგით ობივატელს ნერწყვის გამოსაყოფი სტიმული შემოაკლდება, სოდ-კუდთავისუფლების ინსტიტუტი ახალ თემას მოისაქმებს და ჩვენც პავლოვის ძაღლებივით დუჟმომდგარნი ღავლავით დავდევთ საკბილოს. სქემა მარტივია, რეაქცია — გათვლილი და წარმატებული. საჯილდაო ქვების სია უკვე შედგენილია... 2013 წლამდე.**

**პირველად იყო „ტალიავინის სიტყვა“, რასაც მოჰყვა „იერუსალიმის ტაძრის“ ნგრევის მცდელობა სოროსის სოროში (იმედია, ბატონი ოთარ რამიშვილი მაპატიებს პლაგიატიზმს) დაჩეკილი „ქართველი დალილას“ — თეა თუთბერიძის მიერ. პარალელურად, ნაცმოს პადოშად ქცეული ჯომოლუნგმას ლანჩი აგრესიულად აგიტირებს პატრიოტულ აქტს, რისი ბაზისის შესაქმნელად ვაგონები ფეთქდება, პანკისი ალქაიდდება, შადიმან-ხვლიკი ტალეირანდება და კოკო შტრეიკბრეხერი ხდება; რეჟიმის მიერ ერთ ლარად ნაყიდი ერთგულება 12-მილიონიანი ღალატი ხდება; აუქციონზე აგარაკის ფასმა ფოთის აეროპორტი თორმეტჯერ გადაფარა; რეფლექსებმოდუნებულ, გაბითურებულ ერს „ივანანას“ „მიშა მაგარიას“ მოტივით უცვლიან; დირიჟორს პარტიტურის მაგივრად სარემონტო „სმეტას“ აკითხებენ; მეორედ „კარგავენ“ სოხუმს და აფხაზეთიდან ლტოლვილ მოსახლეობას იმ უკანასკნელ იმედს ართმევენ, რასაც ასე აგრესიულად ინარჩუნებდა სცენაზე ბატონი დიმა ჯაიანი; ეკონომიკური სტიმულირების პაკეტი ხელოვნური სუნთქვის აპარატზე შეერთებულიც კი სულს ღაფავს; საამაყო ქართველების ძეგლები განაგრძობენ დოღსა და მარულას: ხან საიდან იძახიან „ჭიტას“ და ხან — საიდან.**

**ჟურნალისტების მიერ ატეხილი აჟიოტაჟის წყალობით დაპურებულ და ნააქიმარ ერთ ოჯახს შურით შეჰყურებს ათასობით დამშეული ქართული ოჯახი და ხახაგამშრალი ელოდება „კვირის რეპორტაჟს“. ყველაფერ ამის ფონზე ოპოზიცია ფლანგებად ლაგდება და ცენტრში ვაკუუმი რჩება. ნაწილს დასავლეთიდან ნაფრენი კონსტიტუციურ-ილუზორულ-მარაზმატიკული მშვიდობის მტრედი ასკინტავს თავზე და ნაწილი ჩვენ გვასკინტავს ქვეყნის ხსნის „ჯერ არგახმაურებულ ეფემერულ გეგმას“. ტაძრისკენ მიმავალი გვერდს ძნელად აუვლი კალიგულას ციტადელს, ერთი სანთელი რომ დაან-**

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**თო ღმერთისა და ქვეყნის სახელზე, გუმბათი არ უნდა აგერიოს. მოლოხის მსახურება იოლია, სული უნდა მისცე და ხორცს განგიდიდებს. კაცი თუ ხარ ერისა, იმის უნარი მაინც უნდა გქონდეს, ჭეშმარიტ მოძღვარს სთხოვო შენდობა და ხორცგვემილმა ქრისტეს სული დაინთო კელაპტრად. სახელმწიფოს (მოისაზრება მიშა: „საქართველო — ეს მე ვარ“) ინტერესების ხელყოფის „მცდელობისთვის“ ერის სულიერი მამის დისკრედიტაციის გეგმა ჩავარდა. მიშამაისტერები ახალ გეგმაზე მუშაობენ და კურსს საქართველოს აღმოსავლეთით იღებენ. შიშით თრთის საზღვარსაქეთ ვაზი და ტყე, არაბი და ჩინელი ცხვრისა და ხის რიგში დგას. ქართველები კი მიდიან, სულერთია სად, ოღონდ აქედან წავიდნენ, მსახურად, მონად, ლაქიად... ოღონდ შიმშილი — არა, უმუშევრობა — არა. სერბეთის საკონსულოსთან კილომეტრიანი რიგია, ერთი სერბი გაოცებული კითხულობდა: სერბი გარბის სერბეთიდან და თქვენ იქ რა გინდათო. პასუხი ერთია — აქაურობას ყველაფერი სჯობია. ვერ განსჯი, რა ქნას, დღევანდელ საქართველოში იმის იმედიც მოკვდა, რომ რამე უკეთესობისკენ შეიცვლება.**

**ქართველთა ერთიანობის ტრაქტატს მოვაწერე ხელი, სანთელი დავანთე, საფლავებს მოვეფერე, ახლობლებს დავემშვიდობე და წამოვედი იქ, სადაც კანონი კანონობს, სადაც ხელფასი შენი შრომის ანაზღაურებაა, სადაც მოქალაქეს სამართალი იცავს... მერე რა, სული ისევ ისე მტკივა, როგორც მაშინ, როცა მეტეხის ტაძართან უფალს ვავედრებდი ჩემს ქართველობას, ჩემს საქართველოს, პატრიარქს, ჩემსა და სხვის შვილებს, ავღანური სასაკლაოსთვის განწირულ ჩვენს ჯარისკაცებს. ოდისეა დამთავრდა... ემიგრანტული გოლგოთა იწყება...“**

ძნელია, უემოციოდ წაიკითხო ქართველი კაცის ეს ამოძახილი, რომელსაც თითქოს გულიც ამოაყოლა. „პოტგეოს“ გოლგოთა ემიგრაციაში იწყება, ჩვენი გოლგოთა კი სამშობლოში გვაქვს გასავლელი, სადაც ცოდვის კალო ილეწება, აგერ უკვე რამდენიმე წელიწადია. თითოეულ ქართველს თავზე ეკლის გვირგვინი ადგას და სისხლის ნაცვლად უსასოობა მოწვეთავს — რა უსაშველოს ოჯახს, რით გამოკვებოს ბავშვები, სად იშოვოს არსებობისთვის აუცილებელი სახსარი... ხელისუფლებამ და მისმა იდეოლოგებმა კი იმისთვის მოიცალეს, რომ ერთადერთი ავტორიტეტი გაულანძღეს ერს, რომელსაც აქამდეც არაერთხელ მიაყენეს შეურაცხყოფა... მათთვის ეს ავტორიტეტი ის წინაღობაა, რომლის დაძლევის გარეშე გაუჭირდებათ ანტიქართული მიზნების განხორციელება.

„საქართველო და მსოფლიოს“ არამხოლოდ აქ, არამედ მთელ მსოფლიოში ეცნობიან ჩვენი თანამემამულეები და უცხოელებიც. ამას მოწმობს გაზეთის საიტზე მოსული გამოხმაურებები, რომელთაგან მხოლოდ მცირედი ნაწილის გამოქვეყნება შევძელით.

**ბონდო მძინარაშვილი**

# ზურაბ გაგნიძე: შოთა მალაშხიას შუბლის ძარღვი კი არ აქვს განწყვეტილი, საერთოდ, შუბლი არ აქვს

**ქართული პოლიტიკა მოჯადოებულივით ერთ წრეში ტრიალებს კვლავაც დახავსებულ ვნებათა აღტყინებითა და ერთი და იმავე პრობლემებით. სხვათა აზრის ხელაღებით უარყოფა, საკუთარი მიზნებისთვის ყოველი ღირებულებების უკუგდება ხელისუფალთა ხელწერაა.**
**საჭიროა, თითოეული მოღვაწის ფსიქოანალიზი უფრო მაღალ მეცნიერულ დონეზე გაკეთდეს, ვიდრე ეს საგაზეთო ფორმატით შეზღუდულ ერთ სტატიაშია შესაძლებელი. აუცილებლად უნდა ვიცნობდეთ „რჩეულთა“ ფსიქეს. ამჟამად პარლამენტარის, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის თავმჯდომარის — შოთა მალაშხიას ფსიქოსტრუქტურის ძირითად შტრიხებზე გვესაუბრება ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე.**



**— ბატონო ზურაბ, რას გვეტყვით შოთა მალაშხიას ფსიქიკის ძირითად მახასიათებლებზე, მის სულიერ ღირებულებებსა და მიდრეკილებებზე?**

— შოთა მალაშხია დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურა არ არის. თუ თვალს გადავავლებთ მის ბიოგრაფიას, ამის დასტურს ვიხილავთ. საქართველოს მე-6 და მე-7 მოწვევის პარლამენტის წევრი იგი ნაციონალთა პარტიული სიით გახდა. ეს კი გვიჩვენებს, რომ მას არ აქვს გამოკვეთილი ინდივიდუალობა და დამოუკიდებელი მუშაობის პრინციპი. მთვლემარე ნებელობით არ გააჩნია სურვილი, პოლიტიკურ არენაზე რაიმე შექმნას ან შეცვალოს. მისი ყველა სიტყვა და საქმე ასოცირდება გუნდურ პრინციპთან სიღრმესა და ანალიზს მოკლებული ბანალური და მარტივი ასოციაციებით, მდარე დონის ანალოგიებით, პრიმიტიული დამთხვევებით, უაზრო განმეორებებითა და რაღაცაში აზრის ჩადების აკვიატებით, არარაციონალური აზროვნებით. ამდენად, ის არაა მოწიფული პიროვნება მკვეთრად გამორჩეული ინდივიდუალობით, რასაც პოლიტიკოს-პარლამენტარისთვის მოაქვს დამსახურებული პატივისცემა და პოპულარობა. იგი არაა იდეის კაცი ემოციური მუხტით, ენთუზიაზმითა და მოწოდებით, მაგრამ აქვს უვიცობით განპირობებული თავხედობა, პატივმოყვარეობა, პოლიტიკურ არენაზე ადგილის მოპოვების „ეგო“-ზე კონცენტრირებული განწყობა.

მისი ფსიქოწყობის განსაკუთრებული შტრიხია სურვილებისადმი ინტენსიური და ხანგრძლივი მორჩილება. ამას ისიც ადასტურებს, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტი 21 წლის ასაკში გახდა, რითაც ხაზს უსვამს თავის ამბიციურ ზრახვებს. 4 წელიწადს ცდილობდა, ამ საფეხურზე აცოცებულიყო, რადგან 80-იან წლებში სამედიცინო ინსტიტუტი სნობისტურ გარემოში პრესტიჟულ სასწავლებლად ითვლებოდა. ამგვარი დაჟინება, აჩემება და აკვიატება, რბილად რომ ვთქვათ, ავადმყოფურ პატივმოყვარეობაზე მიგვითითებს. მოულოდნელად ოცნებამიღწეული ნევროპათოლოგი პარლამენტარი ხდება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებით კომისიას ხელმძღვანელობს; ტოვებს პროფესიას, რომელსაც ენერგიისა და წლების მაქსიმუმი შესწირა და ადვილად ცვლის ახლად აღმოცენებულ უფრო პრესტიჟულ ადგილზე. ამ პასაჟის ფსიქოანალიზით საქმე გვაქვს ამბიციით დაავადებულ სუბიექტთან, რომელიც თამაშობს მოჩვენებითობას, არ აქვს ჩამოყალიბებული მოწოდება და ფარისეველია. ასეთი კაცი კი სანდო ვერც ერთ სიტუაციაში იქნება, რადგან სულიერად პატარა, გულნამცეცა, მერყევი, მერკანტილურ სურვილებს აყოლილი სნობია. ფსიქოლოგია კი ამბობს: ნდობა ის ფუნდამენტია, რაზეც შენდება ადამიანური და სამსახურებრივი ურთიერთობები. ამგვარი ფსიქოტიპისთვის უცხოა იდეის, საქმის, კაცის, სამართლიანობის ერთგულება. არასოდეს ხდება მისი თანხვედრა ერის ინტერესებთან. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ის არ ემსახურება, სიტყვიერად „ეკეკლუცება“ ამ საკითხზე ხშირი პედალირებით, რითაც საზოგადოებას აღიზიანებს.

**— ის ამ საკითხზე მუშაობს. სულ ახლახან იყო მისი წიგნის — „კონფლიქტების ორგანიზება — საერთაშორისო სამართლებრივი და ეკონომიკური ასპექტები“ — პრეზენტაცია...**

— დიახ... ნაშრომი განკუთვნილია საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებისთვის, იურისტებისთვის, პოლიტოლოგებისთვის, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მომუშავე პირებისთვის, ექსპერტთა და სამეცნიერო წრეებისთვის. ის მიმოიხილავს კონფლიქტებს და აკეთებს შედარებას. საკითხავია, პარლამენტში გატარებულ ამ ხუთიოდე წელიწადში ისეთი რა ისწავლა ბატონმა ნევროპათოლოგმა, რომ შეძლო, სპეციალისტებისთვის მიეთითებინა საერთაშორისო სასამართლოების ამოქმედების მექანიზმებზე, კონფლიქტების მართვაში ეკონომიკურ ასპექტებზე? მან განაცხადა, რომ წიგნზე მუშაობა 2007 წელს დაასრულა, პოლიტიკურ პროცესთა გამო კი მისი პრეზენტაცია დაგვიანდა. პოლიტიკურ მოღვაწეობას 2004 წელს შეუდგა. სამ წელიწადში ამგვარი მონოგრაფიის ავტორი რომ გახდე, მართლაც დიდი მიღწევაა, თანაც პრეტენზია გამოთქვა სხვათა დასამოძღვრად. ბატონ მალაშხიას ამგვარ კონფლიქტებზე აზრის გამოთქმის რა მორალური უფლება აქვს, როცა საქართველო ერთ-ერთი ყველაზე ცხელი კონფლიქტური რეგიონია, რატომ ვერ აგვარებს და აანალიზებს კონფლიქტს საკუთარ ქვეყანაში?

**— გაზაფხულის აქციების დროს შოთა მალაშხიამ განაცხადა: „ნერვები საკმაოდ წყნარი და მშვიდი გვაქვს“. თქვენი პროფესიული ხედვით, ამ ციტატას როგორ აფასებთ?**

— რა შეიძლება იყოს იმაზე საზიზღარი, როცა შენზე მაღლა მდგომს ფიანდაზად ეგები. ღირსეული ამას არ ჩაიდენს, ნიჭიერი კაცი ამ უნარს საერთოდ მოკლებულია, პიროვნული სიმწიფის მქონე, უბრალოდ, არ იკადრებს. მაგრამ რა დააკავებს უნიჭო, კნინობითი სულიერებისა და უნიჭო კაცის პირფერობასა და მლიქვნელობას? თეორიული ფსიქოლოგიით, ასეთ „პატარა ადამიანს“ შინაგანად აქვს დიქტატორად გადაქცევის ძალუმი სურვილი. ხელქვეითებთან შეუვალად მომთხოვნია, ხოლო ზემდგომებთან მონურ, ამაზრზენ უკიდურესობაში ვარდება. სასოწარკვეთილი, შეკუმშული გულით შესცქერის თვალებში მწყალობელს — იქნებ, მისთვის რამე გაიღოს. ამის დასტურია ბატონი შოთას სიტყვები ერთ-ერთი ინტერვიუდან: „მიხეილ სააკაშვილის გადადგომა საზოგადოების მოთხოვნა არაა“. აბა, ვინ ყვიროდა, „მიშა, წადი!“ ის კი აგრძელებს: **„არ შეიძლება, პრეზიდენტის გადადგომა 100000 კაცით წყდებოდეს, როცა მას ხმა მისცა მილიონ ორასი ათასმა კაცმა“...** უყვარს პარალელები და 2003 წლის რევოლუციას ასე აფასებს: **„მაშინ ყველაფერი კონსტიტუციის ფარგლებში იყო“.**

პრეზიდენტის აპოლოგეტი დაცვით პოზიციას არც მერაბიშვილისთვის იშურებს: „იმ ადამიანის გადაყენების მოთხოვნა, რომელიც თავის ფუნქციას ყველაზე კარგად ასრულებს, მართებულია?!“.. **„თუ გვინდა, რომ ყველაზე წარმატებული სტრუქტურის დანგრევით დავიწყოთ სახელმწიფოს მშენებლობა, ეს, უბრალოდ, მიუღებელია“.**

მას ავიწყდება, რომ ვანოს უწყების მიერ დარბეული ხალხის დეპუტატია. მაგრამ დეპუტატს ხალხი არ ანაღვლებს, რადგან ხალხის მხარდაჭერა პარლამენტში მოხვედრას არ ნიშნავს. აი, პრეზიდენტის ლაქიობა და პირველი პოლიციელის ლაქუცი კი ამის საიმედო გარანტია. მომიტინგეების საყურადღებოდ კი აცხადებს: **„ეს მათი აუსრულებელი სურვილია“... „ნერვები საკმაოდ წყნარი და მშვიდი გვაქვს“...** ანალიზით ის პროზაულ, დაბალ, მახინჯ შიგთავსს ამზეურებს. მონოგრაფიის ავტორს არ ადარდებს ის, რომ ხელფასს მას ხალხი აძლევს ნდობის მანდატთან ერთად. მისი ინტერვიუების ყოველი სიტყვა ამგვარ ასოციაციას აღძრავს — ის არის მედროვე კაცი კარიერისტული ინსტინქტებით, იმდენად დახშული სულიერებით, რომ ხალხის სამთვიანი პროტესტი მასში დელიკატურ **„შეშფოთებასაც და აღშფოთებასაც არ იწვევს“, რადგან „ნერვები საკმაოდ მშვიდი აქვს“.**

დასკვნა ასეთია: პარლამენტარი შოთა მალაშხია უარყოფს ხალხის, ანუ ამომრჩეველთა „სტიქიურ“ სიბრძნეს — უდიდეს ჭეშმარიტებას და მასთან დამოკიდებულებაში ქედმაღლობას იჩენს.

როცა საზოგადოება დრტვინავდა სანდრო გირგვლიანის მკვლელების წინააღმდეგ, ცოდვებით დამძიმებული მოკვდავი შოთა მალაშხია საქართველოს პატრიარქს, ილია II რჩევას აძლევდა: **„სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში მსჯავრდადებული პირებისთვის მონასტერში ცხოვრების კურთხევა მიეცა“.** ამ მკრეხელობაზე მეტად სამარცხვინოა მისი კომენტარი. მალაშხიას სინდისის ძარღვი კი არ აქვს განწყვეტილი, საერთოდ, შუბლი არ აქვს: **„ეს იქნება ძალიან კარგი იმ თვალსაზრისით, რომ ამით ქვეყნის მთლიანობის, სახელმწიფოსა და ეკლესიის დემონსტრირება მოხდება“.** ეს სიტყვები მალაშხიას სულიერების მთავარი შტრიხების კანონზომიერი მიდრეკილებებითაა ნასაზრდოები, ეს მისი შინაგანი, იმანენტური მოთხოვნილებებია და მის მორალურ და ზნეობრივ იმპერიებში იღებს სათავეს.

**— შოთა მალაშხიას დამოკიდებულებას ტალიავინის კომისიის დასკვნასთან რა ფსიქოჭრილში ახსნით?**

— ამ სუბიექტის ფსიქე გაბრუებულია მაცდური ზრახვებით, კეთილდღეობის მიღწევით, არარელიგიურობითა და ცხოვრებისეული ტკბობით. ამიტომ თანამედროვე პოლიტიკოსთა ჭირს — სიმართლის დეფორმირებას ემსახურება. ის ემდურის ტალიავინის კომისიის გერმანელი წევრების ტენდენციურობას, რომელმაც საქართველოს ხელისუფლება თითქმის ყველაფერში დაადანაშაულა. მისი აზრით კი, **„ყველა მსხვილი ორგანიზაცია, ევროკავშირის ჩათვლით, რუსეთის უკანასკნელ ნაბიჯს საქართველოს ანექსიად აფასებს“.** ის ამბობს: **„ჩვენი გამარჯვება რუსეთთან დაპირისპირებაშია“.** ამავე დროს, საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევითი განყოფილების ხელმძღვანელი კრისტოფერ უოკერი წერს: **„2008 წელი, პოლიტიკური უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლების თვალსაზრისით, გაუარესების წელი იყო საქართველოსთვის, იგი გამოეთიშა არჩევითი დემოკრატიის ქვეყნებს“.**

შოთა მალაშხია ცდილობს, ტალიავინის დასკვნას თავისებური ინტერპრეტაცია მისცეს, გააყალბოს, საკუთარ მოსახლეობას თვალში ნაცარი შეაყაროს; აპროტესტებს უოკერის ნათქვამს პრინციპით: „გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩება“. თავისმართლების მცდელობა ფსიქოასპექტში უკვე დამნაშავის კომპლექსის გამოხატულებაა.

შოთა მალაშხია თავის მსგავს პოლიტიკოსებთან ერთად უდიდესი დამნაშავეა ქართველი ხალხის წინაშე, რადგან მოკლებულია პოლიტიკურ კულტურას, დიპლომატიის ანბანს, ლავირების უნარს, შედეგებზე გათვლას, ტაქტის გრძნობას და ელემენტარულ ზრდილობას. მისი სიტყვები დაპირისპირებულ მხარესთან ულმობელი სწორხაზოვნებით ელდისმომგვრელია და მტერზე დამაშოშმინებელ ეფექტიან ზემოქმედებას კი არ ახდენს, პირიქით აღიზიანებს და პროვოკაციულ გამოწვევას ცდილობს. მალაშხია 150-მილიონიან რუსეთზე ამბობს: **„იქ ცხოვრობენ ისეთი დეგენერატები, რომლებიც ყველაფერს იჯერებენ“.** ნებისმიერი ერის შეურაცხყოფა, კვლავ გავიმეორებ, დეპუტატის მანდატის მქონე პირისთვის სრული პოლიტიკური კრახია. ეს მხოლოდ ბუმბერაზ ერისკაცთა საქმეა და მხოლოდ და მხოლოდ — თავისი ერის მიმართ, სადაც საგრძნობი და გასაგებია „ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია“.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

4 - 10 ნოემბერი, 2009 წელი. №36
www.geworld.net
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ტოტალური ღორობა

**„ღორის გრიპის“ გავრცელების საწინააღმდეგო ზოგიერთი ზომა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები მიმართავს, ამ ქვეყანაში კულტივირებულ დემოკრატიულ პრინციპებს სერიოზული ეჭვის ქვეშ აყენებს.**
**2009 წლის აგვისტოში მასაჩუსეტსის შტატის ხელმძღვანელობამ მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც, „ღორის გრიპის“, იგივე H1N1-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია სავალდებულოდ ცხადდება. ვაქცინაციაზე უარის თქმის შემთხვევაში ურჩები გადაიხდიან ყოველდღიურ ჯარიმას 1000 დოლარის ოდენობით და 30 დღეს ციხეში გაატარებენ.**



„ამჟამად ვაქცინაციის აუცილებლობა არ არის, — „დაამშვიდა“ შეშფოთებული საზოგადოება შტატის სენატორმა რიჩარდ მორმა სატელევიზიო ინტერვიუში, — თუმცა გვინდა, დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ ტოტალური ეპიდემიის შემთხვევაში შტატის მოსახლეობა უსიტყვოდ დამორჩილდება გუბერნატორისა და ჯანდაცვის განყოფილების განკარგულებას“.

სხვათაშორის, ბოსტონის საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული კანონი ამერიკის კონსტიტუციის უხეში დარღვევაა. მან ამერიკელთა მასობრივი აღშფოთება გამოიწვია. კონსტიტუციის მეოთხე შესწორებაში ნათქვამია: „მოქალაქეების ხელშეუხებლობის უფლება: პირადად, საკუთარ სახლში, დოკუმენტურად და უკანონო დაკავების ან ჩხრეკის საწინააღმდეგო გამოვლინებებში არ შეილახება...“ მერვე შესწორების მიხედვით, თუ მოქალაქეს დანაშაული არ ჩაუდენია, სასჯელისა და ჯარიმების უკანონობა გარანტირებულია. ნებისმიერმა ამერიკელმა იცის, რომ კანონი, რომელიც არღვევს კონსტიტუციას ან მის შესწორებებს, უკანონოა.

ისმის გაშმაგებული წამოძახილები: „უმალ ჯოჯოხეთში აცივდება, ვიდრე მე ამ ღორის ჭირის შეშხაპუნებას დავთანხმდები“, — ამბობს 50 წლის მარტი. „დროა, იარაღი ავიღოთ ხელში, თორემ ვაქცინაციის ნიღბით საქონელივით გაგვწყვეტენ“, — აღშფოთებულია ახალგაზრდა ქალი ირენა. „თანამოქალაქეებო, გამოფხიზლდით! დროა, საკუთარი თავისუფლებისთვის ვიბრძოლოთ! ეს ანტიკონსტიტუციური გამოხდომაა და ჩვენ გვაქვს ყველანაირი უფლება და საშუალება ამ გარეწრების დასაწყნარებლად“, — წერს „ანტიღორული“ ბლოგის კომენტარებში ამერიკელი სამხედრო მოსამსახურის მეუღლე ლიზა. ათიოდე დღის განმავლობაში მარტო ამ სტატიას 172 კომენტარი მიება.

ამერიკელები მხოლოდ აღშფოთებულნი კი არა, შეშინებულნიც არიან მასაჩუსეტსის „ღორის კანონით“. საქმე ისაა, რომ **ბილდერბერგის ჯგუფის კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული შეთქმულების თაობაზე ინფორმაციამ უკვე კარგახანია, გაჟონა როგორც ამერიკულ საზოგადოებაში, ისე მთელ მსოფლიოში. შეთქმულების ერთ-ერთი უმთავრესი პუნქტი მსოფლიო მოსახლეობის საერთო რაოდენობის ერთ მილიარდამდე ძალადობრივი შემცირებაა. ნაგულისხმები ძალადობის საუკეთესო საშუალება კი — ბაქტერიოლოგიური სა-წამლავით ვაქცინაცია.** იმისათვის, რომ მკითხველი სრულყოფილად ჩასწვდეს პრობლემის არსს, წლის დასაწყისში დავბრუნდეთ.

**ბიოლოგიური კვლევის ზოგიერთმა ცენტრმა ამერიკის მოსახლეობას შესთავაზა, გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ მონაწილეობა მიეღო ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინასთან დაკავშირებულ ექსპერიმენტებში. ექსპერიმენტები სიკვდილის რამდენიმე ათეული შემთხვევით დასრულდა.**



## ღორი ფრინველისგან გაჩნდა

2009 წლის თებერვლის მეორე ნახევარში პრეპარატ „ორტას“ დისტრიბუტორმა ავსტრალიურმა კომპანიამ ჩეხეთში, სლოვაკეთსა და გერმანიაში ამერიკული საერთაშორისო ფარმაცევტული კომპანია „ბაქსტერის“ მიერ წარმოებული გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის მთელი პარტია გაგზავნა.

**ჩეხური ფარმაცევტული კომპანია „ბიოტესტის“ ლაბორანტმა ამერიკული ანტიგრიპოზული ვაქცინის ტესტი ლაბორატორიის ქრცვინებზე ჩაატარა. ვაქცინური ინიექციის მიღებიდან ცოტა ხანში ცდის უკლებლივ ყველა ობიექტი მოკვდა. ვაქცინის უფრო დეტალური ანალიზისას გაირკვა, რომ ის „ფრინველის“ H5N1-ისა და „ადამიანის“ H3N2-ის აქტიურ ვირუსებს შეიცავდა. კანადის ქიმიურ ლაბორატორიებში კიდევ უფრო დეტალური კვლევის შემდეგ ნათელი გახდა, რომ H5N1 კომპონენტი დედამიწაზე ერთ-ერთი ყველაზე საშიში ბიოლოგიური აგენტია, რომელიც ბაქტერიოლოგიურ იარაღადაა რეგისტრირებული. ადამიანების წინააღმდეგ მისი გამოყენების შემთხვევაში სიკვდილიანობის მაჩვენებელი 60%-ია. ზემოხსენებული ორი კომპონენტის ნაზავი ანტიგრიპოზულ ვაქცინაში ამ „სასიცოცხლო წამალს“ სასიკვდილო ინიექციად აქცევს.** შედეგები ნათელია: მომაკვდავ კაცობრიობას არც კრიზისზე ფიქრისათვის დასცხება და აღარც ამერიკელი ბანკირების უსინდისობა აღაშფოთებს.

კანადელ ჟურნალისტებთან კომპანია „Baxter Pharmaseutical International, Inc“ მომხდარ ინცინდენტთან რაიმე კავშირს უარყოფდა და კომენტირებისგანაც თავს იკავებდა, მაგრამ **საერთაშორისო გამოძიების მონაწილე ევროპის ქვეყნებისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ზეწოლის შედეგად ფარმაცევტული კომპანია იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ ვაქცინა H5N1 მის ლაბორატორიებში შეიქმნა და ავსტრალიაში გასაგზავნად კომპანია „ავირს“ გადაეცა.**

სხვათაშორის, კომპანია „ბაქსტერის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ ლაბორატორიებში ვაქცინა H5N1-ით დასნებოვნება მხოლოდ შემთხვევითობა შეიძლებოდა ყოფილიყო და არა წინასწარ განზრახული ქმედება. ამგვარ ახსნა-განმარტებას ანტიგრიპოზული ვაქცინის მიმღები 18 ქვეყნიდან ერთიც არ დასჯერდა. **დანიელი სამედიცინო ექსპერტის რობერტ ანდრაგეტის განცხადებით, „ბაქსტერის“ ლაბორატორიებში ბიოაგენტების — H5N1-ისა და H3N2-ის შემთხვევითი შერევა აბსოლუტურად გამორიცხულია, ვინაიდან „ფრინველის ვირუსზე“ მუშაობა ბიოლოგიური უსაფრთხოების მესამე დონეზე (BSL-3) მიმდინარეობდა.** ანდრაგეტის განცხადება თავად „ბაქსტერის“ წარმომადგენლის ანალოგიური განცხადებით დადასტურდა. მესამე დონის ექსპერიმენტები ტარდება მხოლოდ დანარჩენი შენობებისაგან იზოლირებულ ლაბორატორიებში, სადაც დაშვება მკაცრად შეზღუდულია, მუშაობის პროცესი კი ადმინისტრატორების, მეცნიერებისა და დაცვის მრავალსაფეხურიანი კონტროლის პირობებში მიმდინარეობს.

კანადური და ევროპული მასმედია ერთხმად სვამდა ერთსა და იმავე კითხვას: იყო თუ არა ეს უბრალოდ დანაშაულებრივი დაუდევრობა? როგორც შტატების, ისე სხვა ქვეყნების ისტორიიდან მსგავსი ფაქტები ამოტივტივდა.

2002 წელს აშშ სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავები მისურიის შტატის ქალაქ სანტ-ლუისსა და სამხედრო საზღვაო ფლოტის გემების ჯგუფს ორი კილომეტრის სიმაღლიდან აფრქვევდა ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინას. ეს ჩუმად კეთდებოდა, არც ქალაქის მოსახლეობა და არც მეზღვაურები აღნიშნულის თაობაზე რაიმე ინფორმაციას არ ფლობდნენ. იმავე წელს **ბიოლოგიური კვლევის ზოგიერთმა ცენტრმა ამერიკის მოსახლეობას შესთავაზა, გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ მონაწილეობა მიეღო ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინასთან დაკავშირებულ ექსპერიმენტებში. ექსპერიმენტები სიკვდილის რამდენიმე ათეული შემთხვევით დასრულდა.** აღნიშნულ ფაქტს მასმედიაში დიდი აჟიოტაჟიც მოჰყვა.

ამჯერად კი ამერიკა მომხდარზე ჯიუტად დუმდა. კომპანია „ბაქსტერის“ „შეცდომის“ თაობაზე ინფორმაცია არც ერთ ამერიკულ გაზეთს არ გამოუქვეყნებია. არც ერთ ამერიკულ ტელეკომპანიას მომხდარის შესახებ გაკვრითაც კი არაფერი უთქვამს. აშშ ფედერალურ ხელისუფლებას, რომელსაც სტანდარტული პროცედურის მიხედვით, სამი კვირით ადრე უნდა დაელუქა კომპანია „ბაქსტერი“, გამოძიების დასრულებამდე თავი ისე ეჭირა, თითქოს არც არაფერი მომხდარა.

ამერიკის ცალკეული მოქალაქეების მიერ ციმბირის წყლულის ფხვნილიანი წერილების მიღების ორ განცალკევებულ ამბავს ამერიკული მასმედია ერთ წელზე მეტ ხანს ღეჭავდა. მით უმეტეს, რომ არც ერთ შემთხვევაში წერილებში ციმბირის წყლულის შემცველობა არ დადასტურდა. **„ბაქსტერის“ შეცდომის (?) შემთხვევაში საქმე ეხებოდა ევროპის 18 ქვეყნის მოსახლეობას. ამერიკული ხელისუფლების ამგვარი ინერტულობა დასავლეთ ევროპის საზოგადოებას შესაძლო დივერსიის შესახებ ეჭვები მხოლოდ გაუმყარა.**

## მხოლოდ შეთავაზება

მაშინ კომპანია „ბაქსტერის“ ჩანაფიქრი (თუ დავუშვებთ, რომ ეს ნამდვილად მიზანმიმართული დივერსია იყო) ორი პუნქტის მიხედვით ჩავარდა: ვაქცინა ბოლომდე დაუმუშავებელი აღმოჩნდა, ანუ ის მფრინავი გზით არ გავრცელდა. „ფრინველის გრიპი“ მხოლოდ ფიზიკური კონტაქტის მეშვეობით ვრცელდებოდა. მეორე ჩავარდნა კი ის იყო, რომ შემთხვევა ფართოდ გახმაურდა, რის შედეგადაც ევროპის 17-მა ქვეყანამ შუამავალთა თანდასწრებით გაანადგურა ვაქცინის მიღებული პარტიები.

არ გასულა სამი თვე და ამერიკული მასმედია თავგანწირვით აყვირდა სიცოცხლისთვის საშიში ახალი, ამჯერად უკვე „ღორის გრიპის“ თაობაზე. ამერიკელ და კანადელ ჟურნალისტთა ჯგუფებმა მექსიკაში გადაინაცვლეს და გაარკვიეს, რომ **დოკუმენტების მიხედვით, ვითომდა „ღორის გრიპით“ დაღუპულთაგან ოთხი ადამიანი სინამდვილეში ტრავმით გარდაიცვალა, ერთი — გულის უკმარისობით. დარჩენილი ორი მიცვალებული საკმაოდ ხანდაზმული ასაკისა იყო და ღორისას კი არა, სტანდარტულ გრიპსაც თავისუფლად შეეძლო მათთვის სიცოცხლის მოსწრაფება.**

ამის შემდეგ ამერიკა ახალი გრიპის „საფრთხის“ წინაშე კანკალებს და, რაც მთავარია, ცდილობს, რაც შეიძლება ემოციურად მიაწოდოს ევროპას ეს თავზარდამცემი ამბავი. ამერიკული და კანადური ტურისტული სააგენტოები მექსიკის კურორტებზე დასასვენებელ საგზურებს ლამის საჩუქრად არიგებენ. მასაჩუსეტსის ხელისუფლება კი თავის მოსახლეობას გრიპისაგან მასობრივი ვაქცინაციით იცავს და მექსიკასთან საზღვრის ჩაკეტვა აზრადაც არ მოსდის. გაირკვა, რომ ამის საჭიროება არც არსებობს. ამერიკულმა მასმედიამ საფრთხობელა შექმნა, ანუ მიზანი მიღწეულია. ამერიკის სახელმწიფო ვებსაიტზე პანიკას ველარ ნახავთ, ახლა იქ

# უკრაინაში „ღორის გრიპის“ ეპიდემიაა

**გასულ კვირას უკრაინაში C1N1-ის, იგივე „ღორის გრიპის“ ეპიდემიამ იჩინა თავი. ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრ ვასილი კნიაზევიჩის ხელთ არსებული წინასწარი მონაცემებით, უკრაინა მსოფლიო პანდემიურ ზონაში შევიდა. სამინისტრო ქვეყნის ხელისუფლებას კარანტინის დაწესების, სასწავლო დაწესებულებებში არადადეგების გაგრძელებისა და მასობრივი ღონისძიებების შეზღუდვის რეკომენდაციით მიმართავდა.**

კვირის დასაწყისში ქვეყანაში „ღორის გრიპით“ უკვე 53 მოქალაქე იყო გარდაცვლილი, 130 — მძიმე ავადმყოფად ითვლებოდა, 7,5 ათასი ადამიანი საავადმყოფოებში გადიოდა მკურნალობის კურსს. დაავადებულთა საერთო რაოდენობა 185 ათასს აჭარბებდა. შემოწმებისთვის ჯანდაცვის დაწესებულებებს სულ 191 ათასმა მოქალაქემ მიმართა.

2 ნოემბერს პრემიერ-მინისტრ იულია ტიმოშენკოს ბრძანებით, ქვეყნის აბსოლუტურად ყველა სკოლა, ლიცეუმი და უმაღლესი სასწავლებელი ხელისუფლების საგანგებო განკარგულებამდე დაიხურა. გადაიდო სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეების გაწვევა.

ქვეყნის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ ქვეყანაში დაწყებულ პანდემიას ეროვნული უსაფრთხოების საფრთხე უწოდა და მსოფლიო საზოგადოებას დაავადებასთან საბრძოლველად დახმარება სთხოვა. თხოვნის ოფიციალური წერილები გაიგზავნა რუსეთის, აშშ-ისა და ევროპის ქვეყნების პრეზიდენტებთან, ნატოს გენერალურ მდივანსა და ევროკავშირის პრეზიდენტთან.

2 ნოემბერს, გამთენიისას, უკრაინამ შვეიცარიისაგან ანტივირუსული პრეპარატის — „ტამიფლუს“ 300 ათასი დოზა მიიღო. ტვირთს აეროპორტში თავად პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკო დახვდა. მისივე განცხადებით, იმისათვის, რომ აფთიაქებმა ხალხს ცხრა პირი ტყავი არ გააძრონ, პრეპარატი პირდაპირ საავადმყოფოებს გაუნაწილდება. ამ კვირაში უკრაინა

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net




მხოლოდ ინსტრუქციები და გაფრთხილებებია. ხელისუფლების გათვლით, შესაძლოა, გრიპს 90 ათასი ადამიანი შეეწიროს, მაგრამ, თუ რამდენიმე სახელმწიფო წყაროს ყურადღებით გავაანალიზებთ, აღმოჩნდება, რომ „ღორის გრიპზე“ გაფრთხილებაზე მეტი მისი რეკლამაა.

## ნათელმხილველი

აშშ ფედერალური ხელისუფლება ისე მოქმედებს, თითქოს წინასწარ იცის, რა უნდა მოხდეს მომავალში. ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჟურნალისტის, ალექს ჯონსის მტკიცებით, **ფედერალური ხელისუფლების დაკვეთით უკვე დამზადებული და სახელმწიფო სამსახურ FEMA-ს (Federal Emergency Management Agency) დახურულ ბაზებზე გადანაწილებულია პლასტიკატის 500 ათასი ცალი კუბო. უამრავ შტატში სამხედროები აშენებენ მასობრივი დაკრძალვის ახალ სასაფლაოებს. ზოგიერთ შტატში FEMA-ს მიწისქვეშა ბაზებისა და დახურული ბანაკების მშენებლობა წარმოებს.** ამგვარი ბანაკები აღმოჩენილია ტეხასში, ვირჯინიაში, მერილენდში, არიზონაში... ასეთი კომპლექსებიდან ერთ-ერთი, სამხრეთ-აღმოსავლეთ კალიფორნიაში, მოჰავის უდაბნოში მდებარე, ვიდეოფირზეა დაფიქსირებული. ვისთვის შენდება ეს ბანაკები? რის საფუძველზე მიენიჭათ მათ გასაიდუმლოებულის სტატუსი?

FEMA საგანგებო სიტუაციების დროს მოსახლეობის დახმარების ფედერალური სააგენტოა. თავისი არსით, ეს სამაშველო სამსახურია, ყოველ შემთხვევაში, ასეთი იყო მანამ, ვიდრე 2009 წლის სექტემბრის დასაწყისში კონგრესი პენსილვანიის შტატის სენატორის თანაშემწის, ჯონ ჰალერის მიერ წარდგენილ კანონს დაამტკიცებდა. ამ კანონის თანახმად, FEMA-ს, როგორც დამხმარე ძალოვან სტრუქტურას, ახალი უფლებამოსილება მიენიჭა. საიდუმლოს გრიფი კი მან თავდაცვის დეპარტამენტისგან მემკვიდრეობით მიიღო. ვის სჭირდება ასეთი გასაიდუმლოება და რისთვის? **ნუთუ ეს საიდუმლო, სინამდვილეში იგივე საკონცენტრაციო ბანაკები, ამერიკის მოქალაქეებისთვის აშენდა? სწორედ ასე ფიქრობს ბევრი ამერიკელი ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, ექიმი და ამერიკული სპეცსამსახურების ზოგიერთი თანამშრომელიც კი.**

ცნობილმა ექიმმა, მეცნიერმა, მკვლევარმა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წარმომადგენელმა ჯონ გოროვიცმა რადიო „Coast to Coast“-ის რედაქტორს, ჟორჟ ნურის ინტერვიუში უთხრა, რომ **„H1N1 ვაქცინა ბოლომდე ჯერ კიდევ დაუმუშავებელია. მისმა გამოყენებამ შესაძლოა, უფრო მეტი სიკვდილიანობა გამოიწვიოს, ვიდრე თავად „ღორის გრიპმა“.** ამერიკის მრავალმა სამედიცინო ასოციაციამ იცის ამის შესახებ, მაგრამ ბრმად მიჰყვება ფარმაცევტული კომპანიის პროპაგანდას. ამ ასოციაციებიდან რამდენიმე საქმეს ფარმაცევტული გიგანტებისაგან ქრთამის აღების ბრალდებით იძიებენ. გოროვიცი თვლის, რომ **შტატების მოსახლეობის ვაქცინაცია შესაძლოა, ახალ გენოციდად იქცეს.**

ექიმებმა შერი ტენპენიმ და დონა რიჩარდსონმა კვლევების შედეგად დაასკვნეს, რომ **„ღორის გრიპი“ არაბუნებრივი წარმომავლობისაა, ის ერთ-ერთი ფარმაცევტული კომპანიის ლაბორატორიებში „დაიბადა“.**

**ჯანდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მაიკლ პაპანტონიმ ტელეკომპანია NBC-ის იმის დამადასტურებელი მასალა წარუდგინა, რომ ფარმაცევტული კომპანია „BAYER“-მა შიდსის ვირუსი ჯერ ხელოვნურად შექმნა, შემდეგ კი ევროპასა და აფრიკაში გაავრცელა.** მისი აზრით, **„ფრინველისა“ და „ღორის“ გრიპები კაცობრიობის საწინააღმდეგო ისეთივე დივერსიაა, როგორიც შიდსი.**

ფედერალებმა მშვენივრად იციან, რომ ამერიკის მოსახლეობა საკუთარი უფლებების დასაცავად რადიკალურ ზომებსაც არ მოერიდება. რა შეიძლება მოჰყვეს ამერიკის ვაქცინაციის ტრაგიკულ შედეგებს, ძნელი წარმოსადგენია.

ეს სულაც არაა იმ საკითხთა სრული ჩამონათვალი, რომლებიც დღეისათვის ამერიკის მოსახლეობას განარისხებს. 2009 წლის აპრილში ტეხასის მოსახლეობა ოფიციალურად დაემუქრა თეთრ სახლს, რომ, თუ ამერიკის ხელისუფლება გახსნის ტრანსამერიკულ გზატკეცილს მეხიკო-სიტიდან ოტავაში, ტეხასი ან შტატების შემადგენლობიდან გავა, ან სამოქალაქო ომს წამოიწყებს. ამერიკელებს კარგად ესმით, რომ ჩრდილოამერიკული კავშირის შექმნას (აშშ, კანადა, მექსიკა) ამერიკის კონსტიტუცია მთელი თავისი თავისუფლებებიანად შეეწირება.

2009 წლის აგვისტოში შემოღებულმა საკრედიტო ბარათების შევსების ახალმა მკაცრმა პირობებმა და საკრედიტო ხაზების მასობრივმა შეწყვეტამ ამერიკის ბანკების მოსახლეობასთან უხილავი ომის ახალი ფრონტი გახსნა. შედეგად, მხოლოდ პირველი თვის განმავლობაში 20 მილიონამდე ამერიკელი საკრედიტო ბარათის გარეშე დარჩა. ამერიკული საზოგადოება უკვე სადღეისოდ აღშფოთების უკიდურეს ზღვარზეა იმის გამო, რომ ხელისუფლება 2010 წლიდან მოქალაქეობის ჩამორთმევის მუქარით კანქვეშ ჩანერგილი მიკროჩიპით იდენტიფიკაციის ახალი მეთოდის დანერგვას გეგმავს. ყოველივე ზემოჩამოთვლილს მუდმივად მზარდი უმუშევრობა და დოლარის საბოლოოდ ჩავარდნის საფრთხე ემატება.

აშშ ხელისუფლება კი თავდაჯერებით მიჰყვება თავის გზას: 2009 წლის აგვისტოში, ვითომდა დანაშაულებათა რაოდენობის ზრდის საფუძველზე, ნიუ ჯერსის შტატში კომენდანტის საათი შემოიღეს. 2010 წლის დასაწყისიდან, ვითომდა პოლიციელთა შორის მასობრივი კორუფციის გამო, კომენდანტის საათის დაწესება დაგეგმილია ნიუ იორკის შტატში. **ერაყიდან გამოხმობილი 26 ათასი საზღვაო ქვეითი ახლა მასობრივი არეულობების ჩახშობისთვის გადამზადების სპეციალურ კურსს გადის.**

ზემოჩამოთვლილ მოვლენათა ჯაჭვი სერიოზულ საფიქრალს აჩენს იმის თაობაზე, უბრალო დამთხვევაა ყოველივე ეს, მიზანმიმართული დივერსია თუ გადამეტებული ჟურნალისტური უნდობლობა, მაგრამ H1N1-ის არსებობის ფაქტს ვერავინ ვერსად გაექცევა. ამერიკული ოფიციალური წყაროს მტკიცებით, ის თამამად დააბიჯებს მთელ პლანეტაზე.

**ვიქტორ ორიოლი**
**საერთაშორისო ჟურნალისტი, აშშ**




◀ კიდევ აპირებს, იმავე რაოდენობის პარტიის განმეორებით შეძენას.

უკრაინაში „ღორის გრიპის“ ეპიდემიისა და მასთან დაკავშირებული კარანტინის გამოცხადების გამო ზოგიერთი წყარო იუწყებოდა, რომ ქვეყანაში 2010 წლის 17 იანვრისთვის დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნები გადაიდო. პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ არჩევნები არ გადაიდება, თუმცა 19 ოქტომბრიდან დაწყებული წინასაარჩევნო კამპანია მთლიანად პარალიზებულია ეპიდემიის მიზეზით მასობრივი ღონისძიებების საყოველთაო აკრძალვის გამო.

# შიშველი და დაუბანელი ჯარისკაცები

**უკრაინის თავდაცვის სამინისტროს ფინანსთა დეპარტამენტის დირექტორმა ივან მარკომ განაცხადა — შეიარაღებული ძალების არასაკმარისი დაფინანსების გამო „ჯარისკაცებს ვერც ვმოსავთ და ვერც ვბანთო“. ეს განცხადება ჩინოვნიკმა პირველ ნაციონალურ ტელეარხზე გააკეთა. მარკომ, ასევე, დაიჩივლა, რომ ჯარების სამხედრო მომზადების დაფინანსება ამისათვის საჭირო თანხების მხოლოდ 8 პროცენტს შეადგენს. მისივე თქმით, შეიარაღებული ძალები მეტ-ნაკლებად მხოლოდ სამი მიმართულებით ფინანსდება: პირადი შემადგენლობის ფულადი უზრუნველყოფა, სამხედრო მოსამსახურეთა კვება და კომუნალური ხარჯები.**



„შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის განვითარებაზე ახლა საერთოდ არ ვლაპარაკობ, ის არ ფინანსდება“, — დაიჩივლა ჩინოვნიკმა. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ 400 უკრაინული სამხედრო თვითმფრინავიდან მხოლოდ 72-ს შეუძლია ფრენა. „ამასთან, მფრინავები წელიწადში 14 საათს დაფრინავენ და ეს ჩვენში მიღწევად ითვლება, რაც არანორმალურია“, — განაცხადა მარკომ.

ამაზე უკეთესი ვითარება როდია უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალებში. „კორვეტი „ტერნოპოლი“ ხმელთაშუა ზღვაში გავიდა, ნატოს ოპერაციაში „აქტიური ძალისხმევები“ მონაწილეობისთვის. არც ფული აქვთ და არც ხომალდის მოსამარაგებელი საწვავი.

ახლა სასწრაფოდ გადავრიცხეთ 420 ათასი დოლარი, რომ ხომალდმა ცურვა შეძლოს,“ — განაცხადა ჩინოვნიკმა.

რუსული ნავთობის ღირებულებამ მაქსიმუმს მიაღწია

„ურალსის“ მარკის რუსული ნავთობის საშუალო ფასმა 2009 წლის ოქტომბერში ბარელზე 72,5 დოლარი შეადგინა, რაც წლის დასაწყისიდან ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ამის შესახებ რუსეთის ფინანსთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილების ხელმძღვანელმა ალექსანდრე საკოვიჩმა განაცხადა. 2008 წლის ოქტომბერში ამ მარკის ნავთობის ფასი ბარელზე 67,15 დოლარი იყო.

2009 წლის იანვარ-ოქტომბერში ნავთობის საშუალო ღირებულებამ 58,31 დოლარი შეადგინა, რაც 17,31 დოლარით მეტია 2009 წლის ფედერალური ბიუჯეტის საპროგნოზო ფასზე. საკოვიჩის თქმით, ნავთობის მომატებული ფასი ბიუჯეტს დამატებით შემოსავალს მოუტანს.

# მილიონერი კანონმდებლები

**ამერიკამ მოულოდნელად შეიტყო, როგორ შოულობენ მილიონებს 30-ზე მეტი კონგრესმენი და მათი აპარატების თანამშრომლები. ეს ამბავი კონგრესის წარმომადგენლობითი პალატის ეთიკის კომიტეტის გამოძიებით დადგინდა. ამ კომიტეტის 22-გვერდიანი მოხსენება, რომელიც სამსახურებრივი სარგებლობისთვის იყო გათვალისწინებული, შეცდომით ინტერნეტში მოხვდა და ვილაცამ ის გაზეთ „ვაშინგტონ პოსტს“ გადაუგზავნა.**



ამ დოკუმენტიდან და, ასევე, სხვა სტრუქტურის მასალებიდან ნათელია, რომ ეთიკის ბიურო ყველაზე მეტად შეშფოთებულია პენტაგონის ხარჯების მაკონტროლებელი ქვეკომიტეტის თანამშრომლების მოქმედებებით. ეჭვმიტანილთა ნუსხაში მოხვდა ქვეკომიტეტის ხელმძღვანელი ჯონ მურტა და მისი რამდენიმე თანაპარტიელი: ნორმ დიქსი (ვაშინგტონის შტატიდან), პიტერ ვისლოსკი (ინდიანას შტატიდან), ჯეიმს მორანი (ინდიანიდან) და სხვები.

ყველა ეს პირი ბოლო ორი წლის განმავლობაში ხელს უწყობდა 200 მლნ დოლარზე მეტის გამოყოფას საკონტრაქტოდ იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ლობისტი კანტორის „პი-ემ-ეი გრუპის“ კლიენტები იყვნენ. კომპანიას კი, თავის მხრივ, სოლიდური შემოწირულობები შექონდა კანონმდებელთა საარჩევნო ფონდში. ასე მაგალითად, 77 წლის ჯონ მურტამ 2002, 2004 და 2006 წლების საარჩევნო ციკლებისას 2,37 მლნ დოლარი მიიღო, ხოლო 2007 და 2008 წლებში თითო მილიონი ერგოთ ვისლოსკისა და მორანს. სწორედ მაშინ დაინტერესდა ლობისტური ფირმის საქმიანობით გამოძიების ფედერალური ბიურო. ლობისტმა კომპანიამ სამართალდამცავი ორგანოების რეიდებისა და კომპანიის დამფუძნებელთა შორის გამართული დავის შემდეგ, 2008 წლის მაისში, არსებობა შეწყვიტა, თუმცა საქმის განხილვა გრძელდება.

წელს, ივნისში, ეთიკის კომიტეტმა იუსტიციის სამინისტროს, გფბ-სა და ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს განაცხადი გაუგზავნა მოთხოვნით, კონგრესმენ ჯეინ ჰარმანის სატელეფონო საუბრების ჩანაწერები მოგვაწოდეთო. ჯეინ ჰარმანი 7-ჯერ აირჩიეს კონგრესში, მაგრამ ის დაზვერვის კომიტეტის ხელმძღვანელის პოსტზე ოცნებობდა და იმედოვნებდა, რომ ამაში ებრაული ლობი დაეხმარებოდა და მის კანდიდატურას სპიკერ ნენსი პელოსს შესთავაზებდა. ამის სანაცვლოდ, კონგრესმენი მზად იყო, ორი დაკავებული ისრაელელი აგენტის ბედის შემსუბუქებაზე ეზრუნა.

64 წლის კანონმდებელს (ის წარმომადგენლობითი პალატის ყველაზე მდიდარი დეპუტატია, რომლის ქონება ფასიან ქაღალდებში 160 მლნ დოლარად არის შეფასებული) არაერთხელ უთქვამს, რომ ეთიკის კომიტეტიდან მასთან ამ თემაზე არასდროს არავის უსაუბრია. ეს პირველი სკანდალი როდია კონგრესში. ივლისში კომიტეტის თვალთახედვის არეში ფინანსური კომიტეტის წევრი მაქსინა უოტერსიც მოხვდა. ის მასაჩუსეტსის ერთ-ერთი ბანკისთვის მთავრობის მხრიდან ფინანსური დახმარების აღმოჩენაზე ზრუნავდა. ამ ბანკში კი მისი ქმარი 250 000 დოლარის ღირებულების აქციებს ფლობდა. ბანკმა უოტერსის დახმარებით 12,1 მლნ დოლარი მიიღო სახელმწიფო ხაზინიდან.

ეთიკური გამოძიებები აშშ კონგრესში იშვიათობა არ არის, თუმცა ისინი ყოველთვის კონფიდენციალურად მიმდინარეობს, რადგან ეთიკის კომიტეტი ერთ-ერთი ყველაზე გასაიდუმლოებული სტრუქტურაა: მისი წევრები და შტატიანი თანამშრომლები ხელწერილს დებენ ნებისმიერი ინფორმაციის გაუმჟღავნებლობაზე.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# როგორ უნდა ემსახუროს ღმერთს ღვთისმოშიში ერისკაცი

**საჭიროა, თითოეულმა ქრისტიანმა ერისკაცმა ნათლად წარმოიდგინოს, თუ რით და როგორ ემსახუროს ღმერთს, რათა განადიდოს მისი სახელი. დღეს სწორედ ამ თემაზე გვესაუბრება მამა ამირანი (ამირანაშვილი), თბილისის სიონის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის მოძღვარი.**





**— მამაო, მოციქული პავლე გვასწავლის, რომ ღვთისმსახურება ერისკაცთათვის გულისხმობს, „ყოველი საქმე ისე აღვასრულოთ, ვითარცა ღმრთისა“... გვითხარით, კონკრეტულად რა მოიაზრება ამ ფრაზაში?**

— ღმერთს ერისკაცი მხოლოდ მაშინ კი არ ემსახურება, როცა ეკლესიაში დგას და ლოცულობს ანდა, ღვთის მცნებათა შესაბამისად, რაიმე კეთილ საქმეს ან სათნოებას აღასრულებს, არამედ მაშინაც, როცა საკუთარ, ამქვეყნიურ საქმეებს აკეთებს, თუკი ღვთის წინაშე პატიოსნად და ერთგულად აღასრულებს ყოველივეს. ოღონდ სასარგებლო საქმე აკეთეთ და, რაც უნდა მცირე იყოს, როცა გულმოდგინედ ასრულებთ, ამით ღმერთს ემსახურებით. დღიური მუშაც კი, თუ პატიოსნად შრომობს, ღმერთს ემსახურება. გარდა ამისა, ერისკაცი ტაძარში აღსრულებული ღვთისმსახურების მოზიარეცაა, მიუხედავად იმისა, რომ ლოცვებსა და გალობას სასულიერო პირები წარმოთქვამენ.

**— წირვის დროს რით უნდა ვემსახუროთ უფალს?**

— წირვის დროს მთავარია სასოება, საიდუმლო და მხურვალე ვედრება ღვთისადმი, რომელიც კაცის გულშია ფარულად. გარდა ამისა, წირვის დროს მთავარია ერთობა ყოველთა დიდთა და მცირეთა, მღვდელთა და ერთა, ქალთა და კაცთა ერთი გრძნობით, ერთი აზრით, ერთი სიყვარულით, რაც ჭეშმარიტი ღვთისმსახურება და მსხვერპლშეწირვაა. ქრისტიანი ერისკაცი ღვთის საქმეს უნდა ემსახუროს ყველგან და არა მარტო ტაძარში.

**— განგვიმარტეთ, რას ნიშნავს „შედგომა ქრისტესი“...**

— უფალი თავისი მოწაფეებისგან „მის შემდგომად სვლას“ მოითხოვს, ანუ ქრისტიანი არ უნდა ჩამორჩეს, სულ მოძრაობაში უნდა იყოს და წინ მიდიოდეს. სვლა, ანუ მოძრაობა ქრისტეს მცნებათა აღსრულებას, ნაყოფის გამოღებას, სათნოებათა შინა სულიერ წარმატებას ნიშნავს. მარტო საკუთარი თავის უარყოფა, ანუ ცოდვასთან განშორება და ჯვრის აღება, ანუ განსაცდელთა დათმენა, ქრისტიანისთვის საკმარისი არ არის, იგი სულიერადაც უნდა ამაღლდეს.

**— რა იგულისხმება სულიერ ამაღლებაში?**

— დაბალი ხარისხის სათნოებებიდან უფრო დიდი სიმაღლეებისკენ უნდა ისწრაფვოდეს. რაც უნდა ჯანმრთელი იყოს სხეული, უმოძრაობით დასნეულდება, ასევეა სულიც — თუ ძილსა და მოსვენებას მიეცემა ადამიანი, ქრისტეს მადლს მოაკლდება, თანაც დაისჯება... შეგახსენებთ იგავს, სადაც მოთხრობილია იმ მონის ამბავი, რომელმაც ბატონისგან ბოძებული ტალანტი გამრავლების ნაცვლად მიწაში დაფლა.

**— ქრისტიან ერისკაცს სიმართლის სიყვარულიც ღვთისმსახურებაში ეთვლება?**

— ქრისტიანს მართებს „შიმშილი სიმართლისა“. მაცხოვარმა ნეტარი იმათაც კი არ უწოდა, ვისაც სიმართლე უყვარს, არამედ მათ, ვისაც იგი შია და სწყურია. ადამიანს რომ მოშივდება, მთელი ქვეყნის სიმდიდრეს ლუკმაპური ურჩევნია. ასე უნდა გვიყვარდეს სიმართლეც, იგი ჩვენთვის ყველაფერზე ძვირფასი უნდა იყოს. მაცხოვარი იმქვეყნად სიმართლისთვის მშიერთა და მწყურვალთ განძღომას აღუთქვამს. ის, ვინც აქ ცრუ იყო, ფარისევლობითა და მზაკვრობით ცხოვრობდა, იქ შერცხვენილი და დამდაბლებული იქნება, ხოლო გულწრფელი და სიმართლისთვის დევნილი ღვთის წინაშე ამაღლდება.

**— ქრისტიანებში გავრცელებულ მცდარ წარმოდგენებზე რას გვეტყვით?**

— მიუხედავად იმისა, რომ იესო ქრისტემ თავისი სწავლებით ადამიანი გაათავისუფლა მავნე შეხედულებებისგან, საუბედუროდ, ქრისტიანთა შორისაც არიან ისეთები, ვისაც სჯერა მცდარი აზრების, რაც მათ დიდ ზიანს აყენებს.

**— კერძოდ?**

— მაგალითად, ზოგიერთი ქრისტიანი თვლის, რომ კეთილშობილი კაცისთვის ფიზიკური სამუშაო სათაკილო და სასირცხვილოა. მათ გასაგონად მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ არ არსებობს ამქვეყნად საქმე, რომელსაც ადამიანისთვის სარგებლობის მოტანა არ შეეძლოს და ღირსების შემლახველი იყოს. საღმრთო წერილი სიტყვითაც და საქმითაც შეგვაგონებს, რომ შრომა კეთილი, საქები და ღვთივსათნო საქმეა. პავლე მოციქული თავისუფალ დროს კარვებს კერავდა და თავს ამ ხელობით ირჩენდა, ხოლო უმაღლესნი მამათა შორის — ბასილი დიდი, გრიგოლ ღმრთისმეტყველი და იოანე ოქროპირი მიწაზე მუშაობდნენ.

**— შრომაც ღვთისმსახურების ნაწილია?**

— ბედნიერებისა და კეთილდღეობის მოსაპოვებლად ქრისტიანისთვის შრომის გარდა სხვა საშუალება არ არსებობს. ღმერთმა კაცი ამქვეყნად შრომისა და გარჯისთვის შექმნა. მან თავისი ბუნების ყველა საჭიროება და მოთხოვნილება შრომით უნდა დაიკმაყოფილოს, ამისთვის მოგვცა ღმერთმა შობიდანვე რაიმე ნიჭი ან ღონე. საერთოდ, ქვეყნისა და მთელი საზოგადოების წარმატებაც, სიმდიდრეც და განათლებაც კერძო პირთა შრომისა და მეცადინეობის შედეგია.

**— ქვეყანაში მასობრივი უმუშევრობაა, რა ქნან იმ ადამიანებმა, ვინც სამსახურს ვერ შოულობს?**

— ზოგიერთები თავს იმართლებენ, შრომისთვის მზად ვართ, მაგრამ შესაფერის სამუშაოს ვერ ვშოულობთ, რა ვქნათო. ეს მიზეზი საპატიო არ არის. როგორ შეიძლება, კაცმა საქმე ვერ იპოვოს, თუ შრომა არ ეზარება?..

**— მამაო, ფაქტი სახეზეა!..**

— დაბრკოლება ექმნება მას, ვინც თავმოყვარეა და საპატიო საქმეს ეძებს, მცირეს არ კადრულობს. ამასთან დაკავშირებით, მინდა, ნამდვილი ამბავი მოგიყვეთ... ერთმა უზომოდ მდიდარმა ვაჭარმა, როცა დაბერდა და დასუსტდა, ყველა საქმე მემკვიდრეს გადააბარა, თვითონ კი ქალამნების კერვა დაიწყო და გლახაკებს ჩუქნიდა. როცა ეკითხებოდნენ, რატომ იქცეოდა ასე, პასუხობდა: ამის მეტი აღარაფერი შემიძლია, უსაქმოდ ყოფნა კი ცოდვაა.

**— ზოგიერთები მიიჩნევენ, რომ საერო განათლება ადამიანს ღვთის რწმენას უსუსტებს, ამაზე რას გვეტყვით?**

— უნდა გვახსოვდეს, რომ ურწმუნოება სწავლისა და მეცნიერების ნაყოფი არ არის, პირიქით, იგი უსწავლელობის, ანუ ზედაპირული, უსაფუძვლო ცოდნის შედეგია. ღრმა მეცნიერებას კაცი ღვთის რწმენამდე მიჰყავს.

**— მამაო, ხორციელი სნეულება ცოდვათა შედეგია?**

— თითოეულ ცოდვას ადამიანისთვის ხორციელი ან სულიერი უბედურება მოაქვს, დიდს — დიდი, მცირეს — პატარა. ყველაზე საშინელი შედეგი, ანუ ცოდვის ნაყოფი, იცით, რა არის? კაცს თანდათან ღვთის მადლი რომ აკლდება და მისი უკვდავი სული წარწყმდება, მაგრამ ცოდვა ამ სოფელშიც წაახდენს ხოლმე ადამიანს, ანუ ხორციელ სნეულებად და ტანჯვად ევლინება.

**— ცოტა ძნელი წარმოსადგენია...**

— მაგალითისთვის, ნაყროვანების ცოდვას შეგახსენებთ. ზედმეტი ჭამა უამრავი სნეულების მიზეზია. კაცი, რომლის გულსა და გონებას შური იპყრობს, მოუსვენარი ხდება, ფერს კარგავს, ჭკნება ხორციელად, რაც მის სხეულს ასნეულებს. სიზარმაცეც უამრავ დაავადებას იწვევს, რადგანაც კაცი ისეა აგებული, რომ შრომა და მოძრაობა ჯანმრთელობისთვის აუცილებელია. ცოდვის ჩამდენი მხოლოდ საკუთარ თავს როდი ასნეულებს და აუბედურებს, იგი ავადმყოფობასა და განსაცდელს თავის შთამომავლებსაც წინასწარ უმზადებს, რადგანაც მისი ხორციელი თუ სულიერი თვისებები მომავალ თაობას გენეტიკურად გადაეცემა. გახსოვთ შეკითხვა, რომელიც მაცხოვარს დაუსვეს ადამიანზე, ვინც შობიდან ბრმა იყო? იესომ უპასუხა: „ყოველი ცოდვა ისეთი თესლია, რომელიც თავის დროზე მწარე ნაყოფს აუცილებლად გამოიღებს“. გარდა ამისა,

**ის, ვინც სცოდავს, ძალიან ცუდ მაგალითს აძლევს ოჯახის წევრებსა და გარშემო მყოფთ. ჩვენი ცოდვები მძიმე ტვირთად გადაეცემა შთამომავლობას.**

**— თქვენ აღნიშნეთ, რომ შური ადამიანს ასნეულებს. გარდა ამისა, იგი სულის უსაშინლეს მტრად ითვლება. აგვიხსენით, რატომ?**

— ალბათ, სახარებიდან გახსოვთ, რომ მაცხოვარმა შაბათ დღეს ურიათა შესაკრებელში მძიმედ სნეული ქალი განკურნა, რითაც შესაკრებლის მთავარი განარისხა. მიზეზი, თითქოსდა, სჯულის კანონის დარღვევა იყო, ანუ სნეულის განკურნება უქმე დღეს. წინამძღვარი საშინლად გაბრაზდა, ნაცვლად იმისა, რომ საბრალო ქალის გამოჯანმრთელება გახარებოდა, რადგანაც მას შური ამოძრავებდა.

**— რატომ შურთ ადამიანებს ერთმანეთის?**

— შური არის მწუხარება, რომელსაც კაცი განიცდის, როცა მოყვასის სიკეთეს, წარმატებასა და ბედნიერებას ხედავს. ამგვარად, შესაკრებლის მოძღვარმა იხილა უფლის სასწაული და იფიქრა, რომ ხალხი მას განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა და შეშურდა. თუ ვინმე გულში ამგვარ მწუხარებას იგრძნობს და თავისი მდგომარეობის გარკვევას არ შეეცდება, საფრთხეში ჩავარდება და ქრისტეს მადლს დაკარგავს, რადგანაც შური და ქრისტეს მადლი გულში ერთად ვერ გაჩერდება, ამიტომაც უნდა ვუფრთხილდეთ ამ საშინელ ვნებას.

**— რატომ ითვლება შური ადამიანის სულის უსაშინლეს მტრად?**

— შურს უამრავი სხვა ცოდვა მოჰყვება, რის გამოც იგი სულის უსაშინლეს მტრად ითვლება. მაგალითისთვის საღმრთო წერილს მოვიშველიებ... საიდან გაჩნდა ქვეყანაზე ცოდვა და სიკვდილი, თუ არა შურისაგან, რომელიც ბედნიერი ადამისა და ევას შემხედვარე ეშმამ იგრძნო. შურმა მოაკვლევინა კაენს თავისი ძმა აბელი, ძმებს მონად გააყიდვინა უმანკო იოსები, შურის გამო სდევნიდა საული დავით წინასწარმეტყველს; დაბოლოს, ფარისევლებსა და მწიგნობრებს შურმა გონება ისე დაუბნელა, რომ მაცხოვარი და მისი რწმენა არ მიიღეს. საუბედუროდ, შურია კაცთა გულების უმოწყალო და სასტიკი ბატონი. ნეტარი მხოლოდ ის ადამიანია, ვისაც ღვთის სიყვარული აქვს.

**— როგორი უნდა იყოს სიყვარული ქრისტიანული გაგებით?**

— ღმერთი სიყვარულია და ნებისმიერ ადამიანში, თუ მას ღვთის სიყვარული აქვს, ღმერთი მკვიდრობს და მასთანაა მარადის. ვისთანაც ღმერთია, ნებისმიერ მტერს დაამარცხებს. ვისაც სიყვარული აქვს, იგი არავის შეურაცხყოფს — არც მცირეს, არც დიდს, არც მდიდარს, არც ღარიბს; საკუთარი თავი ყველაზე უღირსად მიაჩნია, ყველაფერს იტვირთავს, ყველაფერს დაითმენს, მოყვასზე არ იმედიდურებს, არ იბატონებს, არც არავის განიკითხავს, არამედ ამხელს და მოაქცევს, არ იმეგობრებს მზაკვართან, ამპარტავანთან, არ შეშურდება ცოდვილთა სიმდიდრე, პირიქით, იზრუნებს მათზე, ასწავლის და ანუგეშებს; არ უგულვებელყოფს უცხოს, შეიწყნარებს და მოასვენებს, ღვთის ნებას აღასრულებს, საკუთრად არაფერს მიიჩნევს, ყველაფერი, რაც აქვს, სხვებისთვის ნებავს, უცხოდ არავის თვლის, ყველას ემეგობრება, არ ახარებს ძმათა ბოროტება, ცილს არავის სწამებს, სხვის მტრობას გულში არ იდებს, ეშმაკის გარდა, ყოველივეს სულგრძელად ითმენს. ნეტარია კაცი, რომელმაც სიყვარული მოიპოვა და ისე წარდგა უფლის წინაშე. ვინც სიყვარულით იარსებებს, სამარადისოდ ღმერთთან იქნება.

ესაუბრა
**ნინო გოძიაშვილი**

# უფალი ყველას გვიხმობს, ჩვენ სხვადასხვაგვარად ვეპასუხებით

**რატომ არ ვიქცევით ყველანი ერთნაირად, როცა სახარებას, მარადიული ცხოვრების შესახებ ხარებას ვეცნობით? ზოგიერთები, მოისმენენ თუ არა ღვთის სიტყვას, მაშინვე იღებენ განუსჯელად; მეორენი ყოყმანობენ, წვალობენ, შვიდგზის ზომავენ, გაჭრას მაინც ვერ ბედავენ და სულიერი ნაყოფის გარეშე რჩებიან; მესამენი ფეხს დიდხანს ითრევენ, უჭირთ, მაგრამ ბოლოს მაინც მიდიან ქრისტესთან; მეოთხენი კი კატეგორიულად უარყოფენ ჭეშმარიტებას, თუნდაც არაფერი შერჩეთ ხელში სანაცვლოდ. საინტერესოა, რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ ყოველივე ჩვენს ნებაზეა დამოკიდებული.**



უფალი ყველას გვიხმობს, მაგრამ ჩვენ სხვადასხვაგვარად ვეპასუხებით. ვისაც საკუთარი თავი ღმერთად მიაჩნია, მისთვის ჭეშმარიტი ღმერთი საძულველი მეტოქეა და მისი ჯვარზე გაკვრა სურს. ზოგისთვის სულერთია: ფიქრობენ, რომ არც ულმერთოობით შავდება რამე და მორწმუნეობასაც არა უშავს რა, ცხოვრებას რწმენის გარეშეც ახერხებენ, თუმცა შეუძლიათ ირწმუნონ კიდეც, ოღონდ ერთი პირობით, თუ მსხვერპლს არ გაიღებენ.

ზოგს ღვთისმოყვარე სული აქვს, მაგრამ გონება თავისკენ ექაჩება, ეჭვები ღრღნის, უამრავ კითხვას სვამს, ყველაფერს წონის, მაგრამ, როცა ქრისტეს გზის ჭეშმარიტებაში დარწმუნდება, მიიღებს და რელიგიურად იცხოვრებს. ზოგმაც ჯერ არაფერი იცის ღმერთზე, მის სულს მოწყენა ეუფლება, მაგრამ ღვთის სიტყვას მოისმენს თუ არა, მაშინვე მიხვდება, რაც აკლდა, ყველაფერს მიატოვებს და ღმერთს ირწმუნებს.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რატომ დასცინიან ზოგჯერ მოზარდები ყოველივე ამაღლებულსა და წმინდას

**აი, რას წერს ნეტარი ავგუსტინე მშობელთა საყურადღებოდ ცუდი ჩვევებისა და აღზრდის მქონე ბავშვებზე, რომელთა შორისაც თავად იზრდებოდა: „სწრაფად მივექანებოდი თავქვე, სულიერი დაცემის გზით. იმდენად დაბრმავებული ვიყავი, რომ მრცხვენოდა ჩემი თანატოლების, რადგანაც მათთან შედარებით თავი მამა აბრამის ბატკანი მეგონა.**

რაც უფრო ურცხვნი და აღვირახსნილნი იყვნენ, მით უფრო ამაყობდნენ თავიანთი გარყვნილებით და მეც მსურდა, მათნაირი ვყოფილიყავი, ოღონდ არა იმიტომ, რომ გარყვნილება მომწონდა, არამედ პატივმოყვარეობის გამო. განა ბიწიერება გმობისა და განკიცხვის ღირსი არ არის? მე კი, სწორედ გაკიცხვის შიშით, სულ უფრო ღრმად ვეფლობოდი ჭაობში.

თუ სინამდვილეში სათაკილო არაფერი მქონდა ჩადენილი, თავად ვიგონებდი საძრახის საქციელს, რათა უბიწობის გამო არ შევეზიზღებოდი თანატოლებს და მასხრად არ აეგდოთ ჩემი უმანკოება".

თუ რა იყო ასეთი დაცემის მიზეზი, ამას თავად ნეტარი ავგუსტინე განმარტავს: „ო, მტრულო მეგობრობავ, წყეულო სურვილო, მხოლოდ და მხოლოდ თავშესაქცევად და სალაზღანდაროდ რაიმე ავნოს სხვას".

სამწუხაროდ, ცუდი ჩვევებისა და აღზრდის მქონე ბავშვები ყოველმხრივ ცდილობენ, თავიანთი ბოროტი ზნე ამხანაგებსაც გადასდონ.

მათი აზრით, როცა ირგვლივ ყველა მანკიერია, სასირცხვილო არაფერი აქვთ და სასაცილოდ იგდებენ ყოველივე ამაღლებულს, წმინდას.



# სულისთვის სასარგებლო რჩევები

● როგორც ძლიერი ქარი ფანტავს მტვერს, ისე გაცამტვერდება ჩვენი უბოროტესი მტერი — ეშმაკი, როცა უფლის დიდებას ვლაღადებთ, ლოცვა-ვედრებით ვდგავართ მის წინაშე და სინანულის წმიდა ცრემლს ვღვრით.

● ნურასოდეს იტყვი, დღეს შევცოდავ და ხვალ მოვინანიებო. ჯობს დღესვე პატიება, რადგანაც არავინ იცის, ცოცხალი იქნები თუ არა ხვალ.

● მთაზე ასვლა უფრო ძნელია, ვიდრე უფსკრულში დანთქმა, მაგრამ განა მთაზე ასვლას უფსკრულში გადაჩეხვა სჯობს?

● როგორც შორ გზაზე მიმავალი სარგებლობს საგზლის მარაგით, ქრისტიანსაც შეუძლია, სინდისის ქენჯნის გარეშე მოიხმაროს თავისი მიწიერი ქონება ზეციური სამშობლოსკენ მიმავალ გზაზე, ოღონდ ზედმეტად არ უნდა იზრუნოს ამაზე, რათა ცხოვრების მიზნად არ ექცეს.

● სხვას ყველაფერი შეუნდე, ხოლო საკუთარ თავს — არაფერი.

● ცოდვების შენდობის იმედი მას შეუძლია ჰქონდეს, ვინც საკუთარი თავით უკმაყოფილოა.

● ზღვაში ჩაგდებული ქვა იძირება და ყველასთვის უხილავი ხდება. ასევე, ქრებიან ღვთის მოწყალებაში ჩაძირული ჩვენი ცოდვებიც ზეციური მართლმსაჯულების თვალთა წინაშე, თუ მათ გულწრფელად მოვინანიებთ.

# ქრისტიანული მორჩილების შესახებ

**სახარებაში ვკითხულობთ უფლის სიტყვებს: „აღიღეთ უღელი ჩემი თქვენ ზედა, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა და ჰპოვეთ განსვენებით სულთა თქვენთაი".**

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სულის სიმშვიდე თავმდაბლობას მოაქვს. „როცა ადამიანი შესთხოვს უფალს, მიანიჭოს თავმდაბლობის უნარი, — ამბობს აბა დოროთე, — იგი უნდა მოემზადოს, რომ უფალი მოუვლენს ვინმეს, ვინც მას ხშირად დაამცირებს". იკითხავთ, ალბათ, რა საჭიროა მთხოვნელის დამცირებაო და გიპასუხებთ: საჭიროა, რათა თანდათან გამოუმუშავდეს თავმდაბლობის გრძნობა. ის, ვინც შეურაცხყოფას ითმენს, შინაგანად იწრთობა და დროთა განმავლობაში მოთმინება ჩვევაში გადადის, რის მეოხებითაც, გარკვეული პერიოდის შემდეგ, სიმშვიდეს მოიპოვებს, გამოიწრთობა და სულიერად გაიზრდება. გახსოვდეთ, თავმდაბლობის ყველაზე დიდი მტერი სიამაყეა. ამაყი ადამიანი გულში იხვევს ვნებებს, ჟინს, ხოლო თავმდაბლობა მას შუაში ჰკვეთს.

ამაყი კაცისთვის დამახასიათებელია: გაღიზიანება, კამათი, მრისხანება და ბუტიაობა, რაც, წმიდა იოანე ოქროპირის თქმით, ჭკუანაკლულობის ნიშანია.

უნდა ვეცადოთ, ყველანაირ ვითარებაში შევინარჩუნოთ სიმშვიდე. რასაც მოითმენ, იმას მოიგებო, ნათქვამია. შეეცადეთ, ადამიანებთან ურთიერთობაში გამოისწოროთ ხასიათი, გამოიწრთოთ და მორჩილების გრძნობა გამოიმუშაოთ. ნურავისთან იკამათებთ, ნუ გაბრაზდებით, სიმშვიდე ბოლომდე შეინარჩუნეთ.

ფიტარეთი



გელა ქოქიაშვილის ფოტო

# კიბოთი გარდაცვლილი ქალის მკვდრეთით აღდგინება

## ყოფილი პარტმუშაკის, კლავდია უსტიუჟანინას მონათხრობი

(გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ N35)

**(ეს მოხდა 1964 წელს ქალაქ ბარნაულში)**

უცებ გამოჩნდა აბორტისგან მკვდარი ქალი, რომელიც შენდობას, მოწყალებას ევედრებოდა უფალს. მან კი მიუგო: როგორ ცხოვრობდი ქვეყანაზე? მე არ მაღიარებდი და არ მიხმობდი, შვილებს კი შენს მუცელში ღუპავდი და სხვებსაც ურჩევდი: „რაში გჭირდებათ სიღატაკის გამრავლება". თქვენთვის ზედმეტია ბავშვები. მე კი არავინ მყავს ზედმეტი. ყოველივეს გაძლევთ, ყოველივე საკმარისი მაქვს ჩემი ქმნილებისათვის!..

უფალმა მითხრა: მე შენ სნეულება მოგეცი, რომ შეგენანა, შენ კი ბოლომდე მგმობდი მე...

და აი, მარცხნივ, ნახევრად დამწვარი, ჩონჩხადქცეული ადამიანებიც დავინახე; ურიცხვნი არიან და საშინელ მყრალ სუნს გამოსცემენ... ყველანი კვნესიან, ყელი გაშრობიათ, წყალს ითხოვენ, თუნდაც ერთ წვეთს. შემეშინდა, ისეთ რამეს მეუბნებოდნენ: ეს სული დედამიწის სამოთხიდან მოვიდა და სურნელოვანი სუნი ასდის; ადამიანს დედამიწაზე უფლება და დრო აქვს მინიჭებული, რათა ზეციური სამოთხე მოიპოვოს; და თუკი არ უშრომია დედამიწაზე უფლისათვის და საკუთარი სულის ხსნისათვის, ვერ ასცდება ჩვენს მტანჯველ ადგილსამყოფელს!..

ზეციურმა დედოფალმა მიმითითა ამ მყრალსუნიან შავ ადამიანებზე და მითხრა: გახსოვდეს, თქვენთან, დედამიწისეულ სამოთხეში, მოწყალებაზე მეტად არაფერი ფასობს — ალალი გულით გაიღეთ მოწყალება, ვისაც რამდენი შეგიძლიათ, როგორც უფალი გვასწავლის სახარებაში: ვინც ჭიქა წყალს გაუწვდის მწყურვალს ჩემი სახელით, თვით მასაც მიეზღვება ჯილდო უფლისაგან. თქვენ კი არათუ მხოლოდ წყალი გაქვთ უხვად, სხვა რამ საბოძვარიც არ გაკლიათ და ამიტომ უნდა ეცადოთ, გასცეთ უშურველად გაჭირვებულთათვის.

და უცებ, ერთ წამში ტარტაროზში აღმოვჩნდი: აქ უფრო უარესია, ვიდრე ძველ ადგილას. თავიდან ბნელოდა, მერე ეშმაკებმა მოირბინეს გრაგნილებით და ყველა ჩემს ბოროტ საქმეს მიჩვენებდნენ, თან მეუბნებოდნენ: აი, ჩვენ ისინი ვართ, ვისაც შენ ქვეყნად ემსახურებოდი!.. და მე თვითონვე ვკითხულობდი საკუთარ საქმეებს. ეშმაკებს პირიდან ცეცხლი გადმოსდიოდათ და თავში ცემა დამიწყეს. მე ვკიოდი აუტანელი ტკივილებისაგან, მაგრამ მხოლოდ სუსტი კვნესა მესმოდა... აქაც საშინლად ტანჯული ადამიანები ვიხილე; ისინი წყალს ითხოვდნენ და მეუბნებოდნენ: აი, შენც ჩვენთან მოხვედი, დობილო, და აქ იცხოვრებ. შენცა და ჩვენც უჯეროდ ვცხოვრობდით დედამიწაზე, არავინ გვიყვარდა — არც ღვთისმსახურები, არც ღარიბები; მხოლოდ ვამპარტავნობდით, ღმერთს ვგმობდით, ღვთისგან განდგომილთ ვუსმენდით, მართლმადიდებელ მწყემსებს კი ვაგინებდით და არასდროს ვინანიებდით ცოდვებს... ყველა, ვინც წრფელად მოინანია და ეკლესიაში დაიწყო სიარული, ახლა ზემოთ არის, სამოთხეში... შენც ჩვენთან იცხოვრებ და სამარადისოდ დაიტანჯები...

უცებ ღვთისმშობელი გამოჩნდა და იქაურობა გაანათა. ყველანი მას შეევედრნენ, გვიშველე, ამდენი ხანია, ვიტანჯებითო. ზეციური დედოფალი ტიროდა და ეუბნებოდა მათ: მე მხოლოდ იმას შემიძლია შევეწიო ჯოჯოხეთში ტანჯულთაგან, ვისთვისაც ეკლესია და ახლობლები ლოცულობენო...

როდესაც ჯოჯოხეთში ვიყავი, საკვებად მაძლევდნენ სხვადასხვაგვარ ჭიაღუას — ცოცხლებს თუ მკვდრებს, აყროლებულებს. მე უარს ვამბობდი და ვყვიროდი: აბა, ესენი როგორ უნდა ვჭამო? პასუხად მომიგებდნენ: — მიწიერი ცხოვრების დროს არ იცავდი მარხვებს. განა ის ხორცი იყო, რასაც შენ მიირთმევდი? ჭამე ახლაც ჭიები!

როცა წამოვედით, ჯოჯოხეთში დარჩენილები გაიძახოდნენ: არ დაგვტოვო, ღვთისმშობელო!

უცებ ყველაფერი დატრიალდა, სიმყრალე განქარდა და სხვაგან აღმოვჩნდი. დავინახე ჩვენი ეკლესია, რომელსაც ვაგინებდი. კარი გაიღო და იქიდან მღვდელი გამოვიდა, ერთიანად მბრწყინავ თეთრ სამოსელში. უფალმა მკითხა: ვინ არის ეს? მე მივუგე: ჩვენი მღვდელია-მეთქი. ხმამ მიპასუხა: შენ კი ამბობდი, მუქთახორააო. არა, ის მუშაკია, ჭეშმარიტი მწყემსი და არა მოჯამაგირე. ჰოდა, იცოდე: რა მცირეც უნდა იყოს იგი წოდებითა და ხარისხით, მე მემსახურება, უფალღმერთს. თუკი მღვდელი არ წაიკითხავს შენზე შენდობის, ცოდვათა მიტევების ლოცვებს, მეც არ შეგინდობო...

მე ვთხოვე უფალს: გამიშვი დედამიწაზე, იქ ბიჭი დამრჩა ობლად. პასუხად გავიგონე: — ვიცი, ბავშვი რომ გყავს. გეცოდება განა? მე ვეუბნები: — ძალიან მეცოდება, — შენ ის ერთი გეცოდება, მე კი უთვალავნი მყავხართ და ყოველი თქვენგანი სამჯერ უფრო მეცოდება. რად აირჩიეთ გზა უწმინდურებისა? რად ცდილობთ, მოიხვეჭოთ მიწიერი სიმდიდრე? ხედავ, მთელი შენი ქონება დაიტაცეს, შვილი უპატრონო ბავშვთა სახლში განაწესეს, შენი ცოდვილი სული კი აქ მოვიდა. დემონს ემსახურებოდი და მსხვერპლსაც მას სწირავდი — კინოში, თეატრში დადიოდი, ღვთის ეკლესიაში კი — არა... მე ველოდები, როდის გაიღვიძებთ ცოდვიანი ძილისაგან და როდის შეინანებთ... თქვენ თვითონვე იხსენით საკუთარი სულები, ილოცეთ, რამეთუ ძალზე მცირე დრო დაგრჩათ. მე მალე, ძალიან მალე მოვალ ქვეყნიერების განსასჯელად. ილოცეთ!

**გაგრძელება მომდევნო ნომერში**

# კითხვა-პასუხი

**შეიძლება თუ არა, ხატებთან დავდო მიცვალებულის სურათი, რომელზეც ცოცხალი ადამიანიცაა აღბეჭდილი?**

— ხატებზე წმიდანთა გამოსახულებაა აღბეჭდილი და მათ ცალკე კუთხე უნდა გამოუყოთ ოთახის აღმოსავლეთ ნაწილში. სასურველი არ არის, მათ გვერდით მოათავსოთ ვინმეს სურათი, მნიშვნელობა არ აქვს, ცოცხალი ადამიანისა იქნება თუ თქვენთვის საყვარელი გარდაცვლილი ახლობლის. არც ის არის მართებული, რომ მიცვალებულის სურათი დიდხანს, წლების განმავლობაში, გედოთ გამოსაჩენ ადგილას.

**მითხრეს, ლოცვების წაკითხვა მოძღვრის კურთხევის გარეშე არ შეიძლებაო, მართალია?**

— მისასალმებელია, თუ ადამიანი დილასაღამოს საერისკაცო ლოცვებს, საგალობლებს დამოუკიდებლად კითხულობს. ლოცვის სურვილი ღვთის ნებით ჩნდება, ლოცვა გაგაძლიერებთ, მაგრამ სასურველია, ეკლესიაშიც წაბრძანდეთ და მრევლთან ერთად ევედროთ უფალს. დიდი ძალა აქვს მრავალი მორწმუნის ერთობლივ ლოცვას, რადგანაც ბოროტს ძლევს და უფლისკენ მიემართება. გარდა ამისა, მოძღვარი გირჩევთ, რა ლოცვები უნდა წაიკითხოთ სხვადასხვა ცხოვრებისეულ ვითარებაში სულის გასაძლიერებლად და დასამშვიდებლად.

**ერთსა და იმავე საკითხზე ორმა მოძღვარმა სხვადასხვა რჩევა მომცა... ეს კანონზომიერია?**

— დიახ, სავსებით! მოძღვარი ადამიანია და უფალთან მისასვლელად გზას ისე ხედავს, როგორც მისი ადამიანური ბუნება კარნახობს. შესაძლოა, სხვადასხვა მოძღვარმა სხვადასხვანაირად გიწინამძღვროთ, მაგრამ ყველა მიგიყვანთ ჭეშმარიტებასთან. ექიმებიც სხვადასხვა მეთოდს იყენებენ მკურნალობის პროცესში, მაგრამ ყველას საბოლოო მიზანი პაციენტის გამოჯანმრთელებაა.

**რა მოვალეობა აკისრია ნათლიას ნათლულის წინაშე?**

— ნათლია ნათლულის სულიერი მშობელია; ასე რომ, მისი სულიერი აღზრდისთვის ისე უნდა ზრუნავდეს, როგორც ხორციელი მშობელი. ნათლია ნათლულის მუდმივი თანამგზავრი უნდა იყოს, რათა დაეხმაროს ქრისტიანულ ცხოვრებაში, გააძლიეროს ღვთისა და მოყვასის სიყვარულში, უნდა ეცადოს, რომ ეკლესიას არ დაშორდეს.

თუ ნათლია ნათლულზე არ ზრუნავს, სხვა ცოდვებთან ერთად ესეც მოეკითხება.

რუბრიკას უძღვება **ნინო გოძიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ოქტომბერში ავღანეთში 55 ამერიკელი მებრძოლი დაიღუპა, მათ ქართველი ჯარისკაცებით ჩაანაცვლებენ



**გასულ კვირას ქართულმა მასმედიამ სასიხარულო ცნობა გაავრცელა: ავღანეთში გასაგზავნად გამზადებულმა ჯარისკაცებმა წარმატებით გაიარეს წვრთნის პროგრამა სამშვიდობო ოპერაციების განსახორციელებლად პერმანენტული ომის ქარცეცხლში გახვეული აღმოსავლეთის ამ ქვეყანაში.**
**ქართული საზოგადოებრივი აზრი ავღანეთის კამპანიაში ჩვენი მონაწილეობის საკითხში ორ არათანაბარ ნაწილადაა გაყოფილი. წყალგამყოფი, ძირითადად, ემოციურ შეგრძნებებსა და აღქმაზე გადის — სხვის ომში თავის გადადების მიზანშეწონილობის შესახებ არგუმენტების დაპირისპირების წინა ხაზზე: ღირს? არ ღირს? ეს პუბლიკაციაც, ვატყობ, ამავე დონეზე დარჩება, თუმცა ავტორი ცდას არ დააკლებს, მკითხველს დაეხმაროს, მეტ-ნაკლებად კვალიფიციურად გაერკვეს პრობლემაში, რომლის ფესვებისა და მიზეზების ძიება მეცნიერული კვლევის საგანი და ამოცანაა. მივანდოთ ეს საქმე სპეციალისტებს.**


სიკვდილის წინაშე წარმოთქმული დაპირების სიტყვა გამართლდება?



მაშ ასე: ევროპელების ექსპანსია ავღანეთში ჯერ კიდევ **1838** წელს დაიწყო, როცა დიდმა ბრიტანეთმა 30000 ჯარისკაცი შეიყვანა ამ ქვეყანაში და ქაბულის ტახტზე თავისი კაცი — შაჰი სუჯა დასვა. 3 წლის შემდეგ ქვეშევრდომებმა შაჰი ტახტიდან ჩამოაგდეს.

**1879** წელს უკვე 39 ათასმა ბრიტანელმა ჯარისკაცმა შეუტია ავღანეთს. ქვეყნის მმართველი ინგლისის ექსპანსიას სიხარულით შეეგება. წელიწადნახევრის შემდეგ ინგლისელებს კუდით ქვა ასროლინეს.

**1887** წელს ავღანეთის საზღვრები რუსეთის იმპერიის ჯარებმა გადალახეს. ლონდონმა ავღანელებს მოსკოვისთვის უკომპრომისო წინააღმდეგობის გაწევა მოსთხოვა. შედეგად, რუსეთმა ავღანეთის მიწები დიდი ბრიტანეთის გავლენის სფეროდ აღიარა და კუშკაში გაჩერდა.

**1919** წელს ინგლისელები კვლავ შეიჭრნენ ავღანეთში, მაგრამ მცირე ხნით.

**1979** წლიდან **1989** წლამდე ავღანეთში სსრკ სამხედრო კამპანია მიმდინარეობდა ამ ქვეყნის „სოვეტიზაციის“ ამაო მცდელობით. უკანასკნელი პროსაბჭოთა ლიდერი ნაჯიბულა თალიბებმა ჩამოახრჩვეს. ქვეყანა ქაოსმა მოიცა.

**2001** წლის ნოემბერში ავღანეთში შეიჭრა ნატოს კოალიციური დაჯგუფება ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით.

მეცხრე წელიწადია, ამერიკელები ავღანეთის სამხედრო ოპერაციაში არიან ჩართული, რომელსაც ოფიციალურად ამ ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ეწოდება, პრაქტიკულად კი ომია, რომელსაც ჯერჯერობით დასასრული არ უჩანს და რომელიც ახლა ჩვენს ომადაც აქციეს.

ჩვენ რომ არაფერი გვაინტერესებს ავღანეთში, მტკიცებას არ საჭიროებს, მაგრამ რა დაჰკარგვიათ ამერიკელებს ამ ნახევრად უდაბურ, გასულ საუკუნეებში ჩარჩენილ ქვეყანაში?!

ვცადოთ ამის გარკვევა.

**დაღუპულთა რაოდენობა 4 ათასს უახლოვდება, დაჭრილებისა სამჯერ მეტია. ამერიკელთა დანაკარგებმა პირველ რეკორდულ დონეს წლევანდელ აგვისტოში მიაღწია — 47 კუბო ერთ თვეში, აგვისტოში კი ეს სამწუხარო რეკორდი მოიხსნა — 55 ამერიკელი სამხედრო დაიღუპა.**

## იოლად პროგნოზირებადი... მოულოდნელობა

ჩვეულებრივი ლოგიკით, მოულოდნელი უნდა იყოს დასკვნა, რომ **ამერიკელებს არ აინტერესებთ არც ომი, არც მშვიდობა,** მაგრამ ყველაფერი თავის ადგილზე დადგება, თუ დავუმატებთ: **ამერიკელები დაინტერესებულები არიან გლობალურ დომინირებაში.** და თუ ამ მიზნის მიღწევა შეიძლება ომით და ეროვნულ სახელმწიფოთა დაშლისა და რღვევის გზით, დაუფიქრებლად წავლენ ამ მიმართულებით, არაფერს მოერიდებიან. პოლიტიკოსები დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ ამ პრინციპს ეყრდნობა მსოფლიოს ამერიკული რესტრუქტურიზაცია. საამისოდ აშშ არქაულ ანკლავებში, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ დემოკრატიასთან, ქმნის თავის ბაზებს და ამრიგად განახორციელებს მსოფლიო დომინაციას.

პრაქტიკა ადასტურებს ანალიტიკოსთა ამ დასკვნას, მაგრამ პრაქტიკა იმასაც გვიჩვენებს, რომ **აშშ გლობალური სტრატეგია სერიოზულ, არცთუ იშვიათად, დაუძლეველ წინააღმდეგობებს აწყდება ადგილებზე.**

**ამის ნათელი მაგალითია ავღანეთი,** რომლის „დემოკრატიული დამორჩილებისათვის“ ამერიკა, მერამდენე წელიწადია, არც ადამიანურ რესურსებს, არც მატერიალურ უზრუნველყოფას არ იშურებს, მაგრამ ამ ქვეყნის ამერიკანიზაციამდე დღეს ისევე შორია, როგორც თავის დროზე მის გასაბჭოებამდე იყო ძალიან შორს.


მოჯაჰედი საფარში

ერთი შეხედვით, სრულიად უმნიშვნელო შტრიხი, რომლის შესახებაც 1987 წელს ესაუბრნენ ამ სტრიქონების ავტორს ავღანეთის ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელები, და რომელიც ნებისმიერ სიტყვაუხვობაზე მეტად წარმოაჩენს ღრმა და, როგორც ჩანს, დაუძლეველ წინააღმდეგობას, ავღანეთის ტრამალებზე ნებისმიერ ასიმილატორს წინ რომ გადაეღობება: ავღანეთის კომკავშირულ ორგანიზაციაში ვერა და ვერ გააერთიანეს ახალგაზრდა ქალები, რადგან ვერავითარმა ძალამ ვერ მოხადა ჩადრი, მაშასადამე, ვერც ფოტოსურათები გადაუღეს და, აბა, რა ეშმაკის გამოსახულება უნდა ჩაეკრათ ბილეთებსა და პირად საქმეებში?!

ეს ისე, ეგზოტიკისათვის. მაგრამ ეგზოტიკა ამ დეტალით არ მთავრდება. ამერიკელი პოლიტოლოგების, ექსპერტების, ანალიტიკოსების მიერ თავიანთი პრეზიდენტისათვის მიცემულ რჩევებსა და რეკომენდაციებში არის ერთი მასშტაბური და **აშკარად „ეგზოტიკური იდეა“, რომელიც „ომში რუსეთის მიწვევას“ გულისხმობს.**

ამ იდეაზე — ცოტა მოგვიანებით.

უწინარესად, პრაგმატული მხარე განვიხილოთ.

ამერიკულ The Washington Post-ში გამოქვეყნდა ამონარიდები ავღანეთში კოალიციური ძალების სარდლის **სტენლი მაკრისტალის** საიდუმლო მოხსენებიდან. გენერალი დაუფარავად ლაპარაკობს იმ სიძნელეებზე, რომლებსაც აქ გადააწყდნენ საერთაშორისო ძალები და ასკვნის, რომ **დამატებითი ძალების მიზიდვის გარეშე სამხედრო ოპერაცია „დანამდვილებით კრახით დასრულდება“.**

ამერიკელებს წინ ედოთ საბჭოთა კავშირის ავღანური კამპანიის გამოცდილება, რომელიც მათ უკარნახებდა, ამ ქვეყანაში შეჭრასა და ძალით დამკვიდრებაზე ხელი აეღოთ. კაცმა რომ თქვას, რაღა საბჭოთა, საკუთარი გამოცდილებაც ვიეტნამსა და კორეაში, იმავე ავღანეთში „ფარული ყოფნისა“, სავსებით საკმარისი იყო, არ გადაედგათ სარისკო ნაბიჯი ექსპანსიის მიმართულებით.

მაგრამ ავღანეთზე უარის თქმა ნიშნავდა მსოფლიო ჰეგემონობაზე უარის თქმას, თუნდაც, ახლო აღმოსავლეთის ამ ცალკეულ რეგიონში. ეს კი შტატების დიდ სტრატეგიაში „არ ჯდებოდა“.

აი, — რატომ.

ახალი ადმინისტრაციის მოსვლით აშშ სტრატეგიული მიზანი და მისწრაფება იგივე დარჩა, **ერთპოლუსიან მსოფლიოში გლობალიზაციის არსი იოტისოდენადაც არ შეცვლილა, როგორც მსოფლიო მასშტაბით ამერიკის ჰეგემონობის დამყარების კონსტატაცია, რომელშიც ამერიკულ ფასეულობათა, მისი ინსტიტუტების, სტრატეგიული ინტერესებისა და ეკონომიკური მოწყობის სისტემა ყველასთვის აუცილებელი იყო და რჩება.**

პოლიტოლოგები მიიჩნევენ, რომ **ერთპოლარული გლობალიზაცია თანამედროვეობის მთავარი პრობლემაა. ამერიკელები მის განსახორციელებლად „ორივე ხელით მუშაობენ“,** თანაც, საკმაოდ ორიგინალურად: **მოწინააღმდეგეებს საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენებენ და მოკავშირეებს მათი მეშვეობით მიაყენებენ დარტყმას.** მიზანი გლობალური კონტროლის დაწესებაა მოწინააღმდეგეებზეც და მოკავშირეებზეც. ამას **ბადისებრი ომების** კონცეფციას უწოდებენ.

ასეთ **ერთპოლარულ სისტემაში შტატებს არ შეიძლება ჰყავდეს მოკავშირეები.** მიაქციეთ ამ დებულებას ყურადღება. მისი ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით, ისეთებთან, რომლებიც შტატებზეა ჩამოკიდებული პოლიტიკურადაც და ეკონომიკურადაც, ეს არის **პატრონის ურთიერთობა ქვეშევრდომებთან.**

მაშ ასე: 9 წელიწადია, ამერიკა თალიბებთან ომშია ჩართული მის მიერ ორგანიზებულ **ავღანეთის უშიშროების უზრუნველყოფის საერთაშორისო ძალების დანაყოფებთან ერთად** (International Security Assistance Force. ISAF). ამ დროის განმავლობაში ამ ძალებმა ისეთი დანაკარგი განიცადა, რომ, ბოლოს და ბოლოს, გენერლებმა მათი გასაიდუმლოება გადაწყვიტეს. არაოფიციალური მონაცემები, რომლებიც მასმედიით ფართოდ გავრცელდა, ასეთია: დღეისთვის **დაღუპულთა რაოდენობა 4 ათასს უახლოვდება, დაჭრილებისა სამჯერ მეტია. ამერიკელთა დანაკარგებმა პირველ რეკორდულ დონეს წლევანდელ აგვისტოში მიაღწია — 47 კუბო ერთ თვეში, აგვისტოში კი ეს სამწუხარო რეკორდი მოიხსნა — 55 ამერიკელი სამხედრო დაიღუპა.**

ამ სიტუაციას არ შეიძლება არ გამოეწვია **ამერიკელთა ნატოს წევრი მოკავშირეების უკმაყოფილება,** რომლებიც ავღანეთიდან აბარგებას აპირებენ.

**აფორიაქებულია აშშ საზოგადოებრივი აზრი,** რაც ავღანეთიდან ამერიკელთა გამოსვლის მოთხოვნით გამართულ დემონსტრაციებში აისახება. აშშ სოციოლოგიუ-



საბჭოთა არმიის ჯარისკაცები ავღანეთში

◀ რი სამსახურების მონაცემებით, **ამერიკელთა მხოლოდ 30 პროცენტი უჭერს მხარს თავიანთი ჯარების ყოფნას შორეულ ავღანეთში.**

ავღანეთის პრობლემა ერთ-ერთია იმ პრობლემებს შორის, რომელთა ერთობლიობამაც, როგორც ამერიკული მასმედია აღნიშნავს, 78-პროცენტიანი რეიტინგით თეთრ სახლში მისული ბარაკ ობამას რეიტინგის რეკორდული ვარდნა გამოიწვია, რაც თვალშისაცემი წლევანდელ ივლისში გახდა, **როცა პრეზიდენტის მოღვაწეობა გამოკითხულთა 57 პროცენტმა მოიწონა. მესამე კვარტალში კი ეს მაჩვენებელი 53 პროცენტამდე შემცირდა.**

ერთგვარი „მოლოდინის რეჟიმის" შემდეგ, რომელიც ახალი ადმინისტრაციის პირველ ნაბიჯებზე დაკვირვებასთან იყო დაკავშირებული, აშშ და მსოფლიო პრესაში სულ უფრო ხშირად ფიქსირდება მკვეთრი პუბლიკაციები პრეზიდენტისა და მისი გუნდის ნეგატიური შეფასებით.

ყოველივე ამან ობამას ტაქტიკური ნაბიჯების რევიზია მოითხოვა, მათ შორის, ავღანეთის მიმართულებითაც. ამასთან, თეთრ სახლს გადაწყვეტილება ოპერატიულად უნდა მიეღო, რადგან პრეზიდენტის რეიტინგის ვარდნის თვითდინებაზე მიშვება ახალი ადმინისტრაციისთვის მომაკვდინებელი იქნებოდა.

ასეთ პერსპექტივას პრეზიდენტი ბარაკ ჰუსეინ ობამა, როგორც ჩანს, სხვებზე უკეთ ხვდებოდა და სწორედ ამიტომ

### აშშ პრეზიდენტი ამერიკული „გრუზ-200"-ს პირადად დახვდა

**განმარტებისთვის:** „გრუზ-200"-ს ავღანეთში დაღუპული მეომრების ცხედრებიან კუბოებს უწოდებდნენ, რომლებიც „ჩორნი ტულპანებად" (შავ ტიტებად) სახელდებული თვითმფრინავებით ჩამოჰქონდათ საბჭოთა კავშირში. ასეთი „ჩორნი ტულპანით" მოუწია მგზავრობა ამ სტრიქონების ავტორს და სურს, დაგიდასტუროთ — უმძიმესი გრძნობაა!

ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქცია პიარით იწყება: ქვეყნის ლიდერი ან წინაპრების საფლავებთან დებს ფიცს, ან ომში დაღუპული მეომრების მემორიალებთან. არის სხვა ნიუანსებიც, მაგრამ სიკვდილ-სიცოცხლეზე აქცენტი ყველგან აუცილებლად უნდა იგრძნობოდეს.

შეგიძლია, მუხლი მოიყარო დიდი ხელმწიფის საფლავზე და შემდეგ გამოაცხადო, რომ თავს დადებ შენი ქვეყნის გაძლიერებისთვის. და პირველსავე ომში დამარცხდე.

შეგიძლია, ულატაკესი ოჯახის მდგომარეობით შეწუხებულმა ცრემლი გადმოაგდო. შემდეგ გამოაცხადო, რომ იწყებ ბრძოლას სიღატაკის წინააღმდეგ და არნახულ გაჭირვებაში ჩააგდო მთელი ქვეყანა.

მთავარი დაწყებაა.

ბარაკ ობამას ჩასვლამ დელავერის შტატის სამხედრო-საჰაერო ბაზაზე, სადაც 26 ოქტომბერს ავღანეთში დაღუპული 18 ამერიკელის ცხედრები ჩამოასვენეს, საზოგადოებაზე შთაბეჭდილება, რა თქმა უნდა, მოახდინა.

თავისთავად ფაქტმა და, განსაკუთრებით კი, ამერიკის პრეზიდენტის არაორაზროვანმა განცხადებამ იმის თაობაზე, რომ **იგი არ იჩქარებს ავღანეთში თანამოქალაქეების გაგზავნას, რადგან არ სურს, ისინი საფრთხის წინაშე დააყენოს.**

ესე იგი, პრეზიდენტი ავღანეთიდან აშშ სამხედრო კონტინგენტის გამოყვანაზე თუ არა, შემცირებაზე ლაპარაკობს?

კიდეც — ჰო და კიდეც — არა!

**ცნობისთვის:** ავღანეთში დღეისთვის იბრძვის საერთაშორისო ძალების **67** ათასი სამხედრო მოსამსახურე, ამათგან თითქმის **42** ათასი ამერიკის მოქალაქეა.

ობამა ამერიკული კონტინგენტის შემცირებაზე ლაპარაკობს, თავისი ქვეყნის მოქალაქეების ავღანეთის მოთუხთუხე ქვაბიდან გამოყვანის შესახებ.

ეს — ჰო.

მაგრამ ზემოთ ნახსენებმა გენერალმა, კოალიციური ძალების სარდალმა სტენლი მაკრისტალმა კონტინგენტის 40 ათასით გაზრდა რომ მოითხოვა, ეს საქმე როგორღა იქნება? 29 ოქტომბერს ვაშინგტონიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ობამა სამხედრო კონტინგენტის გაზრდისკენ იხრება, თუმცა ჯერჯერობით ცნობილი არ არის — როგორი პროპორციით. ანონიმური წყარო იტყობინება, რომ ეს არ იქნება ის 40 ათასი, რომელიც კოალიციური ჯარების სარდალს გამარჯვებისთვის სჭირდება, მაგრამ არსებული კონტინგენტი სერიოზულად რომ გაიზრდება, უეჭველია. „პრაქტიკული თვალსაზრისით, — იტყობინება აღნიშნული წყარო, — საშუალება მიეცემათ, გააძლიერონ საერთაშორისო სამხედრო წარმომადგენლობა ავღანეთში".

მიაქციეთ ყურადღება: საერთაშორისო სამხედრო წარმომადგენლობა და არა ამერიკელების გაძლიერებული კონტინგენტი.

ჩვენი და ჩვენნაირი მოხალისე ქვეყნების მეომრების რაოდენობის გაზრდაზეა ლაპარაკი და, მათ შორის, წარმოიდგინეთ, რუსეთის ჯარის ნაწილებზე, ანუ იმ იდეაზე, რომელიც ზემოთ „ეგზოტიკურ იდეად" მოვიხსენიეთ.

გაზეთ The Washington Post-მა გამოაქვეყნა პოლიტიკურ კვლევათა პოტომაკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის **დენიელ გელინგტონის** წერილი „ომში მოვიწვიოთ რუსეთი", რომლის ავტორი სწორედ ამ იდეას ავითარებს. მას მიაჩნია, რომ ნატომ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წინადადებით უნდა მიმართონ მოსკოვს, რათა მან თალიბებთან საბრძოლველად გააგზავნოს „რეგულარული არმიისა და სპეცრაზმების დანაყოფების მნიშვნელოვანი რაოდენობა". ეს, ამტკიცებს იგი, ერთხელ და სამუდამოდ ბოლოს მოუღებს ბოევიკებს. თუ ამ წინადადებას სწორად გაიგებენ, იგი „რუსეთისთვის მიმზადველიც" შეიძლება გახდესო. ავღანეთი რუსეთისთვის ისეთივე სერიოზული საშიშროებაა, როგორც შტატებისა და ნატოსთვის ევროპასთან ერთად.

ერთი სიტყვით, რაღაც ანტანტის მსგავსი სამხედრო გაერთიანების იდეა შემოაგდო The Washington Post-მა. მაგრამ **ამ არასერიოზულ „ეგზოტიკურობაში" სერიოზული ქვეტექსტია — თალიბებს ებრძოლოს ყველა და ყველაზე ნაკლებად — ამერიკელები.**

არ გვეყო, რაც იქ იბრძოლეს ქართველმა მეომრებმა? **მგლისა და მგლისფერი ძაღლის ანდაზისა არ იყოს, სულერთი არ არის, ვისი დროშის ქვეშ დაიღუპებიან იქ ჩვენი ქვეყნის შვილები — სსრ კავშირის თუ შტატების, ვის იდეებს შეეწირებიან?**

ჩვენს საზოგადოებას კი ამასთან დაკავშირებით აზროვნების გვალვა დაემართა თუ რაღაც სხვა უბედურება სჭირს, ძნელი გასარკვევია.

ახლახან (19 ოქტომბერს) თბილისში სამუშაო ვიზიტით ჩამოვიდა აშშ თავდაცვის მდივნის მოადგილე **ალექსანდრე ვერშბოუ**. ოფიციალური ვერსიით, იგი, ზოგადად, საქართველოს ხელისუფლების მხარდასაჭერად ჩამოვიდა, კერძოდ, საქართველო-ამერიკის ქარტიის რეალიზაციის მიზნით გვესტუმრა.

ჩვენი პოლიტოლოგები კი სხვას ფიქრობენ. „ალიასთვის" მიცემულ ინტერვიუში რამაზ კლიმიაშვილი აცხადებს, რომ „ეგ ადამიანი ჩამოვიდა, რათა ჩვენი ბიჭები ავღანეთში წაასხას... **არ უნდათ არც ამერიკელებს, არც ევროპელებს ავღანეთში წასვლა და შევრჩით ჩვენ".**

**შევრჩით კი არა, ჩვენი ხელისუფლების მცდელობით, სამშობლოსთვის თავდადების რანგში აღვაზევეთ.**

**საზოგადოება კი დუმს.**

ვერშბოუს კვალზე ჩამოდიან ამერიკელი ინსტრუქტორები და საავღანეთოდ წვრთნიან ქართველ ჯარისკაცებს.

შემდეგ — ამერიკელი გენერლები ინსპექტირებას ატარებენ და კმაყოფილებას გამოთქვამენ ქართველი ჯარისკაცების მომზადების დონით.

**საზოგადოებრიობა კი დუმს.** ეტყობა, მოსწონს. ან ამ ფაქტს არ მიიჩნევს აღელვებისა და ხმის ამოღებისთვის საკმარის მიზეზად.

მოდი, პირდაპირ ვიტყვი: **დუმილით ეთანხმება სასაკლაოზე ჩვენი ბიჭების გაგზავნას.**

### ავღანეთი ორფოლოს პოლიგონი არ არის (რომელიც, სხვათაშორის, აღარც არსებობს), სადაც ომობანას თამაშობდნენ და თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი უკრაინაში ნაყიდ ჟანგიან ტანკს დააჭენებდა.

ავღანეთში სისხლიანი კალოტრიალებს, ისეთი, წარმოდგენაც რომ ძნელია — საიდან მოგეპარება, სად მოგცელავს, ვერ გაიგებ. რომც გაიგო, შეცვლი რამეს?! ჰკითხეთ უკვე ჭარმაგობაში შესულ ქართველ „ავღანელებს", ისინი გეტყვიან სიმართლეს.

მეც მინახავს და დავემოწმები.

თუ სხვა აზრი გაქვთ, თქვით, შემეწინააღმდეგეთ, ოღონდ ნუ დუმხართ!

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. სამწუხაროდ, შავი თვე გამოდგა ამერიკის შეიარაღებული ძალებისთვის ოქტომბერი, განსაკუთრებით, ბოლო კვირა. ავღანეთში დაღუპული ამერიკელი მებრძოლების დელავერში ჩამოსვენებით გამოწვეული დამთრგუნველი ეფექტი განელებული არ იყო, რომ Associated Press-მა ახალი ინფორმაცია გაავრცელა: პარასკევს, 29 ოქტომბერს, კალიფორნიის შტატის სამხრეთ სანაპიროსთან, კუნძულ სან-კლემენტედან 27 კილომეტრის დაშორებით, წყნარ ოკეანეში, ადგილობრივი დროით 19 საათზე კატასტროფა განიცადა აშშ შეიარაღებული ძალების ვერტმფრენმა AH-1 Cobra, რომელიც შეეჯახა სანაპირო დაცვის სატრანსპორტო თვითმფრინავ C-130-ს. 13 კაცი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.**

# ფილიპინურმა კომპანიამ ბათუმის პორტის ნაწილი გრძელვადიანი იჯარით შეისყიდა

**ჩვენს ქვეყანაში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთა შორის ფილიპინების საკონსულოც ირიცხება. ალბათ, ეს ერთადერთი შემთხვევაა (თუ არ ჩავთვლით კოტ დ'ივუარის ყოფილ კონსულს), როცა უცხო ქვეყანას ქართველი წარმოადგენს. ბიზნესმენი, საკრებულოს ყოფილი წევრი თემურ ჭიჭინაძე, უკვე მეშვიდე წელია, რაც ფილიპინების საპატიო კონსულია. დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და ფილიპინების რესპუბლიკას შორის 1992 წლის 21 სექტემბერს დამყარდა. 2004 წელს თბილისში რესპუბლიკის საკონსულო გაიხსნა, რომელიც წლეულს გენერალურ საკონსულოდ გადაკეთდა. საკონსულოს, ასევე, ჰყავს ვიცე-კონსული, ქალბატონი ქეთევან ეგაძე, რომელმაც ჩვენს ინტერვიუში მიიღო მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ფილიპინების საელჩო არ არსებობს და არც ჩვენს ქვეყანას ჰყავს წარმომადგენლობა ფილიპინებზე. ეს კი, როგორც ჩვენი რესპონდენტები აცხადებენ, გარკვეულ სირთულეებს ქმნის, რადგან დიპლომატიურ მიმოწერას ანკარაში არსებულ საელჩოსთან აწარმოებენ, რაც, თავის მხრივ, ხანგრძლივ პროცედურებთან არის დაკავშირებული.**

## თემურ ჭიჭინაძე, ფილიპინების საპატიო კონსული: ჩვენთან განვითარებული მოვლენების გამო ფილიპინელებმა საქართველოში ჩამოსვლისგან თავი შეიკავეს

**— ბატონო თემურ, გვიამბეთ, როგორ დაიწყო ჩვენს ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობა?**

— საქართველოში ფილიპინების საკონსულოს გახსნით თავად ფილიპინების სახელმწიფო იყო დაინტერესებული. მათ სურდათ, რომ აქ თავიანთი წარმომადგენლობა ჰყოლოდათ. ამასთან დაკავშირებით, მათი საგარეო საქმეთა მინისტრიც ჩამოვიდა საქართველოში და წარმომადგენლობის გახსნის საკითხი დასვა. როდესაც საკონსულო გაიხსნა, მათივე რეკომენდაციით, კონსულად მე დამნიშნეს. ეს, ალბათ, იმანაც განაპირობა, რომ თავის დროზე ფილიპინების გარკვეულ წრეებთან, პოლიტიკოსებთან, ბიზნესმენებთან მქონდა ურთიერთობები. მეც სიამოვნებით დავთანხმდი.

ფილიპინები საინტერესო განვითარებადი ქვეყანაა აზიის რეგიონში. თავიდან იყო საპატიო საკონსულო, მოგვიანებით გენერალურ საკონსულოდ გადაკეთდა.

ამჟამად საკონსულო სრული დატვირთვით მუშაობს. ახლახან ვიზების აზერბაიჯანის მოქალაქეებზე გაცემის უფლებაც მოგვცეს, ვინაიდან აზერბაიჯანში ფილიპინების წარმომადგენლობა არ არის. ძალიან ბევრი მსურველია.

**— ფილიპინებზე ჩვენი წარმომადგენლობის არარსებობა რა სირთულეებს ქმნის?**

— დღის წესრიგში, უკვე დიდი ხანია, დგას ფილიპინებზე საპატიო კონსულის დანიშვნა. ამას ფილიპინების სახელმწიფოც ითხოვს. რატომღაც ეს პროცესი შეჩერდა. ამასწინათ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს შევხვდი და კიდევ ერთხელ გადავეცი ფილიპინების სახელმწიფოს თხოვნა, გავაცანი იმ პიროვნების ავტობიოგრაფია, ვინც ფილიპინებმა წარმოადგინა. შეგვპირდნენ, რომ ეს საკითხი მაქსიმალურად მოკლე დროში გადაწყდებოდა. საქართველოს მთავრობამაც უნდა დანიშნოს იქ საპატიო კონსული. ამის აუცილებლობას დაკავებული 13 ქართველი მეზღვაურის მაგალითიც ადასტურებს.

**— თქვენ მეზღვაურები ახსენეთ, იქნებ დაწვრილებით გვიამბოთ, რა პირობებში იმყოფებიან დაკავებულები და გადმოსცემენ თუ არა მათ ქართულ მხარეს?**

— ჩვენი ძალისხმევით ყოველკვირეულად ვიგებთ ინფორმაციას, რაც, ძირითადად, მეზღვაურების ჯანმრთელობის მდგომარეობასა და მათდამი დამოკიდებულებას შეეხება. ასევე, ვიცით, რომ სატელეფონო კავშირი აქვთ ოჯახებთან.

მათ შესახებ ინფორმაციის მისაღებად ანკარაში ჩვენს საელჩოს ვუკავშირდებით. ისინი, თავის მხრივ, — ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს, შემდეგ — იუსტიციის სამინისტროს, დეპარტამენტს და ასე ვიგებთ ინფორმაციას. ჯერჯერობით მიმდინარეობს გამოძიება. საინტერესო ფაქტია, ფილიპინებზე დაკავებული გემი პანამის დროშით დაცურავდა, იარაღი ისრაელს ეკუთვნოდა, ხოლო მეზღვაურები ქართველები არიან. ამიტომ ეს ფაქტი თავისთავად ბევრ შეკითხვას ბადებს. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და საქართველოს მთავრობასთან სისტემატური ურთიერთობა გვაქვს და ძალისხმევას არ ვიშურებთ, რომ მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი მათი ბრალეულობის გარკვევას. ბრალის წაყენების შემდეგ, შეიძლება, საუბარი იყოს მათ გადმოყვანაზე. საქართველო აპირებს ფილიპინებში თავისი წარმომადგენლობის გაგზავნას, მაგრამ ჯერ მათგან ველოდებით პასუხს, თუ როდის ჯობს იქ ჩასვლა, თორემ ისეთი ბიუროკრატიული მექანიზმებია, შეიძლება ტყუილად ჩახვიდე. კომპანიამ, რომელსაც დაქირავებული ჰყავდა ქართველი მეზღვაურები, მათ უკვე აუყვანა ადვოკატი. სამწუხაროდ, გამოძიების შესახებ დეტალური ინფორმაცია არ გვაქვს.

**ქეთევან ეგაძე, ვიცე-კონსული**: — გვეუბნებიან, რომ დაკავებულების ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ჯერჯერობით გამოძიებით არ არის გამოკვეთილი, რა იქნება მომავალში — საქართველოში გამოუშვებენ და აქ განიხილავენ მათ საკითხს თუ ფილიპინებზე დარჩებიან.

**თემურ ჭიჭინაძე:** — ვიზის ასაღებად მათ ჩვენთვის არ მოუმართავთ. სხვა კომპანიის მიერ არიან დაქირავებულები და არავითარი ქართული ვიზა არ ჰქონიათ.

**— რადგან საუბარი სავიზო რეჟიმს შეეხო, გაიზარდა თუ არა ფილიპინებზე წამსვლელთა რაოდენობა? როგორც აღნიშნეთ, ეს პროცედურა გამარტივდა.**

**თემურ ჭიჭინაძე**: — გაიზარდა და იზრდება. ძირითადად, ეს უკავშირდება ბიზნესს, ტურიზმსა და დასვენებას. ტურიზმის თვალსაზრისით, ფილიპინები ძალიან საინტერესო ქვეყანაა; განვითარებულია ინფრასტრუქტურა. რაც მთავარია, ქვეყანაში იაფია ცხოვრება.

**— ფილიპინელებს თუ აინტერესებთ საქართველო და ჩამოდიან თუ არა?**

— ჩვენთან განვითარებულმა მოვლენებმა ეს პროცესი შეაფერხა. ახლა, ნოემბრის დასაწყისში ჩამოდის ჯგუფი, რომელიც დაინტერესებულია ხელშეკრულების გაფორმებით, ძირითადად, ტურიზმის სფეროში. სავარაუდოდ, ეს ორმხრივი ხელშეკრულება იქნება. ჩატარდება კულტურული ღონისძიებები — ჩვენ ჩვენს ხელოვნებას ვუჩვენებთ, ისინი — თავისას.

**— ჩვენს ქვეყნებს შორის თუ არსებობს საერთო პროექტები?**

— არა, არ არსებობს. ალბათ, ეს პროცესიც დაიწყება. შემდგომი ურთიერთობის გაღრმავება უკვე საელჩოების გახსნას გამოიწვევს და ა.შ. ფილიპინურმა კომპანიამ გრძელვადიანი იჯარით უკვე შეისყიდა ბათუმის პორტის ნაწილი. იქ საკონტეინერო ტერმინალი ფუნქციონირებს.

**— დაბოლოს, როგორ დაახასიათებთ ქვეყანას, რომელსაც თქვენ წარმოადგენთ საქართველოში. რამდენად ხშირად გიწევთ ფილიპინებზე ჩასვლა?**

— ხშირად არა. ფილიპინები ერთ-ერთი ქვეყანაა, სადაც ქრისტიანობა მთავარი რელიგიაა, ისინი კათოლიკეები არიან. ძალიან კეთილი, საინტერესო, შრომისმოყვარე ხალხია. მართალია, ის დონე არ არის, რაც სინგაპურში, მაგრამ ქვეყანა ცივილური განვითარების გზას ადგას. ფილიპინებზე არის ერთ-ერთი ზონა, სადაც ადრე ამერიკელების ბაზა იყო განთავსებული. ამერიკელთა წასვლის შემდეგ ფილიპინელებმა ეს ბაზა მაქსიმალურად გამოიყენეს — არ დაანგრიეს და იმ ადგილას თავისუფალი ეკონომიკური ზონა შექმნეს, რომელსაც დღეს ქვეყნისთვის მილიარდობით შემოსავალი მოაქვს.

ესაუბრა
**სალომე გოგოხია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# გეოპოლიტიკური ტრეფიკინგი და საქართველოს გზა არსაით

**საგარეო პოლიტიკური კურსის განსაზღვრისას ნებისმიერი სახელმწიფოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა, უპირველესად, იმაზე ფიქრობს, რა სარგებლობას მოუტანს ამ კურსით სვლა ქვეყანას. საქართველოს შემთხვევაში ყველაფერი პირიქითაა — ჯერ ხმამაღალ განცხადებებს ვაკეთებთ, თქვენ წარმოიდგინეთ, ყვირილამდეც კი, ხოლო შემდეგ, როდესაც დადებითი თუ უარყოფითი მხარეების დაკონკრეტებას გვთხოვენ, პატარა ბავშვებივით თავის მართლებაზე გადავდივართ. და როცა ვგრძნობთ, რომ ჩვენს სიტყვებს დამაჯერებლობა აკლია, აგრესიულად ვიწყებთ მტკიცებას, რომ ეს არის ქვეყნის ერთადერთი ხსნა.**




დიდი პოლიტიკა დიდი ადამიანების საქმეა და ამ შემთხვევაში სულაც არ ვგულისხმობ ფიზიკურ სიდიდეს. როდესაც პოლიტიკურ სპექტრსა და სახელმწიფოს მეთაურს ჩამოყალიბებული აქვთ ხედვა, თუ როგორ უნდა განვითარდეს ქვეყნის მომავალი, როდესაც გათვალისწინებული აქვთ საფრთხეები, ჯერ მათი აცილების ხერხებსა და მეთოდებს ეუფლებიან, ხოლო შემდეგ უკვე, მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით, იწყებს მიზანმიმართულ სვლას. სამწუხაროდ, საქართველოს შემთხვევაში ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაც კი არავის გახსენებია, როდესაც ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობის კარგად მცოდნე ხელისუფლებამ (რასაც ამ თემით ხშირად სპეკულირებაც ადასტურებს) ერთმნიშვნელოვნად გამიჯნა მტრები და მოყვრები. ძალიან დაუფიქრებელი უნდა იყოს პოლიტიკური ხელმძღვანელი, რომ უახლოესი მეზობელი თავის თავდაცვის დოქტრინაში უპირველეს მტრად გამოაცხადოს, ხოლო ათასობით კილომეტრით დაშორებული — მეგობრად.

კარგად მესმის, რომ XXI საუკუნეში მანძილი ძალიან შეამოკლა საინფორმაციო თუ სამხედრო ტექნოლოგიებმა, მაგრამ, ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს, პეტრეს მოსვლამდე პავლესთვის, ანუ საქართველოსთვის, ტყავის გაძრობას მეზობლები რამდენჯერმე მოასწრებენ. ვისაც შარშანდელი აგვისტოს ომი (რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ჯერ მოვლენად აფასებდა, შემდეგ პრეზიდენტმა სააკაშვილმა კატეგორიულად აუკრძალა ამ სიტყვის ხსენება — ომი უწოდეთო, ამას წინათ კი ერთ-ერთი უცხოური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში თვითონვე მოვლენად მოიხსენია) არ დავიწყებია, კარგად ეხსომება დასავლეთის შეშფოთება და, რაც ჩვენს გულს განსაკუთრებულ სალბუნად დაედო — აღშფოთება. ბევრ რამეს ამ ომისა და მასთან დაკავშირებული პერიპეტიების შესახებ მომავალში შევიტყობთ. წლისთავზე კი უკვე გავიგეთ, რომ ევროკავშირის შეშფოთებულ პრეზიდენტ სარკოზის აშშ-ს „აღშფოთებული" პრეზიდენტი ბუში მიუკიბ-მოუკიბავად ეუბნებოდა, თავი დაანებე საქართველოს, დაე, შევიდნენ რუსეთის ტანკები თბილისშიო.

რისთვის სჭირდებოდა ბუშს თბილისში რუსული ჩექმის გამოჩენა, პრეზიდენტ სააკაშვილს უკეთ ეცოდინება, რადგან აგვისტოს ავანტიურა, როგორც ტალიავინის კომისიამაც დაადასტურა, სწორედ მისი წამოწყებულია. სხვათაშორის, ეს ფაქტი საეჭვოდ დაემთხვა პეკინის ოლიმპიადას, როდესაც მთელი მსოფლიოს ყურადღება ჩინეთისკენ იყო მიპყრობილი, მაგრამ ამ თემაზე ვრცლად ნუ შევჩერდებით, რადგან „საქართველო და მსოფლიომ" რამდენიმე პუბლიკაცია უკვე მიუძღვნა.

დავუბრუნდეთ საქართველოს დასავლურ ორიენტაციას და რამდენიმეწლიან ქართულ (ვუწოდოთ პირდაპირ) მატრაბაზობას საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში გაერთიანების შესახებ. ნატოს გენერალური მდივნებიდან ჯერ ჰავიერ სოლანა გვპირდებოდა, შემდეგ იაპ დე ჰოოპ სხეფერმა ეს იმედები კვერცხისა და ცილის დუღაბით განგვიმტკიცა. ახლანდელი გენმდივანი ანდერს ფონ რასმუსენიც თავისი წინამორბედების მსგავსად გვაიმედებს. თუმცა სამივემ ძალიან კარგად იცოდა და იცის, რომ

> **საქართველოს მსგავს ქვეყანას ნატოში ვერასოდეს მიიღებენ არა იმიტომ, რომ აქ უამრავი პრობლემაა სასამართლო ხელისუფლებასა თუ მედიასთან დაკავშირებით, არამედ იმიტომაც, რომ ასეთი საკითხის გადაწყვეტისას ძლიერი სახელმწიფოები ერთმანეთს ანგარიშს უწევენ.**

ამას ადასტურებს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის — დევიდ მილიბენდის სიტყვებიც. კერძოდ, მისი თქმით, ნატოში უკრაინისა და საქართველოს გაწევრება რუსეთისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. მანვე დიპლომატებისთვის საყვარელი ზოგადი ფრაზა წარმოთქვა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის კარი ღიაა იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც იზიარებენ ალიანსის ძირითად ფასეულობებს.

შეგვიძლია დავმშვიდდეთ. ერთ-ერთი უძველესი იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრი გვაიმედებს, თუმცა იგივე მილიბენდი რუსეთსა და საქართველოს ერთმანეთის მიმართ ნდობის გაძლიერებისკენ მოუწოდებს: „წინ რომ წავიწიოთ, უნდა გავამყაროთ ნდობა რუსულ და ქართულ მხარეებს შორის". იგი რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის მიზეზების შემსწავლელი საერთაშორისო კომისიის დასკვნასაც გამოეხმაურა და განაცხადა, რომ „ეს ანგარიში კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ სამუშაოების აუცილებლობაზე, რომლებიც კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად მიმდინარეობს".

ის, რაც მილიბენდმა ახლახან განაცხადა, პრეზიდენტ სააკაშვილისთვის შარშანაც ცნობილი იყო, მაგრამ მისმა და მისი „ქორების" აგრესიულმა რიტორიკამ ომამდე მიგვიყვანა. ნატოს ბუქარესტის სამიტამდე სხეფერის საქართველოში ვიზიტისას პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავისი პატრონების მიერ მიცემული გარანტიები ფიანდაზად დაგვიფინა: „რეალური შანსია, საქართველო გაწევრდეს ნატოში. არადა, რუსეთის ნაციონალური უსაფრთხოების დოქტრინის მთავარი ქვაკუთხედია, არ დაუშვას საქართველოს მიახლოება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან. ყოველივე ამის ფონზე, რასაკვირველია, ახლა ბევრად უფრო სარისკო ზონაში ვიმყოფებით. სწორედ ახლა, როგორც არასდროს, გვჭირდება ერთ მუშტად შეკვრა, სიმტკიცე და აღმშენებლობის გაგრძელება".

როგორც ხედავთ, საქართველოს პრეზიდენტისთვის კარგად იყო ცნობილი რუსეთის მთავარი გამღიზიანებელი და ისიც იცოდა, რომ „ახლა ბევრად უფრო სარისკო ზონაში ვიმყოფებით". ამის მიუხედავად, მან თვალი რეალობას კი არ გაუსწორა, კოლუმბიის უნივერსიტეტში მოღვაწე ნევროლოგის ავთო კალანდაძის ეიფორია გაიზიარა: „დღეს ნატოს კარი ღიაა საქართველოსთვის. წამმზომი ჩართულია. საუკუნეების მანძილზე ნაოცნებარი დასავლური უსაფრთხოების წევრობა თვეებისა და დღეების საქმეა... საქართველომ ბეწვის ხიდი გაიარა. ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის".

სამწუხაროდ, ავთო ექიმს რომ ეგონა, ისე ვერ გაიარა საქართველომ ბეწვის ხიდი. ეს ხიდი შარშან აგვისტოში ჩაწყდა და საქართველო კიდევ ერთხელ დადგა არჩევანის წინაშე — რა გზას დაადგეს. არჩევანი ძალიან მწირია: საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლა, თუ...

ნუ გავაგრძელებთ. ამ „თუ"-ს ძალიან ცუდი განვითარება შეიძლება ჰქონდეს. მაგრამ სიმართლე მაინც უნდა ითქვას — როგორც ერთ-ერთი მკითხველი გვწერს, **„სხვა ტერიტორიების დაკარგვის საფრთხე არც თუ ისე შორეული პერსპექტივაა, თუკი ამერიკელებს არ დავეხსენით და კურსი, რომელმაც კატასტროფამდე მიგვიყვანა, არ შეიცვალა".**

საქართველომ, თვალი გავუსწოროთ სინამდვილეს, უკვე დაკარგა ორი კუთხე და გულზე მჯიღის ცემა, რომ არც ერთი ქართველი არასოდეს არ შეეგუება ამ რეალობას, ბაქიბუქის სფეროს ვერ გასცდება. ალბათ, ასევე მსჯელობდნენ ამ ასიოდე წლის წინათ, როდესაც ქართველებით დასახლებულ საინგილოს აზერბაიჯანს ჩუქნიდნენ. დღეს საინგილოში ქართული „დედაენის" შეტანის უფლებას არ გვაძლევენ ჩვენი „ძმები". მაგრამ ეს არცთუ შორეული, მაგრამ წარსულია. ისევ დღევანდელობას დავუბრუნდეთ.

სადღეისოდ საქართველოში შექმნილ რეალობასთან ყველაზე ახლოსაა პოლიტოლოგ ალექსანდრე ჭაჭიას მოსაზრება:

> **„ქვეყნისთვის რაიმეს გაკეთება მხოლოდ საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლის შემთხვევაშია შესაძლებელი... აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წასვლა საქართველოზე თავსმოხვეული საგარეო პოლიტიკური კურსის ბუნებრივი შედეგია".**

ამ რეალობისთვის თვალის არიდებამ საქართველოს კატასტროფა გამოიწვია. არადა, პოლიტოლოგი ჯერ კიდევ 1998 წელს აფრთხილებდა საქართველოს ხელისუფლებას და ახლაც აფრთხილებს: **„საქართველოში არის სოლიდური რაიონები, რომელთაგან ერთი სომხებითაა კომპაქტურად დასახლებული, მეორე — აზერბაიჯანელებით. იქ ისინი ყველა სხვა ეროვნებას სჭარბობენ და საკმაოდ იზოლირებულად ცხოვრობენ საკუთარი ეროვნული ტრადიციებითა და ინტერესებით. იმ ტერიტორიის მთლიანობა, რაც დღეისათვის დარჩა საქართველოსგან, დიდადაა დამოკიდებული საქართველოს ხელისუფლების სომხეთსა და აზერბაიჯანთან და, რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს ქართველი პოლიტიკოსებისთვის, რუსეთთან ურთიერთობაზე. არის სხვა პრობლემური რეგიონებიც. მაგალითად, აჭარაში ძალზე ძლიერია თურქეთის ინტერესები და გავლენა. აჭარის ავტონომიის გარანტი ორი სახელმწიფოა: თურქეთი და რუსეთი".**

საქართველოს თავკერძა ხელისუფლება პოლიტოლოგ ალექსანდრე ჭაჭიას ამ მოსაზრებას რომ არ ითვალისწინებს, მისი მოქმედებებითაც დასტურდება. პრეზიდენტი სააკაშვილი ჩვენი ქვეყნიდან რაც დარჩა, იმას ისე წარმოაჩენს, თითქოს **„საქართველო სადღაც ლუქსემბურგსა და შვეიცარიას შორის მდებარეობს" (ა. ჭაჭია).** ამას ადასტურებს პრეზიდენტ სააკაშვილის არაერთი განცხადება, რომ საქართველომ საუკეთესო ბიზნესგარემოს მსოფლიო რეიტინგში გაუსწრო ბელგიას, გერმანიას, ნიდერლანდებს, ავსტრიას, თურქეთს... ჩამოთვლას ნუღარ გავაგრძელებთ, პრეზიდენტ სააკაშვილს მაინც ვერ დავასწრებთ რუსეთის აუგად ხსენებას.

მართალია, ყველას ვერა, მაგრამ ისეთ ქვეყნებს ვაჯობეთ (რეიტინგით, რა თქმა უნდა!), რომ თავის მოსაწონებლად ჭეშმარიტად გვაქვს საფუძველი. მაგრამ რა ვუყოთ რეალობას, რომელიც არა მხოლოდ დღევანდელობას, არამედ საქართველოს მომავალსაც ემუქრება?! სად დავემალოთ სახელმწიფო გარანტიით აღებულ საგარეო ვალს, რომლის საერთო რაოდენობა სამ მილიარდ დოლარს მიუახლოვდა?!

ნამდვილად არ ვიცი გერმანიის საგარეო ვალის საერთო რაოდენობა, მაგრამ ჩვენ რომ თითქმის 167 მილიონი გვმართებს ამ ქვეყნისა, ეს ფაქტია. როგორც ჩანს, ჩვენს პრეზიდენტს მოყვრები დიდად არ სწყალობენ და ნიდერლანდებისა მხოლოდ 12 მილიონი დოლარი გვმართებს. ჩვენზე გაცილებით „ჩამორჩენილი" თურქეთი როდის მოგვთხოვს 40 მილიონამდე დოლარის ვალის დაბრუნებას, უცნობია. აი, ყველაზე ჩამორჩენილმა და კატასტროფის ზღვარზე მყოფმა უპირველესმა მტერმა რუსეთმა 199 მილიონ 433 ათასი დოლარი რატომ გვასესხა ან ჩვენ რატომ დავთანხმდით მტრის შეწევნას, მართალი გითხრათ, ჩემთვის დიდი გამოცანაა.

მოკლედ, წინ მივდივართ, მივიწევთ განწირულის სულისკვეთებით. პრეზიდენტ სააკაშვილს მერანი საერთოდ არც სჭირდება, ისე მიაჭენებს და ამ ჭენებ-ჭენებაში საქართველო შაგრენის ტყავივით ილევა. გვაბრუებენ, საქართველოს მოსახლეობის 70 პროცენტი ნატოში გაწევრების მომხრეაო. შემოხაზული ბიულეტენებიც ბლომად ჩაყარეს (ანდა ეს რაში სჭირდებოდათ, ოქმები მათ ხელში არ იყო?) და ოკეანისგაღმელ პატრონებს უპატაკეს, მთელი საქართველო ნატოს მზეს ფიცულობსო. ჩვენც არაერთხელ გვითხრეს, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრების შემდეგ ალიანსის მეხუთე მუხლი ამოქმედდება და დაგვიცავსო. როგორ დაგვიცვეს შეშფოთება-აღშფოთებით, უკვე ვნახეთ!

ალბათ, არც საქართველოს ხელისუფლებას სჯეროდა ბოლომდე და მთლად მათ იმედზეც არ დაგვტოვეს — საქართველოს შეიარაღებული ძალების აღმშენებლობას მილიარდობით ლარი მოახმარეს. ჯერ მარტო რეზერვისტების ინფრასტრუქტურის მოსაწყობად დახარჯული 19 მილიონი ლარი რად ღირს, მერე მძიმე ტექნიკის, შეიარაღებისა და საბრძოლო მასალებისთვის გაღებული 558 მილიონი ლარი, საჰაერო თავდაცვისთვის გასროლილი 182 მილიონი ლარი და კავშირგაბმულობის საშუალებებისთვის გამოყოფილი 31 მილიონი ლარი. რეზერვისტების მომზადების დონეც ვნახეთ, ერთ დღეში განადგურებული საჰაერო თავდაცვის სისტემებიც და ჩრდილოეთისკენ მიმავალი ნაალაფარი მძიმე ტექნიკაც. საქართველოს ხელისუფლება კი დაგვცინოდა. ციტატა, რომელსაც ახლა შემოგთავაზებთ, გამოქვეყნდა პრეზიდენტობის კანდიდატ სააკაშვილის წინასაარჩევნო ჟურნალში „გზა გამარჯვებისკენ": **„21-ე საუკუნეში ყველაზე ნეიტრალური, მშვიდობისმოყვარე, უსაფრთხო მსოფლიოს ყულაბა, შოკოლადივით შვეიცარია, ყოველწლიურად შვიდ მილიარდს ხარჯავს თავდაცვაზე. ყველა მამაკაცი რეზერვისტია, განურჩევლად ასაკისა, პროფესიისა და ინტელექტისა. პერიოდულად გადიან წვრთნებს, მუდმივ მზადყოფნაში არიან და ტყვიამფრქვევები სხვენში უწყვიათ, ჩვენი კომბლესავით".**

მე არაფერს ვიტყვი. თავად განსაჯეთ, ამის დამწერი და ასეთი შედარების მომყვანი ნორმალურია? განა, ეჭვი გეპარებათ, რომ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას ეს ქვეყანა მართლაც „სადღაც ლუქსემბურგსა და შვე-

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

იცარიას შორის ჰგონია“? არადა, მგონი, მართლაც დროა, კომპლექს ვთლიდეთ და... სხვენში დასაწყობად კი არა, იმდენი თავია საკომბლედ მოპრიალებული და იმდენი გავაა ბიუჯეტის ხარჯზე გასქელებული, რომ...

პირველი ევროპელების — ზეზვასა და მზიას თავის ქალების აღმოჩენის შემდეგ მართლა დავიჯერეთ, რომ ჩვენც ევროპელები ვიყავით, ჩვენი კავკასიელობა დავივიწყეთ და, უახლოეს მეზობლებთან ურთიერთობის მოწესრიგების ნაცვლად, კონფრონტაციის გზას დავადექით. შედეგი ყველასთვის თვალნათელია — დანაწევრებული საქართველო, სადაც სიმშვიდე კიდევ დიდხანს ვერ დაისადგურებს. გამოსავალი ყველამ ერთად უნდა ვეძებოთ. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, რეალური ვითარების ობიექტურად ასახვასთან ერთად, დაინტერესდა საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსისადმი ხალხის დამოკიდებულებით და თავის საიტზე განათავსა შეკითხვა — „ეთანხმებით თუ არა ხელისუფლების საგარეო პოლიტიკას?“ შეკითხვას საიტის ქართულენოვან გვერდზე 247 მკითხველი გამოეხმაურა, რომელთაგან 219 არ ეთანხმება, 22 მზადაა, მოუსავლეთში გაჰყვეს პრეზიდენტ სააკაშვილს, ექვსს კი, რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, დღევანდელი რეალობის მიუხედავად, უჭირს პასუხის გაცემა. იგივე შეკითხვა გამოქვეყნდა საიტის რუსულენოვან გვერდზეც. 270 მკითხველიდან 255 არ იწონებს საქართველოს საგარეო პოლიტიკას.

როგორც ხედავთ, ბოლო ერთი წლის მანძილზე განვითარებულმა მოვლენებმა რადიკალურად შეცვალა სააკაშვილისა და მისი ხელისუფლებისთვის სასურველი რეალობა. საით წავიდეთ? შეკითხვა, რომელიც დღეს ყველაზე მწვავედ დგას ქართველი საზოგადოების წინაშე, პასუხგაცემულია. თუ ჩვენი არჩევანი ევროპაა, მაშინ უნდა შევეგუოთ იმასაც, რომ „ბებერი მეძავი“, როგორც მას მეოცე საუკუნის პოლიტიკოსები უწოდებდნენ, თავის პირობებს წამოგვიყენებს და ჩვენც საროსკიპოში მოხვედრილ იმ გამოუცდელი პატარა გოგოს როლში აღმოვჩნდებით, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ წარმოუდგენია, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლია.

საქართველოს პოლიტიკური ტრეფიკინგი ემუქრება. იმავე ევროპაში, კერძოდ კი, პარიზში, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ღია ქალაქად გამოცხადდა, ეიფელის კოშკზე ფრანგებმა სპეციალურად არ წაშალეს წარწერები „აქ იყო ჯონი ტეხასიდან“, „აქ იყო ბილი ოჰაიოდან“ და სხვა, მომავალი თაობებისთვის მხოლოდ და მხოლოდ იმის მისანიშნებლად, რომ „აქ“, ანუ პარიზში, აღარ სურთ ჯონისა და ბილის სტუმრობა. ბებერმა ევროპამ ეს უკვე გამოცადა. ახალგაზრდა საქართველო კი თავისი გულუბრყვილობითა და გამოუცდელობით ჯიუტად მიიწევს სწორედ იმ ხაფანგისკენ, საიდანაც თავის დაღწევა კიდევ უფრო გაუჭირდება.

ერთადერთ იმედად ხალხის დამოკიდებულება რჩება, იმ ხალხისა, რომელიც საქართველოს ხელისუფლების საგარეო კურსს არ ეთანხმება, რადგან კარგად გრძნობს, რომ ეს არის გზა არსაით.

**ბონდო მძინარაშვილი**

# კმარა ცეტკინი,

## ანუ თეა თუთბერიძის გაჟანადარკებული პროფილი



### თეა თუთბერიძე: დღეს საქართველოში საპატრიარქოს უფრო დიდი ძალა აქვს, ვიდრე ხელისუფლებას თავის მერაბიშვილთან ერთად

**საქართველოში, ბოლო ორი კვირაა, დიდი ხმაურია ატეხილი იმ ვიდეომასალების გამო, რომელიც თავისუფლების ინსტიტუტელმა ქალბატონმა კმარა ცეტკინმა (თეა თუთბერიძემ) პოპულარულ საიტზე — facebook-ზე, თავის პირად გვერდზე განათავსა. ვინ რა დივიდენდები მიიღო პატრიარქის გარშემო ატეხილი ბინძური ამბიდან და რა მოტივი ჰქონდა თეა თუთბერიძეს? აპირებდა თუ არა ხელისუფლება მის „გადაგდებას“ და დაასწრო თუ არა მას თუთბერიძემ? იქცა თუ არა თეა თუთბერიძე „განტევების თხად“ და სცადა თუ არა ხელისუფლებამ რეიტინგის აწევა მისი საშუალებით?.. ერთი რამ ცხადია — ამ ოდიოზური კმარელის სახელი და გვარი საზოგადოების წარმომადგენლებმა შვიდსავე ბრუნვაში ატრიალეს და წინამდებარე მასალის ქვესათაურებიც სწორედ ამ გარემოების ხაზგასასმელად შევარჩიეთ.**

#### სახელობითი — თეა თუთბერიძე

— თუ უყურებთ ტელევიზორს, სარგებლობთ ინტერნეტით, უსმენთ რადიოს, კითხულობთ პრესას, ამ სახელსა და გვარს ყველა ბრუნვაში გაიგონებთ. facebook-ზე მისი ყოველი ახალი პოსტი და განცხადება ინტერნეტფორუმებზე ახალი თემების გახსნის საბაბი ხდება. საინტერესოა, ამით **თეა თუთბერიძე** საკუთარი რეიტინგის აწევას ცდილობდა თუ „მსხვერპლად შეეწირა“ ხელისუფლებას, რომელმაც, თავის მხრივ, პატრიარქზე გაკეთებული უხამსი ვიდეოებისა და განცხადებების კრიტიკით ხალხის ნდობის დაბრუნება მოსინჯა.

გარდა ამისა, კულუარებში ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ხელისუფლებას ამ ზესტაფონელი ქალბატონის თავიდან მოშორება ჰქონდა განზრახული, თუთბერიძემ კი თავად დაასწრო. იმ ვიდეომასალებს, რაც თუთბერიძემ თავის პირად ინტერნეტგვერდზე ატვირთა, კომენტარიც მიაყოლა, რომ ეს მერაბიშვილისგან ჰქონდა დავალებული.

#### მოთხრობითი — თეა თუთბერიძემ

ამ პიროვნების გარშემო ატეხილი სკანდალის სათავედ ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის თავმჯდომარე გიორგი ანდრიაძე ხელისუფლებას მიიჩნევს: „შეწყვიტეთ მორალური ზეწოლა თეა თუთბერიძეზე და მთავარი დამნაშავე ხელისუფლების სათავეში ეძებეთ“.

ერთი რამ, მართლაც, საინტერესოა — რატომ ატეხეს ამ ამბის ირგვლივ დიდი აჟიოტაჟი. წესით და რიგით, ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი უნდა მიმხვდარიყო და დაინტერესებულიყო იმით, რომ ის სიბინძურე, რაც პატრიარქზე ქალბატონმა „კმარამ“ — **თეა თუთბერიძე-მ** დადო, არ გავრცელებულიყო და ეს უგემოვნობა და უხამსობა არ ენახა სრულიად საქართველოს.

#### მიცემითი — თეა თუთბერიძეს

არაერთი მუქარის წერილი გაუგზავნეს **თეა თუთბერიძე-ს, რისთვისაც** ამ პერსონამ პოლიციასაც მიმართა, თავისუფალი აზრის გამოხატვისთვის მერჩიანო. ეს ვერ აიტანა ბასილ კობახიძემ (მამა ბასილსაც ეძახიან, უბრალოდ, ეკლესიისგან მოკვეთილ მღვდელს მამაო როგორ ვუწოდო (!), არც აცია, არც აცხელა და ახალ შალვა დადიანის როლში მოგვევლინა. ერთობ გულისამაჩუყებელია ის განცხადება, რაც კობახიძემ თუთბერიძისთვის გააკეთა — დაიცვა თუთბერიძე და მიაფურთხა მთელ საქართველოს:

**„მივმართავ თეა თუთბერიძეს: თეა, მე დაგიცავთ ფიზიკური თავდასხმებისგან, მე გაგაცილებთ სახლიდან სამსახურში და დაბრუნებისას და, საერთოდ, სადაც წახვალთ, გამოგყვებით... თეა თუთბერიძე არაფერ შუაშია, მე გავავრცელე ეს ვიდეორგოლები და ჩემკენ მომართეთ ეს ლანძღვა და მუქარები“...**

სხვა საკითხია, კობახიძემ რა მიიღო ამ განცხადების შემდეგ, მაგრამ ფაქტია, რომ ისიც „გაპიარდა“; თავის მხრივ, თეა თუთბერიძემ „პასუხის პასუხში“ მადლობა გადაუხადა კობახიძეს, მისი მრევლი კი არ ვარ, მაგრამ მართალს ამბობს ეს კაციო.

**თავის მხრივ, პრეზიდენტმაც საპატრიარქოსა და პატრიარქის დაცვის ხარჯზე გაიკეთა პიარი.**

#### ნათესაობითი — თეა თუთბერიძის

რას ერჩოდა თუთბერიძე პატრიარქს? პატრიარქმა მართალი თქვა — თუ გემის კაპიტანი გქვია, გემი კლდეს არ უნდა დაახალო. აბა, ის მოეწონა თუთბერიძეს, ომწაგებულ პრეზიდენტს რუსთაველზე ტაშფანდური რომ მოუწყეს და კაცს ეგონებოდა, რომ რუსეთის იმპერია დაშალეს? მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკამ წააგო, შედეგად მივიღეთ საქართველოს ტერიტორიაზე რუსული ბაზები და ჩახოცილი მეომრები. ქალბატონი თუთბერიძე დემაგოგობს, დემაგოგობს იმიტომ, რომ მისი ბელადი გააკრიტიკეს და თქვეს, რომ მისი გაფუჭებული საქმისთვის პასუხი უნდა აგოს... რას ელოდნენ მეტს **თუთბერიძ-ის-გან**?

ერთ-ერთ პოლიტიკურ ფორუმზე მომხმარებელი პატრიარქის მხარდამჭერ პროცესს კომიკურს უწოდებს.

**„პატრიარქის მხარდაჭერამ კომიკური სახე მიიღო, მაგონებს პორნოგრაფიული ფილმის ყურების პროცესს, როცა მამიკო უბრაზდება შვილს და იმის გასაგებად, თუ რა ცუდი ბიჭი გაზარდა, სევდიანი თვალებით უფრო დიდ აუდიტორიას აჩვენებს „ხაშურას ვიდეოებს“ და თვითონაც ტკბება ამ პროცესით“...**

ალბათ, დამეთანხმებით, რომ ნორმალური რეაქცია უპასუხოდ დატოვება და იგნორირება იქნებოდა. თუთბერიძის მოქმედება თვითონ იქნებოდა მისი, როგორც საქმიანი ადამიანის ვერდიქტი — დასაცინი გახდებოდა და წერტილი დაესმებოდა ამ ამბავს.

#### მოქმედებითი — თეა თუთბერიძით

თუ რა დივიდენდი მიიღო ამ ამბის ტელევიზიით გამავრცელებელმა ნანა ლეჟავამ, ეს ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუშიც არ დაუმალავს; „რუსთავი 2“-დან მოკვეთილ, ოპოზიციაში გადაბარგებულ და შემდეგ „კავკასიის“ ეთერიდან ისევ ჟურნალისტიკაში დაბრუნებულ ქალბატონს, არც მეტი, არც ნაკლები, სკანდალი და რეიტინგი ნდომებია. სამწუხაროდ, **თეა თუთბერიძით** ყველამ „სახელის გაკეთება“ სცადა. ნიღაბი ყველასი ერთი იყო — დავიცვათ პატრიარქი და არავის მივცეთ უფლება, შეურაცხყოს მართლმადიდებლური რწმენა და მისი მამამთავარი.

რამდენიმე დღის შემდეგ პრეზიდენტიც გამოვიდა და ამ ვიდეორგოლების გამავრცელებლებს (ანუ თეა თუთბერიძეს) მიმართა, რომ მართლმადიდებლურ ქვეყანაში ერის სულიერი წინამძღოლის შეურაცხყოფის უფლება არავის აქვს და რომ პრეზიდენტი მიმართავს ყველა დემოკრატიულ საშუალებას პატრიარქის რეპუტაციის დასაცავად.

გიორგი ანდრიაძეს დავეთანხმოთ, პრეზიდენტი, მართლაც, პილატეს როლში გამოვიდა და ამ განცხადებით ხელისუფლებამ **ამ საქმიდან „ხელი დაიბანა“.**

#### ვითარებითი — თეა თუთბერიძედ

მოკლედ, ამ ამბის ატეხვისა და ვიდეოების გავრცელების მთავარი მიზანი რა იყო, მაინც უცნობი დარჩა. მივიღეთ ის, რომ თუთბერიძეს მრავალი დამცველი გამოუჩნდა, მათ შორის, ის ადამიანებიც, ვინც მას არაფრად აგდებდა. ახლა ეკლესიურობა მოდაშია და ყველაზე მეტად მოდასაყოლილი ხალხი ყვირის. ყველაზე სამწუხარო სწორედ ამ ვიდეორგოლების გავრცელებაა და ის, რომ თუთბერიძისგან გმირი შექმნეს. გაივლის დრო და გადაფასდება ბევრი რამ, მერე თეა თუთბერიძე ადგება და იტყვის, მე ვიყავი, ვინც იბრძოდა, თქვენ კიდევ ჩაქოლვით მემუქრებოდითო;

და **თეა თუთბერიძე-დ** ყოფნა ბევრს მოუნდება; ხოლო თუ მანამდე ჩაქოლეს, ძეგლს დაუდგამენ და ქუჩებსაც მის სახელს დაარქმევენ. უპრიანი იქნებოდა, მიგვეტევებინა სულგრძელად და ქრისტიანულად. ამ ხმაურით, რა თქმა უნდა, ხელისუფლების საქმე გააკეთა „კმარა ცეტკინმა“.

„ვილაცები“ სიტყვის თავისუფლებაზე ალაპარაკდნენ. რა თქმა უნდა, მას აქვს უფლება, რაც უნდა, ის გაავრცელოს და ილაპარაკოს, რაც შეეხება დასჯას, ამ ამბიდან შეიძლება მხოლოდ ის ადამიანები დასაჯონ, ვინც თუთბერიძეს ემუქრება, ლოგიკური იქნებოდა, ხელისუფლებაც და საზოგადოებაც, თუ შორს დაიჭერდა თავს მისგან, მან კი, რაც უნდოდა, მიიღო კიდეც — გრანტები და აჟიოტაჟი...

#### წოდებითი — თეა თუთბერიძევ!

და მაინც, თუ თავში ტვინი ოდნავ მაინც გაქვს, **თეა თუთბერიძე-ვ,** და იცი, რა სიტუაციაცაა ქვეყანაში — რა განწყობა რელიგიისა და პატრიარქისადმი — მსგავსმა სისულელემ, უნდა მიხვდე, რომ შესაძლოა, გარკვეული ძვრები გამოიწვიოს. თუ ეს იცი და მაინც აკეთებ ამას, პროვოკატორი ხარ ან ვილაცის დაკვეთას ასრულებ „კეთილსინდისიერად“.

**რამდენიმე დღის წინათ თუთბერიძის კიდევ ერთი განცხადება გავრცელდა. მასში ნათქვამია, რომ დღეს საქართველოში საპატრიარქოს უფრო დიდი ძალა აქვს, ვიდრე ხელისუფლებას თავის მერაბიშვილთან ერთად. ეს განცხადება უკვე ხელისუფლებას მოქმედებისაკენ და გარკვეული ზომების მიღებისაკენ მოუწოდებს.**

სამწუხაროა ის, რაც დღეს ქვეყანაში ხდება, მაგრამ ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ ხელისუფლებას გონიერება არ ჰყოფნის. მეფე გიორგი პირველის დრო რომ იყოს ან მისნაირი ხელისუფალი რომ გვყავდეს, „ამ საქმიდან ხელების უკეთ დასაბანად“ მონასტერში წაიყვანდა თეა თუთბერიძეს და კოლონკელიძის ასულივით მონაზვნად აღკვეცდა.

**მაგდა კლდიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ტყეში დამალული ტაძრები

## ალგეთის ხეობა

**სამების ცნობილი მთა ჩრდილოეთით, ალგეთს გაღმა, რამდენიმე ხევს ზვერავს. მათ შორის სიდიდითაც და სტრატეგიული მნიშვნელობითაც ყველაზე საგულისხმო საღირაშენის ხევია, რომელსაც თავის მხრივ ორი მცირე ხევი ასაზრდოებს: ოშეთი და ზირბითი. კოდა-მანგლისის საავტომობილო ტრასით მიმავალნი უმთავრესად ამ ხევებში არსებული ძეგლების სანახავად მივიჩქარით. სოფელ საღირაშენამდე სოფელი ბოგვია, საიდანაც არდისუბანსა და ენაგეთშიც შეიძლება მოხვედრა, მაგრამ გზა რომ არ გავიმრუდოთ, მხოლოდ ბოგვში ვჩერდებით. ეს სოფელი პირველად 1721 წელს იხსენიება ოფიციალურ საბუთებში, როცა, აღწერის თანახმად, 17 გამომღებ და 8 ბოგანო ყმას საგინაშვილები და ლარაძეები პატრონობდნენ.**


ბოგვის „წმინდა გიორგი“

დღეს ამ გვარების წარმომადგენლები სოფელში აღარ არიან, აქ უმეტესად დალაქიშვილები, ბეგიაშვილები და მელიქაშვილები ცხოვრობენ. სოფელი რომ ძალიან ძველია, ამას ადასტურებს **ბოგვის** სასაფლაოზე მდგარი წმინდა გიორგის სახელზე ნაკურთხი ეკლესია, რომელიც VIII-IX საუკუნეებშია აგებული რუხი, კარგად გათლილი ბაზალტის ლოდებით. მაგრამ ეს უძველესი ქვები უმეტესად 1,5-2 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი, ზედა წყობა ახალია, მე-20 და 21-ე საუკუნის რესტავრატორთა ნახელავია. სამწუხაროა, რომ ახალი ქვები დისონანსშია ძველთან.


ფარცხისი

...გზას განვაგრძობთ და სოფელ **ფარცხისში** შევდივართ, რომლის ჩრდილოეთ უბანში, მაღალ ბორცვზე წამომართულია ძალიან ცნობილი ციხის ნანგრევები - სულ 3 კედელი. ფარცხისი ფარ-ციხეს ნიშნავს. იგი ალგეთის ხეობის უმთავრესი ბასტიონის, მიუვალ კლდეებში ჩაშენებული ბირთვისის ერთგვარი ფარი იყო სამხრეთიდან.

1074 წელს ფარცხისთან სახელოვანი გამარჯვება მოიპოვა გიორგი II-მ - დავით აღმაშენებლის მამამ, რომელმაც, კახეთის მეფის აღსართან I-ის თანადგომით, სელჩუკთა 48-ათასიანი ლაშქარი დაამარცხა. გიორგი II, ამ გამარჯვების გამო, ფარცხისის გმირის სახელით შევიდა ისტორიაში.

1569 წელს ფარცხისთან კიდევ ერთი დიდი ბრძოლა გაიმართა. ამჯერად სიმონ I-მა ყიზილბაშთა და საშამხლოის მეომართა გაერთიანებულ ლაშქარს შეუტია. ბრძოლაში ქართველებმა გაიმარჯვეს, მაგრამ აზნაურ კახაბერ ყორღანაშვილის გამცემლობის შედეგად მტერს მოულოდნელად ჩაუვარდა ტყვედ თვით სიმონ I.

ფარცხისს სოფელი ტბისი მოსდევს, რომლის უმთავრეს ტაძარს, VIII-IX საუკუნეების ეკლესიას გაზეთის წინა ნომერში გავეცანით.

ტბისის მეორე ცნობილი ეკლესია, რომელიც ახლახან აღადგინეს, სოფლის ჩრდილოეთით ბირთვისის ციხისაკენ მიმავალი ბილიკის ერთ ბაქანზე, კლდეზეა აღმართული.

ტბისის შემდეგ, ნასოფლარ ბუჟღულეთის ზევით ალგეთის კალაპოტი მკვეთრად უხვევს ჩრდილოეთით. ზუსტად ამ ადგილას უერთდება ცენტრალურ გზას ორბეთიდან ჩამომავალი გრუნტის გზა. მის აყოლებაზე თბილისელთა სააგარაკო სახლებია. კიდევ უფრო ზევით, ორბეთამდე და ახალ ზირბითამდე ოშეთის მცირე ხევი და ნასახლარი ალაგებია. ისევე როგორც ნებისმიერი მგზავრი, ჩვენც ვერაფერს მივაკვლევდით, რომ ერთი ჩინებული ორბეთელი კაცი, მხცოვანი მონადირე ოთარ ჩოხელი არ შეგვხვედროდა. მან არა მარტო ამ ადგილებში, არამედ მთელ თრიალეთში და ალგეთის ხეობაში იცის ნებისმიერი ნაეკლესიარი. აშკარად უფალმა გამოგვიგზავნა იგი, უფლისგან გამოგზავნილი კაცი კი მოგეხსენებათ როგორია: კეთილი, ჭკვიანი და დარბაისელი. აი, უკვე რახანია, სამშობლოში მოგზაურობის დროს, ეკლესია მონასტრების პარალელურად, უბრალო, ნაღდ ქართველებსაც დავეძებ, დავეძებ და ვპოულობ, ვპოულობ და გულს ვიიმედებ, რომ საქართველო კიდევ არსებობს. ასეთია ოთარ ჩოხელი... ახლა მუხლები როგორი აქვს — მე და საზოგადოება „შივმერის“ თავმჯდომარე ჯოყოლა ჩეგიანი გაჭირვებით ვუწყობთ ნაბიჯს! გზიდან მარჯხვნივ გადავუხვიეთ, 500 მეტრში ოშეთის წყლის მარცხენა ნაპირზე გადავედით და კიდევ 300 მეტრი ზევით ავყევით ტყეს. ამ ადგილს **ნატუსევი** ჰქვია. მოულოდნელად, ფერნაცვალ ტყეში, პაწაწკინტელა, დანგრეული ეკლესია შემოგვეგება. იგი კლდის ფლეთილი და დიდი ქვითაა ნაგები, საკურთხევლის აფსიდს კოლოფანალისებრი შემოწერილობა აქვს, ერთადერთი, სამხრეთის კარი გარედანაც და შიგნიდანაც შეისრული. იგი უფრო ორქანობაადა გვიანდელი შეკეთების ნიშანია. ასეთ სტილს ხუროთმოძღვრებაში ხალხური ეწოდება და დათარიღება ძალიან ძირს. უპილასტრო, კამარაჩამოქცეული საყდარი სიგრძეში დაახლოებით 5,5 მეტრია, სიგანეში — 3. მაგრამ, ალბათ, სამხრეთის მინაშენიც ჰქონდა.


ოშეთის ტრაპეზის ქვა


ძველი ზირბითის ქვედა ეკლესია

...**ოშეთის** წყლის მარჯვენა ნაპირს ვუბრუნდებით და ახოს ჩრდილო-აღმოსავლეთით მივდევთ. აქა-იქ ბებერი კაკლები დგას. სამას ნაბიჯზე, მცირე ბორცვზე და კორომში, ძალიან დანგრეული ეკლესიაა, სიგრძეში დაახლოებით 8 მეტრია, სიგანეში — 5.

— რაც თავი მახსოვს, სულ ასეთია ეს ეკლესია, — ამბობს სინანულით მხცოვანი მონადირე, — არც სახელი ვიცით და ხალხიც არ აკითხავს.

აქედან ორბეთამდე 4 კილომეტრია, მაგრამ შუაგზაზე ვჩერდებით და ისევ ტყეში ვუხვევთ. ესეც ოშეთის ტერიტორიაა. აქ მდგარი ნასაყდრალი რამდენადმე უკეთესად გამოიყურება, თუმცა არც მისი სახელია ცნობილი. მართალია, საზურავი არც მას შემორჩენია და სახელიც დაკარგული აქვს, მაგრამ კედლები ჯერაც ფეხზე დგას. იგი სიგრძეში 7,5 მეტრს აჭარბებს, სიგანეშიმ — 4-ს. ნაგებია უხეშად გათლილი თხელი და მოგრძო კლდის ქვით. წყობის ჰორიზონტალების სიზუსტე დაცული არ არის. ერთადერთი, სამხრეთის, კარი გარედან არქიტრავულია, შიგნიდან — თაღოვანი. ტაძარი XI საუკუნისა უნდა იყოს. შიგნით, კედლებში პილასტრები არ არის ჩადგმული, და როგორც ჩანს, კამარის დამჭერი თაღები კრონშტენებს ეყრდნობოდა.

ამ ეკლესიის ზევით, 500 მეტრში, ზედ გზის მარჯვენა მხარეს ხეებში გადაქცეულა და ობლად ისვენებს საშუალო ზომის ტრაპეზის ქვა, რომელზეც, მთელ სიმაღლეზე, ლამაზი ჯვარია ამოკვეთილი.

...შევდივართ სოფელ ორბეთში, იქიდან კი **ახალ ზირბითში.** სწორედ ზირბითის ხეობაში, მაღალ კლდეზეა აღმართული ორბეთის ციხესიმაგრე, თუმცა ციხესიმაგრე პირობითად ეთქმის, რადგან მისგან მხოლოდ X საუკუნის წმინდა გიორგის ეკლესიაა დარჩენილი და თურმე ისიც, როგორც ახალი ზირბითის მკვიდრი ნოდარ მელიქიშვილი გვეუბნება, მთლიანად გაუღლესავთ.

ასვლა გადავიფიქრე, რადგან შელესილი ეკლესიის ნახვა შემზარავია. ნეტავ ვინ ჩაიდინა ეს? ამ მცირე საყდრის (შიდა ზომები 3,52X2,06 მ), როგორც ხუროთმოძღვრული ძეგლის, უმთავრესი ღირსება ხომ მისი ქვები — შირიმის დიდი ლოდებია.

სოფელ ახალ ზირბითიდან სამხრეთით, დაახლოებით 500 მეტრში, ყოფილა **ძველი ზირბითის** ერთ-ერთი უბანი, სადაც მინიატურული ეკლესია დგას, მაგრამ მისი დათარიღება ჭირს, და ჭირს ისევ და ისევ ვიღაცა არამკითხე რესტავრატორის გამო, რომელსაც ერთიანად გადაულესავს ნაგებობა და, მგონი, ფორმაც შეუცვლია.

ძველი ზირბითის უმთავრესი ნასახლარები აქედან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს. იქ მოსახვედრად წყნეთი-მანგლისის გზატკეცილზე ავდივართ და წყნეთის მიმართულებით 500 მეტრში ძნელად შესამჩნევი გრუნტის გზით ვეშვებით ხეობაში. გადასახვევიდან 3 კილომეტრი გვაქვს ჩავლილი, რომ ჩვენი მხცოვანი ეტიკი ოთარ ჩოხელი მანქანის გვაჩერებინებს და გზის ორივე მხარეს ნაეკლესიარებს გვაჩვენებს. ორთავე სანახევროდ დაშლილი, გვიანი შუასაუკუნეების ეკლესიაა, მხატვრული თვალსაზრისით დიდი ვერაფერი შვილებია. ბატონი ოთარი შეცბუნებას გვატყობს: — მთავარი ეკლესიები ეს არ არის. დიდ საყდრებს მალე ნახავთო. ამასობაში ხეობის ერთადერთი და ისიც დროებითი მკვიდრი ჯუმბერ ჩოხელი გამოჩნდება, რომელიც თურმე მცირე ნახირსა და ფარას მწყემსავს აქ. მე, მგონი, ის ამ მიდამოში ერთ-ერთი საქმიანი ახალგაზრდა კაცია და ალბათ, ჩვენი მხცოვანი მონადირის ნათესავია — მასსავით დინჯი და ყურადღებიანი. „წუთისოფლის შვილებს“ ისიც დაგვემგზავრა.

მივდივარ და ათასი ფიქრი თუ გამოცანა მიტრიალებს თავში. ჩოხელები და სხვა გუდამაყრელები 100-150 წლის წინათ ჩამოსახლდნენ დაცლილ სოფლებში, მაგრამ, ადრე რომ ხალხი ცხოვრობდა, ის რა იქნა? რა იქნა და, მტერთან ბრძოლაში ამოწყდა, მომხვდურთა თარეშს, ათას ჭირსა და სახადს განერიდა, ერთი ადგილიდან აიყარა და სხვაგან ჩასახლდა ან ჩაასახლეს. აქედან წასულების ერთმა ნაწილმა, როგორც ჩანს, ლაკვის ხეობის სოფელი ბზა აირჩია საცხოვრებლად და იმასაც ზირბითი დაარქვა. ერთ-ერთი წინა მოგზაურობის დროს ჩვენ, აკი, იმ ზირბითშიც შევიხედეთ...

— აი, ამ ადგილებში ცხოვრობდა ხეობის ბოლო ბატონი, — გვეუბნება ბატონი ოთარი. — ის და მისი ქალიშვილი, წეღან რომ ეკლესია ვნახეთ ხელმარჯვნივ, იქ არიან დაკრძალულნი. ალბათ, ის ეკლესია მათი აშენებულია.

უბის წიგნაკში ვიყურები, წინასწარ მოპოვებულ მასალას ვკითხულობ:

1696 წელს მეფე ერეკლე პირველმა ზირბითის ზვარი მეითარიშვილებს უწყალობა ერთგულებისთვის. 1721 წლის აღწერით აქ 15 გამომღები, 1 ბოგანო და 2 ამოწყვეტილი კომლი აღირიცხებოდა, მებატონეები კი თულასშვილები იყვნენ.

სწორედ თულასშვილების ნასახლევიდან დასავლეთით, ორას თუ სამას მეტრშია, ღვთისმშობლის სახელობის X-XI საუკუნეების მოზრდილი ეკლესიის (12X6,3 მ) კარგად შემორჩენილი ნაშთები. მისი აღმოსავლეთ სარკმლის თავში ჩასმულია ქვა, რომელზეც გამოკვეთილია ბიბლიური სიუჟეტი „დანიელი ლომების ხაროში“. ერთადერთი, სამხრეთის კარის თავზე უზარმაზარი ბალავრის ქვაა, რომელიც სიგრძეში 2 მეტრს აჭარბებს, სიმაღლეში — 1 მეტრს. ერთ-ერთ კუთხეში სარკმლის თავსართი ქვაა ჩაშენებული, სხვა კუთხეებში — ქვაჯვართა ბუნის ქვები. შიგნიდან კარი თაღოვანია, საკურთხეველში კი მუქი რუხი ტრაპეზის ქვა დგას, რომელზეც წინა მხარეს ოდნავ ფრთაგაშლილი ტოლმკლავა ჯვარია ჩაკვეთილი. ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლები პილასტრებითაა დაყოფილი. სწორედ მათი მარტივი კაპიტელებიდან გადადიოდა კამარის დამჭერი თაღები. კედლების ქვედა რეგისტრებში დიდრონი, ნორმალურად დამუშავებული ქვები დევს, ზევით — წვრილი და სხვაგვარად გათლილი. ყველანაირად ჩანს, რომ გვიან შუასაუკუნეებში ტაძარი შეძლებისდაგვარად განუახლებიათ და ძველი ქვებისთვის ახალიადგილი მიუჩენიათ.

ძველი ზირბითის მეორე, მოზრდილი ეკლესია (8,7X4,8 მ), რომელსაც სამხრეთის მინაშენის კედლის ქვედა ნაწილიც აქვს შემორჩენილი, თულასშვილების ნასახლევიდან ჩრდილოეთით 200-250 მეტრშია, ხეებით შემოფარგლულ მცირე ბორცვზე. მინაშენის ერთ-ერთი ლოდი გიგანტურია - 3,5X0,9 მ!.. აღსანიშნავია, რომ ძირითადი ნაგებობის კედლებიც ძალზე გრძელი ლოდებითაა აშენებული, მაგრამ მისი ფასადების ერთი ნაწილი გადაწყობილია. ეს განსაკუთრებით ეტყობა აფსიდს, რომლის ჩრდილოეთ კუთხეში ეზოში მდგარი სტელა ჩაუდგამთ სიმტკიცის იმედად, მაგრამ გვიანი შუასაუკუნეების რესტავრატორებს მაინც ვერ უვარგიათ — ტაძრის აღმოსავლეთ კედელი სრულიად დანგრეულა და დაუმსხვრევია მშვენიერი ტრაპეზის ქვა, რომლისგანაც, საბედნიეროდ, წინა, ჯვრიანი მხარეა გადარჩენილი. გადარჩენილია ასევე კამარის დამჭერი, შირიმის ქვებით შეკრული თაღი, რომელიც ცისარტყელასავით ჯერ კიდევ დაჰხარის და ანუგეშებს ნატაძრალს.

ჯერ კიდევ!..


ძველი ზირბითის ზედა ეკლესია

**ბელა ქოქიაშვილი**
**ავტორის ფოტოები**

# საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია 1918-1921 წლებში

**1918 წლის 26 მაისს თბილისში, მეფისნაცვლის ყოფილ სასახლეში, გამართულ ეროვნული საბჭოს სხდომაზე ნ. ჟორდანიამ წაიკითხა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. თურქებმა ისარგებლეს ამიერკავკასიის სეიმის მიერ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის არცნობით, განავითარეს სამხედრო შეტევა და დაიკავეს საქართველოსა და სომხეთის საგრძნობი ნაწილი.**

**14 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დახმარებისა და მფარველობისათვის გერმანიას მიმართა. გერმანიის ხელისუფლება დადებითად მოეკიდა ამ თხოვნას: ფელდმარშალი ლუდენდორფი იგონებდა, რომ საქართველოს თხოვნის მეშვეობით შესაძლებელი ხდებოდა კავკასიური ნედლეულისა და რკინიგზების გამოყენება თურქებისაგან დამოუკიდებლად. „...ამიტომ მე ვიშუამდგომლე იმპერიის კანცლერის წინაშე საქართველოს თხოვნის დაკმაყოფილებისათვის," — წერდა იგი.**

28 მაისს ფოთში გერმანიისა და საქართველოს წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებათა პაკეტს. იმავე დღეს გერმანიის წარმომადგენელმა ფონ ლოსოვმა საიდუმლო წერილით აღუთქვა საქართველოს ხელისუფალთ, რომ შეეცდებოდა, დაეყოლიებინა გერმანიის მთავრობა რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებებში ამ უკანასკნელისათვის მხარდაჭერის აღმოჩენაზე, რუსეთისაგან გამოყოფის შემდგომ კი საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებაზე.

ა. ჩხენკელი გერმანიის დელეგაციას ბერლინში გაჰყვა. თურქეთთან საზავო მოლაპარაკების გაგრძელება ითავა ნ.რამიშვილმა, რომელიც 31 მაისს ჩავიდა ბათუმში. ბათუმში საზავო მოლაპარაკება დასრულდა 1918 წლის 4 ივნისს. „ზავის და მეგობრობის" ხელშეკრულება თურქეთს აკუთვნებდა მთელ მესხეთს, აწყურისა და აბასთუმნის გამოკლებით.

საინტერესოა რუსეთისა და ანტანტის ქვეყნების რეაქცია საქართველო-გერმანიის დაახლოების ფაქტზე.

**ბოლშევიკურ რუსეთში საქართველოში ამ დროისათვის შექმნილი სიტუაციას ასე აფასებდნენ: „საქართველოს ეს დამოუკიდებლობა ყოვლად აშკარა მოტყუებად იქცა. სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ".**

ანტანტის ქვეყნები, რომელნიც გერმანიას ეომებოდნენ, ასევე, თვლიდნენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა არარეალური იყო. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოვალეობის შემსრულებელი ფრენკ პოლკი სწერდა 31 ივლისს დიდ ბრიტანეთში ამერიკის ელჩს პეიჯს:

**„დოქტორი კიულმანის 24 ივნისის გამოსვლიდან ჩანს, რომ გერმანიის მთავრობამ ცნო საქართველოს „დამოუკიდებლობა". კიულმანის განცხადება, თურქული პრესის ტონი და სხვა ფაქტები მეტყველებს იმაზე, რომ ცენტრალურმა სახელმწიფოებმა საქართველო სრული კონტროლის ქვეშ მოაქციეს".**

1920 წლის 16 დეკემბერს ერთა ლიგის საერთო კრებაზე იხილებოდა საქართველოს ამ ორგანიზაციაში წევრად მიღების საკითხი. საკითხის დაყენება ერთა ლიგის საერთო კრებაზე ჟენევაში მომზადდა ერთა ლიგის მუდმივ სამდივნოსთან მოლაპარაკებებისა და მიმოწერის გზით 1920 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე.

ერთა ლიგა, წესდების თანახმად, მიზნად ისახავდა „თანამშრომლობის განვითარებას ხალხთა შორის და მათი მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტიას".

საქართველოს და სხვა ახალგაზრდა ქვეყნებს ერთა ლიგისაკენ იზიდავდა მისი წესდების მეათე სტატია. ამ სტატიის თანახმად, ერთა ლიგის წევრები იღებდნენ ვალდებულებას, პატივი ეცათ და დაეცვათ ორგანიზაციის ყველა წევრის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. მაგრამ სწორედ ეს სტატია გახდა საქართველოს ერთა ლიგაში გაწევრიანების ხელის შემშლელი გარემოება. განხილვაზე სიტყვით გამოვიდნენ ფ. ნანსენი (ნორვეგია) და რ. სესილი (სამხრეთ აფრიკა). ნანსენმა საქართველოს მხარდამჭერი სიტყვა წარმოთქვა. სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე.

სესილმაც მხარი დაუჭირა საქართველოს მიღებას ერთა ლიგაში. შემდგომ ამისა, სიტყვა მოითხოვა ინგლისის წარმომადგენელმა ფიშერმა. მან განაცხადა, რომ ნანსენისა და სესილის განცხადებები სწორია, მაგრამ საქართველოს დაცვა სირთულეს წარმოადგენს. არ შეიძლება საქართველოს საკითხის განცალკევება ბალტიისპირეთის რესპუბლიკათა საკითხისაგან (საქართველოს საკითხის განხილვამდე საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ვივიანი ბალტიის ქვეყნების ერთა ლიგაში გაწევრიანების წინააღმდეგ გამოვიდა). **„მე ვითხოვ დაფიქრებას საკითხზე, მზად ვართ თუ არა, ვურჩიოთ ჩვენს მთავრობებს, აღმოუჩინონ მატერიალური დახმარება ამ მამაც პატარა სახელმწიფოს, თუ ამგვარი აუცილებლობა დადგება,"** — დასძინა ფიშერმა.

კენჭისყრაში 24 სახელმწიფო მონაწილეობდა. საჭირო იყო 16 ხმის მიღება. საქართველოს ერთა ლიგაში გაწევრებას მხარი დაუჭირა 10-მა სახელმწიფომ. ინგლისისა და საფრანგეთის ოპოზიციამ საქართველოს ერთა ლიგაში მიღება შეუძლებელი გახადა.

**იმავდროულად საქართველოს მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებდა ანგორის მთავრობის დიპლომატიურ წარმომადგენელ კიაზიმ-ბეისთან. იგი ცდილობდა, მოეპოვებინა თურქეთის დაპირება დახმარების ან ნეიტრალიტეტის შესახებ. 1921 წლის 11 იანვრის შემდეგ თბილისსა და ანგორას შორის მოხდა დეპეშების გაცვლა. თურქეთი დათანხმდა, გაეწვია სამხედრო დახმარება იმ პირობით, თუ საქართველო უარს იტყოდა ოლთისის დაბლობზე და დათმობდა არდაღანის მხარეს.**

თურქებს ესმოდათ, რომ დემოკრატიული საქართველო უმძიმეს პირობებში აღმოჩნდა. ამიტომაც მათთვის მთავარი იყო, მოქმედებათა დაწყებამდე ხელთ ეგდოთ მომენტი, რათა მოვლენებისათვის წინ არ გაესწროთ და არც დაეგვიანებინათ. 17 თებერვალს ნ. ჟორდანიამ განაცხადა საქართველოს მთავრობის თანხმობის შესახებ თურქეთის პირობებზე, თუ **„თურქეთი დაუყოვნებლივ გადმოვიდოდა საქართველოს მხარეზე"**. ამ საკითხზე მოლაპარაკებები მიმდინარეობდა 1921 წლის თებერვალში ანკარაში ჩასულ საქართველოს წარმომადგენელ ს. მდივანთან, **მაგრამ თურქეთი საქმეს აჭიანურებდა და არც დახმარებია საქართველოს, არდაღანსა და ართვინში კი ჟორდანიას თანხმობით თავისი ჯარები შეიყვანა.**

# მეგრულ-ქართული ლექსიკონის დამატებანი



საგამომცემლო სახლმა „ინოვაცია" მკითხველ საზოგადოებას მიაწოდა პროფესორ ოთარ ქაჯაიას წიგნი „მეგრულ-ქართული ლექსიკონი", IV (დამატებანი — 604 გვერდი), რომელიც წარმოადგენს ამავე ავტორის მიერ ადრე გამოქვეყნებული „მეგრულ-ქართული ლექსიკონის" (სამტომეულის: ტ. I, 2001; ტ. II და III, 2002) გაგრძელებას, უფრო სწორად, მის შევსებასა და სრულყოფას. „დამატებანში" შეტანილია ბევრი სრულიად ახალი სიტყვა და გამოთქმა, რომლებიც მოძიებულია სამტომეულის გამოქვეყნების შემდგომ პერიოდში დასტამბული ტექსტებიდან (პოეზია, პროზა), ზეპირსიტყვიერებიდან ან სხვა გზით მოპოვებული მასალებიდან; იდიომებითა და ფრაზეოლოგიზმებით გამდიდრებულია საილუსტრაციო მაგალითები. ამასთან, დაზუსტებულია ზოგიერთი ლექსიკური ერთეულის სემანტიკა; ბევრ პოლისემიურ სიტყვასთან მითითებულია ახალი მნიშვნელობებიც და ა.შ.

ერთი სიტყვით, ამ გამოცემამ ფართო მკითხველისთვის ხელმისაწვდომი გახადა ბევრი აქამდე უცნობი სიტყვა. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ „დამატებანს", მართალია, აწერია IV, მაგრამ, ფაქტობრივად, ის მეოთხე ტომი არ არის; აქ უმთავრესად აღნუსხულია ის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზთა გამო სამტომეულში ვერ მოხვდა.

„დამატებანში", უთუოდ, საინტერესო მასალას იპოვიან საქართველოს ისტორიით, ეთნოგრაფიით, ფოლკლორით, რელიგიის ისტორიით, ზოოლოგია-ფიზიოლოგიით, ბოტანიკით თუ მეცნიერების სხვა დარგებით დაინტერესებული მკითხველები.



# გამოვიდა ჟურნალ «ისტორიული მემკვიდრეობის» პირველი ნომერი

**ჟურნალის სახელწოდება უკვე ნათელყოფს მის პროფილს.**

**პირველივე ნომრიდან ჩანს, რომ ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის" ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა" საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს. ჟურნალის მთავარი რედაქტორია თემურ ქორიძე.**


## უნივერსალური წყალი „ისიდა"

## მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა



**სუფრის წყალი „ისიდა" აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო") მოთხოვნებს და შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს დღიური ნორმის ოდენობით:**

**იოდი** — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

**ფტორი** — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

**მანგანუმი** — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

**კალციუმი** — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

**კალიუმი** — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

**მაგნიუმი** — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

**ნატრიუმი** — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

**თუთია** — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგენლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

„ისიდა" გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკონ თბილისში: 899-16-30-219 890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**




**არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა" — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## 13 ნოემბერს „თავისუფლების ინსტიტუტს“ შავი პარასკევი გაუთენდება

**2 ნოემბერს, საღამოს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, საპატრიარქოში მცხეთისა და თბილისის ეპარქიების მღვდელმთავრები და სასულიერო პირები იხმო.**

შეხვედრამ დაახლოებით ერთ საათს გასტანა. მისმა უწმინდესობამ მცხეთისა და თბილისის სასულიერო პირებს 13 ნოემბერს, დღის 12 საათზე, მართლმადიდებელი მრევლის შეკრება სთხოვა.

„საქართველო და მსოფლიომ“ ამ ეტაპზე ვერ შეიტყო მრევლის შეკრების ადგილი, მაგრამ, სადაც არ უნდა გაიმართოს ეს შეკრება, დარწმუნებით შეიძლება თქმა, რომ ყველაზე მასშტაბური და გრანდიოზული იქნება, რომელიც ოდესმე ახსოვს საქართველოს.

კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მღვდელმთავრებს ისიც სთხოვა, რომ 13 ნოემბრამდე სამღვდელოების წარმომადგენლებმა თავი შეიკავონ ტელე თუ საგაზეთო დებატებში მონაწილეობისგან, აგრეთვე, „თავისუფლების ინსტიტუტის“ ნებისმიერ პროვოკაციულ განცხადებაზე, გამოქვეყნებულ „დოკუმენტებზე“ და, ზოგადად, პასკვილებზე რეაგირებისგან!

13 ნოემბრამდე კი მღვდლები წირვაზე დაუსახელებენ მრევლს შეკრების ადგილს.

**ირინე გოგოსაშვილი**

## პუტინის შეთავაზება ევროკავშირს

**რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვალიდიმერ პუტინმა ევროკავშირს უკრაინისთვის ფინანსური დახმარების გაწევა, კერძოდ კი, გაზისთვის თუნდაც ერთი მილიარდის გამოყოფა სთხოვა.**

„დაე, ევროპამ ფინანსური დახმარება აღმოუჩინოს კრედიტების სახით. ჩვენ უკვე გამოვყავით 2,5 მლრდ დოლარი, დაე, თუნდაც მილიარდი გადაურიცხონ“, — განაცხადა პუტინმა.

ტიმოშენკოს თქმით კი, გაზის მიწოდების საფასურის გადახდას ვიქტორ იუშჩენკო აფერხებს, რომელიც „ფულად გადარიცხვებს ბლოკავს“. თავის მხრივ, იუშჩენკომ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ რუსულ-უკრაინული გაზის კონტრაქტები სასწრაფოდ გადასახედია, რადგან ისინი არახელსაყრელია უკრაინისთვის. წინადღით, 1 ნოემბერს, პუტინმა გააფრთხილა შვედეთის ხელისუფლება, რომელიც ამჟამად ევროკავშირში თავმჯდომარეობს, უკრაინის გავლით ევროპაში გაზის ტრანზიტის მოსალოდნელი პრობლემების შესახებ.

შეგახსენებთ, რომ „უკრაინის ნავთობგაზმა“ რუსეთის მიერ მიწოდებული გაზის საფასური 7 ნოემბრამდე უნდა გადაიხადოს.

# ისლამის პროპაგანდისტები წმიდა სამების უარყოფას ქადაგებენ და ღვთისმშობელ მარიამს მუსლიმანი ქალის სიმბოლოდ წარმოაჩენენ

**მითხარით, სად, რომელ ქვეყანაში მოჰკვეთეს თავი 100 ათას ადამიანს ერთ დღეს მხოლოდ იმიტომ, რომ მაცხოვრისა და მარიამ ღვთისმშობლის ხატები არ შეურაცხყო?**
**ახალი თაობისთვის ეს ამბავი ფაქტია და მეტი არაფერი! უხსნის ვინმე ბავშვებს, მოზარდებს, რომ ხატზე ფეხის დაუბიჯებლობა მტრის წინაშე გამოვლენილი „ქართული სიჯიუტე“ კი არა, რწმენის სიდიადე და სიძლიერე იყო? ეუბნებიან ბავშვებს, ახალგაზრდებს, რომ ხატი უბრალო „ხატწერის“ ან „მოჭედვის“ ნიმუში არ არის? აზიარებენ რწმენისა და ხატის საიდუმლოს?**
**უნდა ვაღიაროთ — არავინ!**




ძალიან თუ შევარბილებ სიტუაციას, ვიტყვი, რომ დღეს საქართველოში ცუდი მდგომარეობაა, ხალხისა და ხელისუფლების დაპირისპირებამ, საზოგადოების ობიექტურმა განაწყენებამ მმართველ ელიტაზე და ამ ელიტის სიჯიუტემ, პრინციპმა — ოღონდ მე თბილი სავარძელი შევინარჩუნო და ჯანდაბამდე გზა გქონიათო, ქვეყანა უფსკრულამდე მიიყვანა. უფსკრულის პირას მდგომს კი, მოგეხსენებათ, პატარა ბიძგი უნდა და უფსკრულის ბინადარიც გახდება.

საქართველოსაც და ქართველ ხალხსაც უბიძგეს სულ ახლახან, როცა კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს სიბრძნე „დაუწუნეს“ და ანტისახელმწიფოებრივ გამოთქმებსა და ქმედებებში (?!) დასდეს ბრალი „ვარდების ვირტუალური სამყაროს“ ბინადრებმა.

ხალხის ერთმა ნაწილმა (და არა სრულიად საქართველომ!) დაგმო ეს გამოხდომები, მაგრამ რა? „ორთქლის გამოშვებას“ ჰგავდა, ხანდახან გამაღიზიანებელს.

არ ეწყინოს იმას, ვინც ახალგაზრდების ერთი ჯგუფის ხმაურიანი გამოსვლები მოაწყო. ბოდიში და... დაატრიალეთ ფირი. შეხედეთ იმ ახალგაზრდას, ვისაც ხატი მოაქვს და გაყვირის — „პატრიარქს გაუმარჯოს, გაუმარჯოს!..“ შეიძლება, ვცდები, მაგრამ მგონია, რომ ის ვიღაცის დავალებით ხტის და ღრიალებს. ის არ არის ჭეშმარიტი მართლმადიდებელი. მას უთხრეს, რომ ასე უნდა მოიქცეს, რომ მსოფლიოს აჩვენოს „ნამდვილი სახე ქართველი ქრისტიანი მართლმადიდებლისა“, უკაცრავად, მაგრამ ეს ფორმა ლამაზი და მისაღები სულაც არ არის.

პირველად გვესმის, რომ „თავისუფლების ინსტიტუტს“ საკუთარი დაზვერვა და აგენტურა ჰყავს ახალგაზრდებში?

**მაჩვენეთ ერთი ქვეყანა, ნორმალურად მოაზროვნე ერთი ადამიანი, მით უფრო, ხელისუფალი, რომელიც ტრაგედიად, ანტისახელმწიფოებრივ გამონათქვამად შეაფასებს ცნობილ აზრს, რომ კარგი კაპიტანი გემს უსაფრთხოდ უნდა მართავდეს, რომ ყველაფერი წინასწარ გათვალოს და დათვალოს, რომ ამინდის გრძელვადიან პროგნოზთან შეთავსებით დაარეგულიროს ხომალდის სიჩქარე თუ სავალი გზების მარშრუტები? რომ კარგმა კაპიტანმა უნდა აარიდოს საფრთხეები გემის ეკიპაჟს თუ მგზავრებს...**

გინახავთ, კაპიტანი კლდეს ხედავდეს, გარდაუვალ მარცხს გრძნობდეს და მაინც ჯიუტად მიდიოდეს იმ კლდისკენ და არად ულირდეს, მის აზრს, ნიჭს, გამოცდილებას მინდობილი ადამიანების ბედი?

მთავარი ამ ვითარებაში მაინც ისაა, თუ რა უსწრებდა წინ „თავისუფლების ინსტიტუტის“ საჯარო თავდასხმას უწმინდესსა და უნეტარესზე.

სამიტინგო „წივილ-კივილში“ ყველას გამორჩა, რომ წვრილმანი კრიტიკით, ეკლესიის, სასულიერო პირთა შეურაცხყოფით უფრო დიდი რამ მზადდებოდა.

სწორედ იმ პერიოდში დაიწყო ისლამის სადიდებელი წიგნების შემოტანა საქართველოში. ვეძებე და აღმოვაჩინე, რომ უამრავ ადამიანს (მუსლიმანებსა და, უფრო მეტად, ქრისტიანებს) „უანგაროდ“ აჩუქეს წიგნები: „წმიდა მარიამი — მუსლიმანი ქალის სიმბოლო“, „ევოლუციის თეორიის სიცრუე“, „ისლამი ტერორიზმის წინააღმდეგ“, „ცხოვრება მუჰამედისა“ და სხვ.

ილუსტრირებული ფერადი გამოცემებია, „თვალმისაზიდი“, გამართული ქართულით ნათარგმნი.

**ერთ წიგნს აწერია „სტამბული 2008 წ.“, მეორეს მხოლოდ „2007 წლის თებერვალი“, მესამეს და მეოთხეს — საერთოდ არაფერი. ვინ დაბეჭდა, რამდენი, როდის... არაფერია მინიშნებული.**

**შემთხვევითია?**

საქართველოში იყიდება ტყეები, მდინარეები, პორტები, უნივერსიტეტები... თურქებზე, არაბებზე, სხვებზეც...

როგორც ჩანს, ხელისუფლება ემზადება მათ მისაღებად (აბა, ნამდვილი ქართველები გეტოებში იხრჩობიან) და წინ „წიგნებით უნათებს გზას“... ვაითუ რამე შეგვეშალოს მომავალ (და უკვე რეალურ) ოკუპანტთან.

**„გამოგვრჩა“, რომ თვით საქართველოს პრეზიდენტმა „პატარა კმარელის“ „გაბედულ“ გამოსვლამდე „მწვანე აანთო“ და მიანიშნა: „ჰკა მაგათო!“**

**„უაზრო ლაპარაკი“ უწოდა „ერთმორწმუნეობაზე“ აქცენტის გაკეთებას, „კულტურათა დიალოგს“... ილუზია უწოდა ასეთი გზებით რუს ხალხთან დაახლოებას და კავშირების აღდგენას.**

სამწუხაროდ, საზოგადოებამ წაუყრუა ხელისუფლების გადაწყვეტილებას ბათუმში ილია ჭავჭავაძის ძეგლის აღების თაობაზე...

**სწორედ საზოგადოების წაყრუებაა საგანგაშო, თორემ ხელისუფლების მოტივაცია გასაგებია — ეტყობა, წინ „დიდი თურქობა“ გველის და თვალში ეჩხირებათ ილია ჭავჭავაძეც, ილია მეორეც და, საერთოდ, ილიას გზაზე დამდგარი ადამიანები, „უბრალოდ“, წმიდა ილია მართალი!**

თბილისში ყაზახებმა „მოითხოვეს“ (?) დიდი მეფის — დავით აღმაშენებლის ძეგლის გადატანა და გადაიტანეს! სასტუმროს ქართულად წარწერას არ უკეთებენ, კანონს არაფრად აგდებენ, თურქულ სკოლებში ჯვარს კრძალავენ...

მეტი რაღა გინდათ?

გახსოვთ, ალბათ, ევროპულ პრესაში მუჰამედზე კარიკატურა რომ დაიბეჭდა და მთელი მსოფლიოს მუსლიმანები ერთ საათში გაერთიანდნენ — ქუჩები აავსეს და მწარედ ანანეს დაცინვა დიდსა და პატარას.

გაუბედა ვინმემ რამე? ტყვიები და გაზი გამოიყენა მათ დასაშლელად?

ვერც გაბედავდნენ, საყოველთაო ჯიჰადის შიშით ევროპამ სამართლიანად განრისხებულ მუსლიმანებს ბუზიც ვერ აუფრინა!

ქართველ მართლმადიდებლებს, ისევე, როგორც სრულიად საქართველოს, ერთად დგომა და ერთად ქმედება უჭირთ, ამიტომაც გაგვიბედეს ხელკეტი, გაზი რეზინის ტყვია!

ამიტომაც არის, რომ ისლამის პროპაგანდისტები მოზარდ გოგონებს ქუჩაში ურიგებენ წიგნს სათაურით „წმიდა მარიამი — მუსლიმანი ქალის სიმბოლო“.

ამ წიგნით მათ ეუბნებიან, რომ „ყურანი კაცობრიობის ერთადერთი ჭეშმარიტი სახელმძღვანელოა“; რომ „ყველა მორწმუნე ვალდებულია, მარიამის კეთილშობილ ბუნებას ყურანის საშუალებით გაეცნოს“, რომ „უფალი მარიამს იდეალური ბუნების მქონე მუსლიმანი ქალის მაგალითად წარმოგვიდგენს“.

„უწყინარია“, არა? რუსული ტანკები გრუხუნებენ, თვითმფრინავები თავზე დაგვტრიალებენ... ამას ვხედავთ და რუსეთს (ერთმორწმუნეს!) მტრად ვაცხადებთ მისი ხელისუფლების გამო. სანაცვლოდ, „უწყინარია“ თურქარაბობა XI საუკუნისა, ახალი დამპყრობლური ხერხებითა და მეთოდებით.

რა გამოდის? საქართველო მუსლიმანი მარიამის წილხვედრი ქვეყანაა? ღმერთო, დაგვიფარე! ერთი „კმარელის“ „აღსარება“ რა მოსატანია ამ უბედურებასთან?

თუ ქალის სიმბოლოა? მაშ, რატომ წერენ, „ქალების ბუნება და ხასიათი საზოგადოებისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია (?!), ქალები კი მუდმივად საპირისპიროს დამტკიცებას ცდილობენო“.

ყურანის მიხედვით კი, „სრული ჰარმონია“ ყოფილა (?!) „ქალიცა და მამაკაციც თანაბარუფლებიანი არიან სარწმუნოების თვალსაზრისით...“

კი მაგრამ, სხვას რას ერჩიან, თუ მაჰმადიანურ სამყაროში ასე არ არის? ვინ იტყვის, რომ ისინი თანაბარუფლებიანნი არიან?

ისინი არაფერს მალავენ... აცხადებენ, რომ წიგნების ავტორების ყველა ნაწარმოები ერთ მიზანს ემსახურება — გადასცეს ადამიანებს ყურანის მოძღვრება (?!)

ვითომც არაფერი... „სასხვათაშორისოდ“ წერია, რომ მარიამის დედამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მისი შვილი „მხოლოდ ალაჰის სამსახურში ყოფილიყო“ (?!), რადგან მას „მხოლოდ ალაჰის მოძღვრების სწამდა“ (?!).

მარიამსაც საზოგადოებაში სახელი გაუთქვამს „ალაჰისადმი ერთგულებით“ (?!).

წიგნის ყოველი წინადადება ასე იწყება: „ალაჰი მარიამს ორსულობის დროს გვერდზე ედგა“, „ალაჰს მიენდო“, „ალაჰის სახელით“, „ალაჰი ეხმარებოდა“ და ა.შ. მთელი წიგნი ამითაა სავსე.

და უცებ... „თავზე გამხობს“ იესოს საქმეს, რომ იგი არ უწამებიათ (?!).

რა გამოდის? ტყუილი ყოფილა მისი ჯვარცმა, მისი კვართი, სიდონია, ქრისტეს წმინდა ნაწილები, გოლგოთის გზა...

ქრისტიანებს ვერ გაუგიათ (?!), რომ ქრისტე არც აწამეს და არც მოკლეს, იგი „ალაჰმა მიაძინა“ და ასე „მძინარე აამაღლა“...

ეს წიგნები დიდი რაოდენობით საქართველოში სწორედ იმ დროს გავრცელდა, როცა ხალხი „მიტინგობდა“ და ფსევდოოპოზიციური ბანგით გაბრუებულს არც რწმენა ახსოვდა, არც უფალი, „საკან №5“-ს იყო მიჭიჭინებული...

ამის მერე რატომ გვიკვირს, რომ საქართველოს პატრიარქსაც შეჰბედეს სიტყვა!

იცით, რა წერია ამ „პატარა და უწყინარ“ წიგნში?

**„დღევანდელ ქრისტიანებს თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ მათმა სარწმუნოებამ სახე იცვალა და ის აღარ არის, რაც შუამავალმა იესომ იქადაგა. ისინი ამტკიცებენ, რომ იესო ღვთის შვილი (ალაჰი ამას კრძალავს) და წმიდა სამებიდან (მამა, ძე და სულიწმიდა) ერთ-ერთია. ალაჰის მიერ კაცობრიობისთვის დადგენილი წესების დარღვევით, თანამედროვე ქრისტიანები უფლის ჭეშმარიტ რელიგიას ჩამოშორდნენ და მათი შუამავალი იესოს მიმდევრებად ჩათვლა დაუშვებელია“... ურჯულოა, ვინც ამბობს: ღმერთი მესამეა სამებისაგანო“.**

ტოტალურად გვიტევენ და რა დროს ერთი თავზეხელაღებული კმარელის ნათქვამის კომენტირებაა?

**რა დროს თუთბერიძეა, როდესაც ჩვენ ცხვირწინ არიგებენ პროპაგანდისტულ ბროშურებს, სადაც შავით თეთრზე წერია — რის სამება, რა სამება, რა მამა, რა ძე, რა სულიწმიდა, როცა თურმე „უფლის ჭეშმარიტ რელიგიას“ ჩამოვშორდით და, შესაბამისად, „ურჯულოები ვართ“, რომ თურმე...**

არც ახლა გაიღვიძებ, საქართველო?!.

**მაყვალა ბერიანიძე**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რატომ უნდა შევიძინოთ პროდუქცია «ვესტელში»?

VESTEL

მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მაღაზიაში შესულ ადამიანს აოცებს ტექნოლოგიების ფართო ასორტიმენტი.
იცვლება გემოვნება, იხვეწება ტექნოლოგიის შესაძლებლობები. არჩევანი ფართოა.
ხდება მოდელების სეგმენტაცია მომხმარებლის კლასის მიხედვით. სპეციალისტთა აზრით, და ეს საწყენი არ უნდა იყოს, ქართველი მყიდველი ჯერ კიდევ გაუთვითცნობიერებელია. იგი ტექნიკას იძენს ფასიდან გამომდინარე და არა იმის მიხედვით, თუ რამდენად საჭირო და მისაღებია ნივთი მოცემულ მომენტში მისთვის, თუმცა ამას, გარკვეულწილად, მისი მწირი ჯიბეც განაპირობებს. დღეს გაგაცნობთ კომპანია „ვესტელის“ მსოფლიო სტანდარტის, მსოფლიო მარკის პროდუქციას, რათა უკეთ განვსაზღვროთ ყველაზე მისაღები და სასურველი.





## რატომ „ვესტელი“?

იმიტომ, რომ მომხმარებელი კმაყოფილია. კლიენტები ხანგრძლივად ურთიერთობენ მასთან, რადგან „ვესტელი“ ახორციელებს საგარანტიო მომსახურებას და მონტაჟს.

გვთავაზობს საქონლის ახალ გაუმჯობესებულ ტექნოლოგიას;

კომპანიას აქვს 9 სამეცნიერო და საცდელი ინდუსტრიის საწარმო;

ხდება 100 მილიონი დოლარის ყოველწლიური ინვესტირება სამეცნიერო და საცდელ ინდუსტრიაში; იგი 525 ათას კვ მ-ზე მეტ საწარმოო სივრცეს ფლობს მთელ მსოფლიოში. სამი საწარმოდან ერთ-ერთი უძლიერესი ტელემწარმოებელია 15 მილიონის წლიური შემოსავლით;

„ვესტელს“ ტელევიზორების წარმოებაში ევროპაში პირველი ადგილი უჭირავს.

## 10 მიზეზი, რის გამოც უნდა შეიძინოთ პროდუქცია „ვესტელში“

1. „ვესტელის“ პროდუქცია აკმაყოფილებს ევროსტანდარტის ყველა მოთხოვნას;
2. პროდუქცია გამოირჩევა მაღალი ხარისხით, დიდად მოთხოვნადია როგორც ევროპის ქვეყნებში, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებში;
3. აქვს დახვეწილი დიზაინი;
4. ხელმისაწვდომია ფასები;
5. პროდუქციის არჩევანი ფართოა;
6. საგარანტიო ვადაა 3 წელი;
7. აქვს საგარანტიო მომსახურების მაღალი დონე;
8. საგარანტიო მომსახურება და ტრანსპორტირება შედის პროდუქციის ფასში;
9. „ვესტელის“ მაღაზიათა ქსელში კონსულტანტები მოგაწვდიან სრულყოფილ ინფორმაციას პროდუქციის შესახებ;
10. „ვესტელი“ ბედნიერების ტექნოლოგიაა.



**ტელევიზორი 21 CTSR 12 SLIM**
დიაგონალი 54 სმ; ფერი: ვერცხლისფერი; 100 არხი.

# საოჯახო ტექნოლოგიები

დღეს „ვესტელი“ გვთავაზობს საოჯახო ტექნიკის ფართო ასორტიმენტს მოკლე დახასიათებითურთ, რითაც მყიდველს საშუალება აქვს, განსაზღვროს და შეარჩიოს მისთვის სასურველი ნივთი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ზოგიერთ პროდუქციას ახლავს საჩუქარი. კერძოდ, ვესტელის 54 სმ დიაგონალის ტელევიზორი, რომელიც კლიენტს საჩუქრად გადაეცემა მაცივრის (RT 260), სარეცხი მანქანისა (AURA-800) და გაზქურის შეძენის შემთხვევაში (C610).



**მაცივარი RT 260**

ზომა 144X54X60; LT-238; ფერი: თეთრი. ნახევრად მშრალი;
**609.00 ლარი + TV;**
გარანტია — 3 წელი.

**მაცივარი RT 280**

ზომა 160X54X60; LT-268; ფერი: თეთრი. ნახევრად მშრალი;
**599.00 ლარი;**
გარანტია — 3 წელი.




**სარეცხი მანქანა AURA-800**
ზომა 85X60X46; ბრუნი — 800. წონა — 5 კგ. ელენერგიის A კლასი (0,95);
**739.00 ლარი** + TV; გარანტია — 3 წელი.

**სარეცხი მანქანა JUNDA-800**
ზომა 85X60X46; ბრუნი — 600. წონა — 5 კგ. ელენერგიის A კლასი (1,02);
**649.00 ლარი;** გარანტია — 3 წელი.

**სარეცხი მანქანა OLIMPUS 1000**
ზომა 85X60X57; ბრუნი — 1000. წონა — 8 კგ. ელენერგიის A კლასი (1,04); რეცხვის ხარისხი — A+ კლასი;
**899.00 ლარი;** გარანტია — 3 წელი.



**კონდიციონერი ECO12**
ფართობი (30/35 კვ მ); ელენერგიის ხარჯი 1200 W. ფერი: თეთრი; იოლად მართვადი პანელი, ჰაერის ნაკადი გრძელ დისტანციაზე, გაციებისა და გათბობის ტურბოსისტემა, მტვრის საწინაალმდეგო ფილტრი;
**724.00 ლარი;** გარანტია — 3 წელი.





**ჭურჭლის სარეცხი PEARL 2**

ზომა 85X60X60;
ელენერგიის B კლასი (1.20);
გათვლილია 12 პერსონაზე.
**699.00 ლარი;**
გარანტია — 3 წელი.



**გაზქურა C500**
ზომა 60X50;
ფერი: თეთრი. მთლიანად გაზზე.
**499.00 ლარი;**
გარანტია — 3 წელი.

**გაზქურა C610S**
ზომა 60X60;
ფერი: შავი;
1 ელენერგიაზე + 3 გაზზე;
ღუმელი — გაზზე;
**679.00 ლარი + TV;**
გარანტია — 3 წელი.

## «ვესტელის» ტექნოლოგიების ბაზა

როგორც მსოფლიო მარკის პროდუქციას შეესაბამება, „ვესტელს“ თავისი ბაზები აქვს მთელ მსოფლიოში, მათ შორის, სანდიეგოში (აშშ), ბრისტოლში (ინგლისი), იზმირში (თურქეთი), ტაივანსა და ჰონკონგში (აზია); ევროპაში კი ეს ბაზები განთავსებულია იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიასა და ჰოლანდიაში.





VESTEL

გვერდები მოამზადა **ეთერ კასრელიშვილმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ქრონოგრაფი

# რა მოხდა მსოფლიოში სხვადასხვა წელს 4-დან 10 ნოემბრამდე?

### 4 ნოემბერი

**დღის ციტატა:**
**ჩვენ მოგვწონს ადამიანები, რომლებიც თამამად გამოხატავენ თავიანთ აზრს, ოღონდ იმ პირობით, რომ ისინი ჩვენსავით ფიქრობენ.**
**მარკ ტვენი**

**1520 წელს** დანიის მეფემ — კრისტიან II-მ დაიპყრო სტოკჰოლმი და თავი შვედეთის მეფედ გამოაცხადა.
**1847 წელს** შვეიცარიაში სამოქალაქო ომი დაიწყო.
**1848 წელს** მსოფლიოში პირველი მეტრო გაიხსნა. ლონდონის ერთი ბოლოდან მეორეში მოქალაქეთა სწრაფი ტრანსპორტირებისთვის მიწისქვეშა რკინიგზის აგების იდეა ადვოკატ ჩარლზ პირსონს ეკუთვნოდა.
**1862 წელს** ამერიკელმა გამომგონებელმა რ. ჰატლინგმა დააპატენტა „სწრაფი ცეცხლი“ (ტყვიამფრქვევი).
**1873 წელს** დაიბადა ინგლისელი ფილოსოფოსი, ნეორეალიზმის დამფუძნებელი ჯორჯ მური.
**1946 წელს** შეიქმნა იუნესკოს ორგანიზაცია.
**1952 წელს** 35 წლის ჯონ კენედი აშშ-ის სენატში აირჩიეს მასაჩუსეტსის შტატიდან.

### 5 ნოემბერი

**დღის ციტატა:**
**თუ ცრემლებს ღვრი იმის გამო, რომ მზე არ ანათებს, ვერც ვარსკვლავებს დაინახავ.**
**რაბინდრანათ თაგორი**

**1484 წელს** რომის პაპმა ინოკენტი VIII-მ გამოსცა ბული ალქაჯების წინააღმდეგ, რამაც სათავე დაუდო ევროპაში ქალების მასობრივად აყვანას კოცონზე.
**1872 წელს** ნიუ იორკიდან გენუაში გაემგზავრა ბრიგანტინე „მარია სელესტე,“ რომლის ეკიპაჟიც იდუმალებით მოცულ ვითარებაში ზღვაში გაუჩინარდა.
**1913 წელს** დაიბადა ცნობილი მსახიობი ვივიენ ლი.
**1914 წელს** ინგლისმა კვიპროსის ანექსია მოახდინა.
**1921 წელს** ლენინმა დაწერა სტატია „ოქროს მნიშვნელობის შესახებ.“
**1923 წელს** სსრკ-ში შემოიღეს ექსპერიმენტული კალენდარი ხუთდღიანი კვირებით.
**1956 წელს** ინგლის-საფრანგეთს ჯარებმა პორტ-საიდის ოკუპირება მოახდინეს, რის შემდეგაც სსრკ ბირთვული იერიშით დაემუქრა ლონდონსა და პარიზს.

### 6 ნოემბერი

**დღის ციტატა:**
**ჩვენთვის აუცილებელია ნაცნობთა ორი კატეგორია: ერთი, რომელსაც საკუთარ უსიამოვნებებს შევჩივლებთ და მეორე, რომლის წინაშეც ვიტრაბახებთ.**
**ლოგან პირსოლ სმიტი**

**1479 წელს** დაიბადა კასტილიის დედოფალი „შეშლილი ჟანა.“
**1796 წელს** გარდაიცვალა რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II.
**1814 წელს** დაიბადა საქსოფონის გამომგონებელი, ბელგიელი ადოლფ საქსი.
**1869 წელს** ნიუ-ჯერსიში ამერიკული ფეხბურთის პირველი მატჩი გაიმართა.
**1869 წელს** სამხრეთ აფრიკაში ალმასის საბადოები აღმოაჩინეს.
**1938 წელს** პარიზში მოკლეს გერმანელი დიპლომატი ე. ფონ რატი, რაც გერმანიაში ებრაელების ჟლეტის საბაბად იქცა.
**1988 წელს** აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს 6 ათასი კომპიუტერი დაავირუსეს.
**2000 წელს** მეცნიერებმა შავი ზღვის ფსკერზე აღმოაჩინეს ძველისძველი ხომალდი, რომელიც, მათი ვარაუდით, ათას ხუთასი წლის წინათ აიგო.

### 7 ნოემბერი

**დღის ციტატა:**
**ამქვეყნად ყველაფერი ფუნქციონალურია, განსაკუთრებით ის, რაც სრულებით არაფერს ემსახურება.**
**სტანისლავ ეჟი ლეცი**

**ჩვ .წ. აღ.-მდე 63 წელს** ციცერონმა რომიდან გააძევა კატილინა.
**1867 წელს** დაიბადა ფრანგი ფიზიკოსი, ორგზის ნობელის ლაურეატი მარია სკლადოვსკაია-კიური.
**1913 წელს** დაიბადა ფრანგი მწერალი, ფილოსოფოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი ალბერ კამიუ.
**644 წელს** სპარსი მონისგან მიყენებული ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა მსოფლიო ისლამური იმპერიის დამფუძნებელი ხალიფა უმარ I.
**1783 წელს** სევილიაში კოცონზე დაწვეს ესპანური ინკვიზიციის უკანასკნელი მსხვერპლი.
**1893 წელს** გარდაიცვალა დიდი რუსი კომპოზიტორი პეტრე ჩაიკოვსკი.
**1916 წელს** ამერიკის კონგრესში პირველი ქალი — ჯენეტ რენკინი აირჩიეს.
**1921 წელს** ბენიტო მუსოლინიმ თავი ფაშისტური პარტიის „დუჩედ“ (ბელადად) გამოაცხადა.
**1967 წელს** გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო დეკლარაცია ქალთა დისკრიმინაცის ლიკვიდაციის შესახებ.

# მეექვსე გრძნობა



**ინგლისელი ფსიქოლოგი დინ რეიდინი ვარაუდობს, რომ ადამიანებს მართლაც აქვთ ე. წ. მეექვსე გრძნობა, რომელიც ზოგჯერ ხიფათისგან გვიხსნის. რეიდინმა ექსპერიმენტების მთელი სერია ჩაატარა, რომლებიც, მისი აზრით, ადასტურებს წინასწარჭვრეტის ამგვარ ნიჭს.**

საცდელ პირს სვამენ ეკრანთან, რომელზეც კომპიუტერს ფოტოსურათები გამოაქვს — ზოგი ნეიტრალური ხასიათისა, მაგალითად, თვალისთვის საამო პეიზაჟები, ზოგიც უსიამოვნო და საფრთხის შემცველი; მაგალითად, ობობებისა და ქვეწარმავლების სურათები. ფოტოები სულ სამი წამით ჩნდება ეკრანზე, მათ შორის კი 8-წამიანი პაუზებია. ექსპერიმენტისას ადამიანს უმოწმებენ კანისა და სისხლძარღვების ელექტრულ წინააღმდეგობას. ცდის შედეგები, ერთი შეხედვით, გასაოცარი როდია: უსიამოვნო გამოსახულების გამოჩენისას ფიზიოლოგიური მდგომარეობის მრუდი ზევით იწევს, ნეიტრალურ ფოტოზე კი მისი რეაქცია მშვიდია. თუმცა ამ მრუდზე დაკვირვებისას თვალსაჩინოა, რომ ეკრანზე ფოტოს გამოჩენამდე ორი წამით ადრე, როცა კომპიუტერს გამოსახულება ჯერ კიდევ არ შეურჩევია, უსიამოვნო სურათის ხილვის წინ ფიზიოლოგიური მაჩვენებლები ასევე ზევით იწევს, ანუ ორგანიზმი უსიამოვნო ემოციებზე მათ აღძვრამდე რამდენიმე წამით ადრე რეაგირებს.

რეიდინის დასკვნით, მისი ექსპერიმენტის შედეგები ადასტურებს, რომ ქვეცნობიერ დონეზე წინათგრძნობა არცთუ იშვიათად გვატყობინებს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ.

რეიდინის ცდები ამსტერდამისა და ედინბურგის უნივერსიტეტებში სხვა მეცნიერებმაც გაიმეორეს და იგივე შედეგები მიიღეს.

# უკვდავების რეცეპტი

**უკრაინელმა მეცნიერმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა კონსტანტინ რასინმა ატომური ბირთვის აგებულების მისეული თეორიის საფუძველზე ადამიანის უკვდავების ტექნოლოგია გამოიგონა.**



„შესაძლოა, არასოდეს აღვესრულოთ. საქმე ისაა, რომ ტექნოლოგიები ტვინის ბიოკიბერნეტიკის სფეროში სულ მალე ტვინის ცალკეული ფუნქციების პროთეზირების საშუალებას მოგვცემს,“ — ირწმუნება მეცნიერი.

ამასთან, ის არ გამორიცხავს, რომ ამ ტექნოლოგიის საფუძველზე შესაძლებელია ელექტრული ხელსაწყოს — თავისებური „სულისმიმღების“ შექმნა, სადაც მომაკვდავ ადამიანს „მოათავსებენ.“

რასინმა საზოგადოებას შეახსენა, რომ ბრისტოლის ორ უნივერსიტეტში ამჟამად რობოტ-ანდროიდების შექმნაზე მუშაობენ, რომლებსაც რეალური ადამიანისგან ვერ განასხვავებ.

ამიტომ „შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელსაწყოში „გადასახლებული“ პიროვნებისთვის მალე სხეულიც მზად იქნება.“ ამასთან, რასინის თქმით, ეს იქნება არა „ზომბი,“ არამედ დამოუკიდებელი, მოაზროვნე ადამიანი, რომლის ტვინიც გადანერგეს.

„ახლა ეს აღარავის მიაჩნია ფანტასტიკად ან ზღაპრად. ეს რეალობაა,“ — ირწმუნება მეცნიერი.

აღსანიშნავია, რომ რასინის ჰიპოთეზა კარდინალურად განსხვავდება რეზერფორდ-ბორის საყოველთაოდ ცნობილი თეორიისგან ატომური ბირთვის აგებულების შესახებ.

კერძოდ, რასინის თეორიის მიხედვით, ატომი შედგება არა პროტონების, ნეიტრონებისა და დამუხტული ელექტრონებისგან, არამედ მთლიან სუბსტანციას წარმოადგენს. „რეალურად ატომის ბირთვი შედგება პლაზმის ნაკადებისგან, რომლებიც გარკვეული სიხშირით, განსაზღვრული ტრაექტორიით, სივრცის სამგანზომილებიანობის პრინციპის შესატყვისად მიემართება, — აღნიშნავს იგი, — ეს თეორია საშუალებას იძლევა, მთელი ფიზიკა — ნიუტონის მარტივი მექანიკიდან თანამედროვე კვანტურ მექანიკამდე, ურთიერთდაკავშირებულ მთლიანობად ვაქციოთ... ამ პროგრესული ტექნოლოგიის უგულებელყოფა ფიზიკური, პიროვნული და ინტელექტუალური უკვდავების შესაძლებლობას დაგვაკარგვინებს.“

# ნერონის მბრუნავი ოთახი

**რომში, პალატინის ბორცვზე, ე. წ. ნერონის ოქროს სასახლის გათხრებისას იტალიელმა მეცნიერებმა სახელგანთქმული „მბრუნავი ოთახი“ აღმოაჩინეს, რომელიც უძველესი ხანის ისტორიკოსმა სვეტონიუსმა თავის ნაშრომში — „12 კეისრის ცხოვრება“ — აღწერა.**



შენობას ნერონი სასადილო დარბაზად იყენებდა და სტუმრებსაც აქვე მასპინძლობდა. ოთახს ხის პლატფორმა ჰქონდა, რომელიც დღედაღამ ბრუნავდა დედამიწის ბრუნვის შესაბამისად.

არქეოლოგების მიერ წარმოებულმა გათხრებმა აჩვენა, ასევე, რომ ოქროს სასახლე გაცილებით დიდი იყო, ვიდრე აქამდე მიაჩნდათ და თითქმის მთელი პალატინი ეკავა.

# ინკების ოქრო

**მკვლევარისა და გეოლოგის უილიამ ბრუკსის დასკვნით, ინდიელები ერთობ ნიჭიერი მეტალურგები იყვნენ. 1532 წელს, როცა ესპანელმა კონკისტადორებმა ინკების იმპერატორი ატაუალპა გაიტაცეს, მის გამოსასყიდად ინდიელებს ოქრო და ვერცხლი მოსთხოვეს.**





რამდენიმე კვირის განმავლობაში ლამების ქარავანს დამპყრობლებისთვის ტონობით ძვირფასი ქანდაკება, თასები და სხვა ნაკეთობანი მიჰქონდა. ევროპელებმა ისინი ოქროს ზოდებად გადაადნეს. ის ფაქტი, რომ ინკებს გიგანტური რაოდენობის ძვირფასი არტეფაქტები ჰქონდათ, მეტყველებს იმაზე, რომ ისინი მეტალურგიის საფუძვლებს იცნობდნენ.

ოქროს მიღების ტექნოლოგია მას შემდეგ თითქმის არ შეცვლილა. ძვირფასი ლითონის მისაღებად აუცილებელია დაქუცმაცებული მადანის თხევად ვერცხლისწყალთან შერევა, რის შედეგადაც წარმოიქმნება ამალგამები, ანუ შენადნობები, რომელთა გამოცალკევება საერთო მასისგან იოლია. ამის შემდეგ ამალგამებს მაღალ ტემპერატურამდე აცხელებენ, ვერცხლისწყალი ორთქლდება და რჩება ოქრო ან ვერცხლი. ეს მეთოდი ჯერ კიდევ რომაელებისთვის იყო ცნობილი, თუმცა ფართოდ გავრცელდა მხოლოდ XII საუკუნეში. ბრუკსის მიერ შეკრებილმა არქეოლოგთა და გეოლოგთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ ინკები ოქროს ამალგამირების მეშვეობით იღებდნენ. იმპერატორ ატაუალპას კი გამოსასყიდმა არ უშველა — ესპანელებმა მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს და რკინის სარტყლით — გაროტოთი მოაშთეს. გადმოცემის თანახმად, სიკვდილის წინა დღეს ატაუალპამ თავის ერთგულ ხალხს გამოსამშვიდობებელი წერილი — კიპა გადასცა. ეს უჩვეულო ბარათი გახლდათ — კვანძები თოკზე კი არა, ოქროს ჯოხზე იყო გამობმული: ცამეტი კვანძი — უკანასკნელი ინკის უკანასკნელი წერილი. იმავე დღეს ინკების მთელი საგანძური იმპერიის ყველა ტაძრიდან უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# გენიალური გამოგონებანი

## ტუალეტის ქაღალდი



1857 წელს ნიუიორკელმა ჯოზეფ ჰაიეტიმ ქაღალდი ოთხკუთხედებად დაჭრა და დასტებად შეფუთა. მანამდე ტუალეტის ქაღალდი ჩვენთვის ცნობილი სახით არ არსებობდა. ჯოზეფი ისე ამაყობდა თავისი გამოგონებით, რომ ყველა ფურცელზე თავის სახელს აწერდა. ქაღალდის რულონებად დახვევის იდეის ავტორი კი უცნობია. თუმცა ასეთი რულონების გამოშვება ამერიკულმა ქაღალდის ფაბრიკამ 1890 წელს დაიწყო.

## ბორბალი



ვინ და რისთვის შექმნა პირველად ბორბალი, ისტორიის ერთ-ერთ უდიდეს გამოცანად რჩება. უძველესი ბორბალი, რომელიც 55 საუკუნის წინათ აღმოჩნდა დამზადებული, მესოპოტამიის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს. სხვადასხვა ტვირთის ტრანსპორტირებას მანამდე თანამედროვე მარხილის მსგავსი მოწყობილობით ახდენდნენ. ბორბლებიანი მარხილის პირველი გამოსახულება ჩვ. წ. აღ.-მდე XXXV საუკუნის შუმერულ პიქტოგრამაზეა დატანებული. იმდროინდელი ბორბლები ხის დისკებს წარმოადგენდა. ბორბლები და ორთვალები ყველაზე მეტად გავრცელებული იყო ძველ საბერძნეთსა და რომში, ხოლო ამერიკაში ისინი ევროპელებმა შეიტანეს.



## კანფეტის ქაღალდი (ფანტიკი)



დიდ გამომგონებელ ტომას ედისონზე საუბრისას მის ყველაზე ცნობილ ქმნილებებს იხსენებენ: ფონოგრაფს, საბეჭდ მანქანას, საბირჟო ტელეგრაფს, ცვლადი დენის გენერატორს და, რა თქმა უნდა, ნათურას; თუმცა ყველას როდი ახსოვს, რომ 1972 წელს ედისონმა პარაფინირებული ქაღალდი — კანფეტის შესაფუთი (ფანტიკი) გამოიგონა.

## ფეხსაცმლის თასმები



ისტორიამ არ შემოგვინახა იმ გენიოსის სახელი, რომელმაც ფეხსაცმლის თასმები გამოიგონა. სამაგიეროდ, ცნობილია ამ მოვლენის თარიღი — 1790 წლის 27 მარტი. სწორედ ამ დღეს ინგლისში პირველად გამოჩნდა ლითონისბუნიკიანი თასმები ფეხსაცმლის შესაკრავად. მანამდე ფეხსაცმელს ბალთებით იკრავდნენ.

## საკიდი



სამოსის დასაკიდი კაუჭი 1869 წელს ვინმე ო.ნორტონმა დააპატენტა. 1903 წელს კი მავთულების დამამზადებელ ქარხანაში მომუშავე ალბერტ პარკჰაუსმა, რომელსაც მუშები ხშირად შესჩიოდნენ, — პალტოებისთვის დასაკიდი კაუჭები არ გვყოფნისო, საკიდი-სამხრეები გამოიგონა: მავთულებისგან დაამზადა გარკვეული მანძილით დაშორებული ორი ოვალი, რომელთა ბოლოები კაუჭით დააბოლოვა. 1932 წელს ეს ოვალები მუყაოთი დააკავშირეს, რათა სველი სამოსი არ გაწელილიყო და დაჭმუჭნილიყო. სამი წლის შემდეგ საკიდს ქვედა თამასა დაუმატეს.

## ნემსი



კერვის ისტორია 20 000 წელს ითვლის. პირველყოფილი ადამიანები ტყავებს ეკლებით ან წვეტიანი ქვებით ხვრეტდნენ, ნახვრეტებში ნანადირევის ძარღვებს უყრიდნენ და ასე „იკერავდნენ“ კოსტუმებს. ქვისგან, ძვლისგან ან რქისგან დამზადებული პირველი ყუნწიანი ნემსები თანამედროვე ევროპის ტერიტორიასა და შუა აზიაში დაახლოებით 17 ათასი წლის წინათ გამოჩნდა. მიჩნეულია, რომ პირველი ფოლადის ნემსი ჩინეთში დამზადდა. იქვე ჩვ. წ. აღ.-მდე III საუკუნეში გამოიგონეს სათითეც. მავრიტანიის მოსახლეებმა ეს გამოგონება დასავლეთში შეიტანეს. ნემსების მასობრივი წარმოება კი XIV საუკუნეში ნიურნბერგსა და ლონდონში დაიწყეს.

## მაკრატელი



თანამედროვე მაკრატლის პირველი „წინაპარი“ ძველი ეგვიპტის ნანგრევებში აღმოაჩინეს. ის ლითონის მთლიანი ნაჭრისგან იყო დამზადებული და არა ორი გადაჯვარედინებული პირისგან. ეს მაკრატელი ჩვენს ერამდე XVI საუკუნით თარიღდება, ხოლო ჩვენთვის ცნობილი სახით ის ლეონარდო და ვინჩიმ გამოიგონა.

# 9 უდიდესი შეცდომა

**სკოლაში მხოლოდ ცოდნას კი არა, დამახინჯებულ წარმოდგენებსაც ვიძენთ.
გთავაზობთ 9 ყველაზე გავრცელებულ შეცდომას.**

სკოლის წლებში აინშტაინი სულაც არ იყო ოროსანი, პირიქით — ჩინებულად ეუფლებოდა პროგრამას, განსაკუთრებით, ბუნებისმეტყველებასა და მათემატიკას. დამახინჯებული წარმოდგენის შექმნას კი ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ გერმანიაში შეფასების სისტემის რეფორმირების შედეგად „ოთხიანები“ „ორიანებად“ გადაიქცა.

თაგვებს სულაც არ უყვართ ყველი: უფრო მეტად ხიბლავთ ტკბილეული.

ნაპოლეონი ტანმორჩილი სულაც არ გახლდათ — მისი სიმაღლე 5 ფუტსა და 7 დიუიმს (170 სმ) შეადგენდა, რაც მისი თანამედროვეებისთვის სრულიად ნორმალური მაჩვენებელი იყო.

ელექტრონათურა ედისონს არ გამოუგონებია. ის ინგლისელმა ჯოზეფ სუენმა გამოიგონა.



მითი, თითქოს ლემინგები ქარაფებიდან ზღვაში თავის მოსაკლავად ხტებიან, დასაბამს დისნეის ძველი ფილმიდან იღებს.

„სხვადასხვა ნახევარსფეროში წყალი მორევში სხვადასხვა მხარეს ბრუნავს“, „ვიკინგებს რქიანი მუზარადები ეხურათ“, „სიმწარეს — ენის ერთი ნაწილის, ხოლო სიტკბოს მეორე ნაწილის რეცეპტორებით შევიგრძნობთ“ — ეს შეხედულებანიც მცდარია.

დარვინი არ ამტკიცებდა, რომ ადამიანი მაიმუნისგან წარმოიშვა, უბრალოდ, ვარაუდობდა, რომ პრიმატებს საერთო წინაპარი ჰყავდათ.

# იდეალური ქალი-ანდროიდი

**კორეელმა მეცნიერებმა შექმნეს პირველი მდედრობითი სქესის ანდროიდი, რომელსაც ბიბლიური ევას მსგავსად ევერ-1 უწოდეს. ანდროიდს სახის გამომეტყველების შეცვლა შეუძლია, 20 წლის ქალიშვილივით გამოიყურება, სიმაღლით 160 სმ-ია და 50 კგ-ს იწონის. რობოტიზებული ქალის კანი სილიკონის მასალისგანაა დამზადებული და პრაქტიკულად არ განსხვავდება ადამიანის კანისგან.**



ანდროიდის სახეში ჩამონტაჟებულია 150 სენსორი, რომლებიც მას საშუალებას აძლევს, მოსაუბრის გამომეტყველება გააანალიზოს და ახლომახლო მყოფი ადამიანისკენ თავი მიაბრუნოს. რობოტმა 400 სიტყვა იცის და მარტივი საუბრის გამართვაც შეუძლია. მის შემქმნელთა თქმით, ევერ-1-ს უნარი შესწევს, იმუშაოს საინფორმაციო სამსახურში, მუზეუმში, სუპერმარკეტში ანდა ბავშვებს ძილის წინ ზღაპარი წაუკითხოს. მოდელი ევერ-2 კი, რომლის შექმნაზეც ამჟამად მუშაობენ, ადგომასა და დაჯდომასაც შეძლებს.

# ქრონოგრაფი

## რა მოხდა მსოფლიოში სხვადასხვა წელს 4-დან 10 ნოემბრამდე?

### 8 ნოემბერი

**დღის ციტატა:**
**ყოველთვის მძულდა დამკვირვებლის როლი. ვინა ვარ ან საერთოდ ვარ კი, როცა მოვლენებში არ ვმონაწილეობ?**
**ანტუან დე სანტ ეკზიუპერი.**

**1519 წელს** ესპანელი დამპყრობი ფ. კორტესი მცირე რაზმით აცტეკების დედაქალაქ ტენოჩტიტლანში შეიჭრა.
**1623 წელს** პირველად გამოქვეყნდა შექსპირის ნაწარმოებთა კრებული.
**1793 წელს** „ლუვრი“ დამთვალიერებელთათვის გაიხსნა.
**1802 წელს** დაიბადა ინგლისის შრომის მინისტრი ბენ ჰოლი, რომლის პატივსაცემადაც ლონდონის საათს ბიგ-ბენი უწოდეს.
**1875 წელს** დაიბადა რუსი ისტორიკოსი ევგენი ტარლე.
**1889 წელს** მონტანა აშშ-ის 41-ე შტატი გახდა.
**1895 წელს** ვ. რენტგენმა რენტგენის სხივები აღმოაჩინა.
**1910 წელს** ინდიანას შტატში ფერმერი ს. შრაპი, რომელმაც კუდმოჭრილი ცხენი სახედრად გაასაღა და გაყიდა, 12 საათის განმავლობაში (მსოფლიო რეკორდი) შეუჩერებლად იცინოდა. ექიმებმა მხოლოდ ელექტროშოკით შეძლეს მისი ამ მდგომარეობიდან გამოყვანა.
**1911 წელს** დაიბადა ამერიკელი მსახიობი, სამი „ოსკარის“ მფლობელი კეტრინ ჰეპბერნი.
**1923 წელს** ჰიტლერმა მიუნჰენში წარუმატებელი პუტჩი („ლუდის პუტჩი“) მოაწყო.
**1935 წელს** დაიბადა ფრანგი მსახიობი ალენ დელონი.
**1939 წელს** მიუნჰენის ლუდხანაში „ლუდის პუტჩის“ იუბილეზე წარუმატებელი თავდასხმა განხორციელდა ჰიტლერზე, რომელმაც შენობა აფეთქებამდე 10 წუთით ადრე დატოვა.
**1966 წელს** ამერიკელი კინომსახიობი რონალდ რეიგანი კალიფორნიის გუბერნატორად აირჩიეს.

### 9 ნოემბერი

**დღის ციტატა:**
**ვითარც ულონო მკლავი არ არს მახვილის მძლევი,/ისე სულმოკლე კაცისაგან საქმეს ნუ ელი!**
**საადი**

**1799 წელს** ნაპოლეონმა საფრანგეთში ხელში ჩაიგდო ძალაუფლება.
**1801 წელს** დაიბადა ამრიკელი ბიზნესმენი, შედედებული რძის შემქმნელი გეილ ბორდენი.
**1832 წელს** დაიბადა ფრანგი მწერალი, დეტექტიური ჟანრის სულისჩამდგმელი ემილ გაბორიო.
**1859 წელს** ინგლისის არმიაში გაროზგვა გაუქმდა.
**1872 წელს** ბოსტონში გაჩენილი ხანძრისას 930 შენობა დაიწვა, ხოლო 12 კაცი დაიღუპა.
**1888 წელს** დაიბადა ფრანგი ეკონომისტი, თავისუფალი ბაზრის იდეის ავტორი ჟან მონე.
**1936 წელს** დაიბადა რუსი მოჭადრაკე, მსოფლიოს მერვე ჩემპიონი მიხეილ ტალი.
**1906 წელს** რუზველტი გახდა აშშ-ის პირველი პრეზიდენტი, რომელიც სხვა ქვეყანას ეწვია (პანამა და პუერტო-რიკო).
**1911 წელს** პარიზში ნეონის რეკლამა დააპატენტეს.
**1918 წელს** გერმანიის ტახტიდან ჩამოაგდეს ვილჰელმ კაიზერი, რომელიც ჰოლანდიაში გაიქცა.
**1923 წელს** მიუნჰენში ნაცისტების მარში დახვრიტეს, ჰიტლერმა კონტუზია მიიღო, ხოლო გერინგი დაიჭრა.
**1938 წელს** გერმანიაში ებრაელების მასობრივი ხოცვა-ჟლეტა გაიმართა („ბროლის ღამე“).
**1951 წელს** აშშ-მა ატომური ბომბის პირველი მიწისქვეშა გამოცდა ჩაატარა.
**1970 წელს** გარდაიცვალა შარლ დე გოლი.

### 10 ნოემბერი

**დღის ციტატა:**
**სიმართლე ისე ამოტივტივდება სიცრუის ზედაპირზე, როგორც ცხიმი წყალზე.**
**მიგელ დე სერვანტესი**

**1483 წელს** დაიბადა გერმანელი პროტესტანტი რეფორმატორი, რეფორმაციის იდეოლოგი და ლიდერი მარტინ ლუთერ კინგი.
**1759 წელს** დაიბადა გერმანელი პოეტი და დრამატურგი იოჰან ფრიდრიხ შილერი.
**1770 წელს** ვოლტერმა განაცხადა: „ღმერთი რომ არ ყოფილიყო, მისი გამოგონება იქნებოდა საჭირო!“
**1940 წელს** უოლტ დისნეი „ფე-ბე-ერს“ ჰოლივუდში მყოფი „კომუნისტური ელემენტების“ დასმენაზე დათანხმდა.
**1975 წელს** გაეროს გენერალურმა ასამბლეამ სიონიზმი რასიზმს გაუთანაბრა.
**1994 წელს** ერაყმა ქუვეითის დამოუკიდებლობა აღიარა.
**1993 წელს** ინგლისელმა დალაქმა ტომ როდენმა ერთ საათში 278 კაცი გაპარსა (მსოფლიო რეკორდი).

გვერდები მოამზადა **ნანა ჩარკვიანმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რატომ არ მარხავენ 30 წლის წინათ გარდაცვლილ ქალს?



**ბრიტანელმა 81 წლის რონ სმიტმა, როგორც იქნა, გადაწყვიტა, მიწას მიაბაროს 1979 წელს საუდის არაბეთში გარდაცვლილი მისი ქალიშვილის ცხედარი. ქალის გვამი უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ქალაქ ლიდსის მორგში ინახებოდა.**

23 წლის ბრიტანელი მედდა ჰელენ სმიტი 1979 წლის მაისში საპორტო ქალაქ ჯიდაში დაიღუპა. ეს საუდის არაბეთში მცხოვრები ემიგრანტების მიერ ორგანიზებულ საღამოზე მოხდა. როგორც გამოძიებამ დაასკვნა, გოგონა და მისი პარტნიორი, ჰოლანდიელი საზღვაო კაპიტანი იოჰანეს ოტენი 20-მეტრიანი სიმაღლიდან გადავარდნას ემსხვერპლნენ. წყვილი შემთხვევით გადავარდა აივნიდან.

სამედიცინო ექსპერტიზამ დაასკვნა, რომ გოგონას უამრავი მოტეხილობა ჰქონდა და თირკმელები და თავის ტვინის სერიოზული ტრავმა მიიღო, მაგრამ მამამისმა, ყოფილმა პოლიციელმა რონ სმიტმა ჩათვალა, რომ მისი ქალიშვილი სულაც არ იყო უბედური შემთხვევის მსხვერპლი — ის ჯერ გააუპატიურეს, შემდეგ კი მოკლეს.

რონ სმიტმა ქალიშვილის გვამზე საკუთარი ვერსიის დამადასტურებელი ფაქტებიც აღმოაჩინა და განაცხადა, რომ სიმართლის დასადგენად თავად ჩაატარებდა გამოძიებას. ამიტომაც გამწარებულმა მამამ ჰელენის გვამი ერთ-ერთ მორგში შეინახა და მისი დაკრძალვა იმ დროისათვის გადადო, როცა საბოლოოდ დაადგენდა სიმართლეს.

1982 წელს სმიტის მიერ წამოწყებულ საქმესთან დაკავშირებით სასამართლო პროცესი დასრულდა, მაგრამ დასრულდა ისე, რომ ვერ დაადგინა მომხდარში დამნაშავის ვინაობა. მოგვიანებით რონ სმიტმა ქვეყნის ყოფილ ვიცე-პრემიერ ჯონ პრესკოტსა და ექს-პრემიერ ტონი ბლერს გამოძიების განახლების თხოვნით მიმართა, მაგრამ ამ თხოვნის დაკმაყოფილებას ვერ მიაღწია.

რამდენიმე თვის წინათ გარდაცვლილმა ჰელენის დედამ (73 წლის ჯერილ სმიტმა) განაცხადა, რომ ქალიშვილის სიკვდილის მიზეზად უბედურ შემთხვევას მიიჩნევდა. მან თავის ექს-მეუღლეს — რონ სმიტს თხოვნით მიმართა, 30 წლის წინათ დაღუპული ჰელენის გვამი მიწისთვის მიებარებინა. როგორც იქნა, მამა დათანხმდა ამ წინადადებას.

„როცა საქმე ცივი გონებით განვჭვრიტე, დავთანხმდი მის დაკრალვას, მაგრამ არასდროს დავთანხმდები იმას, რომ ხელისუფლებები არ იყვნენ ჩარეულნი სიმართლის დაფარვაში“, — განაცხადა რონ სმიტმა, რომელიც დღესაც თვლის, რომ ბრიტანეთისა და საუდის არაბეთის ხელისუფლებებმა მოილაპარაკეს, მისი ქალიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებული გამოძიების მასალები საიდუმლოდ შეენახათ.

ასეა თუ ისე, 9 ნოემბერს ჰელენ სმიტის ცხედარს მიწას მიაბარებენ.

# ვინ ჩაყლაპავს დანა-ჩანგალს?

**დანებზე ჯერ არ უვარჯიშია, მაგრამ ჰოლანდიელმა ქალბატონმა 78 ცალი ჩანგლისა და კოვზის გადაყლაპვა უკვე მოახერხა.**



52 წლის მარგარეტ დაალმანი, რომელიც როტერდამში უძრავი ქონების ერთ-ერთ სააგენტოში მუშაობდა, ერთ დღეს მუცლის არეში ძლიერი ტკივილების გამო საავადმყოფოში მიიყვანეს. რენტგენულ სურათზე გამოჩნდა, რომ მის საჭმლის მომნელებელ სისტემაში უამრავი ზედმეტი ნივთი იყო მიყრილ-მოყრილი.

ექსტრემალური ოპერაციის შედეგად დაალმანს მუცლიდან 78 ცალი კოვზი და ჩანგალი ამოაცალეს. მოგვიანებით პაციენტმა ექიმებს გაუმხილა, რომ „ვერცხლის შეჭმა მოუნდა და ცდუნებას ვერ გაუძლო“. გაირკვა, რომ ქალი ადრეც იყო შემჩნეული მსგავსი ნივთების ყლაპვაში, მაგრამ ამხელა მასშტაბებისთვის მაშინ არ მიუღწევია.

დაალმანი ოპერაციის შემდეგ ფსიქიატრთან გაამწესეს, რომელმაც, თავის მხრივ, სამკურნალოდ გაუშვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ამბავი დაახლოებით 30 წლის წინ მოხდა, მაგრამ აქამდე საიდუმლოდ იყო დაცული სამედიცინო ეთიკის ნორმების შესაბამისად. დაალმანის ისტორია მხოლოდ ახლა, ჰოლანდიური სამედიცინო ჟურნალის მიერ გამოცხადებულ უჩვეულო ამბების კონკურსზე ამოტივტივდა და გაიმარჯვა კიდეც. რაც შეეხება ამბის მთავარ გმირს, ქალბატონ მარგარეტს, ის ახლა მშვენივრად გრძნობს თავს და ჩანგლების ყლაპვის მანიისგან საბოლოოდ განკურნებულია.

# ვის ჰყავს 95 წლით უფროსი ქმარი?



**სომალში 17 წლის გოგონა მასზე 95 წლით უფროს კაცს გაჰყვა ცოლად. მუჰამედ ახმედ დორე, მისივე თქმით, 112 წლისაა, მისი თანასოფლელი სოფია აბდულეჰი კი — მხოლოდ 17-ის. დორე ირწმუნება, რომ სოფია მასზე შეყვარებულია და ამიტომაც გაჰყვა ცოლად. პატარძლის ოჯახი ამ ვერსიას ადასტურებს და ამბობს, რომ გოგონა უზომოდ ბედნიერია ქორწინებით.**

დორემ საცოლე მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილებით მოხიბლა, ყოველ შემთხვევაში, თავად ასე თვლის.

ერთი შეხედვით, ყველაფერი მარტივად გამოიყურება, მაგრამ სინამდვილეში მუჰამედს სოფია ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ მოეწონა და რამდენიმე წელი ელოდა საცოლის გაზრდას. ქორწილის დღეს კი განაცხადა, ალაჰი დამეხმარა, რომ ჩემი ოცნება განმეხორციელებინაო. სოფია ას წელს გადაცილებული სომალელის პირველი ცოლი არ გახლავთ, მან 112 წლის მანძილზე უკვე მოასწრო ხუთჯერ დაქორწინება და 18 შვილიც გაზარდა. სოფიას რომ გული არ დასწყდეს, არ დავაკონკრეტებთ, რამდენი წლისანი არიან მისი ქმრის შვილები და შვილიშვილები.

# რატომ აუკრძალეს პოლიციელებს მისალმება?



**ბრიტანეთის იორკშირის საგრაფოს პოლიციელებს ეკრძალებათ, წარმოთქვან ფრაზა „საღამო მშვიდობისა“. სწორედ ამგვარი ბრძანებებია ჩამოთვლილი აღნიშნული საგრაფოს პოლიციის შიდა მოხმარების ცნობარში.**

თურმე სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა შორის დღისა და საღამოს მცნება დროის სხვადასხვა მონაკვეთს შეესაბამება, ამიტომ მსგავსი ფრაზები აღარ უნდა გამოიყენებოდეს. გარდა ამისა, დაახლოებით იმავე მოსაზრებების გამო, პოლიციელებმა „ჰომოსექსუალის“ ნაცვლად „გეი“ და „ლესბოსელი“ უნდა თქვან.

მსგავსი პროტოკოლების შესაბამისად ესეკის საგრაფოს პოლიციელებსა და მეხანძრეებს ავალდებულებენ, არ გამოიყენონ ისეთი სიტყვები, როგორიცაა: „ბავშვი“, „ახალგაზრდობა“ და „ახალგაზრდა“, ვინაიდან ეს სიტყვები უარყოფით ქვეტექსტს ატარებენ და გამოუცდელობას, ფეთქებად ხასიათს გულისხმობს. ასევე, აკრძალულია მიმართვები: „გოგონა“, „ახალგაზრდავ“, „ახალგაზრდებო“.

სექსუალურ ორიენტაციასთან მიმართებაში აკრძალულია სიტყვა „ტრადიციულის“ გამოყენება, მის ჩასანაცვლებლად სიტყვა „ჰეტეროსექსუალი“ არსებობს.

ლონდონელ მეხანძრეებს ეკრძალებათ, გამოიყენონ სიტყვები: „ბიზნესმენი“ და „დიასახლისი“, ვინაიდან ეს მოძველებული სტერეოტიპებია. გარდა ამისა, მათ საკუთარ თავს „ iremen“-ის (მეხანძრე კაცი) ნაცვლად „firefighters“ (მეხანძრე) უნდა უწოდონ, რათა ამ წოდებაში სქესის აღმნიშვნელი ნაწილი გამოირიცხოს.

# ვინ მიაგნებს უკვდავების ვაშლს?



**კორპორაცია „Microsoft“-ის ერთ-ერთი ლეგენდარული სპეციალისტი გორდონ ბელი, უკვე თითქმის ათი წელია, ადამიანის მეხსიერების „ელექტრონულ ღრუბელში“ გადატანის ტექნოლოგიაზე მუშაობს.**

პროექტი, რომლის სახელწოდებაა „MyLifeBits“, ადამიანის ცხოვრების ერთიანი ბაზის შედგენას გულისხმობს. პიროვნების შესახებ მთელი ფოტო და ვიდეომასალა, ასევე, მისი ელექტრონული ფოსტის შიგთავსი და სხვა ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაცია განთავსდება საერთო ბაზაში, რომელიც ადამიანის მეხსიერების დამხმარე ფუნქციას შეასრულებს. ბელის აზრით, მისი პროექტი ადამიანებს დაეხმარება, ზედმიწევნით ახსოვდეთ არა მხოლოდ ქორწინების ან რომელიმე სხვა მნიშვნელოვანი დღე, არამედ ნებისმიერი, ყველაზე ჩვეულებრივი, რიგითი და არაფრით გამორჩეული დღეებიც.

პერსპექტივაში მრავალი ადამიანის ამგვარი პირადი ბაზა უნდა გაერთიანდეს და „ელექტრონული ღრუბლის“ ფორმით შეინახოს, რათა შთამომავლებს მემკვიდრეობით გადაეცეთ. „ეს რაღაც უკვდავების მსგავსია“, — განაცხადა ბელმა და დასძინა, რომ მზადაა, შვილებს საკუთარი დეტალური ბიოგრაფია ყოველგვარი ცენზურისა და რედაქტირების გარეშე გადასცეს. „ჩემი შვილები დიდად არ ინტერესდებიან იმით, რას ვაკეთებ სამსახურში, მაგრამ როცა ჩვენი ერთობლივი მოგზაურობის გახსენება მოუნდებათ, შეეძლებათ, ჩვენი საერთო მეხსიერებით ისარგებლონ“, — ამბობს ბელი. უნდა აღინიშნოს, რომ თავად ბელის პირადი ბაზა საკმაო მოცულობისაა. 2001 წლიდან მან ორასი ათასზე მეტი ინტერნეტსაიტი მოინახულა, გადაიღო 56 ათასი ფოტო, გაგზავნა და მიიღო 156 ათასი ელექტრონული წერილი, 7 ათასზე მეტჯერ ისაუბრა ტელეფონზე და გადაიღო ორი ათასზე მეტი ვიდეოსიუჟეტი. ყოველი ამ ნაბიჯის დასაფიქსირებლად მეცნიერს სკანერის, ციფრული კამერების, პულსის სიხშირის მონიტორის, დიქტოფონის, GPS-ნავიგატორის, ნაბიჯმზომისა და სმარტფონის გამოყენება დასჭირდა.

მეცნიერები თვლიან, რომ შორს არაა დრო, როცა ადამიანები მთელ თავიანთ ცხოვრებას შეინახავენ ციფრულ ფორმატში, ამის შესაძლებლობას კი ბელმა და მისმა პარტნიორმა ჯიმ გემელმა „მეხსიერების რევოლუცია“ უწოდეს.

# სად ითვლიან ჰომოსექსუალებს?

**კენიაში, ქვეყნის ისტორიაში პირველად, ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ჩაატაროს კვლევა, რომლის მიზანიც ქვეყანაში მცხოვრები ჰომოსექსუალების რაოდენობის დადგენაა.**



ამ საქმისთვის 40 მილიონი კენიური შილინგი, ანუ დაახლოებით 500 ათასი ამერიკული დოლარია გამოყოფილი.

როგორც ქვეყანაში შიდსის გავრცელების მაკონტროლებელი ეროვნული პროგრამის დირექტორმა ნიკოლას მურაგურიმ განაცხადა, საყოველთაო გამოკითხვა 2009 წლის დეკემბრიდან 2010 წლის ივნისამდე გაგრძელდება.

კვლევის შედეგების მიხედვით ხელისუფლება მიიღებს ინფორმაციას არა მხოლოდ ჰომოსექსუალთა რაოდენობის, არამედ მათი სოციალური ქცევის თავისებურებების შესახებაც. საუბარია მათ შორის უსაფრთხო სექსისა და ნარკოტიკის გავრცელების მაჩვენებლებზე.

ამ ინფორმაციის საფუძველზე მკვეთრად დაფიქსირდება რისკჯგუფები და შიდსთან ბრძოლის ეროვნული პროგრამაც სათანადოდ შესწორდება.

მურაგურის თქმით, ჰომოსექსუალები ჩაკეტილ ჯგუფს არ წარმოადგენენ, მაგრამ ისინი საკუთარი ორიენტაციის დასამალავად ხშირად ქორწინდებიან. ჰომოსექსუალთა შორის კენიაში შიდსის მაჩვენებელი ქვეყნის საერთო მაჩვენებელს ხუთჯერ აღემატება. ამიტომ ამ საშინელი დაავადების ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს ახლა მკაცრ კონტროლზე აიყვანენ. ყოველწლიურად კენიაში შიდსის 100 ათასამდე შემთხვევა ფიქსირდება.

# რატომ აღარ არის საჭირო ქალი და კაცი?

**სიცოცხლის გაგრძელებისთვის კაცი საჭირო აღარ არის, აღარც — ქალი. პირველად მეცნიერების ისტორიაში მეცნიერებმა ღეროვანი უჯრედებიდან კვერცხუჯრედები და სპერმატოზოიდები „გამოზარდეს“.**



შედეგად კი უნდა ველოდოთ უშვილობის მკურნალობის ახალი მეთოდების შემუშავებას, მათ შორის, მათთვისაც, ვისაც აქამდე ბიოლოგიურად გამრავლების შესაძლებლობა არ ჰქონდა. თუმცა უამრავი მორალურ-ეთიკური საკითხიც იჩენს თავს: ხომ არ ჩამოაშორებენ ცოცხალ ადამიანებს გამრავლების პროცესს?

იმავე კვლევების შედეგად, ქალებს შეუძლიათ, შვილი იყოლიონ გაცილებით ხანდაზმულ ასაკში, ვიდრე ეს აქამდე ხდებოდა.

კოლბის კვერცხუჯრედები და სპერმატოზოიდები ქვეყანას მოევლინა კალიფორნიაში, სტენფორდის უნივერსიტეტში. მეცნიერებმა მათი გაჩენისათვის ქიმიკატებისა და ვიტამინების სწორად კომბინირება მოახერხეს. სპერმატოზოიდებმა მიაღწია სიმწიფის პერიოდს, კვერცხუჯრედები კი საგრძნობლად ჩამორჩა მათ, მაგრამ სხვა ცდებთან შედარებით, რეკორდულად დიდხანს იცოცხლა. ცდისთვის სულ რამდენიმე დღის ჩანასახის ღეროვანი უჯრედები გამოიყენეს, მაგრამ ახლა ამერიკელი მეცნიერები ცდის გამეორებას ადამიანის კანის უჯრედებით აპირებენ. ჯერ ამ უჯრედებს მოათავსებენ ნარევში, რომელიც მათ ბიოლოგიურ საათს უკან დააბრუნებს და ღეროვანი უჯრედების ჩანასახოვან მდგომარეობამდე დაიყვანს, შემდეგ კი მათ სპერმატოზოიდად ან კვერცხუჯრედად აქცევს.

შედეგად კი შესაძლებელი ხდება, ქალის კანიდან ქალური სპერმატოზოიდები მიიღონ, მამაკაცის კანიდან კი — მამაკაცური კვერცხუჯრედები, ასე რომ, ამერიკელ ჰომოსექსუალ წყვილებს შთამომავლობის პრობლემა აღარ ექნებათ.

# რა ეკრძალებათ ინდონეზიელ ქალებს?

**ინდონეზიის ერთ-ერთი ოლქის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ აპირებს, მიიღოს კანონი, რომლის თანახმადაც, ქალებს ჯინსებისა და ვიწრო შარვლების, კაცებს კი მოკლე შარვლების ჩაცმა აეკრძალებათ.**







ოლქის ადმინისტრაციის წარმომადგენლის განცხადებით, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, ქალებს შარვალს დაუნაკუწებენ, სანაცვლოდ კი უფასოდ შესთავაზებენ კაბას. სავარაუდოდ, კანონი ძალაში მომავალი წლიდან შევა. როგორ უნდა იარონ კაბიანმა ქალებმა მოტოციკლეტებით, ხელისუფლებას ეს ჯერ არ მოუფიქრებია.

# რას წინასწარმეტყველებს NASA?

**გლობალური დათბობის ექსპერტები კატასტროფას ასწლეულის დასასრულს ელიან.
„კლიმატის დათბობის ექსპერტად“ წოდებულმა ჯეიმს ჰანსენმა 1981 წელს იწინასწარმეტყველა, რომ მომდევნო ათწლეულში დათბობა პიკს მიაღწევდა. მისი წინასწარმეტყველება ახდა.**



შემდეგ, 90-იანი წლების დასაწყისში, მან განაცხადა, რომ მომდევნო ასწლეულის პირველი ათი წლის განმავლობაში დათბობის ყველა მანამდელი რეკორდი დაიძლევა. ესეც გამართლდა. ახლა დედამიწას ისღა დარჩენია, იმედი იქონიოს, რომ მისი შემდეგი პროგნოზი მაინც არ გამართლდება.



ბოლო პროგნოზი კი ასეთია: ასწლეულის დასასრულისთვის მსოფლიო ზღვებისა და ოკეანეების დონე 7 მეტრით აიწევს.

კიდევ კარგი, იტალიელ ჟურნალისტებთან საუბრისას ჰანსონმა იმედის ძაფი მაინც დაგვიტოვა და განაცხადა, რომ სიტუაციის შემობრუნება ჯერ კიდევ შეიძლება, თუ დაუყოვნებლივ შევწყვეტთ ნახშირწყალბადოვანი ნედლეულის გამოყენებას, უპირველეს ყოვლისა კი — ნახშირისას. თუ ენერგიის ამ წყაროების მოხმარებას ერთბაშად არ შევწყვეტთ, ანტარქტიდის ყინულოვანი მასა, რომელიც ამჟამად ყოველწლიურად 200 კუბურ კილომეტრ მოცულობას კარგავს, საუკუნის ბოლოსთვის მთლიანად წყლად იქცევა. ამას კი ოკეანის დონის 6-7 მეტრით მომატება მოჰყვება, რასაც გრენლანდიის ყინულის დნობაც დაემატება.

მეცნიერი დარწმუნებულია, რომ, თუ მილიონ ნაწილზე ახლანდელი 387-დან ნახშირმჟავა გაზს 350-მდე დავიყვანთ, 20 წლის განმავლობაში ტემპერატურა კლებას დაიწყებს და დედამიწა გადარჩება.

# სად ცხოვრობს ნამდვილი მაუგლი?



**2007 წელს ნაპოვნი ქალი, რომელმაც კამბოჯის ჯუნგლებში 18 წელი იცხოვრა, გამოფიტვის დიაგნოზით საავადმყოფოში მოათავსეს.**

სალ ლოუ, რომელიც ირწმუნება, რომ 28 წლის როჩომ პიგიენის მამაა, ამბობს, რომ ქალი უკვე ერთი თვეა, არაფერს ჭამს და თავს ძალზე ცუდად გრძნობს. მისი ქცევა კი ძველებური რჩება — ცხოველისას უფრო ჰგავს, ვიდრე ადამიანისას. როჩომი მაიმუნის მსგავსად გადაადგილდება, არ შეუძლია ლაპარაკი, უარს ამბობს ტანსაცმელზე და მუდმივად სააბაზანო ოთახში იმალება. ლოუ თვლის, რომ მისი შვილი ახლა გაცილებით უარესად გამოიყურება, ვიდრე მაშინ, როცა ჯუნგლებში იპოვეს.

რამდენიმე დღის წინათ ქალი საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ ნათესავებმა მალევე შინ დააბრუნეს, ვინაიდან შეეშინდათ, რომ პიგიენი საავადმყოფოში სათანადოდ არ იყო დაცული და შესაძლებელი იყო, კვლავ ჯუნგლებში გაქცეულიყო. ექიმებმა პაციენტის დიაგნოზირება დროის სიმცირის გამო ვერ მოახერხეს.

როჩომ პიგიენი 2007 წელს აღმოაჩინა ფერმერმა, რომელსაც ქალი რეგულარულად ჰპარავდა საკვებს. გაირკვა, რომ იგი ნამდვილი მაიმუნივით ცხოვრობს, არ ლაპარაკობს და, უკვე მრავალი წელია, ჯუნგლებს აფარებს თავს. ცოტა ხანში 45 წლის სალ ლოუმ განაცხადა, რომ ეს მისი ქალიშვილია, რომელიც 1989 წელს ჯუნგლებში კამეჩების გადარეკვის დროს დაეკარგათ.

# რამდენი წლისაა ინტერნეტი?



**ქსელი „Arpanet“, რომელიც დროთა განმავლობაში TCP/IP-პროტოკოლების ბაზაზე თანამედროვე ინტერნეტად იქცა, თავდაპირველად შემუშავებულ იქნა აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს მოწინავე კვლევითი პროექტებისათვის. ქსელი „Arpanet“ და TCP/IP-პროტოკოლები სწორედ სამხედროებისათვის იყო განკუთვნილი, მაგრამ რეალურად ყველაზე მეტი გამოყენება აკადემიურ სფეროებში პოვა.**

მოწინავე კვლევითი პროექტების განყოფილების ხელმძღვანელი ბობ ტეილორი მოითხოვდა, შექმნილიყო ქსელი „Arpanet“, რათა მის დაქვემდებარებაში მყოფ ყველა დეპარტამენტს კომპიუტერების პროგრამულ გაფართოებაზე არ ეწუწუნა და მთელი მონაცემთა ბაზის დუბლირების საჭიროებაც აღმოფხვრილიყო.

ქსელის გაფართოება-განვითარება უდიდესი ნახტომებით მიდიოდა წინ. 1969 წლის ოქტომბერში განხორციელებულ ექსპერიმენტში სულ ორი სერვერი მონაწილეობდა, დეკემბრისთვის კი მათი რაოდენობა გაორმაგდა. 1972 წელს უკვე 37 სერვერი ფუნქციონირებდა, შემდეგ ეტაპზე უკვე დაიწყო მათი ერთმანეთთან დაკავშირება და ერთიან ქსელად გაერთიანება. სწორედ ასე შეიქმნა ინტერნეტი ზუსტად 40 წლის წინ.

ახლა მსოფლიო ქსელის 40 წლის იუბილესთან დაკავშირებით აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს კვლევითი სააგენტო „DARPA“ აცხადებს წითელი ბურთების ძებნის კონკურსს, რომელიც ინტერნეტტექნოლოგიების ძლევამოსილების დემონსტრირებას მიეძღვნება.

5 დეკემბერს აშშ-ის 10 სხვადასხვა ადგილას გაჩნდება უზარმაზარი წითელი ბურთი, რომელიც, პირობების თანახმად, ჰაერში ისე გამოიკიდება, რომ მეზობელი ქალაქებიდან გამოჩნდეს. კონკურსში მონაწილე გუნდებმა ბურთის ზუსტი ადგილმდებარეობა უნდა დაადგინონ.

გამარჯვებული გუნდი ჯილდოდ 40 ათას დოლარს მიიღებს.

# სად მდებარეობს ქალაქი არგლტონი?

**ბრიტანელებმა Google Maps-ზე ინგლისის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ლანკაშირის საგრაფოში დედამიწაზე არარსებული ქალაქი არგლტონი აღმოაჩინეს. Edge Hill -ის უნივერსიტეტის თანამშრომელმა, ქალაქ ორმსკირის მკვიდრმა როი ბეიფილდმა თავისი კოლეგის მიერ აღმოჩენილი მისთვის უცნობი ქალაქი არგლტონის მოძიება მსოფლიო რუკაზე მოინდომა, მაგრამ მითითებულ ადგილას ქალაქის ნაცვლად მოშიშვლებული მინდორი დახვდა.**



„აღფრთოვანებული ვიყავი დედამიწაზე იმ აქამდე არარსებული ადგილის უეცარი გაჩენით, რომელიც ინტერნეტის ძალით რეალობად იქცა და სანახევროდ მაინც მატერიალიზდა“, — ამბობდა როი.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ინტერნეტის საძიებო სისტემებში სიტყვა „არგლტონის“ მითითებისას იძებნება ვაკანსიები, გასაყიდი სახლები და მომსახურების ათასგვარი ფორმა, რომელსაც ამ ქალაქში გვთავაზობენ. ამასთან, ძებნის უკლებლივ ყველა შედეგი სინამდვილეს შეესაბამება, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ეს ვაკანსიები და სახლები არარსებულ ქალაქ არგლტონში კი არა, მისივე იდენტური საფოსტო ინდექსის L39-ის მქონე მიდამოებშია. ექსპერტები თვლიან, რომ კომპანია Google-მა შესაძლოა, შეგნებულად განათავსა თავის რუკებზე არარსებული ქალაქი, რათა საავტორო უფლებების დარღვევის მცდელობებს იოლად გამკლავებოდა. ცნობილია არაერთი შემთხვევა, როდესაც სწორედ ამ მიზნით კარტოგრაფებს რუკებზე არარსებული ქუჩები აღნიშნეს.

თავად Google Maps-ის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რუკის შემდგენლები, ამ შემთხვევაში ნიდერლანდური კომპანია Tele Atlas, შესაძლოა, შეცდნენ. აღნიშნულმა კომპანიამ კი, თავის მხრივ, პირობა დადო, რომ შეცდომა უსწრაფესად გასწორდება.



# რა გადაარჩენს პლანეტას?

**„თუ მსოფლიოს კლიმატის ცვალებადობასთან ბრძოლა სურს, კაცობრიობა ვეგეტარიანიზმს უნდა დათანხმდეს“, — განაცხადა ბრიტანელმა უძლიერესმა მეცნიერმა, ლორდმა სტერნმა.**

მეცხოველეობა, მისი აზრით, უდიდეს ზეწოლას ახორციელებს მსოფლიო რესურსებზე. ვეგეტარიანელობა კი მნიშვნელოვნად გაუხანგრძლივებს პლანეტას მშვიდ ცხოვრებას.

მსოფლიო ბანკის ყოფილი მთავარი ეკონომისტი, ლონდონის ეკონომიკის სკოლის პროფესორი მიიჩნევს, რომ ძროხებისა და ღორების მიერ გამოყოფილი მეთანი უდიდეს ზიანს აყენებს დედამიწის კლიმატურ მდგრადობას, ვინაიდან მეთანი ნახშირმჟავა გაზზე 23-ჯერ მეტად უწყობს ხელს გლობალურ დათბობას.

# როგორ აღიქვამენ ბავშვები საქართველოს პრეზიდენტს



ქიშვარდი მაისაშვილი



ნინო იაკობაძე



მიშიკო ტატურაშვილი



ALEX



ირინა გოგრიჭიანი



ირინა გოგრიჭიანი



გიორგი ზასეშვილი



გიორგი ლატარია



სოფო გურგენიძე



ელენე ხაბეიშვილი



ეკა გეჯაძე



ანი იმნაიშვილი

ფსიქოლოგი
**გიორგი დონაძე:**

**პირველი ფოტო:** ეს დამკვირვებლის ტიპია, მომლოდინე ღიმილით, ინტელექტუალი, საკუთარი თავისადმი ყურადღებიანი, აწმყოზე ორიენტირებული.

**მეორე ფოტო:** აღგზნებულია, გულმოსული, გაკვირვებული საფრთხის მოლოდინში; აქტიურია, მზერა მომავლისკენ აქვს მიმართული.

**მესამე ფოტო:** მხიარული მიშა — ულიმის სამყაროს, ყურადღება გამახვილებული აქვს, საკმაოდ ვაჟკაცურია.

**მეოთხე ფოტო:** რაღაცის დანახვა არ სურს და ამის დამალვას ცრემლებით ცდილობს, მგრძნობიარეა კრიტიკის მიმართ, ორსახოვანი.

**მეხუთე ფოტო:** ნეგატიურ ზემოქმედებას განიცდის. შესაძლოა, თავი სტკივა, გრძნობების მონელება სურს.

**მეექვსე ფოტო:** აგრესიული, თუმცა ნებისყოფიანი მიშა. ძალაუფლებისკენ ისწრაფვის, საკუთარი მნიშვნელოვნების შეგრძნებაზეა ორიენტირებული; შესაძლოა, მისი აგრესია რაიმე საფრთხისგან თავდაცვის სურვილითაც იყოს გამოწვეული.

**მეშვიდე ფოტო:** ფარული აგრესია აქვს და ამის დამალვას ღიმილით ცდილობს.

**მერვე ფოტო:** განაწყენებული, იმედგაცრუებული, საკუთარ თავსა და განცდებში ჩაღრმავებული მიშა.

**მეცხრე ფოტო:** მკაფიოდ აქვს გამოხატული სწრაფვა პირველობისკენ. ენერგიულია, მაგრამ, შესაძლოა, ამ ენერგიას ვერ იყენებს და სწორედ ამითაა განაწყენებული; მზერა წარსულისკენ აქვს მიმართული.

**მეათე ფოტო:** აქტიური, მამაკაცური მიშა, რომელიც თავისი სიძლიერის დემონსტრირებას ახდენს. წარბშეკრულია, რაც, ზოგადად, სამყაროს მიმართ მის უკმაყოფილებაზე მიუთითებს.

**მეთერთმეტე ფოტო:** მოზარდი მიშა, ჯიუტი, არტისტული და მგრძნობიარე.

**მეთორმეტე ფოტო:** საკუთარი თავით დაინტერესებული და გარე სამყაროსადმი გაფაციცებული მიშა.

**ნახატებს საერთო აქვს ფერი, ესაა ყვითელი. ყვითელი ოპტიმისტური ფერია, ხალისიანი; იგი სამყაროს დადებით აღქმაზე, ორიგინალურობასა და, ამავე დროს, ქცევის სპონტანურობაზე მიუთითებს. ასევე თმა, რაც ხაზს უსვამს მამაკაცურობას, სიძლიერესა და გამბედაობას.**

მედიანიუსი
საინფორმაციო სააგენტო
http://www.medianews.ge

მსოფლიოში პირველი რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრი — ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი



გთავაზობთ უნიკალურ სამედიცინო დახმარებას
მისამართი: კოსტავას ქ. 43.
ტელ. 93-11-45, 99-61-97, 99-54-77

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
რეკლამის მენეჯერი ეთერ კასრელიშვილი (899 110 200)
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. № 166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail: info@geworld.net